





# საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა

სახელმძღვანელო

Ivane Javakishvili Tbilisi State University

# Demographic and Social Statistics of the Regions of Georgia

Textbook

Tbilisi 2022

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა

სახელმძღვანელო



უნივერსიტეტის  
გამომცემლობა

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში განხილულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული საკითხები რეგიონულ ჯრილში, კერძოდ: ძირითადი ცნებები და კატეგორიები, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის სპეციფიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები, კონკრეტული მეთოდები და მათი გამოყენების პირობები. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საერთაშორისო მეთოდოლოგიებისა და კლასიფიკაციების განხილვას.

სახელმძღვანელოს ყველა თემაში მოტანილი და გაანალიზებულია დიდი მოცულობის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები საქართველოს ადმინისტრაციული და ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით, რომელთა საფუძველზეც გაანგარიშებულია დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მრავალი სპეციფიკური მაჩვენებელი.

სახელმძღვანელო განკუთვნილია უმაღლესი სასწავლებლების მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტთათვის და ამ საკითხებით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელო მოამზადა

ავტორთა ჯგუფმა შემდეგი შემადგენლობით: **გელაშვილი სიმონი (სამეცნიერო რედაქტორი და თანაავტორი), აბესაძე ნინო, მაისურაძე ირინე, თოდრაძე გოგიტა, ქინქლაძე რუსუდანი, ხმალაძე მერაბი, შავიშვილი პაატა, ჩარეჭიშვილი ლია, ჩიტალაძე ქეთევანი, წიკლაური შორენა**

რედაქტორი – პროფესორი **სიმონ გელაშვილი**

რეცენზენტები – ასოცირებული პროფესორი **მაია გიორგობიანი**  
ასისტენტ-პროფესორი **ლია ძეგისაური**

რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ და გამოიცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სარედაქციო საბჭოს დადგენილებით (ოქმი №2, 15.02.2022).

*სავტორო უფლებები დაცულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით.*

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022

**ISBN 978-9941-491-78-8 (pdf)**

# სარჩევი

წინასიტყვაობა ..... 9

## თემა 1. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები

1.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი ..... 11

1.1.1. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის ობიექტი და საგანი ..... 11

1.1.2. რეგიონული სოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი ..... 13

1.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი და ამოცანები ..... 14

1.2.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი ..... 14

1.2.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები ..... 15

1.3. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა ..... 16

1.4. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა ..... 18

1.4.1. მოსახლეობის აღწერები ..... 18

1.4.2. მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვება ..... 19

1.5. ქართული დემოგრაფიის (დემოგრაფიული სტატისტიკის) ისტორიიდან ..... 20

1.6. სოციალური სტატისტიკის ისტორიიდან ..... 22

1.7. ტესტები ..... 26

## თემა 2. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები

2.1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობა XIX საუკუნეში ..... 30

2.2. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა XX საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით ..... 34

2.3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით: XX საუკუნის დასაწყისი, 1959 წელი ..... 36

2.4. საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1970-1989 წლებში ..... 39

2.5. საქართველოს მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში ..... 40

2.6. ნასოფლარები, გაუკაცრიელებული პატარა და დიდი სოფლები საქართველოს რეგიონების მიხედვით ..... 44

2.6.1. ნასოფლარები ..... 44

2.6.2. გაუკაცრიელებული სოფლები ..... 45

2.6.3. პატარა სოფლები ..... 47

2.6.4. დიდი სოფლები ..... 48

2.7. თბილისის მოსახლეობა .....	50
2.7.1. თბილისის მოსახლეობა პოსტსაბჭოთა პერიოდამდე .....	50
2.7.2. თბილისის მოსახლეობა პოსტსაბჭოთა საქართველოში .....	52
2.8. ტესტები .....	55

**თემა 3. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები**

3.1. შესავალი .....	58
3.2. მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით .....	59
3.3. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით .....	67
3.4. მოსახლეობის დაბერება და მისი სტატისტიკური შესწავლა რეგიონების მიხედვით .....	73
3.5. ტესტები .....	80

**თემა 4. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები**

4.1. ეთნიკური სტატისტიკა .....	84
4.2. ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი .....	86
4.3. ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში .....	86
4.4. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა .....	90
4.5. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით .....	93
4.5.1. საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა .....	99
4.5.2. საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა .....	100
4.5.3. საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა .....	102
4.6. ტესტები .....	103
დანართი 1 .....	105
დანართი 2 .....	108
დანართი 3 .....	109

**თემა 5. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი**

5.1. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები .....	112
5.2. შობადობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით .....	114
5.3. მოკვდაობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით .....	123



5.4.	ქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით .....	130
5.5.	განქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით .....	138
5.6.	მოსახლეობის ბუნებრივი მატების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით .....	146
5.7.	შობალობის კერძო კოეფიციენტები .....	152
5.8.	მოკვდაობის კერძო კოეფიციენტები .....	155
5.9.	ტესტები .....	158

**თემა 6. რელიგიის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით**

6.1.	მსოფლიოში გავრცელებული რელიგიები .....	162
6.2.	რელიგიის სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი .....	163
6.3.	რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში .....	164
6.4.	აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით .....	166
6.4.1.	საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობა .....	167
6.4.2.	საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობა .....	173
6.4.3.	საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობა .....	176
6.5.	რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო .....	179
6.6.	ტესტები .....	181

**თემა 7. განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით**

7.1.	განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში .....	183
7.2.	სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხური ..	184
7.3.	ზოგადი სრული განათლება, განათლების მიღების საფუძველი საქართველოს რეგიონების მიხედვით .....	187
7.4.	პროფესიული, არაუმაღლესი განათლება, როგორც მნიშვნელოვანი მიმართულება საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის .....	192
7.5.	უმაღლესი განათლება საქართველოს რეგიონების მიხედვით - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის V-VIII საფეხურები .....	196
7.6.	ტესტები .....	208

**თემა 8. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით**

8.1.	ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში .....	213
------	--	-----

8.2.	ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და საყოველთაო ჯანდაცვა, მისი გავლენა საქართველოს რეგიონებზე .....	216
8.3.	ჯანდაცვის სტატისტიკის სტანდარტები და ინდიკატორები .....	221
8.4.	ჯანდაცვის სტატისტიკური ანალიზი რეგიონულ ჭრილში .....	225
8.5.	საქართველოს გამოწვევა COVID-19 პანდემიის პირობებში .....	228
8.6.	ტესტები .....	234

**თემა 9. დემოსოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი**

9.1.	დემოსოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის თავისებურებები .....	238
9.2.	მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები .....	245
9.3.	კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები .....	256
9.4.	ტესტები .....	267
	<b>ლიტერატურა .....</b>	<b>270</b>

## წინასიტყვაობა

ნებისმიერი ქვეყნის ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი სიმდიდრე არის მისი მოსახლეობა, რომლის რიცხოვნობაც საფუძვლად უდევს ეკონომიკური, სოციალური, სამხედრო და ა. შ. პოლიტიკის შემუშავებას და, ზოგადად, ქვეყნის მართვას. მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა კონკრეტული დროისა და ტერიტორიის მიხედვით კი სტატისტიკის პრეროგატივაა, რაც ხორციელდება რეგულარული აღწერების, ასევე, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობისა და მიგრაციული პროცესების მიმდინარე აღრიცხვის საშუალებით. ეს კი დემოგრაფიული სტატისტიკის, როგორც სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულების, შესწავლის სფეროა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მეცნიერული და პრაქტიკული მიზნებისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ამა თუ იმ ქვეყნის მთელი მოსახლეობის რიცხოვნობის, არამედ მის ადმინისტრაციულ თუ ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების რიცხოვნობის ცოდნაც. და არა მარტო რიცხოვნობის, არამედ მისი სქესობრივ-ასაკობრივი და ეთნიკური შემადგენლობის, რელიგიური აღმსარებლობის, განათლებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სტატისტიკის წარმოება. ეს სრულად შეეხება საქართველოსაც, მიუხედავად მისი შედარებით მცირე ტერიტორიისა და მოსახლეობის რიცხოვნობისა.

დღემდე არ არსებობს თანამედროვე საქართველოს ადმინისტრაციული რეგიონების არც დემოგრაფიული და არც სოციალური სტატისტიკის სახელმძღვანელო, რაც გარკვეულ სირთულეებს ქმნის შესაბამის სფეროში როგორც სასწავლო, ისე კვლევითი პროცესების მაღალ დონეზე განსახორციელებლად. ამ სარვეზის ნაწილობრივ აღმოფხვრას ემსახურება სწორედ წარმოდგენილი სახელმძღვანელო - „**საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა**“, რომელიც მოამზადა მეცნიერ-სტატისტიკოსების ჯგუფმა. სახელმძღვანელოში განხილულია სულ 9 თემა დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის თითქმის ყველა ძირითადი მიმართულებიდან. **პირველ თემაში - „საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის საგანი, მეთოდი და ამოცანები“** - განხილულია რეგიონული დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის ობიექტი, საგანი და მეთოდი, ასევე შესაბამისი მაჩვენებელთა სისტემა, მონაცემთა შეგროვების ფორმები, წესები, ხერხები; აქვე საინტერესოა საქართველოში დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკის მოკლე ისტორიის მიმოხილვაც.

**მეორე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები“** - ეძღვნება საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილების ტენდენციების განხილვას XIX საუკუნიდან დღემდე. ცალკე საკითხებადაა წარმოდგენილი ჩვენი ქვეყნის დელაქალაქის - თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები საბჭოთა პერიოდამდე, საბჭოთა პერიოდში და პოსტსაბჭოთა პერიოდში. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს რეგიონებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით პატარა და დიდი სოფლების, ასევე გაუქმდებულ სოფლების მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებების სტატისტიკა გრძელვადიან პერიოდში.

**მესამე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები“** - წარმოდგენილია ადმინისტრაციული რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები და მათი გაანგარიშების წესები. აქვე განხილულია მოსახლეობის დაბერების სტატისტიკური შესწავლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები.

**მეოთხე თემა - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები“** - ეძღვნება საქართველოსთვის, როგორც ეთნიკური მრავალფეროვანი ქვეყნისთვის, ისეთ მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი და ობიექტი, ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში, მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით. ცალ-ცალკეა წარმოდგენილი საქარ-

თველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსების - ქართველების, აზერბაიჯანელებისა და სომხების რიცხოვნობის ცვლილებები.

**მეხუთე თემაში - „საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მარკენებელთა შედარებითი ანალიზი“** - განხილულია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები, გაანალიზებულია ასევე შობადობის, მოკვდაობის, ქორწინებისა და განქორწინების კერძო კოეფიციენტები და წარმოდგენილია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის ბუნებრივი მატების სტატისტიკური ანალიზი.

**მექვესე თემაში - „რელიგიის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“** - ეძღვნება საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხებს, როგორცაა: აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით, რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში, ასევე, აღმსარებლობის მიხედვით საქართველოში მცხოვრები ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი მოსახლეობის - მართლმადიდებელი, მაჰმადიანური და სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მოსახლეობის სტატისტიკა.

**მეშვიდე თემაში - „განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით“** - დასასიათებელია განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში, გაანალიზებულია ასევე სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების საფეხურების ოფიციალური სტატისტიკა და გაანგარიშებულია შესაბამისი მარკენებლები როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების მიხედვით.

**მერვე თემაში - „საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით“** - მოიცავს ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა: ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში, ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და მისი გავლენა საქართველოს რეგიონების მოსახლეობაზე, ჯანდაცვის სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტები და ინდიკატორები, ჯანდაცვის სტატისტიკური მარკენებლების გაანგარიშების წესები და მათი ანალიზი რეგიონულ ჭრილში. ამავე თემაში წარმოდგენილია თანამედროვე მსოფლიოს გლობალური პრობლემის - COVID-19 პანდემიის და მასთან დაკავშირებული გამოწვევები საქართველოში.

**მეცხრე თემაში - „დემოსოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი“** - განხილულია დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს შორის ურთიერთკავშირის თავისებურებების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები, წარმოდგენილია მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები და მათი გამოყენების პრაქტიკა, მოცემულია კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მარკენებლები და მათი გაანგარიშების წესები.

სახელმძღვანელოს ბოლო ნაწილში მოცემულია გამოყენებული პუბლიკაციებისა და ინტერნეტრესურსების ჩამონათვალი.

მადლობას იმსახურებს ამ სახელმძღვანელოს ყველა თანაავტორი, რომლებმაც დიდი და ხანგრძლივი შრომა გასწიეს შესაბამისი თემების მიხედვით თეორიული მასალებისა და სტატისტიკური მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის პროცესებში.

წარმოდგენილი სახელმძღვანელო პირველია ამ სფეროში და, აქედან გამომდინარე, იგი დაზღვეული ვერ იქნება ცალკეული შეცდომებისგან, რომელთა გამოსასწორებლად გამოთქმული ნებისმიერი რაციონალური წინადადება და რეკომენდაცია მაღლიერებით იქნება მიღებული და გათვალისწინებული ავტორთა მიერ წიგნის მომდევნო გამოცემისას.

*სამეცნიერო რედაქტორი,*

*პროფესორი სიმონ გელაშვილი*

*თებერვალი, 2022 წელი*

# თემა 1. რეგიონული სოციალური და დემოგრაფიული სტატისტიკის საგანი და მეთოდი

## საღიჯეციო საკითხები

- 1.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი
  - 1.1.1. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის ობიექტი და საგანი
  - 1.1.2. რეგიონული სოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი
- 1.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი და ამოცანები
  - 1.2.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი
  - 1.2.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები
- 1.3. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა
- 1.4. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა
  - 1.4.1. მოსახლეობის აღწერები
  - 1.4.2. მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვება
- 1.5. ქართული დემოგრაფიის (დემოგრაფიული სტატისტიკის) ისტორიიდან
- 1.6. სოციალური სტატისტიკის ისტორიიდან
- 1.7. ტესტები

## 1.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი

### 1.1.1. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის ობიექტი და საგანი

დემოგრაფია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ხალხის აღწერას (დემოს - ხალხი, გრაფოს - აღწერა). აღნიშნული ტერმინი მეცნიერებაში შემოიტანა ფრანგმა მეცნიერმა აშელ გიიარმა 1855 წელს ნაშრომში „ადამიანთა სტატისტიკის ელემენტები, ანუ შედარებითი დემოგრაფია.“

დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის ობიექტია მოსახლეობა, რომელიც წარმოადგენს გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ერთობლიობას. მოსახლეობა არის სტატისტიკური ერთობლიობა, ხოლო თითოეული ადამიანი - ამ ერთობლიობის ერთეული. აღნიშნული ერთობლიობის თავისებურება ისაა, რომ მას გააჩნია ერთობლიობის მეორე ერთეულიც, ოჯახი და შინამეურნეობა, როგორც მოსახლეობის შემადგენელი პირველადი სტატისტიკური, დემოგრაფიული და, იმავდროულად, სოციალური ერთეული. ფართო აზრით, დემოგრაფიული მოვლენები და პროცესები, ფაქტობრივად, სოციალური სფეროს მოვლენები და პროცესებია.

შესწავლის ობიექტიდან იმ კონკრეტული საკითხების წრეს, რომელსაც იკვლევს დემოგრაფიული სტატისტიკა, წარმოადგენს ამ მეცნიერების შესწავლის საგანი. კერძოდ, დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის საგანია მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების რაოდენობრივი მხარე მის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში.

დემოგრაფიულ პროცესებს მიეკუთვნება შობადობა, მოკვდაობა, ქორწინება, განქორწინება და მიგრაცია, რომლებიც ყალიბდება დაბადების, გარდაცვალების, ქორწინების, განქორწინების და მიგრაციის კონკრეტული დემოგრაფიული შემთხვევებისა და ფაქტების ერთობლიობით, ხოლო დემოგრაფიული შემთხვევების ერთობლიობები გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გვაძლევს დემოგრაფიულ პროცესებს.

სტატისტიკის საერთაშორისო სტანდარტი შესაბამისი კრიტერიუმებით განსაზღვრავს დაბადებას, გარდაცვალებას, ქორწინებას, განქორწინებას და მიგრაციას (იმიგრანტი, ემიგრანტი).<sup>1</sup>

**ცოცხლად დაბადება** - ჩასახვის პროდუქტის სრულად გამოძევება ან ხელოვნურად გამოყვანა დედის ორგანიზმიდან, როდესაც პროდუქტი სუნთქავს ან ავლენს სიცოცხლის სხვა რომელიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა შესაბამისი ნაწილების მოძრაობით. ყველა ასეთი პროდუქტი მიჩნეულია ცოცხლად დაბადებულად, მიუხედავად იმისა, რა ხანგრძლივობისაა ორსულობა, ჭიპლარი გადაკვეთილია ან/და პლაცენტა მოცილებულია საშვილოსნოს კედელს.

შობადობაში იგულისხმება ცოცხლად დაბადებულების ერთობლიობა.

**მკვდრადშობილი** - ნაყოფი, რომლის სიკვდილიც, ორსულობის ხანგრძლივობის 22-ე კვირიდან, წინ უსწრებს მის სრულ გამოძევებას ან გამოყვანას დედის ორგანიზმიდან, არ სუნთქავს ან არ ავლენს სიცოცხლის რაიმე ნიშანს, როგორცაა გულისცემა, ჭიპლარის პულსაცია, ან ჩონჩხის კუნთების ცალკეული ჯგუფების შეკუმშვა. მკვდრადშობილია რიცხოვნობის და ხვედრიწილის ზრდა საზოგადოების სოციალურ განვითარებას ახასიათებს უარყოფითად.

**გარდაცვალება** - ადამიანის ბიოლოგიური ფუნქციების სამუდამოდ შეწყვეტა.

**ჩვილთა მოკვდაობა** - ბავშვთა მოკვდაობა სიცოცხლის პირველ წელს (0-12 თვის ჩათვლით).

**ნეონატალური მოკვდაობა** - მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე.

**პოსტნეონატალური მოკვდაობა** - მოკვდაობა სიცოცხლის 28-ე დღიდან ერთ წლამდე ასაკში.

**ქორწინება** - ოჯახის შექმნის მიზნით ქალის და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

**განქორწინება** - ქორწინებითი კავშირის შეწყვეტა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

საქართველოს მიმდინარე სტატისტიკა აღრიცხავს მხოლოდ იურიდიულად რეგისტრირებული ქორწინებისა და განქორწინების ფაქტებს.

**იმიგრანტი** - პირი, რომელმაც გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ბოლო 12 თვეში სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე შემოსვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველო არ იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე. ი. მას საქართველოს საზღვრებს გარეთ წინა 12 თვეში გატარებული აქვს სულ მცირე 183 დღე.

**ემიგრანტი** - პირი, რომელმაც დატოვა საქართველო ბოლო 12 თვეში და სულ მცირე 183 დღე (შესაძლებელია ეს იყოს რამდენიმე გასვლის კუმულაციური ჯამი) იმყოფებოდა სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე და საქართველო იყო მისთვის მუდმივი საცხოვრებელი ქვეყანა, ე. ი. მას ქვეყნიდან გასვლამდე წინა 12 თვეში საქართველოში გატარებული ჰქონდა სულ მცირე 183 დღე (ხანგრძლივობის კუმულაციური ჯამი).

<sup>1</sup> www.geostats.ge

## 1.1.2. რეგიონული სოციალური სტატისტიკის ობიექტი და საგანი

სოციალური სტატისტიკის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური (არაეკონომიკური) მოვლენები და პროცესები. საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა განვმარტოთ სოციალური სფეროს რიგი კატეგორიები.

**სოციალური** - წარმოშობილია ლათინური სიტყვიდან *socialis* და ნიშნავს საზოგადოებრივს.

**სოციალური ურთიერთობები** - ურთიერთობები, რომელიც მყარდება საზოგადოებაში ადამიანებს შორის სოციალური კუთხით.

**სოციალური მოვლენები და პროცესები** - სოციალური მოვლენები ყალიბდება კონკრეტული სოციალური ურთიერთობებისაგან დროის მოცემულ, კონკრეტულ პირობებში. სოციალური პროცესები ყალიბდება კონკრეტული სოციალური ურთიერთობების შენარჩუნების შედეგად დროის შედარებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. შესაბამისად, სოციალური პროცესები შეიძლება გაგრძელდეს დროის ნებისმიერი ხანგრძლივობით, ან არსებობდეს მარადიულად, როგორცაა რელიგიური, ქონებრივი და სხვა ურთიერთობები.

**საზოგადოება** - ადამიანთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობების ტიპი, სოციალური ურთიერთობების გარკვეული ფორმა. როგორც წესი, საზოგადოებაში გულისხმობენ ადამიანების გარკვეულ ჩამოყალიბებულ ჯგუფებს. საზოგადოება გულისხმობს საერთო, კოლექტიურ ცხოვრებას კონკრეტულ ტერიტორიაზე.

**საზოგადოებრივი** - ყველაფერი ის, რაც ადამიანისთვის ან ადამიანთა ჯგუფისთვის არის საერთო.

**სოციუმი** - ადამიანთა ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია რაიმე ნიშნით.

**დახურული საზოგადოება** - საზოგადოება, რომელიც ხასიათდება სტატიკური, უცვლელი სოციალური სტრუქტურებით და ურთიერთობებით, ავტორიტარული იდეოლოგიით, ჩაკეტილი საზღვრებით. ასეთი იყო სოციალისტური საზოგადოება.

**ღია საზოგადოება** - ესაა საზოგადოება, რომელიც ხასიათდება დინამიკური სოციალური სტრუქტურებით და ურთიერთობებით, დემოკრატიული იდეოლოგიით, ღია საზღვრებით, ადამიანის თავისუფლებით და ა. შ.

**სტრატა** - წარმოდგება ლათინურიდან - *stratum* - ფენა. სოციალური სტრატა - სოციალური ფენა, ან ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია რაიმე ნიშნით, როგორცაა: ქონებრივი, პროფესიული, განათლების, ოჯახური მდგომარეობის და სხვა ნიშნებით.

**სტრატეფიკაცია** - ლათინური სიტყვაა - *stratum* - ფენა + *facio* - ვაკეთებ, წარმოადგენს ინდივიდების ან ადამიანთა ჯგუფების რანჟირებას ვერტიკალურ ან ჰორიზონტალურ ფენებად, სტრატებად, უთანაბრობის ნიშნის მიხედვით. აღნიშნულის მკაფიო მაგალითია მოსახლეობის განაწილება შემოსავლებისა და ხარჯების მიხედვით 10 ჯგუფად (სტრატად), რომელიც სტატისტიკაში ცნობილია 10 დეცილური ჯგუფის სახელწოდებით. სტრატეფიკაციას მიეკუთვნება, ასევე, მოსახლეობის დაჯგუფება განათლების დონის, თანამდებობრივი პრესტიჟის და ა. შ. მიხედვით. შესაბამისად, სტრატეფიკაცია ახასიათებს საზოგადოების, ადამიანების სოციალურ დანაწილებას არაერთგვაროვნებას.

რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკა საქართველოს რეგიონებს შეისწავლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით. ესენია: თბილისი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, გურია, იმერეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, სამეგრელო ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი.

## 1.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი და ამოცანები

### 1.2.1. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მეთოდი

სტატისტიკური მეცნიერების ზოგად მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს დიალექტიკა. მეთოდოლოგია განსაზღვრავს კვლევის ზოგად პრინციპებს და მიმართულებებს. დიალექტიკა, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებების მეთოდოლოგია მოვლენების შესწავლას გულისხმობს მათ ურთიერთკავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში, საზოგადოებას განიხილავს უწყვეტ განვითარებაში.

მეთოდი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შემეცნების საშუალებას, გზას, ხერხს. სტატისტიკის მეთოდი კონკრეტულად მოიცავს კვლევის სპეციფიკური ხერხების ერთობლიობას, რომელსაც გამოიყენებს დემოგრაფიული და სოციალური მოვლენების შესწავლისას. სტატისტიკური კვლევა მოიცავს სამ ეტაპს: სტატისტიკური დაკვირვება, მოპოვებული მასალების თავმოყრა და დაჯგუფება, სტატისტიკური მაჩვენებლების გამონგარიშება და ანალიზი.

დემოსოციალური მოვლენების სტატისტიკური კვლევა იწყება ერთობლიობის ერთეულზე დაკვირვებით. სტატისტიკური დაკვირვება წარმოადგენს შესასწავლი მოვლენის მახასიათებელი არსებითი ნიშნების გეგმაზომიერ, მეცნიერულად ორგანიზებულ რეგისტრაციას. დაკვირვების შედეგად მოპოვება პირველადი ინფორმაცია, ან როგორც მას უწოდებენ, სტატისტიკური მასალა, რომელიც საფუძველად ედება შემდგომ სტატისტიკურ სამუშაოებს. მაგალითად, ისეთი სახის სტატისტიკური დაკვირვებისას, როგორცაა მოსახლეობის აღწერა, ხდება ადამიანისათვის დამახასიათებელი ისეთი არსებითი ნიშნების რეგისტრაცია, როგორცაა: სქესი, ასაკი, განათლება, საქმიანობა და ა. შ. ყველა ქვეყანაში სტატისტიკური დაკვირვება ხორციელდება სახელმწიფო სტატისტიკური, ან სხვა ორგანოების ხელმძღვანელობით. მაგალითად, იაპონიაში მრავალი სტატისტიკური დაკვირვება ხორციელდება პრეფექტურების მიერ და მონაცემთა შეგროვება ხდება თვითური, კვარტალური, წლიური და 5-წლიანი პერიოდულობით (საინტერესოა ასეთი სტატისტიკური დაკვირვება: ყოველ მე-5 წელს ტარდება თავისუფალი დროის გამოყენების კვლევა).<sup>1</sup>

დაკვირვების შედეგად მიღებული პირველადი მონაცემების მასივები საჭიროებენ შემდგომ დამუშავებას და ანალიზს. იგი ხორციელდება თავმოყრის და დაჯგუფების საშუალებით, რომელიც წარმოადგენს სტატისტიკური კვლევის მეორე ეტაპს.

დაჯგუფება არის ერთობლიობის ერთეულების გაერთიანება ერთგვაროვან ჯგუფებში მათთვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების მიხედვით. მაგალითად, მოპოვებული ინფორმაცია მოსახლეობის განათლების მიხედვით დაჯგუფდება ისეთი ნიშნების მიხედვით, როგორცაა დაწყებითი, საშუალო, უმაღლესი განათლება.

სტატისტიკური დაჯგუფებით მიიღება აბსოლუტური მაჩვენებლები, რომლებიც საფუძველად ედება რიგი სხვა სტატისტიკური მაჩვენებლების გამოთვლას, როგორცაა: შეფარდებითი მაჩვენებლები, საშუალო სიდიდეები, დროითი (დინამიკური) მწკრივის საანალიზო მაჩვენებლები, ვარიაციის მაჩვენებლები, ინდექსები და ა. შ. აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება - ანალიზის საშუალებით ღვინდება დემოსოციალური მოვლენების განვითარების კანონზომიერებები.

სტატისტიკური კვლევის სამივე ეტაპი მჭიდროდაა დაკავშირებული და განაპირობებს ერთმანეთს.

კვლევის საკუთარი მეთოდების გარდა, დემოგრაფიული და სოციალური სტატისტიკა იყენებს კვლევის ზოგად ფილოსოფიურ ხერხებს, როგორცაა ანალიზი და სინთეზი. ანალიზი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს დანაწილებას. ანალიზის მეთოდი გულისხმობს შესასწავლი მთლიანი მოვლენის აზრობრივ ან ფაქტობრივ დანაწილებას შემადგენელ ნაწილებად და ისე შესწავლას. სინთეზი, ასევე, ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს შეერთებას. სინთეზი, როგორც კვლევის მეთოდი, გულისხმობს მოვლენის შემეცნებას მთლიანობაში. იგი მოვლენის ცალკეულ ნაწილებს განიხილავს ერთიანობაში და ურთიერთკავშირში.

<sup>1</sup> გელაშვილი, ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. „მერიდიანი“, თბ., 2015, გვ. 354.



## 1.2.2. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ძირითადი ამოცანები

რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ამოცანები გამომდინარეობს საზოგადოების მოთხოვნებიდან. რეგიონული დემოგრაფიული პროცესებიდან მნიშვნელოვანია **შობადობის** შესწავლა. როგორც შემდგომში ვნახავთ, შობადობის ღონეები მკვეთრად აღფერუცირებული რეგიონების მიხედვით. აღნიშნულ დიფერენციაციას განაპირობებს სხვაობა რეგიონების სოციალური და ეკონომიკური განვითარების ღონეებსა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაში. რეგიონები მოსახლეობის ასაკობრივად რეპროდუქციული ასაკობრივი სტრუქტურით, დემოგრაფიულად „დაბერებული“ რეგიონებისაგან განსხვავებით, განაპირობებენ შობადობის მაღალ მაჩვენებლებს. რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა გამოიყოს სხვადასხვა რეგიონების შობადობის მაჩვენებლების შედარებისას მათზე რეპროდუქციული ასაკის ქალების ასაკობრივი სტრუქტურის გავლენა და აჩვენოს რეგიონებში ბავშვთაშობის ინტენსივობის ჭეშმარიტი ღონე. აღნიშნული მიიღწევა რეგიონების შობადობის მაჩვენებლების სტანდარტიზების და საინდექსო მეთოდის გამოყენებით.

რეგიონებში შობადობის დიფერენციაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოსახლეობის რელიგიური და ეთნიკური შემადგენლობა, რისი შესწავლაც რეგიონული დემოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. მოცემული ფაქტორების გავლენა განსაკუთრებით გამოკვეთილია აჭარასა და ქვემო ქართლში, თუმცა ის მოქმედებს ზოგიერთ სხვა რეგიონშიც და თუ იქ შობადობის ღონე დღეს არსებულზე უფრო დაბალი არ არის, ესაა რელიგიურ-ეთნიკური ფაქტორების ზემოქმედების შედეგი.

შობადობის რეგიონული ღონე საქართველოში მეტ-ნაკლებად შესწავლილია, რასაც ვერ ვიტყვით **მოკვდაობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე**, რომელიც დემოგრაფიული მეცნიერების ასევე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს. რეგიონების მოკვდაობის და შობადობის ღონეზე მოქმედებს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ღონე და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა.

მოკვდაობის ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი მაჩვენებელი, როგორცაა მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი, სინამდვილეში უფრო ახასიათებს რეგიონის დემოგრაფიულ დაბერებას (რაც მეტია 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში, მით მაღალია მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი), ვიდრე მოკვდაობის ჭეშმარიტ ღონეს. ამ უკანასკნელის დასადგენად საჭიროა, როგორც შობადობის ღონის შემთხვევაში, ასაკობრივი სტრუქტურის ნიველირება სტანდარტიზების და საინდექსო მეთოდის გამოყენებით.

რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს **სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის** მაჩვენებლების გამოთვლა და მისი ანალიზი. აღნიშნული სოციალურ-დემოგრაფიული და ეკონომიკური მაჩვენებლის გამოსათვლელად საჭიროა მონაცემები ასაკების მიხედვით გარდაცვლილთა და მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის შესახებ. მაგრამ აქ თავს იჩენს პრობლემა: მცირერიცხოვანი მოსახლეობის მქონე რეგიონებში რიგ, განსაკუთრებით ახალგაზრდა ასაკებში მოკვდაობის შემთხვევებს ზოგჯერ ადგილი არა აქვს, ან გვხვდება 1 და 2 შემთხვევა, რაც ამ ასაკებში მოკვდაობის (საიმედო) ღონეების გამოთვლის საშუალებას არ იძლევა. ამ სიტუაციაში შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს შემთხვევითი ფაქტორი, რითაც ირღვევა სტატისტიკის ფუნქციონალური კანონი: კანონზომიერება გამოვლინდება დავირების საკმარისად დიდი რიცხვის პირობებში. ამიტომ, რომ მოკვდაობის და სიცოცხლის ხანგრძლივობის მაჩვენებლები საქართველოში გაანალიზებულია მხოლოდ საქართველოს ყველაზე დიდი რეგიონის - თბილისისთვის და ერთიც - მცირერიცხოვანი გორისთვის.<sup>1</sup> თუმცა, აღნიშნული პრობლემა ნაწილობრივ შეიძლება მოიხსნას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობისგან განსხვავებით, ნაკლები შემეცნებითი დატვირთვის მქონე მაჩვენებლით - გარდაცვლილთა საშუალო ასაკით, რომლის გამოთვლაც შეიძლება ყოველწლიურად, ყველა რეგიონისთვის.

<sup>1</sup> იხ. ნატალია კოპალიევილი, მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეზიუმე, თბ., 2005. ნანა ახალია, გორის მოსახლეობა, სტატისტიკურ-დემოგრაფიული კვლევა. თბ., 2002.

რეგიონული დემოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა ქვეყნის შიგა მიგრაციის შესწავლა, რომელიც მრავალმხრივი, რეგიონების მოსახლეობას შორის არსებული ეკონომიკური, სოციალური, ეთნიკური თუ ნათესაური კავშირების დადგენაში შეიძლება დაგვეხმაროს. მაგრამ აქაც თავს იჩენს საკითხის ინფორმაციული უზრუნველყოფის პრობლემა. ერთადერთ საიმედო მონაცემებს მოსახლეობის ქვეყნის შიგნით გადაადგილების შესახებ გვაწვდის მოსახლეობის აღწერა, რომელიც საშუალებას იძლევა დავადგინოთ მოცემულ დასახლებაში ადამიანის ცხოვრების ხანგრძლივობა და წინა საცხოვრებელი ადგილი ქვეყნის ფარგლებში.

ქვეყნის რეგიონული ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. საქართველოსთვის სახეზეა დისპროპორცია ქვეყნის რიგი რეგიონების ეკონომიკურ პოტენციალსა და მისი მოსახლეობით უზრუნველყოფას შორის, განსაკუთრებით მთიან რეგიონებში, სადაც წარმოშობილი „დემოგრაფიული ვაკუუმი“ ამ რეგიონების ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. შესაბამისად, ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის რეგიონული ანალიზი სტატისტიკის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რამდენადაც მთის რეგიონების საერთო დემოგრაფიულ დაბერებას თან სდევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის დაბერებაც (20-40 წლის მოსახლეობის ხვედრითი წილის შემცირება), რაც უარყოფით გავლენას ახდენს შესაბამისი რეგიონების როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ განვითარებაზე.

**საქართველო მრავალრეგიონული სახელმწიფოა.** ამასთან, რეგიონებიც განსხვავდება მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით. შესაბამისად, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცოდნა მთლიანად ქვეყნის და რეგიონულ დონეზე სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და უაღრესად საჭირო ქვეყნის საგანმანათლებლო, იდეოლოგიური, საშინაო და საგარეო პოლიტიკის შემუშავებისთვის. ეთნიკურ შემადგენლობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა. საქართველოს ზოგიერთ რეგიონში თანაბრად წარმოდგენილი, ჭარბობს ან დომინანტობს არაქართული ეთნოსი, რომელთა მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო. მოსახლეობის ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის შესახებ ინფორმაციას გვაძლევს მხოლოდ სტატისტიკა, კერძოდ, მოსახლეობის აღწერები.

მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობასთან დაკავშირებულია მოსახლეობის ენობრივი შემადგენლობის საკითხი. სტატისტიკა სწავლობს როგორც ქართული სახელმწიფო, ისე სხვა ენების გავრცელებას, რამდენს მიაჩნია მშობლიურ ენად თავისი ერის ენა და რამდენს - სხვა ენა. სტატისტიკა აფიქსირებს, ასევე, მდგომარეობას, როდესაც ადამიანის მშობლიური ენა არ ემთხვევა მისივე ერის ენას. საქართველოს სახელმწიფო ენის ცოდნა არაქართველ მოსახლეობას გზას უხსნის განათლება მიიღოს ქართულ ენაზე და წარმატებით განაგრძოს თავისი მოღვაწეობა ნებისმიერ სფეროში.

**განათლების სტატისტიკის ამოცანებია** რეგიონების მიხედვით დადგინოს სხვადასხვა დონის განათლების მქონე მოსახლეობის რიცხოვნობა, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა და პედაგოგთა რიცხოვნობა, კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა წლების მიხედვით. **რეგიონული ჯანდაცვის სტატისტიკის ამოცანებია** აღრიცხოს რეგიონებში სამედიცინო დაწესებულებების, მათში საშუალო მედაპერსონალის და ექიმების, სამედიცინო საწოლების რიცხვი, გაიანგარიშოს მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები ჯანდაცვის კუთხით (მაგალითად, ექიმების რიცხვი, რომელიც მოდის 10 000 მცხოვრებზე). სტატისტიკა ადგენს ჯანდაცვის სისტემის დატვირთვას მოსახლეობით, მაგ., მცხოვრებთა რიცხვი 1 ექიმზე გაანგარიშებით და სხვ. გამოთვლილ მაჩვენებლებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს რეგიონის ჯანდაცვის დონის შეფასება და მის მიხედვით რეგიონების შედარება.

### 1.3. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

როგორც ცნობილია, სტატისტიკური მაჩვენებელი არის სახელმძღვანელო რიცხვი, რომელიც ახასიათებს მასობრივი მოვლენის რაოდენობრივ მხარეს.

დემოსოციალურ მოვლენებს ასასიათებს ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება. საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად მათ, ე. ი. მათი ერთობლიობის ერთეულებს, ასასიათებს ხარისხობრივი და არა რაოდენობრივი ნიშნები. დემოგრაფიულ სტატისტიკაში გვაქვს ერთადერთი რაოდენობრივი ნიშანი - ასაკი. აღნიშნული განაპირობებს, რომ დემოგრაფიულ მოვლენებს ვასასიათებთ ორი რაოდენობრივი ზომის ერთეულით, ესენია: რიცხოვნობა და რაოდენობრივი ზომის ერთეულის სახესხვაობა, დროის საზომი, რომელიც გამოისახება წლებში.

სოციალური მოვლენები, რელიგია, განათლება, ჯანდაცვა, ეროვნება მხოლოდ ხარისხობრივ ნიშნებს ფლობენ.<sup>1</sup>

დემოსოციალური მოვლენების დასასიათება ხდება ერთი ნიშნის ან ნიშანთა კომბინაციით, რომლებიც საფუძვლად ედება მარტივ და კომბინაციურ დაჯგუფებებს, შესაბამისად გამოითვლება სტატისტიკური მაჩვენებლები, მაგალითად, შობადობის დონის საერთო მაჩვენებლები და მისი დანაწილება რეპროდუქციული ასაკის ქალების ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების (15-19, 20-24 .... 45-49), ქალაქის და სოფლის და სხვა ნიშნების მიხედვით.

ერთ-ერთი პრობლემა, რომელიც წამოიჭრება რეგიონული დემოგრაფიული პროცესების ანალიზის დროს, არის დემოგრაფიული შემთხვევების მცირე რიცხვი მცირე ერთობლიობაში, რომელიც ზუსტად ვერ ასახავს კანონზომიერებას.

ყველაზე პრობლემური სიტუაცია ამ მხრივ არის გარდაცვლილების განაწილება სქესის და ასაკის ნიშნით, რამდენადაც, მოცემულ წელს გარდაცვლილთა რიცხვი ნაწილდება 19 ჯგუფად: 0,1-4, 5-9 ...80-84 და 85+ ასაკებად. შესაბამისად, ახალგაზრდა ასაკებში, სადაც დაბალია მოკვდაობა, შეიძლება აღმოჩნდეს გარდაცვლილთა მეტად მცირე რიცხვი. ყველაზე დაბალი მოკვდაობით ხასიათდება 5-14 წლის ასაკობრივი ჯგუფი. იმისათვის, რომ დავასასიათოთ, თუ როგორ შეიძლება დაამახინჯოს შემთხვევითობამ კანონზომიერება, მოვიტანთ მონაცემებს გარდაცვლილთა ასაკობრივი განაწილების შესახებ ყველაზე მრავალრიცხოვანი იმერეთის და ყველაზე მცირერიცხოვანი - მცხეთა-მთიანეთის და რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის ადმინისტრაციული ერთეულების შესახებ 2019 წლისათვის.

	იმერეთი			რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი	მცხეთა- მთიანეთი
	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	ორივე სქესი
სულ	8000	4200	3800	386	1300
მ. შ. ასაკი					
0	51	36	15	1	8
1-4	6	3	3	0	2
5-9	2	2	0	0	0
10-14	7	7	0	0	1
15-19	14	9	5	1	3

მოტანილი აბსოლუტური მონაცემებიდან ჩანს, რომ რიგ ასაკებში მოკვდაობის კოეფიციენტი ნულის ტოლია. თავისთავად, ეს შეიძლება დასაშვებად მივიღოთ, მაგრამ მთავარი საფრთხე მცირე ერთობლიობაში არის შემთხვევითი ფაქტორი. მაგალითად, იმერეთის მრავალრიცხოვან მოსახლეობაში, 2019 წლისათვის 5-9 წლის ასაკში გარდაიცვალა 2 მცხოვრები. დავუშვათ, მოცემული წლისათვის გარდაცვალებულის ასაკის არასწორი რეგისტრაციის (ან სხვა მიზეზის) შედეგად იმერეთში 5-9 წლის ასაკში გარდაცვლილთა რიცხვმა შეადგინა 1-ით მეტი, ე. ი. 2-ის ნაცვლად 3. ეს ნიშნავს ამ ასაკში გარდაც-

<sup>1</sup> მერაბ ხმაღაძე, დემოგრაფია, თბ., 2009, გვ. 21.

ვლილთა რიცხვის მატებას 50%-ით ( $3:2 = 150\%$ ), მაშინ, როდესაც შედარებით დიდ ერთობლიობაში, 0 ასაკში (51 გარდაცვლილი), გარდაცვალების 1 შემთხვევით მატება იწვევს გარდაცვალებულთა რიცხვის მატებას 52-მდე, ე. ი. მხოლოდ 2,0%-ით ( $52:51=1,02$ , ე. ი. მეტობა 2%). აქედან დასკვნა: დემოსოციალური მაჩვენებლების გამოთვლას მცირე ერთობლიობაში სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. აღნიშნული გავლენა, გარკვეულწილად, შეიძლება თავიდან ავიცილოთ ან ყოველ შემთხვევაში შევასუსტოთ სახალიზო ერთობლიობის გადიდებით, კერძოდ კი ასაკობრივი ინტერვალების გამსხვილებით, მაგალითად, 5-წლიანი ასაკობრივი ინტერვალების ნაცვლად ავილოთ 10-წლიანი: 0-9 წლის, 10-19 წლის და ა. შ. ან გამოვთვალოთ რამდენიმე წლის საშუალოწლიური მონაცემები: 2, 3, 4, 5 წლების შეჯამებით. თუ ვნახავთ, რომ ეს ღონისძიებებიც შედეგს არ იძლევა, მაშინ უნდა დავკმაყოფილოდეთ ზოგადი, შედარებით უხეში მაჩვენებლების გამოთვლით.

დემოსოციალური მოვლენების შესასწავლად გამოიყენება სტატისტიკურ მაჩვენებელთა მთელი არსენალი, როგორცაა: აბსოლუტური (აბსოლუტი ლათ. ფილოსოფიური გაგებით პირველსაწყისი. დაჯგუფებით მიღებული მონაცემები საფუძვლად, საწყისად ედება შემდგომ სტატისტიკურ გამოთვლებს და ამიტომ იწოდება აბსოლუტურ სიდიდეებად) და შეფარდებითი სიდიდეები, ვარიაციის და დროითი მწკრივების სახალიზო მაჩვენებლები, ინდექსები, მოვლენათა შორის კავშირის გაზომვის კორელაციურ-რეგრესული ანალიზის მეთოდები.

სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენებისგან განსხვავებით, დემოსოციალური მოვლენების გასაზომად შედარებით ფართოდ გამოიყენება პრობილური და პროდეციმილური მაჩვენებლები.

## 1.4. რეგიონული დემოსოციალური სტატისტიკის ინფორმაციული უზრუნველყოფა

### 1.4.1. მოსახლეობის აღწერები

მოსახლეობის აღწერები წარმოადგენს პერიოდულ სტატისტიკურ დაკვირვებას. მიმდინარე დაკვირვებისგან განსხვავებით, ის იძლევა რაიმე მოვლენის მდგომარეობის დახასიათებას აღწერის კრიტიკული მომენტი სთვის, ამ მოვლენის მთლიან სიდიდეს აღწერამდე მთელ წინა პერიოდის განმავლობაში. მაგალითად, ავილოთ მოსახლეობის განათლება. აღწერა გვიჩვენებს თუ აღწერის მომენტი სთვის რამდენს აქვს ქვეყანაში უმაღლესი ან საშუალო განათლება. განათლების მიმდინარე სტატისტიკა კი გვიჩვენებს, მოცემულ წელს რამდენი სტუდენტი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში სხვადასხვა პროგრამებზე, რამდენმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი და ა. შ. იმავედროულად, მოსახლეობის აღწერები რიგი საკითხების შესასწავლად, როგორცაა მოსახლეობის ეთნიკურ-ენობრივი და რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა, ერთადერთი წყაროა. საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერამ დააფიქსირა და მოგვცა ინფორმაცია რიგ დემოგრაფიულ და სოციალურ საკითხებზე, როგორცაა:

**შიდა მიგრაცია.** აღწერით დადგინდა აღწერის მომენტი სთვის რამდენი შიდა მიგრანტი იყო მთლიანად ქვეყანაში და ცალკეული რეგიონების მიხედვით. აღწერის პროგრამის ერთი ქვეკითხვა ეთმობოდა მოცემული ქვეყნის იმ ტერიტორიის დადგენას, საიდანაც ჩამოვიდა მიგრანტი, რითაც შეიძლება დადგინდეს ქვეყნის ტერიტორიებს შორის შიდა მიგრაციული კავშირები. აღწერის კითხვა, რომელიც ადგენს, ამ ტერიტორიაზე დაიბადა ადამიანი თუ არა, და თუ არა, რომელი წლიდან ცხოვრობს მუდმივად ამ დასახლებაში, საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ მოცემულ ტერიტორიაზე მოსული მიგრანტების რიცხვი წლების მიხედვით.

**ეთნიკურ-ენობრივი შემადგენლობა.** საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის აღწერის კითხვარში დაფიქსირდა შემდეგი ეროვნულ-ეთნიკური კუთვნილება: ქართველი, აფხაზი, ოსი, აზერბაიჯანელი, რუსი, სომეხი, სხვა. აღწერებში რეგისტრირდება რესპონდენტის მიერ დასახელებული ეროვნება. მცირეწლოვანი ბავშვების ეროვნება განისაზღვრება მშობლების

მიერ. ამავე აღწერაში დაფიქსირდა შემდეგი მშობლიური ენები: ქართული, აფხაზური, ოსური, აზერბაიჯანული, რუსული, სომხური, სხვა. ამასთან აღინიშნებოდა, ფლობდა თუ არა პიროვნება თავისუფლად ქართულ ენას.

**რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა.** სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის შემდეგ, აღნიშნული საკითხი საქართველოში შესწავლილი იქნა მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველოს 2002 და 2014 წლების აღწერებში. ორივე აღწერაში დასმულ კითხვაზე - აღმსარებლობა, ფიქსირდებოდა შემდეგი რელიგიური მიმდინარეობები: მართლმადიდებლური, კათოლიკური, სომხური სამოციქულო, იუდეური, მუსლიმური, სხვა (მიეთითებოდა აღმსარებლობა), არცერთი.

**განათლება.** მოცემული კითხვით ღვინდებოდა პიროვნება დადის თუ არა სკოლამდელ დაწესებულებაში (სკოლამდელი ასაკის პირთათვის), სწავლობდა თუ არა იმჟამად საგანმანათლებლო დაწესებულებაში და განათლების მიღწეული დონე.

**შეიღიანობა.** გამოიკითხებოდნენ 15 წლის და უფროსი ასაკის ქალები, რომელთათვისაც ღვინდებოდა ცოცხლადშობილ ბავშვთა რაოდენობა და აღწერის მომენტისთვის რამდენი იყო მათგან ცოცხალი.

**ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის პიროვნებას ყოველდღიურ საქმიანობაში:**

1. მხედველობის დარღვევა;
2. სმენის დარღვევა;
3. გადაადგილების, ღომის დარღვევა;
4. ცნობიერების, კონცენტრირების, მეხსიერების დარღვევა;
5. კომუნიკაციის უნარის დარღვევა;
6. თვითმომსახურების უნარის დარღვევა.

ამასთან, გამოკითხულს უნდა დაეფიქსირებინა, პრობლემა საერთოდ არ აწუხებდა, ან აწუხებდა ნაწილობრივ, ან მნიშვნელოვნად, ან სრულად.

#### 1.4.2. მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვება

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური რეგიონების მიხედვით აქვეყნებს მიმდინარე დაკვირვებით მოპოვებულ შემდეგ ინფორმაციას.

**დემოგრაფიული ინფორმაცია.**

1. ცოცხლადდაბადებულთა რიცხოვნობა ქალაქ-სოფლის მიხედვით;
2. გარდაცვლილთა რიცხოვნობა ქალაქ-სოფლის მიხედვით;
3. ბუნებრივი მატება;
4. ერთ წლამდე გარდაცვლილთა რიცხვი;
5. გარდაცვლილთა განაწილება სქესის და ასაკის მიხედვით;
6. გარდაცვლილთა განაწილება სქესის და მიზეზების მიხედვით;
7. მკვლადშობილთა რიცხოვნობა ქალაქად და სოფლად;
8. ქორწინებათა რაოდენობა ქალაქად და სოფლად;
9. განქორწინებათა რაოდენობა ქალაქად და სოფლად;
10. მოსახლეობის რიცხოვნობა ქალაქად და სოფლად მუნიციპალიტეტების მიხედვით.

**ინფორმაცია ჯანდაცვის შესახებ.**

1. ექიმების რიცხოვნობა დაკავებული თანამდებობების მიხედვით;
2. საექიმო პერსონალის რიცხოვნობა;
3. საავადმყოფო და სამედიცინო ცენტრების რიცხოვნობა;

4. საავადმყოფო საწოლების რაოდენობა;
5. ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებების რაოდენობა;
6. ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში ექიმთან მიმართვის რიცხვი წლის განმავლობაში (პროფილაქტიკის ჩათვლით).

**განათლება.**

1. სკოლების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით;
2. მოსწავლეთა რიცხვობა მუნიციპალიტეტების მიხედვით;
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა:
  - ა) სახელმწიფო,
  - ბ) კერძო.

საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ საკითხებზე შეიძლება მივიღოთ შერჩევითი სტატისტიკური გამოკვლევებით, ფართო პროგრამით.

**1.5. ქართული დემოგრაფიის (დემოგრაფიული სტატისტიკის) ისტორიიდან**

საქართველოში დემოგრაფიისა და დემოგრაფიული სტატისტიკის პრაქტიკის საწყისები უნდა ვეძებოთ ადრეული საუკუნეების საქართველოში. იმ დროიდან დაწყებული, საქართველოში ტარდებოდა მოსახლეობის აღწერები საქართველოს ხელისუფლების მიერ, რაც გრძელდებოდა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე. ამის შემდეგ, საქართველოს ეკონომიკურ-სტატისტიკურ და დემოგრაფიულ შესწავლას ახორციელებდა რუსეთის ხელისუფლება. რამდენადაც დემოგრაფიული სტატისტიკა წარმოადგენდა სახელმწიფო საქმეს, ამდენად რუსეთის ხელისუფლება მის წარმოებას ქართველებს არ ანდობდა, ამიტომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, არცერთი დემოგრაფიული წყაროს ავტორთა შორის ქართულ გვარს ვერ შეხვდებით. დემოგრაფიაში ქართული კვალი ჩნდება მხოლოდ XX საუკუნის პირველ მეოთხედში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ 1918-1921 წლებში.

რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკიდან გამომდინარე, რა თქმა უნდა, არ არსებობდა დემოგრაფია და სტატისტიკოსთა ეროვნული კადრები და არაა გასაკვირი, რომ XIX საუკუნის დემოგრაფიული ნაშრომები დაწერილია რუსი სწავლულების მიერ. 1864 წლის „კავკასიის კალენდარში“ მაზრების (რეგიონების) მიხედვით გაანალიზებულია მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა 1857-1863 წლებში. კავკასიის კალენდარი გამოიცემოდა ყოველწლიურად 1846-1917 წლებში და საქართველოს ისტორიული დემოგრაფიული სტატისტიკის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს.

საქართველოს ისტორიული დემოგრაფიული ძეგლებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სტატისტიკური კრებული - „ცნობების კრებული კავკასიის შესახებ“, ტომი 9, თბილისი 1885, ამ კრებულში მოთავსებულია 446-გვერდიანი ნაშრომი - „მოსახლეობის მოძრაობა ამიერკავკასიის მხარეში, თბილისის გუბერნია.“ კრებულში მოცემული სტატისტიკური მასალის დამუშავება და ანალიზი ეკუთვნის ა. ნაღუჯდინს. ნაშრომი მოიცავს 1875-1879 წლებს. მასში განხილულია მოსახლეობის რიცხვობა, ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობა და ქორწინება - სქესობრივ-ასაკობრივ, ეროვნულ და რეგიონულ ჭრილში. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ მონაცემები მოსახლეობის რიცხვობის შესახებ მოტანილია ქ. თბილისის, თბილისის გუბერნიის, ასევე, მაზრების და ცალკეული სოფლების მიხედვით. ამასთან, მასალების დამუშავების პროგრამა მეტად შინაარსიანი და, იმავდროულად, დეტალურია.

XIX საუკუნის დასასრულს და XX საუკუნის დასაწყისში დემოგრაფიულ კვლევებს საქართველოში ვერ ვხვდებით. 1920-1940 წლებში დემოგრაფიული პროცესების ანალიზს მიეძღვნა მხოლოდ რამდენიმე სტატია: ლ. კარბელაშვილის - „ჩვენი მოსახლეობის ზრდის პრობლემა“ და მისივე - „საქართველოს სოფლის ჭარბი მოსახლეობის შესწავლისათვის“, რომ-

ლებიც გამოქვეყნდა ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ 1928 წლის 11-12 და 1929 წლის მეორე და მესამე ნომერებში. 1935 წელს გამოიცა ა. ჯიჯაძის მონოგრაფია – „შობალობა და ბავშვთა მოვლაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ჩვენში.“ დემოგრაფიის განვითარებას დიდი ზიანი მიყენა საბჭოთა კავშირში 1930-იანი წლების ბოლოს გატარებულმა მეცნიერთა კადრების რეპრესიებმა. ამ რეპრესიებს შეეწირა ა. ჯიჯაძეც. 1920-1940-იან წლებში დემოგრაფიის რიგი საკითხები განხილულია სტატისტიკის, გეოგრაფიის, ისტორიისა და ეკონომიკური ისტორიის პროფილის ნაშრომებში. მათ მიეკუთვნება გ. ფერაძის სტატია - „საქართველოს მოსახლეობა 1917 წლის აღწერის მიხედვით (დემოგრაფიული მიმოხილვა)“, გამოქვეყნებული 1921 წელს. მ. ყოჩიაშვილმა და გ. გამყრელიძემ 1926 წელს მიუძღვნეს სტატიები მოსახლეობის 1926 წლის აღწერას. გ. ყოჩიაშვილმა 1927 წელს სტატია მიუძღვნა საქართველოს მოსახლეობის ზრდას. 1931 წელს გამოიცა ივანე ჯავახიშვილის მონოგრაფიის - „საქართველოს ეკონომიკური ისტორია“ წიგნი პირველი, რომელშიც დეტალურად არის განხილული მოსახლეობის აღწერების ისტორია საქართველოში XVIII საუკუნის დასასრულამდე და საქართველოს ისტორიული დემოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. 1934 წელს გამოიცა ნ. ბაღრაშვილის მონოგრაფია ქ. თბილისზე, რომელიც მოიცავს მონაცემებს მოსახლეობის შესახებ. ეს წიგნი მეორედ გამოიცა (ორივე რუსულ ენაზე) 1957 წელს.

საქართველოში დემოგრაფიული მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცნობილმა ქართველმა სტატისტიკოსმა გ. გამყრელიძემ. 1955 წელს გამოიცა მისი სახელმძღვანელო „დემოგრაფიული სტატისტიკა“, რომელიც ამ დარგის ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო იყო მაშინდელ საბჭოთა კავშირში.

1950-იანი წლების მეორე და 1960-იანი წლების პირველი ნახევარი დემოგრაფიის განვითარებაში წარმოადგენს გარკვეულ ვაკუუმს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შ. ბერაძის, ვ. ჯაოშვილისა და ლ. კარბელაშვილის მიერ ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი“ გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიას, რომლებშიც განხილულია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის, სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, მიგრაციისა და ბუნებრივი მოძრაობის ზოგიერთი ასპექტი.

საქართველოში დემოგრაფიული კვლევების განვითარებაში თვისებრივად ახალი ეტაპი იწყება 1960-იანი წლების ბოლოს და 1970-იანი წლების დასაწყისში, რაშიც გარკვეული როლი ითამაშა შემდეგმა გარემოებებმა: მოსახლეობის 1959 წლის აღწერის შემდეგ სისტემატურად გამოითვლებოდა საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა. ამ დროისათვის უკვე მოწესრიგდა მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის რეგისტრაცია სისრულია და საიმედოობის თვალსაზრისით, რაც დემოგრაფიული პროცესების ამსახველი დეტალური მაჩვენებლების გამოთვლის საშუალებას იძლეოდა. 1959 წლიდან სახელმწიფო სტატისტიკა სისტემატურად ანგარიშობდა მოსახლეობის მოკვლობის ცხრილებს, რამაც მნიშვნელოვნად გააფართოვა მოკვლობის დიფერენცირებული ანალიზისა და დემოგრაფიული პროგნოზირების მეთოდური ანალიზი.

თბილისის სტატისტიკური სამმართველოს უფროსის შოთა კაკურიას მიერ გამოიცა მონოგრაფია „ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წწ.“ თბ., „მეცნიერება“, 1979.

დემოგრაფიული პროცესების შესწავლას გარკვეულად მოიცავს ცნობილი ქართველი გეოგრაფის ვ. ჯაოშვილის 1968 წელს რუსულად გამოცემული ფუნდამენტური ეკონომიკურ-გეოგრაფიული მონოგრაფია - „საქართველოს მოსახლეობა“, 1978 წელს გამოცემული მონოგრაფია „ურბანიზაცია საქართველოში“, 1984 წელს გამოცემული მონოგრაფია - „საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში“ და 1996 წელს გამოცემული მონოგრაფია - „საქართველოს მოსახლეობა, ისტორიულ-დემოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა.“ XIX საუკუნის საქართველოს მოსახლეობას მონოგრაფია მიუძღვნა კ. ანთაძემ („საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში“ თბ., „განათლება“, 1973), სადაც განხილულია მოსახლეობა ისტორიული მხარეების მიხედვითაც.

1973 წელს გამომცემლობა მეცნიერებამ გამოსცა პ. გუგუშვილის მონოგრაფია - „საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები.“ მონოგრაფიის 20 000 ტირაჟის მიუხედავად, იგი ძალე გაქრა წიგნის მაღაზიებიდან, ხოლო მისი ავტორი წიგნის გამოსვლისთანავე გახდა ყველაზე პოპულარული დემოგრაფი საქართველოში. წიგნის ასეთი წარმატების მიზეზია ის, რომ იგი დაწერილია ყველასათვის გასაგები ენით, ქართულ ენაზე დემოგრაფიული ნაშრომების დეფიციტის პირობებში. ამ მონოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დამსახურება ისაა, რომ მან საქართველოს დემოგრაფიული პრობლემები ფარ-

თო საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა, რითაც ღიად შეუწყო ხელი დემოგრაფიული მეცნიერებით დაინტერესებას და მის განვითარებას.

საქართველოში დემოგრაფიის განვითარების საქმეში ეტაპობრივი როლი ითამაშა 1991 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის შექმნამ, რომლის ინციატორი და დირექტორი გახლდათ პროფესორი ლეო ჩიქავა. ინსტიტუტში მოხდა დემოგრაფთა დაქსაქსული კადრების კონსოლიდაცია და დემოგრაფიული კვლევა-ძიების კოორდინაცია.

1990-იანი წლების საქართველოში გამოიკა ა. თოთაძის, ლ. ჩიქავას, მ. ტუხაშვილის, ვ. ლორთქიფანიძის, გ. მელაძის, ა. სახვამის, თ. გუგუშვილის, გ. წულაძის მონოგრაფიები.

საქართველოში 1990-იანი წლების შემდეგ შესრულებულია რიგი დემოგრაფიული კვლევები, მათ შორის რეგიონების მოსახლეობაზე, რომელთაგან უნდა აღნიშნოს:

**მონოგრაფიები:**

- ვაჟა ლორთქიფანიძე , „სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, თბ., 1994.
- ვაჟა ლორთქიფანიძე „ისტორიული მესხეთის დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, თბ., 1998.
- ნანა ახალია, „გორის მოსახლეობა“ თბ., 2009.
- ანზორ თოთაძე, „აჭარის მოსახლეობა“ თბ., 2012.
- ანზორ თოთაძე, „გურიის მოსახლეობა“ თბ., 2014.
- ანზორ თოთაძე , „კახეთის მოსახლეობა“ თბ., 2014.
- ანზორ თოთაძე , „თბილისის მოსახლეობა“ თბ., 2017.

**სამეცნიერო სტატიები:**

- ამირან ტაკიძე - აჭარის მოსახლეობის სტაციონალური მიგრაცია: ინტენსივობა და ძირითადი მიმართულებები, კრებული „მიგრაცია“, ტომი 1, თბ., 2007.
- მირიან ტუხაშვილი - ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან ბიეთნიკურობისაკენ. კრებულში „მიგრაცია“, ტომი 8, თბ., 2017.

**სადოქტორო დისერტაციები:**

- მერაბ ხმალაძე, მოსახლეობის აღწარმოების კანონზომიერებები და ეკონომიკური შედეგები. თბ., 1995.
- ელგუჯა მენაბდეშვილი, ეთნოდემოგრაფიული პროცესები საქართველოში, თბ., 2000.

**საკანდიდატო დისერტაციები:**

- ია იაშვილი - ქ. ქუთაისის მოსახლეობის ფორმირების თავისებურებანი. კვლევის სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები, თბ., 1998.
- მანანა ჭიპაშვილი - თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. თბ., 1999.
- აკაკი ბაკურაძე - იმერეთის მოსახლეობის საერთო რიცხვნობის, შემადგენლობის და ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა XIX და XX საუკუნეებში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი), თბ., 2004.

## 1.6. სოციალური სტატისტიკის ისტორიიდან

საზოგადოების დაყოფა ფენებად საწყისის იღებს კაცობრიობის განთიადზე. სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ საზოგადოების დაყოფას სოციალურ ჯგუფებად მყარი საფუძველი მიეცა. იმავდროულად იწყება საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სტატისტიკური შესწავლა, რომელიც მიმდინარეობდა მოსახლეობის აღწერების საშუალებით. ცნობილია, რომ უძველესი აღწერების (თვით XIX საუკუნის დასაწყისამდე) მიზანი იყო განესაზღვრა გადასახადის გადამხდელი და სამხედ-



რო სამსახურის შემძლე მოსახლეობის რიცხოვნობა. შესაბამისად, ეს ჯგუფები იყო კაცობრიობის ისტორიაში სოციალური სტატისტიკის და საერთოდ სტატისტიკის მიერ პირველად დაფიქსირებული სოციალური ჯგუფები. ცნობილია, რომ მოსახლეობის აღწერები ჯერ კიდევ 4 ათასი წლის წინ ტარდებოდა ძველ ჩინეთში. შესაბამისად, უფლება გვაქვს ვამტკიცოთ, რომ სტატისტიკას და მათ შორის სოციალურ სტატისტიკას, აქვს არა ნაკლები 4 ათასი წლის ისტორია. ცხადია, რომ არცერთი ანტიკური სახელმწიფო მოსახლეობის აღწერის გარეშე არ დარჩებოდა. შესაბამისად, დიდი ალბათობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეტ-ნაკლები ზომით, სოციალური სტატისტიკა უნდა არსებულებოდა.

აღნიშნულის დოკუმენტურად დადასტურებული ფაქტია ანტიკური საბერძნეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის **სოლონის** (640-559 წ. წ. აღრიცხვამდე) სოციალური რეფორმები, რომელთა გატარებაც შეუძლებელი იქნებოდა შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის გარეშე.

სოლონის სოციალური რეფორმებიდან უნდა აღინიშნოს შემდეგი: გააუქმა ყველა ვალები, ფულით დაკაბლბულები განთავისუფლდნენ მონის სტატუსისგან და, იმავდროულად, აიკრძალა სამოვალეო მონობა.<sup>1</sup> სოლონმა წაახალისა სოფლის მეურნეობა და ხელოსნობა, სხვა ქალაქებიდან მოსულ ხელოსნებს მიეცათ ათენში დასახლების უფლება; მშობლები, რომლებიც შვილს ხელობას არ ასწავლიდნენ, უფლება ერთმეოდათ სიბერეში შვილებსიგან მოეთხოვათ დახმარება. მან აკრძალა ათენიდან მარცვლეულის გატანა და წაახალისა ზეთისხილის წარმოება, რომელიც სოლონის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად გადაიქცა და დღემდე არსებობს, როგორც საბერძნეთის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წარმატებული დარგი.

განსაკუთრებით საინტერესოა სოლონის მიერ ათენის მოსახლეობის დაყოფა ოთხ სოციალურ ჯგუფად ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით. ამა თუ იმ ჯგუფისადმი კუთვნილება განისაზღვრებოდა შემოსავლის მოცულობით, რომელიც გამოითვლებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ეს ჯგუფები იყო:

#### 1. ჰენტაკოსიომედიონები.

- აქვთ 500 მედიმ<sup>2</sup> მარცვლეულზე ან 500 მეტრეტ<sup>1</sup> ღვინოზე ან ზეთისხილზე მეტი შემოსავალი;
- შეიძლება არჩეული იყვნენ არქონტებად (სახელმწიფოს სამეთაუროდ ერთი წლის ვადით. ირჩევდნენ 9 არქონტს).

#### 2. გიპეები.

- აქვთ 300 მედიმ მარცვლეულზე მეტი შემოსავალი;
- შეუძლიათ იყოლიონ საბრძოლო ცხენი.

#### 3. ზეგეიტები.

- აქვთ 200 მედიმ მარცვლეულზე მეტი შემოსავალი;
- მსახურობენ პოპლიტებად (მეომრებად).

#### 4. ფეტები.

- აქვთ 200 მედიმ მარცვლეულზე დაბალი შემოსავალი;
- შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ სახალხო კრების და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მუშაობაში.

სოლონმა დააარსა ახალი სახელმწიფო ორგანო - **ოთხასის საბჭო**, რომლის წევრებიც იყვნენ ოთხივე ფენის, თითოეულიდან 100 წარმომადგენელი. საბჭო განიხილავდა დადგენილებების პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენდა სახალხო კრებას. სოლონის ბიუსტი დგას აშშ-ის კონგრესის ბიბლიოთეკაში.<sup>3</sup>

მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის განსაზღვრის საინტერესო მცდელობა ეკუთვნის ფრანგ ექიმს და ეკონომისტს, საფრანგეთის მეფე ლუდვიკო XV-ის პირად ექიმს **ფრანსუა კენეს** (1694-1774 წწ). ის დაიბადა ღარიბ ოჯახში, რომელმაც მას განათლება ვერ მისცა. იყო გენიალური თვითნასწავლი. შეისწავლა ანბანი, ლათინური, ბერძნული, პარიზში ისმენდა ლექციებს მედიცინის სკოლაში. 60 წლისამ დაიწყო პოლიტიკური ეკონომიის შესწავლა. იყო ფრანგი ფიზიოკრატების

<sup>1</sup> თუ აღმიანი ვალს დროულად არ გადაიხდიდა, ვალის გადახდამდე ის ხდებოდა მევალის მონა.

<sup>2</sup> ზომის ერთეული.

<sup>3</sup> იმავდროულად სოლონი არის ათენელი პოეტი.

მამამთავარი. ფიზიოკრატები მწარმოებლურ შრომად თვლიდნენ მხოლოდ სოფლის მეურნეობაში დახარჯულ შრომას. მხოლოდ მიწათმოქმედებაში, ამტკიცებდა კენე, ხდება ახალი სიმდიდრის დაბადება და შრომა ქმნის მეტს, ვიდრე საჭიროა მისი კვლავწარმოებისთვის. სოფლის მეურნეობის მუდმივად კვლავწარმოებადი სიმდიდრე წარმოადგენს სიმდიდრის ყველა სხვა ფორმის საფუძველს.

გამომდინარე ზემოაღნიშნული კონცეფციიდან, კენე თვლიდა, რომ საზოგადოება შედგებოდა სამი კლასისაგან: მწარმოებლები (მიწათმოქმედნი), მესაკუთრენი (მეფე და სხვები) და უნაყოფოთა კლასი (ყველა მიწათმოქმედთა გარდა). კენე განიხილავდა ამ კლასების წლიურ სიმდიდრეს და მის მიმოქცევას მოცემულ კლასებს შორის.<sup>1</sup>

კენე იყო საოცრად არაორდინალური პიროვნება. მასზე ამბობდნენ, რომ 80 წლის მხრებზე ადგას 30 წლის თავი; ეშმაკია, როგორც მელა და მოხერხებული, როგორც მაიმუნიო. ლუდოვიკო XV-მ უბოძა აზნაურობა და საგვარეულო ღვრიც თვითონ დაუხატა. თავისი მცდარი კონცეფციიდან გამომდინარე, ფრანსუა კენე თვით ერთი საუკუნის შემდეგაც საზოგადოების სოციალური ანატომიის შესწავლაში გაცილებით დაბლა იდგა თავის ინგლისელ წინამორბედებზე.

მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებრივი წარმოების განვითარება-განზოგადოების კვალობაზე რთულდებოდა. კერძოდ, კაპიტალიზმის განვითარებამ ჩამოაყალიბა მოსახლეობის შესაბამისი სოციალური სტრუქტურა, რომელიც აისახა XVII საუკუნის სოციალურ სტატიისტიკაში. აღნიშნული მდგომარეობა განხილულია მეცნიერული სტატიისტიკის ფუძემდებლის, ინგლისელი ეკონომისტის, **უილიამ პეტის (1623-1687)** ნაშრომში „**პოლიტიკური არითმეტიკა**“ (1671-1676). მოცემულ ნაშრომში პეტიმ მოგვცა ირლანდიის მოსახლეობის სოციალურ-პროფესიული კლასიფიკაცია და მათი რიცხოვნობა, კერძოდ: ირლანდიის შრომისუნარიანი მოსახლეობა შესაბამისი გამოთვლებით მან დაყო დასაქმებულებად და უმუშევრებად.

უფრო დეტალურად კი, ირლანდიის მოსახლეობის 1672 წლის ცენზის მონაცემებით (მოსახლეობის აღწერით), ირლანდიის მოსახლეობამ შეადგინა 1 100 ათასი, რომელთაგან პეტის გამოთვლით, 780 ათასი იყო შრომისუნარიანი. აქედან 220 ათასი უმუშევარი, ხოლო 560 ათასი - დასაქმებული.

დასაქმებულები პეტიმ დაყო შემდეგ სოციალურ-პროფესიულ ჯგუფებად:

- დასაქმებულები მიწათმოქმედებაში;
- დასაქმებულები მეცხოველეობაში;
- მეთევზეები;
- მეტალურგები;
- მჭედლები;
- მკერავები;
- ღურგლები, კალატოზები, მეწისქვილეები;
- მეწალები, ტყავის გამომყვანები და ა. შ.

ინგლისის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის სტატიისტიკის ბრწყინვალე ნიმუში მოგვცა ინგლისური პოლიტიკური არითმეტიკის წარმომადგენელმა, **გრეგორი კინგმა (1648-1712)**, 1688 წლის სტატიისტიკურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. კინგმა ინგლისის მოსახლეობა, 5 500 ათასი მცხოვრები გაყო ორ სოციალურ ჯგუფად. პირველ ჯგუფს, რიცხოვნობით 2675 ათასს, რომლების წლიური შემოსავალი აღემატებოდა მათ მოხმარებას 3 023,7 ათასი ფუნტი სტერლინგით, კინგმა მიაკუთვნა ადამიანებს, რომლებიც ზრდიდნენ სამეფოს სიმდიდრეს. აღნიშნულის საპირისპიროდ, მეორე ჯგუფი, რიცხოვნობით 2 825 ათასი, მოიხმარდა 622,5 ათასი ფუნტი სტერლინგით მეტს, ვიდრე ჰქონდა წლიური შემოსავალი, კინგმა

<sup>1</sup> Кене Фраансуа, Избранные экономические произведения М., 1960, с. 7.

მიაკუთვნა ადამიანებს, რომლებიც აძვირებდნენ სამეფოს სიმდიდრეს. მოცემული ჯგუფის ოჯახის საშუალოწლიური შემოსავალი შეადგენდა 10, ხოლო პირველი ჯგუფის შემოსავალი 68 ფუნტს, ე. ი. 6,8-ჯერ მეტს.

მოსახლეობის პირველი ჯგუფი, რანჟირებული ზემოდან ქვემოთ, მოიცავდა შემდეგ კლასებს და ფენებს: ლორდები, უმაღლესი სასულიერო წოდება, ბარონეტები, კავალერები, მემამულეები, მსხვილი და პატარა ჩინოვნიკები, მსხვილი და პატარა საზღვაო ვაჭრები, მოსამართლეები, მაღალი და დაბალი რანგის ღვთისმსახურები, მსხვილი და მცირე არენდატორები, ფერმერები, თავისუფალი პროფესიის პირები ხელოვნებასა და მეცნიერებაში, მეწვრილმანეები და ვაჭრები, ოსტატები და ხელოსნები, ფლოტის ოფიცრები, არმიის ოფიცრები.

მოსახლეობის მეორე ჯგუფს მიეკუთვნებოდა: მეზღვაურები, მიწათმოქმედები და ბატრაკები, უმიწო გლეხები და ლაზრები, ჯარისკაცები, სულ 2 795 ათასი კაცი. მათ დამატა მაწანწალები, ასევე, ბოშები, ქურდები, ლატაკები და სხვა. სულ 30 ათასი კაცი (2795+30=2825 ათასი).<sup>1</sup> საინტერესოა ერთი გარემოება: რაც უფრო მცირდება სოციალური ჯგუფების რანგები, პარალელურად მცირდება როგორც მათი ოჯახების საშუალო სიდიდე, ისე მათი ოჯახების საშუალო წლიური შემოსავლები, კერძოდ: ლორდის ოჯახი შედგებოდა 40 წევრისაგან<sup>2</sup>, ხოლო საშუალო წლიური შემოსავალი შეადგენდა 3 200 ფუნტ სტერლინგს. ყველაზე მცირერიცხოვანი იყო ჯარისკაცის ოჯახი, რომელიც შედგებოდა 2 წევრისაგან, საშუალო შემოსავლით - 14 ფ. სტერლინგი, 6 ფ. სტერლინგი გაჩნდა 3-სულიან უმიწო გლეხის ოჯახს, რომელსაც ლორდის ოჯახის შემოსავალი აღემატებოდა 533-ჯერ.

დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მეცნიერულ სოციალურ სტატისტიკას საფუძველი ჩაუყარეს უ. პეტმა და გ. კინგმა. ამასთან, გრეგორი კინგის დამსახურება განუზომლად დიდია.

სოციალური სტატისტიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა XIX ს-ის მეორე ნახევრის ცნობილმა ბელგიელმა სტატისტიკოსმა **ადოლფ კეტლემ**.

XIX-XX საუკუნეში სოციალური სტატისტიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანეს რუსმა მეცნიერებმა, როგორცაა: **კ. ფ. გერმანი, კ. ი. არსენიევი, დ. ს. ჟურავსკი, ა. ნ. რადიშევი, ე. ი. იანსონი, ს. გ. სტრუმილინი, პ. პ. მასლოვი, ი. პ. სუსლოვი, ტ. ს. ზასლავსკაია და სხვები.**

საქართველოს მოსახლეობის ძველ აღწერებში ყოველი მოსახლის მიმართ მითითებულია წოდებრივი, ქონებრივი, ოჯახური და სოციალური მდგომარეობა, როგორცაა: აზნაური, ყმა, მეკომლე, ბოგანო, უმამულო, ხიზანი.

საქართველოში სოციალური სტატისტიკის განვითარებაში დიდი როლი შეასრულა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატისტიკის კათედრამ. საქართველოში სოციალურ სტატისტიკაში პირველი სადოქტორო დისერტაცია დაიცვა აღნიშნული კათედრის დოცენტმა მ. ტურავამ. ასევე, პირველი ქართული სახელმძღვანელო იურიდიულ სტატისტიკაში ეკუთვნით ქ. მარშავას და მ. მინდორაშვილს. 2012 წელს თსუ-ის ეკონომიკური და სოციალური სტატისტიკის კათედრაზე ითარგმნა და გამოიცა ამერიკელი მეცნიერების ჩავა ფრანკფორტ ნაჩმიასისა და ანა ლეონ გერეროს სახელმძღვანელო „**სოციალური სტატისტიკა მრავალფეროვანი საზოგადოებისათვის**“, მე-6 გამოცემა, მთარგმნელები: მ. მინდორაშვილი და გ. ყუფარაძე. 2020 წელს გამოიცა დამხმარე სახელმძღვანელო „**სოციალური სტატისტიკა**“, ავტორები: ს. გელაშვილი, ზ. შონია და რ. ქინქლაძე.

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე მიმდინარე სოციალური პროცესების სტატისტიკური ასპექტები განხილულია ქართველი მეცნიერების: მ. ტურაშვილის, ს. გელაშვილის, ა. თოთაძის, ვ. ლორთქიფანიძის, ა. სახვაძის, მ. ხმალაძის და სხვათა შრომებში.

<sup>1</sup> იხ: М. Птуха, Очерки по статистике XVII- XVIII веков, М., 1945, с. 110-111.

<sup>2</sup> იმ დროს, ოჯახს მიეკუთვნებოდა ყველა (მოსამსახურე თუ სხვა), რომელიც ცხოვრობდა ძირითად ოჯახთან ერთად.

## 1.7. ტესტები

**1. ტერმინი დემოგრაფია მეცნიერებაში შემოიღანა:**

- ა) აშილ გიიარმა;
- ბ) ჯონ გრაუნტმა;
- გ) უილიამ პეტიმ;
- დ) გოტფრიდ ახენვალმა.

**2. დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის ობიექტია:**

- ა) შობადობა;
- ბ) მოსახლეობა;
- გ) მოკვდაობა;
- დ) ბუნებრივი მატება.

**3. დემოგრაფიული სტატისტიკის შესწავლის საგანია:**

- ა) მოსახლეობაში მიმდინარე მოვლენების და პროცესების რაოდენობრივი მხარე მის თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში;
- ბ) შობადობის რაოდენობრივი მხარე;
- გ) მოკვდაობის რაოდენობრივი მხარე;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**4. ნეონატალური მოკვდაობა არის:**

- ა) მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 28-ე დღემდე;
- ბ) მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 30-ე დღემდე;
- გ) მოკვდაობა დაბადების მომენტიდან სიცოცხლის 35-ე დღემდე;
- დ) არცერთი.

**5. პოსტნეონატალური მოკვდაობა არის:**

- ა) მოკვდაობა სიცოცხლის 30 დღიდან ორ წლამდე ასაკში;
- ბ) მოკვდაობა სიცოცხლის 28 დღიდან ერთ წლამდე ასაკში;
- გ) მოკვდაობა სიცოცხლის ერთი წლიდან ორ წლამდე ასაკში;
- დ) არცერთი.

**6. საქართველოს მიმდინარე სტატისტიკა აღრიცხავს მხოლოდ:**

- ა) იურიდიულად რეგისტრირებულ ქორწინებას;
- ბ) ეკლესიურად რეგისტრირებულ ქორწინებას;
- გ) ა და ბ;
- დ) ფაქტობრივ ქორწინებას.

**7. ემიგრანტად და იმიგრანტად დაფიქსირებისთვის საჭიროა საქართველოში ცხოვრების (უწყვეტად ან ჯამურად), ან არ ცხოვრების:**

- ა) 193 დღე;
- ბ) 183 დღე;
- გ) 12 თვე;
- დ) 153 დღე.



17. დემოსოციალური ერთობლიობის ერთეულებს ასასიათებს:
- ა) რაოდენობრივი ნიშნები;                      ბ) ხარისხობრივი ნიშნები;
  - გ) ა და ბ;    დ) ალტერნატიული ნიშნები.
18. დემოგრაფიულ სტატისტიკაში რაოდენობრივ ნიშანს მიეკუთვნება:
- ა) წელი;    ბ) რიცხოვნობა;    გ) ასაკი;    დ) ყველა პასუხი სწორია.
19. მოსახლეობის აღწერები არის:
- ა) პერიოდული სტატისტიკური დაკვირვება;
  - ბ) მიმდინარე სტატისტიკური დაკვირვება;
  - გ) ერთდროული სტატისტიკური დაკვირვება;
  - დ) ყველა ჩამოთვლილი.
20. მოსახლეობის აღწერა იძლევა ინფორმაციას:
- ა) აღწერის მომენტის მიხედვით;
  - ბ) კრიტიკული მომენტის მდგომარეობის მიხედვით;
  - გ) აღწერის წლის მიხედვით;
  - დ) ყველა პასუხი სწორია.
21. მოსახლეობის აღწერებისას ფიქსირდება ეროვნება:
- ა) რომელსაც თვითონ დაასახელებს გამოსაკითხი პირი;
  - ბ) რომელი ერის ენაზეც საუბრობს;
  - გ) დედის ეროვნება;
  - დ) მამის ეროვნება.
22. მოსახლეობის აღწერებისას მცირეწლოვანი ბავშვის ეროვნება განისაზღვრება:
- ა) მამის ეროვნებით;                              ბ) მშობლების შეთანხმებით;
  - გ) დედის ეროვნებით;                              დ) ა და ბ.
23. საქართველოს მოსახლეობის რელიგიურ-კონფესიური შემადგენლობა პირველად იქნა შესწავლილი:
- ა) 1989 წლის აღწერაში;                              ბ) 1970 წლის აღწერაში;
  - გ) 2014 წლის აღწერაში;                              დ) 1959 წლის აღწერაში.
24. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, რომელიც ხელს უშლის პიროვნებას ყოველდღიურ საქმიანობაში, დაფიქსირდა მოსახლეობის შემდეგ აღწერაში:
- ა) 2014 წლის;    ბ) 1926 წლის;    გ) 1939 წლის;    დ) არცერთში.
25. პირველი სამეცნიერო ნაშრომი რეგიონულ სტატისტიკაში საქართველოში დაიბეჭდა:
- ა) 1900 წელს;    ბ) 1874 წელს;    გ) 1864 წელს;    დ) 1918 წელს.

26. ივ. ჯავახიშვილის მონოგრაფია „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ გამოიცა:

ა) 1933 წელს; ბ) 1931 წელს; გ) 1937 წელს; დ) 1940 წელს.

27. დემოგრაფიულ სტატისტიკაში პირველი ქართულენოვანი სახელმძღვანელოს ავტორია:

ა) მ. ხმალაძე; ბ) გ. გამყრელიძე; გ) ბ. გაბიძაშვილი; დ) პ. გუგუშვილი.

28. დემოსოციალურ სტატისტიკას აქვს ისტორია, არანაკლები:

ა) 2 ათასი წლის; ბ) 3 ათასი წლის; გ) 4 ათასი წლის; დ) 4 საუკუნის.

29. მოსახლეობის კლასობრივი შემადგენლობის მეცნიერული განსაზღვრის პირველი მცდელობა ეკუთვნის:

ა) გრეგორ კინგს; ბ) ფრანსუა კენეს; გ) უილიამ პეტის; დ) ჯონ გრაუნტს.

30. XIX საუკუნეში სოციალური სტატისტიკის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს:

ა) პ. ლავლასმა; ბ) ა. კეტლემ; გ) კ. გერმანმა; დ) არცერთმა.

## თემა 2. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკის ტენდენციები

### საღიგეციო საკითხები

- 2.1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობა XIX საუკუნეში
- 2.2. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა XX საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით
- 2.3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით: XX საუკუნის დასაწყისი, 1959 წელი
- 2.4. საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1970-1989 წლებში
- 2.5. საქართველოს მოსახლეობის განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში
- 2.6. ნასოფლარები, გაუკაცრიელებული, პატარა და დიდი სოფლები საქართველოს რეგიონების მიხედვით
  - 2.6.1. ნასოფლარები
  - 2.6.2. გაუკაცრიელებული სოფლები
  - 2.6.3. პატარა სოფლები
  - 2.6.4. დიდი სოფლები
- 2.7. თბილისის მოსახლეობა
  - 2.7.1. თბილისის მოსახლეობა პოსტსაბჭოთა პერიოდამდე
  - 2.7.2. თბილისის მოსახლეობა პოსტსაბჭოთა საქართველოში
- 2.8. ტესტები

### 2.1. საქართველოს რეგიონების მოსახლეობა XIX საუკუნეში

რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა XIX საუკუნეში შესაძლებელია განვიხილოთ ისტორიული კუთხეების მიხედვით, როგორცაა: აფხაზეთი, აჭარა, ქართლი, კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი, ფშავ-ხევსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი. ისტორიულად მხარეების საზღვრები ყოველთვის იცვლებოდა. საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციული ერთეულების საზღვრებიც ასევე იცვლებოდა და იცვლება. შესაბამისად, ისტორიული მხარეებისაგან განსხვავდება საქართველოს თანამედროვე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა, რომლის შესაბამისი დემოგრაფიული სტატისტიკა გაგვანია 1994 წლიდან. საზღვრების აღნიშნული ცვალებადობა ისტორიული კუთხეების მოსახლეობას, გარკვეულწილად, შეუსაძარს ხდის, ამიტომ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა რეგიონების მიხედვით შეიძლება დავასასიათოთ ერთგვაროვანი ეტაპების მიხედვით.

XIX საუკუნეში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა აღრიცხულია მაზრების მიხედვით (რუსეთის იმპერიაში საქართველოს ადმინისტრაციული ერთეული - მაზრა), რის საფუძველზეც ისტორიკოსმა კ. ანთაქემ მოგვცა საქართველოს მოსახლეობის დაყოფა ისტორიული კუთხეების მიხედვით.



საქართველოს მოსახლეობა 1832-1897 წლებში (შეიარაღებული ძალებისა და უცხო ქვეყნების ქვეშევრდომთა გარეშე)<sup>1</sup>

	მოსახლეობა (ათასი კაცი)					პროცენტებით					1897 წ. 1832 წელთან, %
	1832	1864	1873	1886	1897	1832	1864	1873	1886	1897	
ქართლ-კახეთი	352,7	484,2	555,4	669,2	744,5	37,0	37,2	38,6	40,6	39,9	211,1
მესხეთ-ჯავახეთი	63,5	94,3	105,2	119,8	137,6	6,7	7,2	7,3	7,3	7,4	216,7
იმერეთ-გურია	264,5	385,1	416,6	479,2	539,5	27,8	29,6	29,0	29,0	28,9	204,0
სამეგრელო-სვანეთი	150,3	206,4	227,9	259,1	285,0	15,8	15,9	15,8	15,7	15,2	189,6
აჭარა	30,0	42,0	50,0	52,1	64,9	3,2	3,2	3,5	3,2	3,5	216,3
აფხაზეთი	90,0	90,0	83,9	69,4	95,9	9,5	6,9	5,8	4,2	5,1	106,6
სულ	951,0	1302,0	1439,0	1648,8	1867,4	100	100	100	100	100	196,0

როგორც ცხრილის მონაცემები გვიჩვენებს, 1832-1897 წლებში საქართველოს ყველა ისტორიული კუთხის მოსახლეობა, სამეგრელო-სვანეთის და აფხაზეთის მოსახლეობის გარდა, ორჯერ და მეტად გაიზარდა. რაც შეეხება აფხაზეთს, მისი მოსახლეობა მხოლოდ 106,6%-ით, ე.ი. 5,9 ათასით გაიზარდა. აღნიშნული ფაქტი მოითხოვს მასზე უფრო დეტალურად შეჩერდეთ და ავხსნათ მისი გამომწვევი მიზეზები.

XIX საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის ასეთი ნელი ზრდის მიზეზია აფხაზეთის რიცხვობის მკვეთრი შემცირება XIX საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის მიერ აფხაზი მოსახლეობის გენოციდის შედეგად. კერძოდ, 1864 წელს აფხაზეთში ცხოვრობდა 66 ათასი, ხოლო 1886 წლის აღწერით 35 ათასამდე კაცი. სრულიად რუსეთის 1897 წლის საყოველთაო აღწერით აფხაზეთის რიცხვობა საქართველოში მხოლოდ 40 ათასს აღწევდა.<sup>2</sup>

აფხაზეთისთვის განსაკუთრებით გამანადგურებელი იყო 1864-1886 წლები. 1866 წელს აფხაზეთის გლეხთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის იმპერიამ თურქეთში ძალდატანებით გადაასახლა 15 ათასი აფხაზი. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, თურქეთისადმი სიმპატიის მიზეზით, 1877 წელს სოხუმის ოკრუგიდან თურქეთში იძულებით გადასახლდა 28,5 ათასი,<sup>3</sup> ხოლო 1878 წელს აჭარიდან - 2,6 ათასამდე აფხაზი.<sup>4</sup> ასეთ გადასახლებას ეწოდა მუჰაჯირობა. რუსეთის იმპერიამ აფხაზები ჩარიცხა მტრული ერების სიაში. აფხაზებს აკრძალათ არა თუ სოხუმში, არამედ სოხუმიდან გარკვეულ მანძილზე დასახლება და იარაღის ტარება. იმდროინდელი ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები მკაცრად ილაშქრებდნენ მოძმე აფხაზების გადასახლების წინააღმდეგ.

აფხაზეთის და, ასევე, სხვა მთიელი ხალხების თურქეთში გადასახლებაში დაინტერესებული იყო როგორც რუსეთი, ისე თურქეთი. რუსეთს უნდოდა თავიდან მოეშორებინა თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხები, ხელში საიმედოდ ჩაეგლო

<sup>1</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 164.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 88.

<sup>3</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 83, 138, 139.

<sup>4</sup> ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა VIII-XX საუკუნეებში. თბ., 1984, გვ. 89.

კავკასიაში გეოსტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორიები და დემოგრაფიულად აეთვისებინა; დაესახლება აქ ყაზახ-რუსები და რუსეთის იმპერიის სხვა ხალხები. რუსეთი ასეც მოიქცა. მუჰაჯირობიდან თურქეთს თავისი სარგებელი ჰქონდა. მას უნდოდა შეეცხო ხანგრძლივი ომებით შემცირებული მოსახლეობა. ასე ბანდა ხელი ხელს. ეს ურთიერთ ხელისშეწყობა გაგრძელდა შემდგომშიც, როდესაც საბჭოთა რუსეთმა 1920-იანი წლების დასაწყისში საქართველოს ისტორიული ტერიტორიები (საქართველოს ტერიტორიების 1/3) საჩუქრად მიართვა თურქეთს.

**ცხრილი 2**

**საქართველოს მოსახლეობა 1800-1833 წლებში <sup>1</sup>**

	მოსახლეობა (ათასი კაცი)		პროცენტულად		პროცენტულად 1832 წელი 1800 წელთან
	1800 წ.	1832 წ.	1800 წ.	1832 წ.	
ქართლ-კახეთი	320,9	359,4	40,9	40,3	112,0
იმერეთი	125,7	138,9	16,0	15,5	110,5
რაჭა	33,9	37,4	4,3	4,2	110,3
სამეგრელო და ლეჩხუმი	106,4	116,9	13,6	13,1	109,9
სვანეთი	12,0	12,5	1,5	1,4	104,1
გურია	31,0	34,0	4,0	3,8	109,7
აფხაზეთი	77,8	82,0	9,9	9,2	105,4
აჭარა	40,0	46,0	5,1	5,2	115,0
მესხეთ-ჯავახეთი	37,0	65,0	4,7	7,3	175,7
სულ	784,7	892,1	100,0	100,0	113,7

საქართველოს მოსახლეობა ინტენსიურად იზრდებოდა რუსეთთან შეერთების შემდეგ, რასაც განაპირობებდა ქვეყნის შედარებით მშვიდობიანი ცხოვრება და რუსეთის იმპერიის კოლონიზატორული პოლიტიკა, რაც საქართველოში სხვადასხვა ეროვნების მოსახლეობის ჩამოსახლებით მიმდინარეობდა. მისი მიზანი იყო ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურთან ერთად მისი დემოგრაფიული ანექსია, ავტოქტონური, აბორიგენი მოსახლეობის ხვედრიწილის შემცირება. შედეგად, 1801-1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა 850 ათასიდან 1 867,4 ათასამდე, ე. ი. 2,2-ჯერ გაიზარდა, მათ შორის ქართველების 1,96-ჯერ, ხოლო დანარჩენების - 3,1 - ჯერ. XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში გამოჩნდნენ ეროვნებები, რომლებსაც მანამდე აქ მასობრივად არ უცხოვრიათ. მოსახლეობის 1832 წლის კამერალურმა აღწერამ აჩვენა, რომ საქართველოში უკვე ცხოვრობდა 500 რუსი, 7 300 ბერძენი და 1800 გერმანელი. საუკუნის ბოლოს, ანუ 1897 წელს, რუსი მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა 76,4 ათასამდე, ე. ი. 153-ჯერ, ბერძენების - 34,2 ათასამდე, ე. ი. 4,7-ჯერ, ხოლო გერმანელების - 7,8 ათასამდე, ე. ი. 4,3-ჯერ. საქართველოში 1801 წელს აღრიცხული ეროვნებებიდან, როგორცაა: სომხები, თათარ-თურქები, ოსები, აფხაზები და ებრაელები, ყველაზე სწრაფი ზრდით ხასიათდებოდნენ სომხები. ამ უკანასკნელთა რიცხოვნობამ 40

<sup>1</sup> ვ. ჯაიშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 74.

ათასიდან 1801 წელს მიაღწია 195,3 ათასამდე 1897 წელს, ე. ი. გაიზარდა 4,9-ჯერ.<sup>1</sup> ამის შედეგად, ქართველების სვედრი-წილი 1801-1897 წლებში 78,8%-დან შემცირდა 70,4%-მდე.<sup>2</sup> ზოგიერთი მოსახრებით (გამოთვლებით), 1800-1897 წლებში საქართველოს მოსახლეობა 675-დან გაიზარდა 1 929 ათასამდე, ხოლო ქართველების სვედრიწილი 89,0%-დან 67,9%-მდე შემცირდა.<sup>3</sup>

XIX საუკუნის საქართველოს და მისი რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა, ასევე, შეფასებულია ცნობილი ქართველი მეცნიერის ვ. ჯაოშვილის მიერ. მისი და კ. ანთაძის შეფასებები ერთმანეთისაგან გარკვეულად განსხვავდება როგორც რაოდენობრივად, ისე საქართველოს ტერიტორიული დაყოფის ნიშნით. ვთვლით, რომ ვ. ჯაოშვილის მონაცემების მოტანა ინტერესმოკლებული არ იქნება (იხ. ცხრილი 2, 3).

მოსახლეობის როგორც რიცხოვნობის, ისე სვედრითი წილით პირველ ადგილზე დგას ქართლ-კახეთი, შემდეგ მოდის იმერეთი, სამეგრელო და ლეჩხუმი. ზრდის ტემპებით ყველას უსწრებს მესხეთ-ჯავახეთი. ეს იმის შედეგია, რომ 1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ამ მხარეში თურქეთიდან გადმოსახლდა 25 ათასი სომეხი, რომლებსაც ომში რუსეთის მხარე ეჭირათ და ომის შემდეგ გამოექცნენ თურქების შურისძიებას.<sup>4</sup> თუმცა, იგივე მიზეზით შურისძიებას ვერ ასცდნენ პირველი მსოფლიო ომის დროს, რაც ისტორიაში სომხების გენოციდის სახელით შევიდა.

### ცხრილი 3

#### საქართველოს მოსახლეობა 1865-1897 წლებში<sup>5</sup>

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			პროცენტულად 1897 წელი 1865 წელთან
	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.	1865 წ.	1886 წ.	1897 წ.	
ქართლ-კახეთი	507,6	652,8	784,0	39,4	39,8	40,8	154,5
მესხეთ-ჯავახეთი	86,8	122,6	141,5	6,7	7,5	7,4	163,0
იმერეთი	261,5	340,7	378,3	20,2	20,8	19,7	144,7
რაჭა	49,8	64,3	60,4	3,9	3,9	3,1	121,3
სამეგრელო ლეჩხუმი და სვანეთი	196,8	259,9	277,8	15,3	15,8	14,5	141,2
გურია	59,0	75,8	90,3	4,6	4,6	4,7	153,1
აფხაზეთი	79,2	69,2	107,1	6,1	4,2	5,6	135,2
აჭარა	48,5	56,6	80,0	3,8	3,2	4,2	164,9
სულ	1 289,2	1 641,9	1 919,4	100,0	100,0	100,0	148,9

<sup>1</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 88-89.

<sup>2</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 88-89.

<sup>3</sup> პ. გუგუშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973, გვ. 16.

<sup>4</sup> ვ. ლორთქიფანიძე, ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები. თბ., 1998, გვ. 146.

<sup>5</sup> ცხრილი შედგენილია: ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 91, 95.

ცხრილებს შორის განსხვავება ისაა, რომ ვ. ჯაოშვილს 1800-1832 წლებში ერთად აქვს შეფასებული სამეგრელოს და ლეჩხუმის მოსახლეობა, 1865-1886 და 1897 წლებში კი - სამეგრელო, ლეჩხუმი და სვანეთი. 1800-1832 წლებში ცალკე აქვს გამოყოფილი სვანეთის მოსახლეობა.

1865-1897 წლებში საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობის რიცხოვნობის შედარებისას პრაქტიკულად იკვეთება იგივე სურათი, რაც 1800-1832 წლებში: მოსახლეობის რიცხოვნობით და ხვედრიწილით კვლავ პირველ ადგილზეა ქართლ-კახეთი, შემდეგ მოდის მესხეთ-ჯავახეთი და სამეგრელო, ლეჩხუმი და სვანეთი, ხოლო ზრდის ტემპებით პირველ ადგილზეა აჭარა და შემდეგ მესხეთ-ჯავახეთი. აჭარის მოსახლეობის ასეთი ზრდა გამოიწვია 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველოს (აჭარის) ისტორიული კუთხეების: შავშეთის, იმერხევის, კოლა-არტაანისა და კლარჯეთის საქართველოსთან შემოერთებამ.

## 2.2. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა XX საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მოსახლეობა განაგრძობდა ზრდას და 1913 წლისათვის მიაღწია 2,6 მლნ-ს. ამ წელს აზერბაიჯანის მოსახლეობა 2,3, ხოლო სომხეთის - 1,0 მლნ-ს შეადგენდა. სამხრეთ კავკასიაში საქართველო მოსახლეობის რიცხოვნობით პირველ ადგილზე იყო 1966 წლამდე, ვიდრე მას არ გაუსწრო აზერბაიჯანმა. კერძოდ, 1966 წელს აზერბაიჯანმა შეადგინა 4,6 მლნ, საქართველომ - 4,5 და სომხეთმა - 2,2 მლნ მცხოვრები.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს მოსახლეობის ზრდა ორჯერ შეაფერხა პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა. პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში, ქვეყანამ მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადა ომში დაღუპულების და შობადობის შემცირების შედეგად. 1913-1917 წლებში საქართველოს მოსახლეობა 263 ათასით (10,1%) შემცირდა.<sup>1</sup> ომამდელი, 1913 წლის რიცხოვნობა აღადგინა 1924-1925 წლებში. რაც შეეხება საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს 1921 წლის ანექსიას და ამის შედეგად გამოწვეულ პოლიტიკურ ემიგრაციას, მას საქართველოს მოსახლეობის კლება, მართალია, არ გამოუწვევია, მაგრამ მნიშვნელოვნად შეამცირა მისი ზრდა. 1921-1922 წლებში საქართველოს მოსახლეობამ მოიმატა მხოლოდ 7 ათასი მცხოვრებით, რაც ყველაზე დაბალი წლიური მაჩვენებელია XX საუკუნის განმავლობაში, 1993 წლამდე.<sup>2</sup>

1920-იანი წლების მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს მოსახლეობის სწრაფი ზრდა, რომელიც შეაფერხა მეორე მსოფლიო ომმა. 1926 და 1939 წლების მოსახლეობის აღწერებით, საქართველოს მოსახლეობა 2677,2 ათასიდან გაიზარდა 3540 ათასამდე, ე.ი. 862,8 ათასით, ანუ წლიურად 72 ათასი კაცით. მოსახლეობის ასეთი მატება საქართველოს არ ჰქონია მთელი XX საუკუნის მანძილზე. რამ განაპირობა მოსახლეობის ასეთი მატება?

მოცემულ 1926-1939 წლებში საბჭოთა იმპერიის მიერ ინტენსიურად განხორციელდა XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ დაწყებული საქართველოს დემოგრაფიული ანექსია საქართველოსათვის „ინდუსტრიალიზაციის განხორციელებაში გაწეული დახმარების“ სახით. აღნიშნული „დახმარება“ ხორციელდებოდა საქართველოში გარედან მოსახლეობის შემოყვანით. შედეგად, ქართველების ხვედრი წილი 1926-1939 წლებში 66,8%-დან შემცირდა 61,4%-მდე, რაც ყველაზე დაბალი მაჩვენებელია საქართველოს ისტორიაში. მოვიტანთ ამ პერიოდთან დაკავშირებულ საბჭოთა ეკონომიკურ-დემოგრაფიული აზრის ისტორიაში გავრცელებულ ტიპურ შეხედულებას: „მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ცვლილების ხასიათის მიხედვით მოკავშირე რესპუბლიკები შეიძლება გაგყოთ ორ ჯგუფად: პირველი ჯგუფია რესპუბლიკები, რომლებიც მოსახლეობას იზიდავენ გარედან; მეორეა - რესპუბლიკები, რომლის მოსახლეობის ნაწილიც უშუალოდ მონაწილეობს ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პროცესში. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ამიერკავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკები, რომლებშიც მოსახლეობის მატების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო

<sup>1</sup> განგარიშებულია: Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Тб., 1981. С. 11.

<sup>2</sup> საქართველოს სტატისტიკური წელიწადი 2006. თბ., 2007. გვ. 18.

მატების შეფარდებით სიდიდეებს.<sup>1</sup> იმ რესპუბლიკებში, რომლებიც იძლეოდნენ მოსახლეობის მატებას, ინდუსტრიული ზაცია არ მიმდინარეობდა? პარალოქსია, რომ მოსახლეობას „აწვდიდნენ“ იმ რესპუბლიკებს, „რომლებშიც მოსახლეობის მატების კოეფიციენტი მნიშვნელოვნად აღემატებოდა საშუალო საკავშირო მატების შეფარდებით სიდიდეებს“. საბჭოთა იმპერიის ამ „ზომების“ შედეგი იყო არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ყაზახეთის და შუა აზიის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის ცვლილება, რის შედეგადაც, XX საუკუნის მიწურულშიც კი, ყაზახების ხვედრიწილი 30%-ის ფარგლებში მერყეობდა. ასეთივე ვითარება იყო ბალტიისპირეთში, სადაც აბორიგენი ეროვნებები უმცირესობაში აღმოჩნდნენ.

ნუთუ საქართველო ისე იყო ჩამორჩენილი ინდუსტრიული განვითარების ღონით, რომ გარედან ხალხის შემოსვლა იყო საჭირო ამ ჩამორჩენის დასაძლევად? არა, საქმე ასე არ იყო. ჩვენი გაანგარიშებით, მივიღეთ შემდეგი სურათი (იხ. ცხრილი 4).

#### ცხრილი 4

### საქართველოს და საბჭოთა კავშირის სამრეწველო განვითარების ღონის მაჩვენებლები 1913-1950 წლებში<sup>2</sup>

წლები	მრეწველობის პროდუქცია ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით (მანეთებში)		პროცენტულად საქართველო საბჭოთა კავშირთან
	საბჭოთა კავშირი	საქართველო	
1913 რუსეთი	22,2	21,2	95,5
1921 რუსეთი	8,0	11,4	142,5
1928	30,8	24,6	79,9
1932	59,3	64,4	108,6
1937	126,8	126,6	99,8
1940	155,1	155,8	100,5
1950	291,8	250,3	85,8
1970	1548,6	1003,6	64,8

ცხრილიდან ჩანს, რომ საქართველო სამრეწველო განვითარების ღონით არ ჩამორჩებოდა რუსეთსა და მთლიანად საბჭოთა კავშირს 1940 წლამდე, კერძოდ, ქვეყნის ინდუსტრიული ზაციის განხორციელების პერიოდში. მეტიც, ამ მაჩვენებლით ის ცალკეულ წლებში უსწრებდა კიდევ საბჭოთა კავშირს. სამრეწველო განვითარების ღონის ნამდვილი ჩამორჩენა საქართველოში სახეზე გვაქვს **სწორედ ინდუსტრიული ზაციის** განხორციელების შემდეგ, კერძოდ: საბჭოთა კავშირთან შედარებით, საქართველო ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით, 1950 წელს აწარმოებდა 14,2%-ით, ხოლო 1970 წელს - 35,2%-ით ნაკლებ პროდუქციას. ასე რომ, ინდუსტრიული ზაცია საქართველოს დემოგრაფიული ანექსიის კიდევ ერთი საშუალება აღმოჩნდა.

როგორც აღვნიშნეთ, მეორე მსოფლიო ომმა შეაფერხა საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. ომის დაწყების წინ, 1940 წელს, საქართველოს მოსახლეობა 3 612 ათასს შეადგენდა. ომში გაიწვიეს 700 ათასი მამაკაცი, რომელთაგან აღარ დაბრუნდა 400 ათასი. დემოგრაფიული ისტორიის ეს ეტაპი ყველაზე მძიმე იყო საქართველოში უკანასკნელი ორი საუკუნის მანძილზე. ამ მხრივ, მეორე მსოფლიო ომის წლები თავისი შედეგებით შეიძლება შევადაროთ მხოლოდ მონღოლების, თურქებისა და სპარსელების ბარბაროსული შემოსევებით გამოწვეულ მოსახლეობის განადგურებას.<sup>3</sup> ომამდელი რიცხოვნობა

<sup>1</sup> А.И. Гозулов, М.Г. Григорянц. Население СССР. М. 1969, с. 30.

<sup>2</sup> მაჩვენებლები გაანგარიშებულია: Народное хозяйство Грузинской ССР. Тб., 1957, с. 35-37; Народное хозяйство Грузинкой ССР за 60 лет. Тб., 1980, с. 52-53; Народное хозяйство СССР в 1958 году. М., 1959, с. 7,135; Народное хозяйство СССР в 1987 г. М., 1988, с. 343; Население СССР. 1973, М., 1975, с. 7; Промышленность СССР. М., 1964, с. 36.

<sup>3</sup> ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 155.

საქართველომ აღიღვნა 1951-1952 წლებში. სამწუხაროდ, ამ წლებში ჩვენ არ გავგაჩნია საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკა, ამიტომ შეუძლებელია სტატისტიკური სიზუსტით მისი როლის განსაზღვრა ომამდელი საქართველოს მოსახლეობის აღდგენაში. თუმცა, დასაბუთებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ომის პერიოდში შობადობის ღონის შემცირების და მოკვდაობის ზრდის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა ომში დაღუპულთა რიცხოვნობის კომპენსაცია. ამასთან ცნობილია, რომ ომის პერიოდში საქართველოში ადგილი ჰქონდა ევაკუირებული მოსახლეობის ინტენსიურ შემოსვლას, რომელთა ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად დარჩა საქართველოში. სწორედ ამ უკანასკნელმა შეასრულა გარკვეული როლი ომამდელი საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის აღდგენაში. ამის შედეგად, 1939-1959 წლებში მოხდა რუსი მოსახლეობის ხვედრიწილის ზრდა 8,7%-იდან 10,1%-მდე.

სხვა საბჭოთა რესპუბლიკებიდან მოსახლეობის შემოსვლა საქართველოში გრძელდებოდა 1950-იანი წლების მეორე ნახევრამდე. ამის შემდეგ მოსახლეობის შემოსვლა მცირდება, რისი მიზეზიც, ქართველი მეცნიერების აზრით, არის სოფლის მოსახლეობის ომამდელ პერიოდთან შედარებით თითქმის ორჯერ ინტენსიური გადასვლა ქალაქებში საცხოვრებლად, რითაც საქართველოს ქალაქები კმაყოფილდებოდა მუშახელით და სხვა რესპუბლიკებიდან მათი შემოსვლა აუცილებლობას აღარ წარმოადგენდა.<sup>1</sup> მეტიც, 1950-იანი წლებიდან საქართველოს ეკონომიკური განვითარების ჩამორჩენამ განაპირობა არაქართველი მოსახლეობის გადინება.

მოსახლეობის გარე მიგრაციული მოძრაობის შედეგად შეიცვალა საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა. ქართველების ხვედრიწილი 1939-1959 წლებში 61,4%-იდან გაიზარდა 64,3%-მდე.

### 2.3. საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით XX საუკუნის დასაწყისიდან 1959 წლის ჩათვლით

მოცემული პერიოდის მოსახლეობის რეგიონული დემოგრაფიის შესწავლაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი ვ. ჯაოშვილს, მაგრამ 1914-1917 და 1926-1959 წლების საქართველოს რეგიონებად დაყოფა ერთმანეთისგან განსხვავდება, ამიტომ მათ მოვიტანთ განტალკევებულად, მით უმეტეს, რომ 1914-1917 წლები თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსხვავდება დანარჩენებისაგან, რადგან ემთხვევა პირველი მსოფლიო ომის წლებს. კავკასიის კალენდრის<sup>2</sup> და საქართველოს მოსახლეობის 1917 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობით, ვ. ჯაოშვილი გვაწვდის შემდეგ ინფორმაციას:

ცხრილი 5

#### საქართველოს მოსახლეობა 1914 და 1917 წლებში<sup>3</sup>

	მოსახლეობა (ათასი კაცი)		პროცენტულად		სხვაობა 1914-1917 წწ.	
	1914	1917	1914	1917	ათასი კაცი, + -	პროცენტულად 1914 წელთან
ქართლ-კახეთი	1153,0	977,4	42,7	41,4	-175,6	-15,2
მესხეთ-ჯავახეთი	200,9	176,6	7,5	7,5	-24,3	-12,1
იმერეთი	490,5	450,9	18,2	19,1	-39,6	-8,1
რაჭა	88,8	84,6	3,3	3,6	-4,2	-4,7
სამეგრელო	286,4	267,6	10,6	11,4	-18,8	-6,6

<sup>1</sup> В.Ш. Джаошвили. Урбанизация Грузии. Тб., 1978, с. 134.

<sup>2</sup> კავკასიის კალენდარი, სტატისტიკურ-ეკონომიკური ცნობარი, გამოვიდა 1846-1917 წლებში ყოველწლიურად. მოიცავდა დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემებსაც.

<sup>3</sup> ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996, გვ. 98.

ლენინური და სვანეთი	60,8	57,2	2,3	2,4	-3,6	-5,9
გურია	111,4	119,5	4,1	5,1	8,1	7,3
აფხაზეთი	194,9	148,6	7,2	6,3	-46,3	-23,8
აჭარა	110,9	75,4	4,1	3,2	-35,5	-32,0
საქართველო	2697,6	2357,8	100,0	100,0	-339,8	-12,6

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ 1897-1914 წლებში, საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად, 1867,4 ათასიდან 2697,6 ათასამდე, ე.ი. 144,5%-ით გაიზარდა (წლიურად 52 ათასით). ყველაზე მეტად, 95,9-დან 194,9 ათასამდე, ე.ი. 203,2%-ით (ორჯერ და მეტად) გაიზარდა აფხაზეთის მოსახლეობა.

ქვეყნის მოსახლეობის ზრდას ხელი შეუშალა პირველმა მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც მოსახლეობა ფრონტზე დანაკარგების და ომის წლებში (1914-1917) ბუნებრივი მატების შემცირების შედეგად 339,8 ათასით, ანუ 12,6%-ით შემცირდა. ყველაზე მეტად შემცირდა აფხაზეთის და აჭარის მოსახლეობა, 23,8 და 32,0%-ით. მოსახლეობა შემცირდა ყველა ისტორიულ კუთხეში, გურიის გარდა, რომლის მოსახლეობამ მოიმატა 8,1 ათასით, ე.ი. 7,3 %-ით. 1917 წლის შემდეგ როგორც საქართველოს, ისე მისი რეგიონების მოსახლეობა იზრდება.

## ცხრილი 6

### საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1926-1959 წლებში<sup>1</sup>

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			პროცენტულად 1926-1959 წწ
	1926	1939	1959	1926	1939	1959	
საქართველო სულ	2677,2	3540,0	4044,0	100,0	100,0	100,0	151,1
თბილისი	294,0	519,2	703,0	11,0	14,7	17,4	239,1
აჭარა	132,0	200,1	245,3	4,9	5,6	6,0	185,8
აფხაზეთის ა. რ.	210,4	311,9	404,8	7,9	8,8	10,0	192,4
სვანეთი	18,8	27,1	31,0	0,7	0,8	0,8	164,9
ჯავახეთი	71,8	99,2	95,0	2,7	2,8	2,3	132,3
შიდა ქართლი	225,6	296,2	324,2	8,4	8,4	8,0	143,7
ქვემო ქართლი	201,4	263,6	371,0	7,5	7,5	9,2	184,2
მესხეთი	102,3	129,5	81,3	3,8	3,7	2,0	79,5
კახეთი	291,0	364,6	395,4	10,9	10,3	9,8	135,9
სამხრ. ოსეთის ა. რ.	87,7	106,1	96,8	3,3	3,0	2,4	110,4
იმერეთი	492,6	595,1	652,0	18,4	16,8	16,1	132,4
სამეგრელო	270,9	323,8	358,3	10,1	9,2	8,9	132,3
გურია	113,5	132,1	145,9	4,2	3,6	3,6	128,5
აღმოსავლეთ კავკასიონი	63,9	72,4	64,3	2,4	2,0	1,6	100,6
რაჭა-ლეჩხუმი	101,3	99,1	75,7	3,8	2,8	1,9	74,7

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია: ვ. ჯაიშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 130, 166.

მოსახლეობის შესახებ მონაცემები 1926, 1939, 1959 წლებში აღებულია მოსახლეობის საბჭოთა აღწერებიდან. 1926 წლიდან საქართველოს სტატისტიკაში 1989 წლის ჩათვლით ჩნდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. შემდეგ როგორც ტექსტშია, ანუ „სამხრეთ ოსეთი“ 1990 წლიდან განიხილება შიდა ქართლის შემადგენლობაში, როგორც მისი ისტორიული ნაწილი, ხოლო რუსეთის მიერ აფხაზეთის და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ოკუპაციის შემდეგ კი სტატისტიკური ინფორმაცია მათ შესახებ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია.

როგორც ცხრილიდან ჩანს, 1926-1959 წლებში საქართველოს მოსახლეობა მნიშვნელოვნად, 151,1%-ით გაიზარდა. ზრდის ტემპების სიდიდის მიხედვით გამოირჩევიან: თბილისი (239,1%), აფხაზეთი (192,4%), აჭარა (185,8%), ქვემო ქართლი (184,2%). მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა ორ რეგიონში - მესხეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ამ უკანასკნელში მოსახლეობა შემცირდა მიგრაციის შედეგად.

რაც შეეხება მესხეთის მოსახლეობას, მასზე განსაკუთრებით შევჩერდებით. მეორე მსოფლიო ომის დროს თურქეთი-საღმის სიმპატიის მიზეზით (ეს უკანასკნელი იყო გერმანიის მოკავშირე) მესხეთის მუსულმანი მოსახლეობის ნაწილი (მათ შორის ქართველებიც) გადასახლეს შუა აზიაში. გადასახლებულები ისტორიაში შევიდნენ „თურქი მესხების“ სახელწოდებით. გადასახლებულების ზუსტი რიცხვი დღემდე სადავოა. ფაქტი ისაა, რომ მესხეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 1926-1939 წლებში 102,3 ათასიდან გაიზარდა 129,5 ათასამდე, ე.ი. 27,2 ათასით, ხოლო 1939-1959 წლებში შემცირდა 48,2 ათასით. ფაქტია, რომ შემცირება გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა მოსახლეობის ბუნებრივი მატება ომისშემდგომ, 1945-1959 წლებში.

დიდა ვახტანგ ჯაოშვილის ღვაწლი საქართველოს მოსახლეობის ისტორიული კუთხით შესწავლაში. მან პირველმა გაიანგარიშა აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანი მხარეების მოსახლეობის რიცხოვნობა 1886-1989 წლებში, ფაქტობრივად, ერთი საუკუნის მანძილზე (იხ. ცხრილი 7).

### ცხრილი 7

**აღმოსავლეთ კავკასიონის ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეების მოსახლეობის დინამიკა, 1886-1989 წლებში<sup>1</sup>**

	სოფლების რიცხვი				მოსახლეობის რიცხვი				მოსახლეობის კლება 1886-1989 წლებში	
	1886	1926	1959	1989	1886	1926	1959	1989	absolutური	%
ხევი	51	54	54	44	8843	8727	7976	6376	2467	27,9
მთიულეთი	90	87	86	76	9282	10483	8522	6822	2460	26,5
ხევსურეთი	53	49	44	24	4985	3589	2047	652	4333	87,8
ფშავი	48	35	33	26	5067	2259	1411	1127	3940	77,7
თუშეთი	44	31	22	5	4074	1618	513	101	3973	97,5
აღმოსავლეთ კავკასიონი	286	256	239	175	32251	26676	20499	15078	17178	53,5

როგორც ვხედავთ, ერთი საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთ კავკასიონის 286 სოფლიდან დარჩა 175 სოფელი, ხოლო მოსახლეობა განახევრდა. 1886 წელს თუშეთში არსებობდა 44, ხოლო 1989 წელს მხოლოდ 5 სოფელი 101 მცხოვრებით, რაც თუშეთის 1886 წლის მოსახლეობის მხოლოდ 2,5%-ია.

<sup>1</sup> ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996. გვ. 170.



მთის მოსახლეობა განსაკუთრებით შემცირდა საბჭოთა ხელისუფლების პირობებში. მთის მოსახლეობის ყოფაცხოვრების გაუმჯობესების კეთილშობილური მიზნით, საბჭოთა ხელისუფლება ყველანაირად ხელს უწყობდა (ზოგ შემთხვევაში იძულებით) მათ ჩამოსახლებას ბარში. ამ თემაზე იწერებოდა მოთხრობები, იქმნებოდა მხატვრული ფილმები და ა.შ. ამის შედეგად ცარიელდებოდა როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მთიანეთის სოფლები.

დღეს საქართველოში მიმდინარეობს უკუპოლიტიკა - „მთას დაუბრუნდა მთიელი“. ამ პროცესის განსახორციელებლად სახელმწიფოს მიერ ტარდება რიგი ღონისძიებები, რომლებიც რა შედეგს მოიტანს, ან საერთოდ მოიტანს თუ არა სასურველ შედეგს, ვნახავთ მომავალში.

## 2.4. საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობა 1970-1989 წლებში

საქართველოს მოსახლეობა 1959 წლის შემდეგ განაგრძობს ზრდას. ორი აღწერის შორის პერიოდში, კერძოდ 1959-1970 წლებში, მოსახლეობის რიცხოვნობა 4 044,0 ათასიდან 4 686,4 ათასამდე, ე.ი. 115,9%-ით გაიზარდა, ხოლო 1970-1989 წლებში კი -115,2%-ით. ამავე პერიოდში შეიცვალა რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა და, შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობის რეგიონული სტრუქტურა.

ცხრილი 8

### საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ისტორიული კუთხეების მიხედვით 1970-1989 წლებში<sup>1</sup>

	მოსახლეობა (ათასი კაცი)			პროცენტულად			1989, 1970- თან, %
	1970	1979	1989	1970	1979	1989	
საქართველო-სულ	4686,4	4993,2	5400,8	100,0	100,0	100,0	115,2
თბილისი	891,9	1056,1	1246,9	19,0	21,2	23,1	139,8
აფხაზეთი	486,9	486,1	525,1	10,4	9,7	9,7	107,8
აჭარა	309,8	354,2	392,4	6,6	7,1	7,3	126,7
ქართლი	928,2	991,1	1091,3	19,8	19,8	20,2	117,6
კახეთი	416,0	429,8	441,0	8,9	8,6	8,2	106,0
იმერეთი	718,6	738,1	766,9	15,3	14,8	14,2	106,7
გურია	149,6	155,0	158,1	3,2	3,1	2,9	105,7
სამეგრელო	394,4	406,1	410,0	8,5	8,1	7,6	104,0
რაჭა-ლეჩხუმი	66,5	59,9	48,3	1,4	1,2	0,9	72,6
სვანეთი	31,3	30,6	26,1	0,7	0,6	0,5	83,4
ფშავ-ხევსურეთი	61,6	60,1	59,2	1,3	1,2	1,0	96,1
მესხეთ-ჯავახეთი	231,6	226,1	235,5	4,9	4,5	4,4	101,7

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია: Итоги всесоюзной переписи населения 1959 г. М., 1963, с. 134; Итоги всесоюзной переписи населения 1970 г. Т.IV, М., 1973, с. 252; საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა. სტატისტიკური კრებული. თბ., 1991, გვ. 19.

განხილული პერიოდის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობა გაიზარდა 115,2%-ით. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა თბილისი (139,8%), შემდეგ მოდის აჭარა (126,7%) და ქართლი (117,6%). სამეგრელოს, გურიის, კახეთის და იმერეთის მოსახლეობის ზრდის ტემპი მერყეობს 104,0%-დან 107,0%-ის ფარგლებში. მათ ოდნავ აღემატება აფხაზეთის მოსახლეობის ზრდა (107,8%), ხოლო მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა უმნიშვნელოდ, 101,7%-ით იზრდება. დანარჩენი რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება: ფშავ-ხევსურეთის - 3,9%-ით, სვანეთის - 16,6%-ით, ხოლო რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობა მნიშვნელოვნად - 27,4%-ით.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ თბილისს, ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ჰყავს ქართლს. თბილისმა მოსახლეობის რიცხოვნობით იმერეთს გაასწრო 1970-იანი წლების მეორე ნახევარში, რაც დააფიქსირა მოსახლეობის 1979 წლის აღწერამ. ყველაზე მცირერიცხოვანი მოსახლეობა ყავს სვანეთს, რაჭა-ლეჩხუმს და ფშავ-ხევსურეთს.

განხილულ 1970-1989 წლებში შეიცვალა მოსახლეობის სტრუქტურა რეგიონების მიხედვით. კერძოდ, გაიზარდა თბილისის, აჭარის და ქართლის მოსახლეობის ხვედრი წილი, განსაკუთრებით თბილისის - 19,0-დან 23,1%-მდე. აჭარის მოსახლეობის ხვედრი წილი 6,6%-დან გაიზარდა 7,3%-მდე, ხოლო ქართლის - 19,8%-დან 20,2%-მდე. დანარჩენი რეგიონების ხვედრი წილი შემცირდა: ფშავ-ხევსურეთის, სვანეთის და გურიის - 0,2% - 0,3%-ით, მესხეთ-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, კახეთისა და აფხაზეთის - 0,5 - 0,7%-ით, ხოლო სამეგრელოს და იმერეთის - 0,9 - 1,1%-ით.

თბილისის, აჭარის და ქართლის მოსახლეობის რიცხოვნობის და ხვედრი წილის ზრდა, დანარჩენ რეგიონებთან შედარებით, შეიძლება აიხსნას თბილისის მოსახლეობის მაღალი მიგრაციული მატებით, ხოლო აჭარასა და ქართლში - შობადობის და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონით. ჩვენს ხელთ არსებულ 1980 წლის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივი მატება 1 000 მცხოვრებელზე გაანგარიშებით საქართველოში შეადგენდა - 9,1, აჭარაში - 13,6, ხოლო ქართლში - 13,5.

აჭარაში შობადობის და მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაღალი დონე ტრადიციულად განპირობებულია აჭარის მოსახლეობის ნაწილის მუსულმანური აღმსარებლობით, ხოლო ქართლის მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს მუსულმანი აზერბაიჯანული მოსახლეობა, რომელშიც შობადობა და ბუნებრივი მატება მაღალია სხვა რეგიონებთან შედარებით. განხილულ პერიოდში, ქართლის ბუნებრივი მატების საერთო დონეს დაბლა სწევს უპირატესად ქართველებით დასახლებული ხაშურის, კასპის და თეთრიწყაროს რაიონები, რომლებშიც ბუნებრივი მატება, შესაბამისად, შეადგენდა: 8,2; 5,2 და 8,8. მაშინ, როდესაც რაიონებში, სადაც მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია აზერბაიჯანული მოსახლეობა, ბუნებრივი მატება შეადგენს: ქართლში - 10,5; გორში - 12,2; წალკაში - 14,4 (წარმოდგენილია ბერძენი მოსახლეობაც); რუსთავში - 14,5; გარდაბანში - 16, 2; დმანისში - 18,3; მარნეულში - 19,6; ბოლნისში - 20,7. შედარებისათვის აღვნიშნავთ, რომ ქართლის ისეთ რაიონებში, როგორცაა: დმანისი, მარნეული და ბოლნისი, 1980 წლისათვის მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები საქართველოს საშუალო მაჩვენებელს 2-ჯერ და მეტად აღემატებოდა.

## 2.5. საქართველოს მოსახლეობის განაწილება

### ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში<sup>1</sup>

1990 წლის შემდეგ, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა განაგრძნობდა ზრდას და 1992 წლისათვის მან მიაღწია 5.5 მლნ-ს. ეს არის საქართველოს ისტორიაში სატატიისტიკურად დაფიქსირებული ყველაზე მრავალრიცხოვანი მოსახლეობა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში გამოყვებულმა საყოველთაო კრიზისმა გამოიწვია საქართველოდან მოსახლეობის ინტენსიური გადინება, რამაც მოსახლეობის რიცხოვნობა კატასტროფულად შეამცირა. 1992-1994 წლებში საქარ-

<sup>1</sup> 1994წლიდან გვაქვს ყოველწლიური რეგიონული დემოგრაფიული სტატისტიკის მონაცემები. ანალიზს ვიწყებთ 1995 წლიდან, ტრადიციულად მიღებული 0 და 5-ზე დამთავრებული წლების მიხედვით. 1994 წლამდე ანალოგიური მონაცემები გვაქვს მხოლოდ მოსახლეობის აღწერებით.

თველოს მოსახლეობა 5,5 მლნ-დან შემცირდა 4,9 მლნ-მდე, ე.ი. 600 ათასით. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ ამ წლების მოსახლეობაში აღარ შედის აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის რიცხოვნობა.

საქსტატის ინფორმაციით, 1994 წლიდან გვაქვს მონაცემები საქართველოს მოსახლეობის შესახებ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. საქართველოს დღეს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა არსებითად არ განსხვავდება ისტორიულ მხარეებად დაყოფისგან, იმ განსხვავებით, რომ ცალკე არ არის გამოყოფილი სვანეთი და ფშავ-ხევსურეთი. ისინი გაერთიანებულია მეზობელ ადმინისტრაციულ ერთეულებში და მათი ცალკე გამოყოფით მარტივად მივიღებთ საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობას. მაგრამ მოცემულ თავში მოსახლეობას განვიხილავთ არა ისტორიული, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების (მხარეების) მიხედვით, რადგან ინფორმაციას როგორც დემოგრაფიული, ისე სოციალური მოვლენების შესახებ საქსტატი გვაძლევს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების და არა ისტორიული კუთხეების მიხედვით.

## ცხრილი 9

### საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 1995-2020 წლებში (ათასი კაცი)<sup>1</sup>

	1995	2000	2005	2010	2015	2020	პროცენტულად			%, 1995-2020
							1995	2005	2020	
საქართველო	4742,3	4116,8	3917,0	3799,8	3721,9	3716,9	100,0	100,0	100,0	78,4
თბილისი	1205,7	1072,8	1067,2	1100,0	1115,7	1184,8	25,4	27,2	31,9	98,3
აფხაზეთის ა. რ.	2,0	2,0	1,6	-	-	-	-	-	-	-
აჭარის ა. რ.	411,0	353,0	337,6	332,5	336,6	351,9	8,8	8,6	9,5	85,6
გურია	160,0	132,3	121,1	117,0	113,3	108,1	3,4	3,1	2,9	67,6
იმერეთი	764,1	658,7	605,7	568,6	531,0	487,0	16,1	15,5	13,1	63,7
კახეთი	432,7	369,8	341,6	329,2	318,8	310,1	9,1	8,7	8,3	71,7
მცხეთა-მთიანეთი	124,9	113,7	108,9	92,5	94,1	93,3	2,6	2,8	2,5	74,7
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	59,0	47,0	40,8	36,3	32,2	29,1	1,2	1,0	0,8	49,3
სამეგრელო ზემო სვანეთი	432,0	413,0	397,7	364,9	331,8	311,1	9,1	10,2	8,4	72,0
სამცხე-ჯავახეთი	592,4	472,0	440,8	422,8	452,2	434,2	12,5	11,3	11,6	73,3
ქვემო ქართლი	325,8	290,0	274,7	266,0	262,9	255,1	6,9	7,0	6,9	78,3
შიდა ქართლი	918,2	762,0	715,5	688,8	715,1	689,3	19,4	18,3	18,5	75,1
სულ ქართლი										

ერთი წლის განმავლობაში, 1994-1995 წლებში, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 160 ათასით, ხოლო 1995-2020 წლებში - 1025,4 ათასით, ე. ი. სულ 1994-2020 წლებში - 1 185 ათასით.

<sup>1</sup> შედგენილია საქსტატის მონაცემების საფუძველზე. შეფარდებითი მაჩვენებლები გაანგარიშებულია ჩვენ მიერ.

საინტერესოა დაავადებით მოსახლეობის აღნიშნულ კლებაში ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის წვლილი. მოცემული ამოცანის გადაწყვეტა ხდება საბალანსო გაანგარიშებით, რომლის შემთხვევაშიც მოსახლეობის საერთო მატება (კლება) მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის ჯამის ტოლია. 1994-2020 წლებში საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ შეადგინა 94,1 ათასი კაცი. რამდენადაც – 1185,0 არის მოსახლეობის საერთო კლება, მაშინ, მიგრაციული კლება გამოდის 1279,1 ათასი კაცი. ეს მსჯელობა განტოლების სახით შეიძლება ჩაეწეროს შემდეგნაირად:

$$- 1185 = 94,1 - X, \text{ სადაც}$$

X არის უარყოფითი მიგრაციული მატება და ის ტოლია  $-1185-94,1 = - X$ .

აქედან,  $X = 1185+94,1 = 1279,1$ .

შესაბამისად, რომ არა მოსახლეობის ის მცირე ბუნებრივი მატება, ანუ 94,1 ათასი კაცი, 1994-2000 წლებში მოსახლეობა შემცირდებოდა არა 1185 ათასით, არამედ 1 279,1 ათასით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ბუნებრივი მატება (94,1 ათასი) მოდის, ძირითადად, ქალაქის მოსახლეობის ხარჯზე, რამდენადაც, 1998 წლიდან დაწყებული, სოფლის მოსახლეობა (2014-2017 წლების გარდა) უარყოფითი ბუნებრივი მატებით ხასიათდებოდა. თუმცა, ისტორიულად სოფლის მოსახლეობის ბუნებრივი მატება ყოველთვის აღემატებოდა ქალაქისას. აქვე შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საქართველოს მოსახლეობა მისი მაქსიმალური ნიშნულიდან 1992 წელს, 5,5 მლნ-დან, 2020 წლისათვის შემცირდა 3,7 მლნ-მდე, ე.ი. 1,8 მლნ-ით. აღნიშნულ შემცირებაზე იმოქმედა, აგრეთვე, რუსეთის მიერ ანექსირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობის გამოკლება. საქართველოს დანაკარგი 1,8 მლნ მცხოვრები 1994-2020 წლებში, ჰყავს ზოგიერთ ქვეყანას. **3,7 მლნ მცხოვრები ჰყავდა საქართველოს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე, ე. ი. 60 წლის წინათ.**

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკით საქართველოს რეგიონები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს თბილისი, რომლის მოსახლეობაც 1995-2000 წლებში 20,9 ათასით, ე.ი. მხოლოდ 1,7%-ით შემცირდა. რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მოსახლეობა განახევრდა. დაახლოებით 32-36%-ით შემცირდა გურიის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, 28,0%-ით კახეთის და სამეგრელო ზემო სვანეთის მოსახლეობა, 25,0%-ით ქართლის და მცხეთა-მთიანეთის მოსახლეობა, ყველაზე ნაკლებად, 14,4%-ით შემცირდა აჭარის მოსახლეობა. მთლიანად საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 21,6%-ით.

რაც შეეხება რეგიონების მოსახლეობის სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებს, ყველა რეგიონის მოსახლეობის ხვედრითი წილი მეტ-ნაკლებად შემცირდა აჭარის და თბილისის გარდა. აჭარის მოსახლეობის ხვედრითი წილი გაიზარდა 0,7%-ით და მიაღწია 9,5%-ს, ხოლო თბილისის ხვედრითი წილი გაიზარდა 6,5%-ით და მიაღწია საქართველოს მოსახლეობის 31,9%. იმავდროულად, 2020 წელს თბილისში ცხოვრობდა საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, 54,0%. ქვეყნის დადაქალაქის ასე „გაბერვა“ და „თავკომბალად“ ქცევა არანაირად არ არის მიზანშეწონილი.

საქართველოს მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული, ასევე, ბუნებრივი ზონების მიხედვით. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი ცხოვრობს ჩრდილოეთ და სამხრეთ მთიანეთს შორის, მთათაშორის ბარში. მეტად არათანაბრადაა განაწილებული რეგიონები ქალაქის და სოფლის მოსახლეობის, აგრეთვე მოსახლეობის სიმჭიდროვის მიხედვით (მცხოვრები 1 კვ.კმ-ზე).

საქართველოს რეგიონების დანაწილება ქალაქის და სოფლის მოსახლეობის  
ხვედრი წილის მიხედვით (პროცენტებში) და მოსახლეობის სიმჭიდროვე 2020 წელს.<sup>1</sup>

	სულ	მათ შორის		ტერიტორიის ფართობი კვ. კმ	სიმჭიდროვე (კაცი 1კვ. კმ-ზე)
		ქალაქი	სოფელი		
საქართველო	100,0	59,0	41,0	69700,0	53,3
თბილისი	100,0	97,4	2,6	504,2	2350,0
აჭარა	100,0	57,0	43,0	2900,0	121,3
გურია	100,0	28,9	71,1	2033,2	53,2
იმერეთი	100,0	49,4	50,6	6414,7	75,9
კახეთი	100,0	22,8	77,2	11375,0	27,3
მცხეთა-მთიანეთი	100,0	23,9	76,1	5606,0	16,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100,0	23,4	76,6	4600,0	6,3
სამეგრელო ზემო სვანეთი	100,0	39,7	60,3	7468,2	41,7
სამცხე-ჯავახეთი	100,0	35,6	64,4	6412,8	23,7
ქვემო ქართლი	100,0	43,7	56,3	6436,2	67,2
შიდა ქართლი	100,0	39,6	60,4	3428,3	74,4
სულ ქართლი	100,0	42,2	57,8	9864,5	69,9

ჩვენ მიერ განხილულ 1995-2020 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობის ხვედრი წილი 5,0%-ით გაიზარდა და მიაღწია 59,0%. ურბანიზაციის ყველაზე დაბალი დონით გამოირჩევა კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ქალაქის მოსახლეობის შედარებით მაღალი დონით (39,7-42,2%) გამოირჩევა სამეგრელო ზემო-სვანეთი და ქართლი. მათთან შედარებით ქალაქის მოსახლეობის უფრო მაღალი ხვედრი წილით ხასიათდება იმერეთი (49,4%), ხოლო აჭარას ყველაზე მეტი ქალაქის მცხოვრები ჰყავს - 57,0%. აღნიშნული რეგიონების ქალაქის მოსახლეობის მაღალ ხვედრით წილს განაპირობებს, ძირითადად, მათში არსებული საქართველოს დიდი ქალაქები, აჭარაში - ქ. ბათუმი 151, 3 ათასი მცხოვრებით (1/1 2020 წ.), იმერეთში - ქ. ქუთაისი 135,2 ათასი მცხოვრებით, სამეგრელო ზემო-სვანეთში - ქ. ზუგდიდი 41,5 ათასი მცხოვრებით, ქ. ფოთი 40 ათასი მცხოვრებით, ქართლში - ქ. რუსთავი 128,3 ათასი მცხოვრებით და ქ. გორი 45,6 ათასი მცხოვრებით.

ტერიტორიის ფართობით ყველაზე დიდია კახეთი, მოსახლეობით - ქართლი, მოსახლეობის სიმჭიდროვეთ (თბილისის გარდა) - აჭარა. რაც შეეხება საქართველოს ისტორიული კუთხეების მოსახლეობას, დღეისათვის ის პრინციპში ემთხვევა ადმინისტრაციული ტერიტორიების საზღვრებს, სვანეთის და ფშავ-ხევსურეთის გარდა. 2020 წლისთვის სვანეთის მოსახლეობა ტოლია 18,2 ათასი მცხოვრების (მესტიის მუნიციპალიტეტი - 9,4 ათასი მცხოვრები, ცაგერის მუნიციპალიტეტი - 8,8 ათასი მცხოვრები). ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენა დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილებით ვერ ხერხდება.

<sup>1</sup> ცხრილი გაანგარიშებულია ჩვენ მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.

## 2.6. ნასოფლარები, გაუკაცრიელებული პატარა და დიდი სოფლები საქართველოს რეგიონების მიხედვით

### 2.6.1. ნასოფლარები

სიტყვა „ნასოფლარი“ ქართულ ენაში გაჩნდა საქართველოში არაბების სარდლის, მურვან ყრუს შემოსევის შემდეგ (ასევე ნაქალაქარი, ნავენახარი, ნასახლარი და სხვ.). ესენია სოფლები, რომლებიც აღარ არსებობს, შემორჩენილია მხოლოდ სახელები, ან მათ ადგილზე დარჩენილია მხოლოდ სოფლის ნაშთები. ძნელი დასადგენია, ისტორიულად სულ რამდენი ნასოფლარია საქართველოში, მაგრამ 1970, 2002 და 2014 წლის მოსახლეობის აღწერები ამის დადგენის საშუალებას იძლევა. მოვიტანოთ მონაცემები: 1970 წელს საქართველოში აღირიცხა 4 645 სოფელი, 2002 წელს - 3 668, 2014 წელს - 3 633. აქედან ჩანს, რომ 1970-2002 წლებში არსებობა შეწყვიტა და აღარ აღირიცხა 977 სოფელი (4 645-3 668), 2002-2014 წლებში აღირიცხა (აღიწერა) 35-ით ნაკლები სოფელი (3668-3633). და ეს იმიტომ, რომ 2002-2014 წლებში გაჩნდა 121 ნასოფლარი, მაგრამ შეიქმნა 86 ახალი სოფელი ( $121-86=35$ ) შესაბამისად, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეისათვის საქართველოში გვაქვს 1098 დაფიქსირებული ნასოფლარი ( $977+121=1098$ ), რომელიც გაჩნდა 1970-2014 წლებში, ე. ი. წელიწადში საშუალოდ 25.

2002-2014 წლებში აღრიცხული ნასოფლარებიდან: აჭარაზე მოდის 11, გურიაზე - 0, იმერეთზე - 8, მცხეთა-მთიანეთზე - 87, ქართლზე - 15, სულ 121 სოფელი. იმავდროულად, კახეთს მოემატა 53 სოფელი, რაჭა-ლეჩხუმს - 1, სამეგრელო ზემო-სვანეთს - 33, სამცხე-ჯავახეთს - 1, თბილისის მუნიციპალიტეტს - 21<sup>1</sup>, სულ ჯამში მოემატა 109 სოფელი. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2002 წლის აღწერით აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღიწერა 23 სოფელი, რომელიც 2014 წლის აღწერაში აღარ გვხვდება (როგორც ჩანს, ესაა 2008 წელს რუსეთის მიერ ოკუპირებული კოდორის ხეობის სოფლები), მაშინ გამოდის, რომ 2002-2014 წლების აღწერით მომატებულ 109 სოფელს უნდა გამოვაკლოთ კოდორის ხეობის 23 სოფელი და მივიღებთ, რომ 2002-2014 წლებში საქართველოს მოემატა 86 ახალი სოფელი.

შესაბამისად, 2002-2014 წლებში საქართველოში გაჩნდა 121 ნასოფლარი, შეიქმნა ახალი 86 სოფელი (როგორც ჩანს, დევნილი მოსახლეობის და ეკომიგრანტების სხვადასხვა ადგილას ჩასახლების შედეგად), რის შედეგადაც მივიღეთ, რომ 2002-2014 წლებში სოფლების რიცხვი საქართველოში შემცირებულია 35-ით, მაგრამ აღნიშნული რიცხვი არის 121 ნასოფლარად ქცეული და 86 ახალი სოფლის რიცხვის ბალანსი:  $121-86=35$ .

აღნიშნული ბალანსი არ ცვლის ნასოფლარების სურათს. 121 ნასოფლარი ისევე ნასოფლარად რჩება, რაც ნიშნავს, რომ 1970-2014 წლებში საქართველოში გაჩნდა არა 1012 ნასოფლარი ( $977+35$ ), არამედ -1098 ( $977+121$ ) ნასოფლარი. შესაძლებელია რომ იყოს 1970-2002 წლებში (რის შესაძლებლობასაც 1970 წლის აღწერა არ გვაძლევს) 2002-2014 წლების შესაბამისი ანალიზის ჩატარება, 1970-2002 წლებში ნასოფლარების რიცხვი აღმოჩნდებოდა არა 977, არამედ საკმაოდ მეტი. 977 სოფელიც სოფლების რიცხვონობის ზემოთ მოტანილის მსგავსი ბალანსით არის მიღებული.

შესაბამისად, დღეისათვის საქართველოში აღრიცხული გვაქვს 1098 ნასოფლარი და 3 633 სოფელი, რომელთაგან 223, ანუ 6,1% გაუკაცრიელებულია.

<sup>1</sup> 2002 წლის აღწერით, თბილისის მუნიციპალიტეტის ფარგლებში შედიოდა 1 სოფელი 147 მცხოვრებით, ხოლო 2014 წლის აღწერით - 22 სოფელი 30 420 მცხოვრებით.

## 2.6.2. გაუკაცრიელებული სოფლები

### მეშინია!

ეს სოფლები: ეს ლიქოკი, ეს არხოტი,  
ცარიელა ეს პარტახი საიგავო,  
მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი  
სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს!

შქმერს სათიბზე არ დავობენ მეზობლები,  
ძაღლი არ ჰყეფს, ძაღლი არ ჰყეფს ბარისახოს!  
ვაითუ ვინმეს მოეწონოს ეს სოფლები,  
ვაითუ ვინმე მოვიდეს და დაესახლოს!

*მურმან ლუბანიძე, 1971 წელი.*

გაუკაცრიელებული სოფლები არის სოფლები, რომლებშიც აღარავინ ცხოვრობს (იხ. ცხრილი 11 და 12). ასეთი სოფლების რიცხვი საქართველოში 2002-2014 წლებში 162-დან 223-მდე, ე. ი. 140,0%-ით გაიზარდა. ყველაზე დიდი რაოდენობით გაუკაცრიელებული, ე. ი. ადამიანებისგან დაცლილი სოფლები გვხვდება მცხეთა-მთიანეთში. აქ ასეთი სოფლები 2002 წელს იყო 63, ხოლო 2014 წელს მათი რიცხვი გაიზარდა 75-მდე. აღნიშნული სოფლები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა: დუშეთი - 40, თიანეთი - 10, ყაზბეგი - 25.

**ცხრილი 11**

### გაუკაცრიელებული (0 მცხოვრებით) და პატარა სოფლები საქართველოში მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, რეგიონების მიხედვით<sup>1</sup>

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვი			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო, სულ სოფლები	3 668	162	74	78	169
მოსახლეობა	2 086 739	-	203	623	2 863
აჭარა	333	2	-	1	-
მოსახლეობა	209 618	-	-	8	-
გურია	186	-	-	2	-
მოსახლეობა	105 826	-	-	18	-
იმერეთი	544	3	2	1	7
მოსახლეობა	375 874	-	6	7	131
კახეთი	280	6	3	4	14
მოსახლეობა	322 355	-	5	32	244
მცხეთა-მთიანეთი	567	63	54	43	82
მოსახლეობა	93 299	-	144	355	1 310

<sup>1</sup> ცხრილი შედგენილია: საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I, თბილისი, 2003, გვ. 87-91.

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	250	-	7	5	17
მოსახლეობა	41 382	-	23	41	322
სამეგრელო ზემო სვანეთი	488	22	1	7	14
მოსახლეობა	282 967	-	3	55	233
სამცხე-ჯავახეთი	258	10	0	1	2
მოსახლეობა	142 063	-	-	6	33
ქვემო ქართლი	348	15	-	3	16
მოსახლეობა	311 025	-	-	29	263
შიდა ქართლი	390	41	7	8	16
მოსახლეობა	200 727	-	22	67	318
სულ ქართლი	738	56	7	11	32
მოსახლეობა	511 252	-	22	96	581

გაუკაცრიელებული სოფლებით მეორე ადგილზეა ქართლი, სადაც ეს სოფლები 2014 წელს შეადგენდა 57-ს, (2002 წ. - 56). მუნიციპალიტეტების მიხედვით სოფლები შემდეგნაირად ნაწილდება: თეთრიწყარო - 13, გორი - 21, ქართლი - 8, კასპი - 3, ხაშური - 12.

## ცხრილი 12

### გაუკაცრიელებული (0 მცხოვრებით) და პატარა სოფლები საქართველოში მოსახლეობის 2014 წლის აღწერით რეგიონების მიხედვით

	სულ სოფლები	მათგან მცხოვრებთა რიცხვი			
		0	1-5	6-10	11-25
საქართველო, სულ სოფლები	3 633	223	157	98	221
მოსახლეობა	1 591 181	0	412	776	3 915
აჭარა	322	3	4	2	4
მოსახლეობა	149 179	0	11	14	76
გურია	186	-	1	-	1
მოსახლეობა	81 446	-	1	-	85
იმერეთი	536	8	5	3	17
მოსახლეობა	275 396	0	13	24	296
კახეთი	333	53	6	3	6
მოსახლეობა	247 057	0	12	23	94
მცხეთა-მთიანეთი	480	75	72	39	75
მოსახლეობა	73 314	0	178	320	1368
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	251	10	16	11	27
მოსახლეობა	25 119	0	48	88	493
სამეგრელო ზემო სვანეთი	521	7	20	17	40
მოსახლეობა	201 370	0	68	131	673
სამცხე-ჯავახეთი	259	10	3	-	2



მოსახლეობა	105 841	0	5	-	34
ქვემო ქართლი	351	13	10	9	17
მოსახლეობა	243 868	0	29	67	293
შიდა ქართლი	373	44	18	11	22
მოსახლეობა	158 171	0	40	82	372
სულ ქართლი	723	57	28	20	39
მოსახლეობა	402 039	0	57	149	665

დაცლილი სოფლები დიდი რაოდენობითაა კახეთში. ამასთან, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით კახეთში ამ სოფლების რიცხოვნობის მეტად სწრაფი ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 6-დან 2002 წელს 53-მდე 2014 წელს, 53-დან 51 მოლის ახმეტის მუნიციპალიტეტზე (თუშეთი, ფშავე-ხევსურეთი).

ზემოთ მოყვანილ სამ რაიონში მოსახლეობისგან დაცლილი სოფლები მცხეთა-მთიანეთში შეადგენს სოფლების 15,6%-ს, ქართლში - 7,9%-ს, კახეთში - 15,9%-ს.

შედარებით მცირე რაოდენობით დაცლილი სოფლები გვხვდება: აჭარაში - 3, იმერეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმში - 10, სამეგრელო ზემო-სვანეთში - 7, სამცხე ჯავახეთში - 10.

### 2.6.3. პატარა სოფლები

პატარა სოფლებს მივაკუთვნეთ სოფლები 25 კაცამდე. თუ განვიხილავთ პატარა სოფლებს მათში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით, აღმოჩნდება შემდეგი: 2002 წელს 1-5-კაციან სოფელში საშუალოდ ცხოვრობდა 2,7 კაცი, 2014 წელს - 2,6; 6-10 მცხოვრებით სოფლებში საშუალოდ ცხოვრობდა 2002 წელს 8 კაცი, 2014 წელსაც - 8 კაცი; 11-25-კაციან სოფელში 2002 წელს ცხოვრობდა საშუალოდ 16,9 კაცი, ხოლო 2014 წელს - 17,7 მცხოვრები.

მთლიანად 2002 წელს საქართველოში აღირიცხა 321 პატარა სოფელი, რომელშიც ცხოვრობდა 3 689 კაცი, ე. ი. საშუალოდ სოფელში - 11,5 კაცი. 2014 წელს აღირიცხა 476 პატარა სოფელი 5 103 მცხოვრებით, ე.ი. საშუალოდ 10,7 მცხოვრებით ერთ სოფელში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 2014 წელს შინამეურნეობის საშუალო სიდიდე ტოლი იყო 3,4-ის, მაშინ აღმოჩნდება, რომ ყველაზე „დიდი“ 25-კაციან სოფელში საშუალოდ არსებობდა 7,4 შინამეურნეობა, ხოლო საშუალოდ პატარა სოფელში - 3 შინამეურნეობა. ცხადია, რომ ასეთ სოფლებს პერსპექტივა არა აქვთ, რადგან ბუნებრივი გამრავლების გზით ისინი არსებობას ვერ შეინარჩუნებენ და მომავალში გაუკაცრიელებული სოფლების სიაში აღმოჩნდებიან.

რეგიონების და პატარა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა 2002-2014 წლებში მნიშვნელოვნად მცირდება (იხ. ცხრილი 13):

### ცხრილი 13

#### სოფლების საშუალო ხალხმრავლობა საქართველოში 2002-2014 წლები (მცხოვრები)<sup>1</sup>

	საქართველო		პატარა სოფლები	
	2002	2014	2002	2014
საქართველო, სულ	569	438	11,5	10,7

<sup>1</sup> ცხრილი გაანგარიშებულია მე-10 და მე-11 ცხრილებზე დაყრდნობით.

აჭარა	629	463	-	10,1
გურია	569	437	-	17,2
იმერეთი	691	514	14,4	13,3
კახეთი	1151	742	13,4	8,6
მცხეთა-მთიანეთი	165	153	10,0	10,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	166	100	13,3	11,6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	580	383	13,2	11,3
სამცხე-ჯავახეთი	551	409	13,0	7,8
ქვემო ქართლი	893	695	15,4	10,8
შიდა ქართლი	513	424	13,1	9,7
სულ ქართლი	693	556	14,0	10,1

ორ აღწერას შორის პერიოდში შემცირდა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა როგორც საქართველოში, ისე მის ყველა რეგიონში. ყველაზე ხალხმრავალი სოფლებია კახეთში, ყველაზე პატარა სოფლები რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში.

იმავედროულად, 2002-2014 წლებში პატარა სოფლების რიცხვი 321-დან გაიზარდა 476-მდე. ყველაზე მეტი პატარა სოფელი 2014 წელს აღირიცხა მცხეთა-მთიანეთში - 186, ყველაზე ნაკლები - 5, გურიაში და სამცხე-ჯავახეთში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აჭარაში 2002 წელს იყო 1 პატარა სოფელი, 2014 წელს - უკვე 10, ხოლო გურიაში შესაბამისად - 2 და 5. პატარა სოფლების რიცხვის ზრდის პარალელურად როგორც საქართველოში, ისე რეგიონებში მცირდება პატარა სოფლების საშუალო ხალხმრავლობა.

საქართველოს მოსახლეობის აღწერებში, პატარა სოფლების შემდეგ, სოფლები ჯგუფდება მოსახლეობის შემდეგი რიცხოვნობის მიხედვით: 26-50; 51-100; 101-200; 201-500; 501- 1000; 1001-2000; 2001-3000; 3001-5000; 5000 და მეტი მცხოვრები.

#### 2.6.4. დიდი სოფლები

საქართველოში დიდ სოფლებად ითვლება სოფლები, სადაც 5 000-ზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. 1926 წლის აღწერით, საქართველოში იყო 2 დიდი სოფელი, 1959 წელს - 12, 1989 წელს - 21, 1970 წელს - 15. 2002 წელს - 28 და 2014 წელს 12. უკანასკნელ ორ აღწერას შორის გაიზარდა იმ სოფლების რიცხვი, რომლებშიც 201 მცხოვრებამდეა და შემცირდა იმ სოფლების რიცხვი, რომლებშიც 201 და მეტი მცხოვრებია. ქვემოთ მოგვქვს შესაბამისი მონაცემები:

სოფლის მცხოვრები	2002 წ.	2014 წ.
201 - 500	900	893
501 - 1000	621	517
1001 - 2000	373	271
2001 - 3000	124	86
3001- 5000	64	45
5000 და მეტი	28	12

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად შემცირდა სოფლების რიცხვი 501-დან 2000 მცხოვრებამდე, მაგრამ ისეთი კლება, როგორც ღიდ სოფლებშია, არსად არ არის.

რეგიონების მიხედვით ღიდი სოფლები შემდეგნაირად განაწილდა:

	2002 წ.	2014 წ.
საქართველო	28	12
თბილისი	-	1
იმერეთი	3	2
კახეთი	8	-
მცხეთა-მთიანეთი	2	2
სამეგრელო ზემო-სვანეთი	3	-
სამცხე-ჯავახეთი	3	-
ქვემო ქართლი	11	5
შიდა ქართლი	1	2

მუნიციპალიტეტების მიხედვით, ღიდი სოფლების რიცხვი შემდეგნაირად ნაწილდება:

	2002 წ.	2014 წ.
<b>საქართველო</b>	28	12
<b>თბილისი</b>	-	1
<b>იმერეთი</b>	3	2
წყალტუბოს მ-ტი	3	2
<b>კახეთი</b>	8	-
ახმეტის მ-ტი	1	-
გურჯაანის მ-ტი	3	-
თელავის მ-ტი	1	-
საგარეჯოს მ-ტი	1	-
ყვარელის მ-ტი	2	-
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	2	2
მცხეთის მ-ტი	2	2
<b>სამეგრელო ზემო-სვანეთი</b>	3	-
ზეგლიდის მ-ტი	3	-
<b>ქვემო ქართლი</b>	11	5
ბოლნისის მ-ტი	2	1
გარდაბნის მ-ტი	6	2
მარნეულის მ-ტი	3	2
<b>შიდა ქართლი</b>	1	2
გორის მ-ტი	-	1
ქარელის მ-ტი	1	1

უნდა აღნიშნოთ, რომ 2002-2014 წლების აღწერებს შორის პერიოდში, თბილისის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოექცა სოფ. დილომი 7,5 ათასი მცხოვრებით (მოსახლეობის 2014 წლის აღწერით).

დასასრულს, ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიტანოთ XIX საუკუნის მონაცემები თბილისის გუბერნიის სოფლების რიცხვნობის და მათი ხალხმრავლობის შესახებ. ეს მონაცემები უნიკალურია, რამდენადაც შედგენილია 141 წლის წინ და ეკუთვნის 1880 წელს.<sup>1</sup>

ამ წყაროს თანახმად, მაზრების მიხედვით, თბილისის გუბერნიაში აღირიცხა 600-მდე სოფელი, რომელთაგანაც მხოლოდ ორში ცხოვრობდა 100-ზე ნაკლები მცხოვრები. ესენია თბილისის მაზრის სოფლები: ყარაიაზი 54 მცხოვრებით და ანთოკი 19 მცხოვრებით, მხოლოდ სამი სოფელია 200-ზე ნაკლები მცხოვრებით: ტურისციხე -159, ალავერდი -121 და მარნეული -175 მცხოვრები.

რამდენადაც 600 სოფლის დაჯგუფება სიდიდის და მოსახლეობის მიხედვით პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ დავითვალეთ მხოლოდ იმ დროისათვის, ჩვენი აზრით, მხოლოდ დიდი სოფლები, რომლებსაც მივაკუთვნეთ სოფლები 2 000 და მეტი მცხოვრებით. ასეთი სოფელი აღმოჩნდა 50 (სოფლების 8,3 %). ამ 50 სოფლიდან სიღნაღის მაზრაში იმყოფებოდა 12 სოფელი. სიღნაღის 12 სოფლიდან 3-ში ცხოვრობდა 2-დან 3 ათასამდე მცხოვრები, 7-ში - 3-დან 4 ათასამდე, ხოლო 2-ში - 4 ათასი და მეტი მცხოვრები. თბილისის გუბერნიაში სიღნაღის მაზრის გარდა სხვა მაზრებში იყო 3 სოფელი 4 ათასი და მეტი მცხოვრებით. ერთ-ერთ მაზრაში აღრიცხულ ორ სოფელში - ფარხალში და კელიარში ცხოვრობდა 7 ათასი მცხოვრები (შეიძლება ორი სახელი ერთ სოფელს ჰქონდა. ასეთი სოფლები დღესაც გვხვდება საქართველოში).

მოტანილი მონაცემების შემდეგ ძნელი არ უნდა იყოს მამინდელი და დღევანდელი სოფლების ხალხმრავლობის შედარება მათი დროში დაშორების გათვალისწინებით და შესაბამისი დასკვნების გაკეთება.

## 2.7. თბილისის მოსახლეობა

### 2.7.1. თბილისის მოსახლეობა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდამდე

ისტორიული თბილისის მოსახლეობის რიცხვნობის შესახებ არის რიგი არაპირდაპირი, ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მონაცემები, როგორცაა მაგალითად ის, რომ 853 წელს, ბულა-თურქის ლაშქრობის დროს თბილისში ამოწყვეტეს 50 ათასი, ხოლო ჯალალედინის ლაშქრობის დროს 100 ათასი მცხოვრები (1226 წ.) და ა. შ.

მეცნიერული მიდგომა მოითხოვს და უმჯობესია დავეყრდნოთ არა ისტორიულ, არამედ სტატისტიკურ წყაროებს, თუნდაც გარკვეულად არასრულს. ეს უკანასკნელი შეეხება XIX საუკუნემდე სტატისტიკურ ინფორმაციას.

პირველი სტატისტიკური მონაცემი თბილისის მოსახლეობის რიცხვნობის შესახებ ეყრდნობა ქართლ-კახეთის მოსახლეობის რიცხვნობის 1770 წლის 5 აპრილს შედგენილ ნუსხას. მოცემული წყაროს მიხედვით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეადგენდა 761,0 ათასს, მათ შორის ქალაქის - 37,4, ხოლო სოფლის - 723,6 ათასს. თბილისის მოსახლეობა განისაზღვრა 20,9 ათასით, რაც ქართლ-კახეთის მოსახლეობის 2,7 და ქალაქის მოსახლეობის 56,0%-ს შეადგენს.<sup>2</sup>

1800 წლისთვის ვ. ჯაოშვილი თბილისის მოსახლეობას ვარაუდობს 15,4 ათასს, ხოლო ა. თოთაძე 1803 წელს - 15,6 ათასს. უკანასკნელი მონაცემები დაფიქსირებულია 1803 წლის თბილისის მოსახლეობის აღწერით.<sup>3</sup> ზოგიერთი მონაცემით, 1820-იან წლებში 1800-იან წლებთან შედარებით, თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 20 ათას მცხოვრებამდე, ხოლო 1832

<sup>1</sup> Сборник сведений о кавказе. Т. IX, тифлис, 1985, с. 413-437.

<sup>2</sup> ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996 წ., გვ. 31.

<sup>3</sup> ა. თოთაძე. თბილისის მოსახლეობა. თბ. 2017 წ., გვ. 27.

წელს მიაღწია 25,9 ათასს.<sup>1</sup> 1832 წლის თბილისის მოსახლეობის შესახებ განსხვავებულ მონაცემებს იძლევა კ. ანთაძე, რომლის მიხედვითაც 1832 წელს თბილისის მოსახლეობა 30,0 ათასით განისაზღვრებოდა.<sup>2</sup>

ამგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-იან წლებში მერყეობდა 15-16 ათასის ფარგლებში, ხოლო 1832 წლისთვის 26-30 ათასის ფარგლებში. შესაბამისად, XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 11-14 ათასით. თუ გავასაშუალებთ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-1803 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 15,5 ათასი, 1832 წელს - 28 ათასი, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური მატება 1800-1832 წლებში 12,5 ათასი.

თბილისის მოსახლეობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები გვაქვს XIX საუკუნის შუა პერიოდში, თუმცა როგორც ამ საუკუნის პირველ მესამედში, ისე მომდევნო პერიოდში, ყველა მკვლევარი ეყრდნობოდა ერთსა და იმავე წყაროს, მოსახლეობის აღწერის მასალებს.

შემდგომი მონაცემები ქ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ გავაჩნია 1864 და 1865 წლებისთვის. 1864 წლის ზამთარში (იანვარში) და 1865 წლის ზაფხულში თბილისში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელთა მიხედვითაც თბილისის მოსახლეობამ 60,1 და 71,1 ათასი შეადგინა.<sup>3</sup> როგორც წესი, თბილისის მოსახლეობა ზაფხულში სამუშაოდ ჩამოსულების შედეგად მეტი იყო, ვიდრე ზამთარში, რითაც უნდა ავხსნათ ერთ წელიწადში (1864-1865) თბილისის მოსახლეობის საკმაოდ მაღალი (11 ათასი მცხოვრები) მატება. ამავე, 1864 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობით თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობას ცნობილი ქართველი დემოგრაფი, პროფესორი ა. თოთაძე განსაზღვრავს 66.9 ათასით.<sup>4</sup> 1873 წლისთვის კ. ანთაძე თბილისის მოსახლეობას აფასებს 71,3 ათასით.<sup>5</sup>

თბილისში 1876 წლის 25 მარტს ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელიც გამოირჩეოდა აღწერის მონაცემების დიდი საიმედოობით და ჩატარდა განსაკუთრებით სრულყოფილად და ორგანიზებულად. 1876 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ა. თოთაძე თბილისის მოსახლეობას განსაზღვრავს 104 ათასით, რომელთაგან ქართველი იყო 21,3%, სომეხი - 36,2%, რუსი - 29,6%, დანარჩენი - 12,9%.<sup>6</sup>

ქართველები საქართველოს დელაქალაქში მცხოვრებ ეროვნებებს შორის უმცირესობას წარმოადგენდნენ. თვით 1959 წლის აღწერით, ქართველი იყო თბილისის მოსახლეობის 48,4%, ხოლო 1970 წელს მიაღწია - 57,5%. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1959 წელს თბილისში ცხოვრობდა 336,3 ათასი, ხოლო 1970 წელს - 511,4 ათასი ქართველი, ქართველების საშუალოწლიური მატება 1959-1970 წლებში ტოლი იქნება 15,9 ათასის, ხოლო ქართველების რიცხოვნობა წლების მიხედვით - 1960 წელს - 352,2 ათასის, 1961 წელს - 368,1 ათასის. ამავე, 1961 წელს თბილისის მოსახლეობამ 732,3 ათასი შეადგინა. შესაბამისად მივიღეთ, რომ 1961 წელს ქართველები შეადგენდნენ თბილისის მოსახლეობის 50,3%-ს. 1961 წელი არის ის წყალგამყოფი თბილისის დემოგრაფიულ ისტორიაში, როდესაც ქართველები გახდნენ თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.

დაუბრუნდეთ თბილისის დემოგრაფიულ ისტორიას 1876 წელის შემდეგ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის შედარებით სანდო წყაროა საქართველოს მოსახლეობის 1886 წლის აღწერა, რომელიც ცნობილია „სოჯახო სიების“ სახელწოდებით. სოჯახო სიების შედგენას თავისი ისტორია აქვს. რუსეთის იმპერიის გადაწყვეტილებით, ოსმალეთის იმპერიასთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, მისი მოსაზღვრე ამიერკავკასიის ტერიტორიები განთავისუფლებულნი იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან (რეკრუტიციან), რათა ამ უკანასკნელს ადგილობრივ მოსახლეობასთან არ გაემწვავებინა ურთიერთობა. 1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც საქართველოს (იმავდროულად რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული მიწები: აჭარა, შავშეთი,

<sup>1</sup> ვ. ჯაოშვილი. იქვე, გვ. 73.

<sup>2</sup> კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 173.

<sup>3</sup> კ. ანთაძე, გვ. 39, ვ. ჯაოშვილი. გვ. 112.

<sup>4</sup> ა. თოთაძე, გვ. 27.

<sup>5</sup> კ. ანთაძე, გვ. 173.

<sup>6</sup> ა. თოთაძე, გვ. 29.

კლარჯეთი, იმერხევი, კოლხარტაანი (ბოლშევიკურმა რუსეთმა XX საუკუნის 20-იან წლებში „კეთილშობილური საქციელით“ ამ მიწების უდიდეს ნაწილი უკან დაუბრუნდა თურქეთს და ახლაც თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება).

რუსეთის იმპერიის 1886 წლის 26 მაისის კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახური გავრცელდა ამიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რასაც პროტესტის ნიშნად ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლები მოჰყვა.

1886 წლის 26 მაისის კანონის გამოქვეყნებამდე სამი თვით ადრე, 1886 წლის 24 თებერვალს, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიების შედგენა, რათა ეს სიები გამოქვეყნებულიყო სამხედრო ვალდებულებების კანონის განსახორციელებლად და გადასახადების გაწერის მოსაწესრიგებლად. 1886 წლის აპრილში შემუშავებული ფორმის მიხედვით იმავე წლის მაისიდან ლეკემბრის მიწურულამდე შედგა ამიერკავკასიის და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. თბილისის მოსახლეობა 1886 წელს განისაზღვრა 180,2 ათასით.<sup>1</sup> იმავე წელს თბილისის მოსახლეობა ვ. ჯაოშვილის მიერ განისაზღვრა 144,8 ათასით.<sup>2</sup> ეს ორი განსხვავებული შეფასება ეყრდნობა ერთსა და იმავე წყაროს.<sup>3</sup>

სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის შემდეგ, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა გვაქვს შესაბამისი აღწერებით, კერძოდ:

1897 წ. – 159,6 ათასი;

1922 წ. – 234,0 ათასი;

1926 წ. – 294,0 ათასი;

1939 წ. – 519,2 ათასი;

1959 წ. – 703,0 ათასი;

1970 წ. – 889,0 ათასი;

1979 წ. – 1066,0 ათასი;

1989 წ. – 1246,9 ათასი.

თბილისის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა 1975 წელს, როდესაც მისი მოსახლეობა გახდა 1003,8 ათასი. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1950 წლიდან მონაცემები თბილისის მოსახლეობის შესახებ გვაქვს ყოველწლიურად. ასევე გვაქვს მონაცემები მისი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თბილისის მოსახლეობის ზრდაში ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის როლი.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული, ახალი რეალობა, რომელიც აისახა თბილისის მოსახლეობაზე და საჭიროებს ცალკე განხილვას, რაც მომდევნო საკითხშია წარმოდგენილი.

## 2.7.2. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

ფაქტობრივად, პოსტსაბჭოთა საქართველოს ისტორია იწყება საბჭოთა (რუსეთის) იმპერიის მიერ თბილისში 1889 წლის 9 აპრილს მომიტინგეთა დარბევისას გამართული ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, რასაც მალევე მოჰყვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია აისახება როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის კლებაში.

<sup>1</sup> კ. ანთაძე, საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973, გვ. 35.

<sup>2</sup> ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996, გვ. 112.

<sup>3</sup> Свод статистических данных о населении закавказского края, извлечённых списков 1886 г. Тифлис, 1893; სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია. ნაკვეთი 2. თბ., 1923, გვ. 4.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა განსხვავდება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკისაგან. საქართველოს მოსახლეობა შემცირებას იწყებს 1993 წლიდან, თბილისის - 1995 წლიდან. უფრო მეტი, 1989 – 1994 წლებში თბილისის მოსახლეობა 1246,9 ათასიდან გაიზარდა 1250,7 ათასამდე. ხოლო, 1995 წლისათვის შემცირდა 1205,2 ათასამდე, ე.ი. 45,5 ათასით. 1995 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში თბილისის მოსახლეობა კლებას განიცდის, ხოლო 2005 წლიდან - მატებას. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დინამიკა 5-წლიანი ინტერვალებით, მოსახლეობის მატების კომპონენტებით მოტანილია ქვემოთ ცხრილში.

**ცხრილი 14**

**თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 1995 – 2020 წლებში<sup>1</sup>**  
(ათასი)

	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	მატება პერიოდში + -	მათ შორის	
			ბუნებრივი მატება + -	მიგრაციული მატება + -
1995	1205,3	-	-	-
2000	1072,8	-132,5	-1,44	-131,06
2005	1067,2	-5,6	7,08	-12,68
2010	1100,0	32,8	12,21	20,59
2015	1115,7	15,7	21,16	-5,46
2020	1184,8	69,1	19,63	49,47
1995-2020	-	-20,5	58,64	-79,14

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1995 – 2020 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 14,3%-ით მაშინ, როდესაც ქვეყნის მთელი მოსახლეობა - 21,6%-ით. მოცემულ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის შემცირების უდიდესი ნაწილი მოდის სოფლის მოსახლეობაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში შემცირდა 30,2%-ით. თუ მოტანილ შეფარდებით სტატისტიკურ მაჩვენებლებს გადავიტანთ აბსოლუტურში, მივიღებთ, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1026,3 ათასით, მათ შორის: ქალაქის მოსახლეობის შემცირებაზე მოდის - 367,3 ათასი, ე.ი. 35,8%, ხოლო სოფლის მოსახლეობის შემცირებაზე - 658,0 ათასი, ე.ი. 64,2%.

თბილისი თავისი პრივილეგირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. მართალია, თბილისის მოსახლეობის საკმაო ნაწილმა საზღვარგარეთს მიაშურა ლუკმა-პურის საძიებლად, მაგრამ თბილისი გარკვეულად შეივსო აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის მიერ მოწყობილი ეთნოკონფლიქტების შედეგად დევნილი მოსახლეობით, ასევე საქართველოს სოფლებიდან და ქალაქებიდან თბილისში ჩამოსულებით, რომლებიც დედაქალაქში ეძებდნენ საარსებო საშუალებას. შედეგად, თბილისის მოსახლეობა 1995-2020 წლებში 1205,2 ათასიდან შემცირდა 1184,8 ათასამდე, ე.ი. მხოლოდ 20,4 ათასით (1,7%-ით). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2020 წლისთვის თბილისის მუნიციპალიტეტში შემაჯავლი სასოფლო დასახლებები ითვლიდა 30,5 ათას მცხოვრებს, მაშინ საკუთრივ თბილისის მოსახლეობა ტოლი იქნება 1154,3 ათასის და არა 1184,8 ათასის (1184,8-30,5). მაშინ მივიღებთ, რომ 1995 – 2020 წლებში

<sup>1</sup> ცხრილი განგარიშებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე.

საკუთრივ თბილისის მოსახლეობა შემცირებულა 50,9 ათასით (1205,2 – 1154,3) და არა 20,4 ათასით (1205,2 – 1184,8). შესაბამისად, შემცირება პროცენტულად იქნება 4,2% და არა 1,7%. ნებისმიერ შემთხვევაში, თბილისის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებადაა შემცირებული.

განხილულ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორცაა ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი, განსაკუთრებით ქუთაისი. ქუთაისის მოსახლეობა 1995 – 2020 წლებში შემცირდა 227,9-დან 169,1 ათასამდე, ე.ი. 25,8%-ით, მაშინ, როდესაც რუსთავის მოსახლეობა შემცირდა 155,5-დან 135,2 ათასამდე, ე.ი. 13,0%-ით, ხოლო ბათუმის მოსახლეობა 144,8 ათასიდან 128,7 ათასამდე, ე.ი. 11,0%-ით.

ჩვენ მიმოვიხილეთ საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი რეგიონული დიფერენციაცია 220 წლის განმავლობაში, 1800-დან 2020 წლის ჩათვლით. განხილული პერიოდი, რომელიც ორ საუკუნეზე მეტს მოიცავს, სხვადასხვა ეპოქებისგან შედგება, რომელიც განაპირობებს სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებულ რეგიონალიზაციას და შესაბამის სტატისტიკურ ინფორმაციას, რომელიც განსხვავდება ეპოქების მიხედვით, პირველ რიგში, მათი საიმედოობის თვალსაზრისით, რაც განაპირობებს ხშირ შემთხვევაში გაანგარიშებული, შეფასებითი მაჩვენებლების გამოყენებას.



## 2.8. ტესტები

- 1. XIX საუკუნეში საქართველოს ადმინისტრაციული ერთეულია:**  
ა) მაზრა; ბ) გუბერნია; გ) ალაბ; დ) სოფელი.
- 2. XIX საუკუნეში აფხაზეთის მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი შემცირების მიზეზია:**  
ა) შობადობის შემცირება; ბ) მუჰაჯირობა;  
გ) მოკვდაობის ზრდა; დ) ყველა პასუხი სწორია.
- 3. XIX საუკუნის საქართველოში მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე სწრაფი ზრდით სასიათღებოდნენ:**  
ა) სომხები; ბ) რუსები; გ) ქართველები; დ) ოსები.
- 4. 1800-1832 წლებში საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო:**  
ა) იმერეთი; ბ) სამეგრელო და ლეჩხუმი; გ) გურია; დ) ქართლ-კახეთი.
- 5. 1800-1832 წლებში საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მცირერიცხოვანი იყო:**  
ა) სვანეთი; ბ) რაჭა; გ) გურია; დ) ქართლ-კახეთი.
- 6. 1800-1832 წლებში საქართველოს რეგიონებიდან მოსახლეობის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით სასიათღებოდა:**  
ა) სვანეთი; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) აჭარა.
- 7. 1800-1832 წლებში საქართველოს რეგიონებიდან მოსახლეობის ყველაზე დაბალი ზრდის ტემპით სასიათღებოდა:**  
ა) სვანეთი; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) ქართლ-კახეთი.
- 8. 1865-1897 წლებში საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო:**  
ა) გურია; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) ქართლ-კახეთი.
- 9. 1865-1897 წლებში საქართველოს რეგიონებიდან ყველაზე მცირერიცხოვანი იყო:**  
ა) გურია; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) აფხაზეთი.
- 10. 1865-1897 წლებში საქართველოში მოსახლეობის ყველაზე მაღალი ზრდის ტემპებით სასიათღებოდა:**  
ა) აჭარა; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) ქართლ-კახეთი.
- 11. 1865-1897 წლებში საქართველოში მოსახლეობის ყველაზე დაბალი ზრდის ტემპებით სასიათღებოდა:**  
ა) აფხაზეთი; ბ) რაჭა; გ) მესხეთ-ჯავახეთი; დ) ქართლ-კახეთი.
- 12. სამხრეთ კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით საქართველო პირველ ადგილზე იყო:**  
ა) 1966 წლამდე; ბ) 1965 წლამდე; გ) 1968 წლამდე; დ) 1970 წლამდე.

13. საბჭოთა იმპერია საქართველოს დემოგრაფიულ ანექსიას ახდენდა:
- ა) ინდუსტრიული ზაციისთვის დახმარების საფარქვეშ;
  - ბ) მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდის მიზნით;
  - გ) ეკონომიკური განვითარების დასაჩქარებლად;
  - დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
14. ქართველების ხვედრითი წილი საქართველოს ისტორიაში ყველაზე დაბალი იყო:
- ა) მოსახლეობის 1939 წლის აღწერით;
  - ბ) მოსახლეობის 1959 წლის აღწერით;
  - გ) მოსახლეობის 1926 წლის აღწერით;
  - დ) მოსახლეობის 1970 წლის აღწერით.
15. საქართველოს მოსახლეობა უაყოფიითი მიგრაციული მატებით ხასიათდება:
- ა) 1950-იანი წლების შემდეგ;
  - ბ) 1980-იანი წლების შემდეგ;
  - გ) 1990-იანი წლების შემდეგ;
  - დ) 2000-იანი წლების შემდეგ.
16. დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით რეგიონების მიხედვით პირველ ადგილზეა:
- ა) აფხაზეთი;
  - ბ) იმერეთი;
  - გ) მესხეთ-ჯავახეთი;
  - დ) ქართლ-კახეთი.
17. დღეისათვის მოსახლეობის რიცხოვნობით რეგიონების მიხედვით ბოლო ადგილზეა:
- ა) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი;
  - ბ) იმერეთი;
  - გ) გურია;
  - დ) აფხაზეთი.
18. დღეისათვის საქართველოში ქართველების ხვედრი წილია:
- ა) 86 %;
  - ბ) 84 %;
  - გ) 83 %;
  - დ) 90 %.
19. თბილისში ქართველების ხვედრითმა წილმა ნახევარს გადაამეტა:
- ა) 1975 წელს;
  - ბ) 1970 წელს;
  - გ) 1961 წელს;
  - დ) 2002 წელს.
20. ქალაქის მოსახლეობის ყველაზე მაღალი დონით ხასიათდება:
- ა) აჭარა;
  - ბ) ქვემო ქართლი;
  - გ) კახეთი;
  - დ) სამეგრელო.
21. საქართველოს რეგიონებიდან ტერიტორიით ყველაზე დიდია:
- ა) აფხაზეთი;
  - ბ) იმერეთი;
  - გ) მესხეთ-ჯავახეთი;
  - დ) კახეთი.
22. საქართველოში ნასოფლარების რიცხვია:
- ა) 1098;
  - ბ) 1100;
  - გ) 990;
  - დ) 1205.
23. საქართველოში გაუკაცრიელებული სოფლების რიცხვია:
- ა) 225;
  - ბ) 310;
  - გ) 223;
  - დ) 281.
24. საქართველოში აღრიცხულია დიდი სოფლები:
- ა) 28;
  - ბ) 18;
  - გ) 12;
  - დ) 10.

25. 1966 წელს სამხრეთ კავკასიაში საქართველოს მოსახლეობას რიცხოვნობით გაუსწრო:

- ა) თურქეთმა;    ბ) სომხეთმა;    გ) აზერბაიჯანმა;    დ) ა და ბ.

26. მეორე მსოფლიო ომის დროს მესხეთის მოსახლეობის ნაწილი გადაასახლეს შუა აზიაში. ისინი ისტორიაში შევიდნენ სახელწოდებით:

- ა) „თურქი მესხები“;                      ბ) „მესხები“;  
გ) „ქართველი მესხები“;                დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

27. საქართველოს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ჰყავდა:

- ა) 3,7 მლნ მცხოვრები;                    ბ) 2,3 მლნ მცხოვრები;  
გ) 3,1 მლნ მცხოვრები;                    დ) 2,5 მლნ მცხოვრები.

28. მოსახლეობის საერთო მატება (კლება):

- ა) მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის სხვაობის ტოლია;  
ბ) მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის ნამრავლის ტოლია;  
გ) მოსახლეობის ბუნებრივი და მიგრაციული მატებების ჯამის ტოლია;  
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

29. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მოსახლეობის რიცხოვნობა გაიზარდა:

- ა) გურიაში;                                    ბ) აფხაზეთში;  
გ) აჭარაში;                                    დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

### თემა 3. ქვეყნის რეგიონების მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები

#### საღებულო საკითხები

- 3.1. შესავალი
- 3.2. მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით
- 3.3. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით
- 3.4. მოსახლეობის დაბერება და მისი სტატისტიკური შესწავლა რეგიონების მიხედვით
- 3.5. ტესტები

#### 3.1. შესავალი

მოსახლეობაში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესების ანალიზისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის შესწავლას. მოსახლეობის რაოდენობაზე, შემადგენლობასა და დინამიკაზე დამოკიდებული როგორც შრომითი რესურსების მოცულობა, ასევე წარმოებულ მატერიალურ ღირებულებასა და მომსახურებაზე მოთხოვნის ოდენობა, რადგანაც საზოგადოების განვითარება წარმოუდგენელია სამეურნეო საქმიანობის გარეშე, რომელზეც დიდ გავლენას ახდენს მოსახლეობის შემადგენლობა და მისი დინამიკა, ამიტომ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში მოსახლეობისა და მასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მოსახლეობას და მის განვითარებას შეისწავლის სხვადასხვა საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერება, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია მოსახლეობის სტატისტიკას. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, მისი შესწავლის ობიექტია მოსახლეობა, უფრო კონკრეტულად კი, მოსახლეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების სტრუქტურა, დინამიკა და განვითარების ტენდენციები. მოსახლეობის განვითარების პროცესის ხასიათი, ტემპები და თავისებურებანი თავის თავში გულისხმობს მოსახლეობის შემადგენლობის, რაოდენობრივ და თვისებრივ განახლებასა და განვითარებას სქესისა და ასაკის, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფებისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლა არა მხოლოდ მოსახლეობის სტატისტიკის, არამედ ბევრი სხვა მეცნიერული დისციპლინისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს. მაგალითად, მისი განვითარების კანონზომიერებათა ცოდნის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის, სოციოლოგიის და სხვათა საკითხების განხილვა. შეუძლებელია, ასევე, სწორად და დროულად დაიგეგმოს საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საბავშვო ბაღებისა და სხვათა მშენებლობა, შემუშავდეს შრომითი რესურსების მოცულობისა და ბევრი სხვა სოციალური მოვლენის პროგნოზი.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, ერთი მხრივ, ასახავს წარსულში მოსახლეობის კვლავწარმოების რეჟიმის ევოლუციას, ხოლო მეორე მხრივ კი გვეკვლინება მოსახლეობის მომავალი განვითარების დამოუკიდებელ კომპონენტ-

ტად, რომელიც დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალური და ეკონომიკური შემადგენლობის ფორმირებაზე და განაპირობებს მისი შესწავლის განსაკუთრებულ აქტუალობასაც.

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვით.

### 3.2. მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

მოსახლეობის მრავალმხრივი სტრუქტურა პირობითად შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ბუნებრივი, ანუ ბიოლოგიური, ხოლო მეორეს კი - სოციალური ხასიათის ფაქტორებით განპირობებული, მოსახლეობის მახასიათებელი ნიშნები. ამ დაჯგუფების მიხედვით, პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: სქესობრივი, ასაკობრივი, რასობრივი და სხვა ნიშნების მიხედვით დანაწილებული მოსახლეობა, ხოლო მეორეს კი - კლასობრივი, პროფესიული, სოციალურ-ეკონომიკური, ოჯახური და სხვა ნიშნების მიხედვით დიფერენცირებული მოსახლეობა.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლის დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება მოსახლეობის სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნის მიხედვით შესწავლას.

უნდა აღინიშნოს, რომ სქესის მიხედვით დაჯგუფება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თუ იგი სხვა ნიშნებთან ერთად არის კომბინირებული. სხვადასხვა დემოგრაფიული პროცესის ანალიზისას, ნიშანთა ასეთი დაჯგუფება სქესის გავლენის როლის განსაზღვრის საშუალებას იძლევა.

სქესობრივი სტრუქტურის შესწავლისათვის მოსახლეობის სტატისტიკა იყენებს აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებს. აბსოლუტურ მაჩვენებლებს მიეკუთვნება: მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობა, ქალების მამაკაცებზე აბსოლუტური მეტობა, რომელიც გამოითვლება ქალებსა და მამაკაცებს შორის სხვაობით.

საქართველოში 2014 წელს ქვეყნის მასშტაბით ქალთა აბსოლუტურმა მეტობამ 168076 შეადგინა, რომელიც 1989 წლის მაჩვენებელზე (276761) 108685-ით, ხოლო 2002 წლის მონაცემზე (248029) 79953-ით შემცირდა (იხ. ცხრილი 1). ქალაქის მოსახლეობის მიხედვით ქალთა აბსოლუტურმა მეტობამ 2014 წელს 160653 შეადგინა, მაშინ როცა 1989 წელს 189266, ხოლო 2002 წელს 187610 იყო. ეს იმაზე მიუთითებს რომ ქალაქის მოსახლეობაში 1989 წლის შემდეგ ქალთა აბსოლუტური მეტობის მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება და 2014 წელს 28613-ით შემცირდა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, ადგილზე პერიოდში აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელს 7423 იყო, 1989 და 2002 წლებში, შესაბამისად, 87495 და 60419. აქ კიდევ უფრო მკვეთრად ჩანს სქესობრივი სტრუქტურის მაჩვენებლის ცვლილება, 1989 წლიდან 2014 წლამდე 80072-ით შემცირდა (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დინამიკა 1989, 2002 და 2014 წლის საყოველთაო აღწერების მიხედვით

აღწერის წლები	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
1989	5400841	2562040	2838801
2002	4371535	2061753	2309782
2014	3713804	1772864	1940940

ანალოგიურად გამოითვლება მამაკაცების ქალებზე აბსოლუტური მეტობა.

საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა  
1989, 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით

აღწერის წლები	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
1989	2991352	1401043	1590309	2409489	1160997	1248492
2002	2284796	1048593	1236203	2086739	1013160	1073579
2014	2122623	980985	1141638	1591181	791879	799302

თუ განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას ქვეყნის რეგიონების მიხედვით (ცხრილი 3), 2014 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, ვნახავთ, რომ ქალთა აბსოლუტური მეტობა, თუ თბილისს არ ჩავთვლით, ყველაზე მაღალია იმერეთის რეგიონში (16710), შემდეგ კი სამეგრელო-ზემო სვანეთსა (12621) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (8097), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში (921) თუ არ ჩავთვლით იმ გამონაკლისს, რომელსაც ადგილი აქვს მცხეთა-მთიანეთში, სადაც ქალთა აბსოლუტური მეტობა (-717) უარყოფითი ნიშნით გვაქვს, რაც ნიშნავს, რომ მამაკაცების აბსოლუტური მეტობაა და 717 შეადგენს.

საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით

რეგიონების დასახელება	მუდმივი მოსახლეობა			ქალთა აბსოლუტური მეტობა
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	
საქართველო, სულ	3713804	1772864	1940940	16807102937
ქ. თბილისი	1108717	502890	605827	8097
აჭარის ავტონ. რესპუბლიკა	333953	162928	171025	4030
გურია	113350	54660	58690	16710
იმერეთი	533906	258598	275308	6275
კახეთი	318583	156154	162429	-717
მცხეთა-მთიანეთი	94573	47645	46928	
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32089	15584	16505	921
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330761	159070	171691	12621
სამცხე-ჯავახეთი	160504	78521	81983	3462
ქვემო ქართლი	423986	208532	215454	6922
შიდა ქართლი	263382	128282	135100	6818

როგორც აღვნიშნეთ, მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის შესწავლა ხდება შეფარდებითი მაჩვენებლებით, რომელთაგან აღსანიშნავია სტრუქტურის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც გვიჩვენებს თითოეული სქესის მოსახლეობის სვედრით წილს მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში. საქართველოში 2014 წლის საყოველთაო აღწერით, ქვეყნის რეგიონების მიხედვით სქესობრივი შემადგენლობა მკვეთრად განსხვავებული არ არის, თუ არ ჩავთვლით იმ გარემოებას, რომ ყველა რეგიონისგან განსხვავებით, მცხეთა-მთიანეთში მამაკაცების სვედრითმა წილმა 50,4 % შეადგინა; ყველა დანარჩენ რეგიონში ქალების სვედრითი წილი მეტია მამაკაცების სვედრით წილზე. ქალების სვედრითი წილი ყველაზე მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთში (51,9%) და გურიაში (51,8%), ხოლო ყველაზე დაბალი სვედრითი წილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მცხეთა-მთიანეთის რეგიონშია, შემდეგ კი ქვემო ქართლსა (50,8%) და კახეთში (51,0%).

**ცხრილი 4**

**საქართველოს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ქვეყნის რეგიონების მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, %)**

რეგიონების დასახელება	მუდმივი მოსახლეობა		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო, სულ	100	47,7	52,3
ქ. თბილისი	100	45,4	54,6
აჭარის ავტონ. რესპუბლიკა	100	48,8	51,2
გურია	100	48,2	51,8
იმერეთი	100	48,4	51,6
კახეთი	100	49,0	51,0
მცხეთა-მთიანეთი	100	50,4	49,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	48,6	51,4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	48,1	51,9
სამცხე-ჯავახეთი	100	48,9	51,1
ქვემო ქართლი	100	49,2	50,8
შიდა ქართლი	100	48,7	51,3

თუ სქესობრივ სტრუქტურას რეგიონების ქალაქის მოსახლეობის მიხედვით განვიხილავთ, აქაც, ისევე როგორც რეგიონების მთლიან მოსახლეობაში, ყველა რეგიონში ქალების სვედრითი წილი მეტია მამაკაცების წილზე. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (თბილისის გამოკლებით) რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (53,9%) და სამეგრელო-ზემო სვანეთშია (53,6%), ხოლო ყველაზე დაბალი - ქვემო ქართლსა და მცხეთა-მთიანეთში (52,%) . რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას, აქ ადგილი აქვს რამდენიმე რეგიონში მამაკაცების სვედრითი წილის მეტობას. ყველაზე მაღალი

მამაკაცების სვედრითი წილია მცხეთა-მთიანეთში (51,1%), შემდეგ კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა (50,1%) და ქვემო ქართლში (50,1%), რაც შეეხება იმერეთს, აქ ორივე სქესის წილი თანაბარია. უნდა აღინიშნოს, რომ ქალების წილი ქალაქის მოსახლეობაში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლის მოსახლეობაში (ცხრილი 5).

**ცხრილი 5**

**საქართველოს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ქვეყნის რეგიონების მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, %)**

რეგიონების დასახელება	ქალაქის მოსახლეობა			სოფლის მოსახლეობა		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო, სულ	100	46,2	53,8	100	49,8	50,2
ქ. თბილისი	100	45,3	54,7	100	48,3	51,7
აჭარის ავტონ. რესპუბლიკა	100	47,7	52,3	100	50,1	49,9
გურია	100	46,6	53,4	100	48,8	51,2
იმერეთი	100	46,8	53,2	100	50	50
კახეთი	100	46,8	53,2	100	49,7	50,3
მცხეთა-მთიანეთი	100	48,0	52,0	100	51,1	48,9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	46,1	53,9	100	49,3	50,7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	46,4	53,6	100	49,2	50,8
სამცხე-ჯავახეთი	100	47,3	52,7	100	49,7	50,3
ქვემო ქართლი	100	48	52	100	50,1	49,9
შიდა ქართლი	100	47,1	52,9	100	49,8	51,2

მოსახლეობის სქესობრივი შემადგენლობის მიხედვით შესწავლისას, ასევე, მნიშვნელოვანია კოორდინაციის შეფარდებითი სიდიდის მაჩვენებელი (სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი), რომელიც გვიჩვენებს ყოველ 100 ან 1000 მამაკაცზე ქალების რიცხვს ან პირიქით ყოველ 100 ან 1000 ქალზე მამაკაცების რაოდენობას. საქართველოში 2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, თბილისის გამოკლებით, ყოველ 1000 მამაკაცზე ყველაზე მეტი ქალი დაფიქსირდა გურიის რეგიონში (1132), შემდეგ კი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1121) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (1120). 2014 წელს ეს მაჩვენებელი ყველა რეგიონში შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ამ წელსაც იგივე რაიონებში (სამეგრელო-ზემო სვანეთი (1079), გურია (1073), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (1059) დაფიქსირდა მაღალი მაჩვენებელი. ქალაქის მოსახლეობისათვის აღნიშნული მაჩვენებელი რეგიონების მიხედვით 2002 წელს ყველაზე მაღალი იყო გურიაში (1199), რომელიც 2014 წელს 1143-მდე შემცირდა, ყველაზე დაბალი კი ქვემო ქართლში (1100), რომელიც შემდეგი აღწერის მიხედვით 1084-მდე შემცირდა, ასეთივე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა მცხეთა-მთიანეთის რეგიონშიც.



მკვეთრი ცვლილებები განიცადა სოფლის მოსახლეობამ რეგიონების მიხედვით:

2002 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ყოველ 1000 მამაკაცზე ყველაზე ნაკლები ქალი დაფიქსირდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (1024), შემდეგ კი შიდა ქართლსა (1036) და ქვემო ქართლში (1040). 2014 წელს ყველა რეგიონში აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა: ამ წელს ყველაზე დაბალი მაჩვენებლით გამოირჩევა მცხეთა-მთიანეთი (957), მაშინ როცა 2002 წელს 1057-ს შეადგენდა. ასევე, მკვეთრად შემცირდა ქვემო ქართლსა (996) და აჭარაში (996), მაშინ როცა 2002 წელს, შესაბამისად, 1040 და 1024 შეადგენდა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ცვლილება ყველაზე მეტად აჭარასა და ქვემო ქართლში მოხდა.

**ცხრილი 6**

**საქართველოს მუდმივი მოსახლეობის სქესობრივი განაწილება ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ჭრილში  
(მოსახლეობის 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერებით)**

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულები	2002 წელი	2014 წელი
	ქალების რიცხვნობა ყოველ 1000 მამაკაცზე	ქალების რიცხვნობა ყოველ 1000 მამაკაცზე
საქართველო, სულ	1120	1094
ქალაქის	1179	1163
სოფლის	1060	1009
ქ. თბილისი	1214	1204
ქალაქის	1214	1208
სოფლის	-	1071
აჭარის ავტონ. რესპუბლიკა	1076	1049
ქალაქის	1145	1095
სოფლის	1024	996
გურია	1132	1073
ქალაქის	1199	1143
სოფლის	1109	1047
იმერეთი	1108	1064
ქალაქის	1166	1136
სოფლის	1060	1001
კახეთი	1088	1040
ქალაქის	1152	1137
სოფლის	1071	1013
მცხეთა-მთიანეთი	1077	984
ქალაქის	1137	1084
სოფლის	1057	957

რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1121	1059
ქალაქის	1190	1171
სოფლის	1106	1029
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1120	1079
ქალაქის	1158	1155
სოფლის	1097	1033
სამცხე-ჯავახეთი	1068	1044
ქალაქის	1125	1129
სოფლის	1042	1010
ქვემო ქართლი	1062	1033
ქალაქის	1100	1084
სოფლის	1040	996
შიდა ქართლი	1080	1053
ქალაქის	1161	1123
სოფლის	1036	1008

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ პრაქტიკაში იშვიათად გაიანგარიშება, თუ რამდენი მამაკაცი მოდის ყოველ 100 ან 1000 ქალზე.

სქესთა შორის არსებული რაოდენობრივი თანაფარდობის ანალიზისა და შეფასებისათვის მოსახლეობის სტატისტიკა-სა და დემოგრაფიაში გამოიყენება სხვადასხვაგვარი სკალები. მათგან ერთ-ერთი - მოსახლეობის სქესობრივი დისპროპორციის შესაფასებელი სკალა - მოცემულია გ. ს. კილდიშევის, ლ. ლ. კოზლოვისა და სხვათა ავტორობით მომზადებულ სახელმძღვანელოში, სადაც გამოყოფილია სქესთა შორის თანაფარდობის სამი ტიპი (იხ. ცხრილი 7).

## ცხრილი 7

### მოსახლეობის სქესობრივი დისპროპორციის შესაფასებელი სკალა<sup>1</sup>

ცალკეულ სქესთა ხვედრითი წილის მეტობის სიდიდე (%)	სქესობრივი სტრუქტურის ტიპები
0-1 პროცენტამდე	უმნიშვნელო დისპროპორცია
1-3 პროცენტამდე	საშუალო დისპროპორცია
3 პროცენტი და მეტი	მნიშვნელოვანი დისპროპორცია

<sup>1</sup> Статистика населения с основами демографии. М., «Финансы и статистика», 1990, с. 72.

მოცემული სკალის მიხედვით, საქართველოში 2014 წლის საყოველთაო აღწერით (ცხრილი 5) ქვეყანაში აღინიშნა სქესობრივი სტრუქტურის „მნიშვნელოვანი დისბრობორცია“ (4,6%). ანალოგიურად, „მნიშვნელოვანი დისბრობორცია“ ჰქონდა ადგილი ქალაქის მოსახლეობაში (7,6%). რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას, აქ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, რადგან გვაქვს „უმნიშვნელო დისბრობორცია“ (0,4%).

ამ სკალის მიხედვით, თუ საქართველოს რეგიონების მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის დისბრობორციას განვიხილავთ, ვნახავთ, რომ თბილისში (3,6%), იმერეთში (3,2%), გურიაში (3,6%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (3,8%) „მნიშვნელოვანი დისბრობორცია“ აქვს ადგილი, ხოლო ყველა სხვა რეგიონში ჩამოყალიბებულია სქესობრივი სტრუქტურის „საშუალო დისბრობორცია“. რაც შეეხება საქართველოს ცალკეული რეგიონის ქალაქის მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას, აღნიშნული აღწერის მიხედვით (იხ. ცხრილი 6), ყველა რეგიონში ფიქსირდება „მნიშვნელოვანი დისბრობორცია“, ხოლო ცალკეული რეგიონის სოფლის მოსახლეობაში შედარებით უკეთესი სქესობრივი სტრუქტურაა, რადგან მხოლოდ ქ. თბილისის რეგიონში არის „მნიშვნელოვანი დისბრობორცია“ (3,4%). გურიაში (2,4%), მცხეთა-მთიანეთში (2,2%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1,4%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (1,6%) „საშუალო დისბრობორცია“. „უმნიშვნელო დისბრობორცია“ აჭარაში (0,2%), იმერეთში (0%), კახეთში (0,6%), სამცხე-ჯავახეთში (0,6%), ქვემო ქართლში (0,2%) და შიდა ქართლში (0,4%).

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით გარკვეულ თავისებურებებს ამჟღავნებს, კერძოდ: ახალგაზრდა ასაკებში მამაკაცების რიცხვი სჭარბობს ქალებისას. შემდგომში მამაკაცების რიცხვი უთანაბრდება ან მცირედით ნაკლებია ქალების რიცხვზე, ხოლო გარკვეული ასაკის შემდეგ, ქალების რიცხვი მეტი ხდება მამაკაცებისა და ეს განსხვავება ასაკის ზრდასთან ერთად მკვეთრად იზრდება.

მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურა ყალიბდება შემდეგი ფაქტორების გავლენით:

**1. სქესთა პირველადი თანაფარდობა.** ვარაუდობენ, რომ 100 მდედრობითი სქესის ჩანასახზე მოდის 125-130 მამრობითი სქესის ჩანასახი.

**2. სქესთა მეორეული თანაფარდობა** - წარმოადგენს თანაფარდობას ცოცხლად დაბადებულებში. მამაკაცები ქალებთან შედარებით, დაახლოებით 5,0%-ით მეტი იბადება, ე. ი. თანაფარდობა დაახლოებით 105-106 დაბადებული ბიჭია 100 გოგონაზე. ცხადია, რომ სქესთა პირველადი თანაფარდობის (125-130/100-ზე) ასეთი შემცირება დაბადების გამომწვეულია მამრობითი სქესის ჩანასახების მაღალი მოკვდაობით მდედრობითთან შედარებით დაბადებამდე. სქესთა მეორეული თანაფარდობა განაპირობებს მამაკაცების მეტობას ახალგაზრდა ასაკებში.

აღნიშნული სქესთა მეორეული თანაფარდობა წარმოადგენს ნორმალურ დემოგრაფიულ მდგომარეობას. ანომალიურს წარმოადგენს მისგან შესამჩნევი გადახრა მეტობით ან ნაკლებობით. ასეთად ითვლება 104-ზე ნაკლები და 107-ზე მეტი დაბადებული ბიჭი 100 დაბადებულ გოგონაზე.

სქესთა მეორეული თანაფარდობა ყალიბდება რიგი ფაქტორების გავლენით. დადგენილია, რომ ბიჭების სვედრითი წილი ყველაზე მაღალია პირველ ბავშვებში, შემდეგ კი რიგითობის ზრდის კვალობაზე მცირდება. აღნიშნული ფაქტის უშუალო შედეგად ითვლება დიდი ომების შემდგომ დაბადებულებში მამრობითი სქესის ბავშვების სვედრითი წილის ზრდა, ვინაიდან ომების დამთავრების შემდეგ იქმნება მრავალი ახალი ოჯახი, რასაც მოსდევს დაბადებულებში პირველი ბავშვების სვედრითი წილის ზრდა.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის დაბალი დონის მქონე ქვეყნებში სქესთა მეორეული თანაფარდობის ზრდას უნდა ჰქონდეს ადგილი, რამდენადაც, შობადობის დონის შემცირების პირობებში, იზრდება პირველი ბავშვების

ხვედრითი წილი. შემჩნეულია სქესთა მეორეული თანაფარდობის დამოკიდებულება მშობლების ასაკთან. კერძოდ, მამის ასაკის ზრდასთან ერთად პროპორციულად მცირდება დაბადებულებში ბიჭების ხვედრითი წილი, ხოლო დედის ასაკის ზრდასთან ის ნაკლებად გამოხატული. გაეროს დემოგრაფიის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ აფრიკული და ნეგროიდული წარმოშობის ხალხებში სქესთა მეორეული თანაფარდობა 104-ზე დაბალი იყო, მაშინ, როდესაც მსოფლიოს მოსახლეობის 63 კვადრანტიდან 49-ში ის მერყეობდა 104 და 107-ს შორის. ვარაუდობენ, რომ ნეგროიდულ მოსახლეობაში სქესთა მეორეული თანაფარდობა შეიძლება დაკავშირებული იყოს გენეტიკურ მიზეზებთან.

გარკვეულწილად, სქესთა მეორეულ თანაფარდობაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სქესთა ადრეული დიანოსტიკის მასობრივმა გავრცელებამ ორსულობის პერიოდში. ვარაუდობენ, რომ ვინაიდან საქართველოში ბიჭს უფრო ანიჭებენ უპირატესობას გოგონასთან შედარებით, ორსულობას გოგონა შემთხვევაში ხელოვნური აბორტით წყვეტენ. ამ მხრივ შეიძლება გასაგები იყოს მესამე და შემდგომი რიგითობის დაბადებულებში სქესთა მეორეული თანაფარდობის მნიშვნელოვანი მატება. მაგრამ საეჭვოა აბორტების მასობრივი გავრცელება 40 წლის ასაკის შემთხვევაში და თანაც პირველი ორსულობისას<sup>1</sup>.

3. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია მოკვდაობა, მიგრაცია და ომები. აღნიშნული ფაქტორები აყალიბებენ სქესთა მესამეულ თანაფარდობას, ე.ი. თანაფარდობას მამაკაცებისა და ქალების რიცხოვნობას შორის დაბადების შემდგომ ასაკებში.

მოკვდაობა, როგორც მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი ფაქტორი, მდგომარეობს მამაკაცების და ქალების მოკვდაობის დონეთა და, შესაბამისად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის თანაფარდობაში. განვითარებულ ქვეყნებში, ისტორიულად მამაკაცების მოკვდაობა აღემატება ქალებისას. მამაკაცების „ზემოკვდაობას“ ადგილი აქვს დაბადების შემდეგ ყველა ასაკში, მაგრამ ის გაცილებით შესამჩნევია საშუალო და მაღალ ასაკებში. აღნიშნული მიზეზის გამო მამაკაცების მეტობა დაბადებულებში „ინახება“ 20-24 წლამდე, რომელიც შემდგომ ნაკლებობით იცვლება. ამასთან, რაც უფრო მაღალია ასაკი, მით ნაკლებია მამაკაცების რიცხვი. იმავროულად, მოკვდაობის დაბალი დონე ქალებში განაპირობებს მამაკაცებთან შედარებით სიცოცხლის მაღალ საშუალო ხანგრძლივობას, რაც სქესობრივი დისპროპორციის ფაქტორს წარმოადგენს.

მოსახლეობის მიგრაცია წარმოადგენს სქესობრივ სტრუქტურაზე მოქმედ ფაქტორს. თუ მიგრაციაში უპირატესად შედიან მამაკაცები ან ქალები, ამის შედეგად როგორც წასვლის, ისე მოსვლის ადგილზე დაირღვევა სქესობრივი სტრუქტურა. როგორც წესი, მამაკაცებში მიგრაციული აქტიურობა უფრო მაღალია, ამიტომ ინტენსიური ემიგრაციის ქვეყნებში ჭარბობს ქალების რიცხოვნობა.

ომები იწვევს მოსახლეობის მასობრივ განადგურებას, მაგრამ, ძირითადად, ილუპებიან მამაკაცები. ამის გამო ომში მონაწილე ქვეყნები მკვეთრად გამოხატული სქესობრივი დისპროპორციით გამოირჩევიან. მეორე მსოფლიო ომში მამაკაცების ყველაზე დიდი დანაკარგი განიცადა საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ. ამიტომ ომის შემდეგ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში არ შეინიშნებოდა მამაკაცების ისეთი დაბალი ხვედრითი წილი, როგორც საქართველოში.

აქამდე, მოსახლეობის სქესობრივ სტრუქტურას განვიხილავდით ცალკეული წლების მიხედვით, მთელ მოსახლეობაში. მოსახლეობა შედგება სხვადასხვა წლებში დაბადებული თაობებისაგან, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან რამდენიმე ათეული წლით და მოიცავენ 1, 10, 20, 50, 80, 85 და ა. შ. წლის ადამიანებს. ამასთან, თითოეულ თაობას ახასიათებს საკუთარი დემოგრაფიული ისტორია და დემოგრაფიული ბედი. სხვადასხვა თაობის ერთ მოსახლეობაში გაერთიანების საფუძველზე ჩატარებული დემოგრაფიული ანალიზი ცნობილია პირობითი თაობის მეთოდით, რამდენადაც სხვადასხვა თაობა ერთ მოსახლეობაში გაერთიანებულია პირობითად.

არსებობს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ანალიზის მეორე ხერხი, რომელიც ცნობილია რეალური თაობის მეთოდით. ეს მეთოდი გულისხმობს მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის ანალიზს რომელიმე კონკრეტულ თაობაში, შემდგომ ასაკებში გადასვლის კვალობაზე. უკანასკნელი ხერხით ანალიზი პრაქტიკულად არ გვხვდება, რადგან მოსახლეობის

<sup>1</sup> გ. მელაძე, გ. წულაძე, საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები, თბ., 1997, გვ. 75-76.

აღწერისა და მიმდინარე სტატისტიკის მასალები მუშავდება პირობითი მოსახლეობის მეთოდით, საკითხი რომ შევისწავლოთ რეალური მოსახლეობის მეთოდით, საჭიროა მონაცემების ქონა კონკრეტულ თაობებზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ასეთი სტატისტიკა კი არ გაგვაჩნია.<sup>1</sup>

### 3.3. მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლა როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონების მიხედვით. ასაკობრივი სტრუქტურის განმარტებულ მაჩვენებელთა შორის აღსანიშნავია მოსახლეობის საშუალო და მედიანური ასაკის მაჩვენებელი.

საშუალო ასაკი გაიანგარიშება საშუალო არითმეტიკულის ფორმულით:<sup>2</sup>

$$\bar{X} = \sum X \cdot S_x / \sum S_x$$

სადაც  $\bar{X}$  – არის საშუალო ასაკი;

$X$  - ასაკი (თუ გამოყოფილია 1-წლიანი ასაკობრივი ჯგუფები) ან ასაკობრივი

ინტერვალის საშუალო მნიშვნელობა (თუ გამოყოფილია 5-წლიანი და 10-წლიანი ასაკობრივი ჯგუფები);

$S_x$  – მოცემულ ასაკობრივ ჯგუფში მოსახლეობის რიცხოვნობა.

რაც შეეხება მედიანურ ასაკს, იგი გამოითვლება განაწილების ინტერვალური მწკრივის მედიანის გამოსათვლელი ფორმულით:

$$M_e = X_{me} + i_{me} \frac{\frac{1}{2} \sum f - S_{me-1}}{f_{me}}, \quad \text{სადაც}$$

$M_e$  არის მედიანური ასაკი;

$X_{me}$  - მინიმალური ასაკი მედიანურ ინტერვალში;

$i_{me}$  - მედიანური ინტერვალის სიდიდე;

$\sum f$  - მწკრივში სიხშირეთა ჯამი;

$S_{me-1}$  - მედიანურ ინტერვალამდე მოსახლეობის რიცხოვნობა;

<sup>1</sup> მ. ხმაღაძე, ლემოგრაფია. თბილისი, 2009. გვ. 136-138.

<sup>2</sup> Статистика населения с основами демографии. М., «Финансы и статистика», 1990, с. 75.

$f_{me}$  - მედიანური ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობა.

საქართველოში მოსახლეობის მედიანური ასაკი რეგიონების მიხედვით 1989, 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერების მიხედვით, ყველაზე მაღალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში იყო (42, 44,51 წ), შემდეგ კი გურია (33,40,43 წ) და კახეთის რეგიონში (32,38,41 წ), ხოლო ყველაზე დაბალი მედიანური ასაკი ქვემო ქართლსა (23,32,34 წ) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (25,30,34 წ) დაფიქსირდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუ 1989 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებით, ქართლში უფრო დაბალი იყო მედიანური ასაკი, ვიდრე აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 2002 წელს ადგილები გაცვალეს და ქვემო ქართლში უფრო მაღალი მედიანური ასაკი (32 წ) დაფიქსირდა. თუ მოცემულ მაჩვენებელს სქესის მიხედვით განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის ნებისმიერ რეგიონში ყოველთვის ქალების მედიანური ასაკი მეტია მამაკაცების შესაბამის მაჩვენებელზე და საერთოდ, 1989 წლის აღწერის შემდეგ სამივე საყოველთაო აღწერის მონაცემებით, მედიანური ასაკი მატების ტენდენციით ხასიათდება. ასე, მაგალითად, თუ საქართველოში 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, მედიანური ასაკი 30 წელი იყო, 2002 წელს 34 წ. გახდა, ხოლო 2014 წელს 37 წლამდე გაიზარდა. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება ყველა რეგიონისათვის მედიანური ასაკი აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მიმდინარეობს მოსახლეობის დაბერების პროცესი (ცხრილი 8).

**ცხრილი 8**

**საქართველოს მოსახლეობის მედიანური ასაკის დინამიკა ქვეყნის რეგიონების მიხედვით (1989, 2002, 2014 წწ)**

რეგიონების დასახელება	1989 წ			2002 წ			2014 წ		
	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი	სულ	კაცი	ქალი
საქართველო	30	27	32	34	32	37	37	34	40
ქ. თბილისი	30	28	32	32	27	36	35	32	37
აფხაზეთი	31	29	33	35	32	39	-	-	-
აჭ. ავტ. რესპ.	25	23	27	30	29	32	34	32	36
გურია	33	30	36	40	38	42	43	40	46
იმერეთი	32	30	34	37	35	39	41	38	44
კახეთი	32	29	34	38	36	40	41	37	44
მცხეთა-მთიანეთი	30	28	32	36	34	38	39	37	42
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	42	37	48	47	44	51	51	48	55
სამეგრელო-ზემო სვანეთი	32	29	34	36	33	38	42	38	45
სამცხე-ჯავახეთი	26	23	28	34	32	36	36	33	39

ქვემო ქართლი	23	22	25	32	29	35	34	31	36
შიდა ქართლი	29	27	32	36	35	37	39	36	41
ცხინვ. რეგ.	31	28	34	-	-	-	-	-	-

მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ შემადგენლობაზე თვალსაზრისით წარმოდგენას იძლევა გრაფიკული გამოსახვის ისეთი განმარტებული მეთოდი, როგორცაა „სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა“. ის საშუალებას გვაძლევს დავინახოთ არა მარტო ცალკეულ ასაკებში სქესთა შორის არსებული თანაფარდობანი, არამედ გვიჩვენებს იმ მიზეზების ანალიზსაც, რომლებიც ამა თუ იმ კონფიგურაციის პირამიდის ჩამოყალიბებას, ან დროთა განმავლობაში მისი კონფიგურაციის ცვლილებებს განსაზღვრავს. მისი აგების მეთოდი ასეთია: პორიზონტალურ ღერძზე აღინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობა, მარჯვნივ - ქალების, მარცხნივ კი მამაკაცების; ვერტიკალურ ღერძზე აღინიშნება ასაკი 5-წლიანი ან 10-წლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ცალკეული სწორკუთხედების ფართობი შეესაბამება განსაზღვრული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის რიცხოვნობას, ან ხვედრით წილს. ასაკის ზრდასთან ერთად სისტემატურად მცირდება მოსახლეობის რიცხოვნობა და გრაფიკი იღებს პირამიდის სახეს. სწორედ აქედან წარმოიშვა მისი სახელწოდებაც. წინააღმდეგობას არ იწვევს ის, რომ ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების რიცხოვნობა აღემატება უმცროსების რიცხოვნობას, ეს განპირობებულია შობადობისა და სიკვდილიანობის დონეებში განსხვავებით, ასევე ომების შემოქმედებით.

სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა ადვილად პროგნოზირების პროცესსაც. მისი საშუალებით შეიძლება როგორც სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილების შესწავლა (პირამიდების ერთმანეთზე დადების პრინციპით), ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში არსებული განსხვავებების დადგენაც.

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს შევქმნა სტატისტიკოს-დემოგრაფმა გ. ზუნდბერგმა შემოგვთავაზა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასასაიათებლად სკალა, რომლის მიხედვითაც განსხვავებენ მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის 3 ტიპს: პროგრესულს, სტაციონარულსა და რეგრესულს.

## ცხრილი 9

**მოსახლეობის ასაკობრივი შემადგენლობის ტიპები გ. ზუნდბერგის მიხედვით (%)**

ასაკობრივი ჯგუფები	მოსახლეობის ხვედრითი წილი (%)		
	პროგრესული ტიპის დროს	სტაციონალური ტიპის დროს	რეგრესული ტიპის დროს
0-14	40	27	20
15-49	50	50	50
50>	10	23	30
სულ	100	100	100

როგორც სკალიდან ჩანს, გ. ზუნდბერგს მიაჩნდა, რომ არსებობს ე. წ. „მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის წონასწორობის კანონი“, რომლის თანახმადაც მოსახლეობის ნახევარს უნდა შეადგენდნენ მშობლები, ანუ 15-49 წლის ასაკში მყოფი ადამიანები, ხოლო დანარჩენ 50%-ს კი ბავშვები და ბებია-ბაბუები. უნდა აღინიშნოს, რომ მეოცე საუკუნეში ჩატარებულმა მოსახლეობის აღწერებმა არ დაადასტურეს წონასწორობის ამ კანონის ჭეშმარიტება, მაგრამ უკეთესი კლასიფიკაციის არარსებობის გამო გ. ზუნდბერგის სკალა მაინც ფართოდ გამოიყენება ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის სტატისტიკური ანალიზისთვის.

**ცხრილი 10**

**საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით)<sup>1</sup>**

რეგიონების დასახელება	სულ	მათ შორის ასაკში (%)		
		0-14	15-49	50>
საქართველო	100	18,62	47,50	33,88
ქ. თბილისი	100	19,12	51,01	29,88
აჭარის ავტ. რესპუბ.	100	19,67	51,92	28,41
გურია	100	16,30	42,44	41,25
იმერეთი	100	17,40	43,60	39,00
კახეთი	100	17,80	43,55	38,65
მცხეთა-მთიანეთი	100	16,99	46,40	36,61
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100	12,09	34,97	52,94
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100	16,87	43,95	39,18
სამცხე-ჯავახეთი	100	19,76	46,21	34,03
ქვემო ქართლი	100	21,13	49,26	29,61
შიდა ქართლი	100	18,43	46,35	35,22

<sup>1</sup> ცხრილი აგებულია ჩვენ მიერ საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით.



მოცემულ ცხრილს თუ განვიხილავთ გ. ზუნდბერგის სკალის მიხედვით, ჩვენდა სამწუხაროდ, მივიღებთ იმ დასკვნამდე, რომ როგორც საქართველოში, ასევე მის ყველა რეგიონში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის რეგრესული ტიპია ჩამოყალიბებული.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების (შრომისუნარიანზე უმცროსი, შრომისუნარიანი და შრომისუნარიანზე უფროსი) მიხედვით მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლას (ცხრილი 11). საქართველოში 1989 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, შრომისუნარიანი მოსახლეობა 56,3% იყო, რომელიც 2002 წლისათვის უკვე 64,0%-ს შეადგენდა, ხოლო 2014 წელს უმნიშვნელოდ შემცირდა და 63,9% შეადგინა. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება ამ ასაკობრივი მოსახლეობის რიცხვი ქალაქის მოსახლეობაში და თუ 1989 წელს 58,5%-ს შეადგენდა, 2002 წელს 66,6%, ხოლო 2014 წელს 1,6%-ით შემცირდა და 65% შეადგინა. განსხვავებულია სოფლად შრომისუნარიანი მოსახლეობის ცვლილება აღნიშნულ პერიოდში, 53,5%-დან 62,4%-მდე გაიზარდა. რაც შეეხება შრომისუნარიანზე უმცროს მოსახლეობას, მათი რიცხოვნობის ცვლილება ქვეყანაში მკვეთრი შემცირებით ხასიათდება: თუ 1989 წელს 26,3% იყო, 2014 წელს 18,6% შეადგინა. ანალოგიური ცვლილებებით ხასიათდება აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა როგორც ქალაქის (25,85-დან 19,4%-მდე შემცირდა), ასევე სოფლის (27,0%-დან 17,6%-მდე შემცირდა) მოსახლეობაში. ეს კი მოსახლეობის ასაკობრივ დაბერებაზე მიგვანიშნებს; ამავდროულად მიგვანიშნებს შრომისუნარიანზე უფროსი მოსახლეობის ცვლილებაც. სულ ქვეყანაში 1989 წელს 17,4% იყო, შემდეგ შემცირდა 2,4%-ით, ხოლო 2014 წელს 17,5% შეადგინა. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფის ცვლილება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მოსახლეობაში ამ ჯგუფის მოსახლეობის ხვედრითი წილი უფრო მაღალია და 20%-ს აღწევს.

**ცხრილი 11**

**საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ცვლილებები ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (1989, 2002, 2014 წ. მუდმივი მოსახლეობა)**

წლები	სულ	მათ შორის ასაკში (%)		
		შრომისუნარიანზე უმცროსი	შრომისუნარიანი	შრომისუნარიანზე უფროსი
მთელი მოსახლეობა				
1989	100	26,3	56,3	17,4
2002	100	21,0	64,0	15,0
2014	100	18,6	63,9	17,5
ქალაქის მოსახლეობა				
1989	100	25,8	58,5	15,7
2002	100	20,2	66,6	13,1

2014	100	19,4	65,0	15,6
სოფლის მოსახლეობა				
1989	100	27,0	53,5	19,5
2002	100	21,8	61,1	17,1
2014	100	17,6	62,4	20,0

აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფების ცვლილებას თუ განვიხილავთ საქართველოს რეგიონების მიხედვით, ვნახავთ, რომ შრომისუნარიანი მოსახლეობა ყველაზე მეტია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (66,7%), შემდეგ ქ. თბილისსა (65,9%) და ქვემო ქართლში (65,0%). შრომისუნარიანზე უმცროსი ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქვემო ქართლში (21,1%), შემდეგ სამცხე ჯავახეთსა (19,8%) და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. რაც შეეხება შრომისუნარიანზე უფროს მოსახლეობას, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მოსახლეობა (32,8%), შემდეგ გურიის (22,6%) და იმერეთის (21,2%), რაც იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონებში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა მკვეთრად გაუარესებული და დაბერებულია.

## ცხრილი 12

### საქართველოს რეგიონების მოსახლეობის შემადგენლობა ძირითადი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით (2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით)

რეგიონების დასახელება	შრომისუნარიანზე უმცროსი (%)	შრომისუნარიანი (%)	შრომისუნარიანზე უფროსი (%)
საქართველო	18,6	63,9	17,5
ქ. თბილისი	19,1	65,9	15,0
აჭარის ავტ. რესპ.	19,7	66,7	13,6
გურია	16,3	61,1	22,6
იმერეთი	17,4	61,4	21,2
კახეთი	17,8	61,3	20,9
მცხეთა-მთიანეთი	17,0	63,0	20,0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	12,1	55,1	32,8
სამეგრელო-ზემო სვანეთი	16,9	62,3	20,8
სამცხე-ჯავახეთი	19,8	63,3	16,9
ქვემო ქართლი	21,1	65,0	13,9
შიდა ქართლი	18,4	63,5	18,1

როგორც ჩვენ მიერ განხილული მაჩვენებლებიდან ჩანს როგორც ქვეყანაში, ასევე მის რეგიონებში ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით საგანგაშო მდგომარეობაა. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ საქართველოს მთავრობამ ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს არა მარტო ეკონომიკური, არამედ სოციალური და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას.

### 3.4. მოსახლეობის დაბერება და მისი სტატისტიკური შესწავლა საქართველოს რეგიონების მიხედვით

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შესწავლისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა მოსახლეობის დაბერება, რომელიც არის მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლა ასაკოვანი მოსახლეობის სვედრითი წილის ზრდაში გამოხატული. ეს პროცესი მიმდინარეობს ისეთი ფაქტორების ზემოქმედებით, როგორცაა შობადობისა და მოკვდაობის დინამიკა, მიგრაცია და ობები. უნდა აღინიშნოს, რომ მათგან უმთავრესია შობადობა, მის შემცირებას მივყავართ ახალგაზრდა თაობის სვედრითი წილის შემცირებამდე და უფროსი თაობის სვედრითი წილის ზრდამდე.

დაბერების შესწავლისას მნიშვნელოვან მონეტს წარმოადგენს სიბერის საწყისი ასაკის დადგენა. მეცნიერების ნაწილი სიბერის საწყის ასაკად 60 წელს მიიჩნევს, ნაწილი კი 65 წელს, რაც, ძირითადად, საპენსიო ასაკზეა დამოკიდებული. ამიტომ დაბერების დასასწავლად გაიანგარიშება როგორც 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის სვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში, ასევე 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის სვედრითი წილი მთელს მოსახლეობაში:

$$K_{დაბ.} = \frac{S_{60+}}{S} \times 100$$

სადაც  $K_{დაბ.}$  — არის მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი;

$S_{60+}$  - 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა;

S - მოსახლეობის რიცხვნობა.

თუ დაბერების კოეფიციენტს განვიხილავთ როგორც ქვეყნის, ისე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიხედვით (ცხრილი 13), მოცემული ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ 1989 წლის დაბერების კოეფიციენტი სოფლის მოსახლეობაში უფრო მაღალია (16,2%), ვიდრე მთლიანად ქვეყანაში (14,4%) და ქალაქის მოსახლეობაში (12,9%). შემდეგი აღწერების მიხედვითაც ყველაზე მაღალი ღონე კვლავ სოფლის მოსახლეობაშია (21,0%). აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, დაბერების ღონე მატებით ხასიათდება და 2014 წელს ქვეყნის მასშტაბით 20,0% შეადგინა, რაც წინა აღწერის მაჩვენებელთან შედარებით 1,4%-ით, ხოლო 1989 წლის მაჩვენებელზე 6,6%-ით გაიზარდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თუ სქესობრივ ჭრილში განვიხილავთ დაბერების კოეფიციენტს, ის ყოველთვის უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში: ქალთა დაბერების კოეფიციენტმა საქართველოს მასშტაბით 23,1% შეადგინა, ხოლო სოფლად - 26,5%, რის საფუძველზეც მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საქართველო ზემოდან დაბერების მკვეთრი ტემპების ხარჯზე დადგა დემოგრაფიული სტრუქტურის ზღვარზე.

**საქართველოს მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტები<sup>1</sup>  
(1989, 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერით)**

წლები	60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი (%)								
	საქართველოში, სულ	მათ შორის		ქალაქად	მათ შორის		სოფლად	მათ შორის	
		კაცი	ქალი		კაცი	ქალი		კაცი	ქალი
1989	14,4	11,3	17,2	12,9	10,1	15,4	16,2	12,7	19,4
2002	18,6	15,8	21,1	16,4	13,7	18,8	21,0	18,0	23,8
2014	20,0	16,5	23,1	17,8	14,3	20,7	22,9	19,2	26,5

თუ დაბერების კოეფიციენტს საქართველოს რეგიონების მიხედვით განვიხილავთ (ცხრილი 14), 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით გაანგარიშებული კოეფიციენტი ყველაზე მაღალი იყო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (36,5%), შემდეგ კი გურიასა (25,8%) და იმერეთში (24,1%), ყველაზე დაბალი კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (15,7%) და ქვემო ქართლში (16,1%). აღსანიშნავია, რომ დაბერების კოეფიციენტი რეგიონების მიხედვითაც ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში. თუ ქალებში ყველაზე მაღალი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში შეადგინა (42,1%), მამაკაცებშიც იმავე რეგიონის მამაკაცებში იყო (30,5%). მათ შორის განსხვავებამ 11,6% შეადგინა. ქალებში ყველაზე დაბალი დაბერების კოეფიციენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა (18,1%) და ქვემო ქართლში (18,7%) იყო, მამაკაცებშიც ანალოგიურად იგივე რაიონებში იყო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი და, შესაბამისად, 13,1% და 13,3% შეადგინა. ყველაფერი ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ეს ორი რეგიონი, სხვა რეგიონებთან შედარებით, ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურით გამოირჩევა.

**საქართველოს მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტები რეგიონების მიხედვით  
(2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით)<sup>2</sup>**

საქართველოს რეგიონები	60 და უფროსი ასაკის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთლიან მოსახლეობაში		
	ორივე სქესი	მამაკაცი	ქალი
საქართველო, სულ	20,0	16,5	23,1
ქ. თბილისი	17,1	13,6	20,0
აჭარის ავტონომ. რესპუბლიკა	15,7	13,1	18,1

<sup>1</sup> ცხრილი აგებულია და კოეფიციენტები გამოთვლილია ჩვენ მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

<sup>2</sup> იქვე.

გურია	25,8	21,4	30,0
იმერეთი	24,1	20,2	28,0
კახეთი	23,8	20,0	27,4
მცხეთა-მთიანეთი	22,7	18,6	26,8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	36,5	30,5	42,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	24,0	19,7	28,0
სამცხე-ჯავახეთი	19,3	16,3	22,2
ქვემო ქართლი	16,1	13,3	18,7
შიდა ქართლი	20,7	17,4	23,7

დაბერების კოეფიციენტმა ლიტერატურაში მიიღო სახელწოდება დაბერების მაჩვენებელი „მალიდან“. ეს იმიტომ, რომ ის ასახავს ასაკოვანი მოსახლეობის დაბერების პროცესს. ასევე გამოიყენება დაბერების მაჩვენებელი „დაბლიდან“, რომელიც გამოითვლება, როგორც შეფარდებითი მაჩვენებელი 14 წლამდე ასაკის პირთა რიცხოვნობის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობასთან, პროცენტებში.

დაბერების პროცესის დასახასიათებლად შემუშავებულია სხვადასხვა სკალა. უმეტესად გამოიყენება პოლონელი დემოგრაფის ელვარდ როსეტის მიერ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ შემუშავებული სკალები (ცხრილი 15).

**ცხრილი 15**

**მოსახლეობის დაბერების შესაფასებელი სკალა  
(ელვარდ როსეტის მიხედვით)**

დაბერების ეტაპები	60 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა მთელ მოსახლეობაში	დაბერების ეტაპები და ღონეები
I	8-ზე დაბალი	დემოგრაფიული ასალგაზრდობა
II	8-10	სიბერის საწყისი ნიშნები
III	10-12	უშუალოდ სიბერის დასაწყისი
IV	12 და მეტი	დემოგრაფიული სიბერე
	მათ შორის:	დემოგრაფიული სიბერის
	12-14	საწყისი ღონე
	14-16	საშუალო ღონე
	16-18	მაღალი ღონე
	18 და მეტი	ძალიან მაღალი ღონე

თუ ე. როსეტის სკალით ვიმსჯელებთ, საქართველოს რეგიონების მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების შესახებ, ჩვენ მიერ გამოთვლილი დაბერების კოეფიციენტების მიხედვით (ცხრილი 13), საქართველოს ყველა რეგიონის მოსახლეობა დემოგრაფიული დაბერების საშუალო დონეს ასცდა, ხოლო ქ. თბილისის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონების გარდა, ყველგან დემოგრაფიული სიბერის ძალიან მაღალი დონეა. ყოველივე აქედან გამომდინარე, საქართველო იმყოფება დემოგრაფიული სიბერის ძალიან მაღალ დონეზე.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) დემოგრაფიული 65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობით დაბერების დონის შეფასებისათვის სარგებლობენ სამსაფეხურიანი შეფასებით: 4,0% - ახალგაზრდა მოსახლეობა, 4-7,0% - მოსახლეობა დემოგრაფიული სიბერის ზღვარზე, 7,0% და მეტი - დაბერებული მოსახლეობა.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მნიშვნელოვანი მახასიათებელია მოსახლეობის სიცოცხლის ხანგრძლივობა. დღეგრძელად ითვლება ადამიანი 80 წლისა და უფროს ასაკში. მასზე გავლენას ახდენს სოციალურ-ეკონომიკური, ბიოლოგიური და ბუნებრივი ფაქტორები. სიცოცხლის ხანგრძლივობის დონის რაოდენობრივი შეფასებისათვის გამოიყენება დღეგრძელობის კოეფიციენტი, რომელიც შემდეგი ფორმულით გამოითვლება:

$$K_{დღგ} = \frac{S_{80+}}{S_{60+}} \times 100$$

სადაც  $K_{დღგ}$  — არის მოსახლეობის დღეგრძელობის კოეფიციენტი;

$S_{80+}$  - 80 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა;

$S_{60+}$  - 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა.

თუ დღეგრძელობის კოეფიციენტს განვიხილავთ საქართველოს მოსახლეობის მიხედვით (ცხრილი 14), როგორც ჩანს, აღნიშნული მაჩვენებელი ქვეყნის მასშტაბით 2002 წელს 1989 წელთან შედარებით შემცირდა და 2002 წელს (9,0%) 1989 წელთან (12,0%) შედარებით 3%-ით შემცირდა. ანალოგიური ტენდენციით ხასიათდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის დღეგრძელობის კოეფიციენტიც: ქალაქად 1,7%-ით, ხოლო სოფლად 4,5%-ით შემცირდა. რაც შეეხება 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით გაანგარიშებულ დღეგრძელობის კოეფიციენტს, იგი მკვეთრად გაიზარდა: ქვეყნის მასშტაბით 15,5% შეადგინა, ქალაქად - 13,8% და სოფლად - 17,3%.

თუ დღეგრძელობის კოეფიციენტს სქესობრივ ჯრილში განვიხილავთ, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე ქალაქისა და სოფლის მიხედვით ორივე სქესისათვის 2002 წელს, 1989 წელთან შედარებით, აღინიშნება კლების ტენდენცია, მაგრამ 2014 წელს მკვეთრად გაიზარდა დღეგრძელობის კოეფიციენტი ორივე სქესისათვის: მამაკაცებში 12,6% შეადგინა, რაც 7%-ით მეტია 2002 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, ხოლო ქალებში 17,4% შეადგინა რაც 6,2%-ით მეტია წინა აღწერის მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ წინა აღწერებთან შედარებით მკვეთრად მაღალია დღეგრძელობის კოეფიციენტი სოფლის მოსახლეობაში (17,3%). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ შეიძლება კანონზომიერებად მივიჩნიოთ ის, რომ დღეგრძელობის კოეფიციენტი როგორც საქართველოს მთელი მოსახლეობისათვის, ასევე ქალაქისა და სოფლის მოსახლეობისათვის, ყოველთვის საკმაოდ მაღალია ქალებში ვიდრე მამაკაცებში, რაც მამაკაცებთან შედარებით ქალების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის მეტობით შეიძლება აიხსნას. ასევე, მოცემულ პერიოდში, დღეგრძელობის კოეფიციენტი ყოველთვის საკმაოდ მაღალია სოფლის მოსახლეობაში, ვიდრე მთელი ქვეყნისა და ქალაქის მოსახლეობისათვის.

**საქართველოს მოსახლეობის დღეგრძელობის კოეფიციენტი 1989, 2002 და  
2014 წლის საყოველთაო აღწერების მიხედვით (%-ში)<sup>1</sup>**

წლები	საქართველოში, სულ	მათ შორის		ქალაქად	მათ შორის		სოფლად	მათ შორის	
		კაცი	ქალი		კაცი	ქალი		კაცი	ქალი
1989	12,0	9,7	13,4	9,9	8,1	11,0	14,1	11,3	15,8
2002	9,0	5,6	11,2	8,2	5,3	10,0	9,6	5,8	12,4
2014	15,5	12,6	17,4	13,8	10,7	15,6	17,3	14,5	19,4

განსაკუთრებით საინტერესოა დღეგრძელობის კოეფიციენტის განხილვა ქვეყნის რეგიონების მიხედვით (ცხრილი 15). ჩვენ მიერ რეგიონების მიხედვით გაანგარიშებული დღეგრძელობის კოეფიციენტებიდან ყველაზე მაღალია რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში (21,0%), შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთისა (18,8%) და მცხეთა-მთიანეთის (17,2%) რეგიონებში. სქესის მიხედვით თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცებში, რასაც ქალთა სიცოცხლის სანგრძლივობა განაპირობებს. ქალებში ყველაზე მაღალი დღეგრძელობის კოეფიციენტი რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში (22,1%) და სამცხე-ჯავახეთში (20,4%) იყო, ხოლო მამაკაცებში ისევე იგივე რეგიონებში, შესაბამისად 19,3% და 16,5% შეადგინა. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი ქალებში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში (15,4%) იყო, ხოლო მამაკაცებში კვლავ აჭარის რეგიონში (10,7%), თუ არ ჩავთვლით ქ. თბილისის რეგიონს (10,3).

**დღეგრძელობის კოეფიციენტი საქართველოს რეგიონების მიხედვით  
2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით (%-ში)<sup>2</sup>**

რეგიონების დასახელება	ორივე სქესი	კაცი	ქალი
საქართველო	15,5	12,6	17,4
ქ. თბილისი	13,5	10,3	15,4
აჭარის ავტ. რესპუბ.	13,0	10,7	15,4
გურია	16,6	13,0	19,1
იმერეთი	16,9	13,7	19,0

<sup>1</sup> ცხრილი აგებულია და კოეფიციენტები გამოთვლილია ჩვენ მიერ, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებზე დაყრდნობით.

<sup>2</sup> იქვე.

კახეთი	17,0	14,7	18,6
მცხეთა-მთიანეთი	17,2	14,2	19,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	21,0	19,3	22,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	15,5	11,4	18,2
სამცხე-ჯავახეთი	18,8	16,5	20,4
ქვემო ქართლი	15,5	13,3	17,0
შიდა ქართლი	15,5	13,1	17,2

მეოცე საუკუნის დასაწყისში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის რაოდენობრივი დახასიათებისათვის ფართო გავრცელება ჰპოვა ლატვიელი სტატისტიკოს-დემოგრაფის კ. ბალოდისის მიერ შემოტანილმა „დემოგრაფიული დატვირთვის“ მაჩვენებელმა. ეს მაჩვენებელი წარმოდგენას გვიქმნის, თუ 15-დან 59 წლამდე ყოველ 1000 კაცზე რამდენი მოდის ბავშვი, ხანდაზმული და ბავშვი და ხანდაზმული ერთად აღებული. მათი განგარიშებისათვის მთელი მოსახლეობა იყოფა 3 ასაკობრივ ჯგუფად: 14 წლამდე, 15 წლიდან 59 წლამდე, 60 წლის და ზევით.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პერიოდში მოხდა ამ მაჩვენებლის გამოთვლის სახეცვლილება. მოხდა ცვლილება მოსახლეობის 3 ასაკობრივ ჯგუფად დაყოფაში: 0-14 წლის, 15-64 წლის და 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა, ასევე გამოითვლება არა 1000 კაცზე, არამედ ყოველ ას (100) 15-64 წლის პირზე (იხ. ცხრილი 16).

მოსახლეობის დაბერების დონის ზრდის საფუძველზე იზრდება ხანდაზმული მოსახლეობის რიცხვი შრომითი ასაკის (15-64 წელი) მოსახლეობაზე და ხანდაზმული მოსახლეობით შრომითი ასაკის მოსახლეობის დატვირთვის კოეფიციენტი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$\text{ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი} = \frac{S_{65+}}{S_{15-64}} \times 100;$$

და გვიჩვენებს რამდენი ხანდაზმული ადამიანი მოდის შრომითი ასაკის (15-64 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე.

ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენი ბავშვი მოდის შრომითი ასაკის (15-64 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე და გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი} = \frac{S_{0-14}}{S_{15-64}} \times 100;$$

$$\text{ხოლო საერთო (ბავშვებით და ხანდაზმულებით) დატვირთვის კოეფიციენტი} = \frac{S_{0-14} + S_{65+}}{S_{15-64}} \times 100.$$



დატვირთვის კოეფიციენტები საქართველოს რეგიონების მიხედვით 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით (%-ში)<sup>1</sup>

რეგიონების დასახელება	საერთო დატვირთვის კოეფიციენტი	ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი	ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტი
საქართველო	49,0	27,7	21,3
ქ. თბილისი	45,1	27,7	17,4
აჭარის ავტ. რესპუბ.	44,2	28,4	15,8
გურია	54,0	25,1	28,9
იმერეთი	53,6	26,7	26,9
კახეთი	54,4	27,5	26,9
მცხეთა-მთიანეთი	51,3	25,7	25,6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	67,8	20,3	47,5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	51,3	25,5	25,8
სამცხე-ჯავახეთი	50,9	29,8	21,1
ქვემო ქართლი	47,7	31,2	16,5
შიდა ქართლი	50,0	27,7	22,3

ჩვენ მიერ გამოთვლილი დატვირთვის კოეფიციენტებს თუ განვიხილავთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ საქართველოს რეგიონების მიხედვით შედარებით უკეთესი ასაკობრივი სტრუქტურით გამოირჩევა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქვემო ქართლის რეგიონების მოსახლეობა, სადაც ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტმა შესაბამისად 15,8% და 16,5% შეადგინა, ასევე ამ ორ რეგიონსა და სამცხე-ჯავახეთში მაღალია ბავშვებით დატვირთვის კოეფიციენტი, რაც, ასევე, სხვა რეგიონებთან შედარებით ასაკობრივი სტრუქტურის უკეთესობაზე მეტყველებს. როგორც საერთო, ისე ხანდაზმულებით დატვირთვის კოეფიციენტების მიხედვით ყველაზე მაღალი დატვირთვის კოეფიციენტი რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის (67,8% და 47,5%), კახეთისა (54,4% და 27,5%) და გურიის (54,0% და 25,1%) რეგიონებში დაფიქსირდა, რაც ამ რეგიონების მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერების მაუწყებელია.

დაბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომელიც ამ თემაზე მუშაობის დროს არის ქვეყანაში. საქართველოში და მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში COVID-19-ის ინფექციის გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა, რის გამოც საქართველოში ხელისუფლების ხელშეწყობით 10 ათასამდე ემიგრანტი დაბრუნდა სამშობლოში და კიდევ გრძელდება ეს პროცესი. ასევე, ჩვენდა სასიხარულოდ, ქვეყანაში შეიმჩნევა შიდა მიგრაცია (ქალაქიდან სოფლისაკენ). ყველაფერი ეს კი გამოიწვევს ქვეყნის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გარკვეულ ცვლილებას.

<sup>1</sup> ცხრილი აგებულია და კოეფიციენტები გამოთვლილია ჩვენ მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

### 3.5. ტესტები

**1. მოსახლეობის შემადგენლობასა და რაოდენობაზე დამოკიდებული:**

- ა) შრომითი რესურსების მოცულობა;
- ბ) წარმოებულ მატერიალურ ღირებულებასა და მომსახურებაზე მოთხოვნის ოდენობა;
- გ) ა და ბ;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**2. მოსახლეობის სტატისტიკის შესწავლის ობიექტია:**

- ა) მოსახლეობის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები;
- ბ) საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები;
- გ) საბუნებისმეტყველო მოვლენები და პროცესები;
- დ) ეკოლოგიური მოვლენები.

**3. მოსახლეობის შემადგენლობის შესწავლის დროს განსაკუთრებული როლი ენიჭება:**

- ა) მოსახლეობის შესწავლას შემოსავლების მიხედვით;
- ბ) მოსახლეობის შესწავლას სქესობრივი ნიშნის მიხედვით;
- გ) მოსახლეობის შესწავლას ასაკობრივი ნიშნის მიხედვით;
- დ) ბ და გ.

**4. მოსახლეობის სტატისტიკა სქესობრივი სტრუქტურის შესწავლისათვის იყენებს:**

- ა) აბსოლუტურ და შეფარდებით მაჩვენებლებს;      ბ) ვარიაციის მაჩვენებლებს;
- გ) ინდექსებს;      დ) ყველა პასუხი სწორია.

**5. მოსახლეობის სქესობრივი დისპროპორციის შესაფასებელი სკალის მიხედვით, 0-1 პროცენტამდე ცვლილება არის:**

- ა) საშუალო დისპროპორცია;      ბ) უმნიშვნელო დისპროპორცია;
- გ) მნიშვნელოვანი დისპროპორცია;      დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**6. მოსახლეობის სქესობრივი დისპროპორციის შესაფასებელი სკალის მიხედვით, 1-3 პროცენტამდე ცვლილება არის:**

- ა) საშუალო დისპროპორცია;      ბ) უმნიშვნელო დისპროპორცია;
- გ) მნიშვნელოვანი დისპროპორცია;      დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.



13. მოსახლეობის სქესობრივი სტრუქტურის განმსაზღვრელი მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- ა) მოკვდაობა; ბ) მიგრაცია; გ) ომები; დ) სამივე.

14. განვითარებულ ქვეყნებში:

- ა) მამაკაცების მოკვდაობა აღემატება ქალების მოკვდაობას;  
ბ) მამაკაცების მოკვდაობა არ აღემატება ქალების მოკვდაობას;  
გ) მამაკაცების და ქალების მოკვდაობა თანაბარია;  
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

15. მიგრაციული აქტიურობა მაღალია:

- ა) ქალებში; ბ) მამაკაცებში; გ) ბავშვებში; დ) ა და ბ.

16. სხვადასხვა თაობების ერთ მოსახლეობაში გაერთიანების საფუძველზე ჩატარებული დემოგრაფიული ანალიზი ცნობილია:

- ა) პირობითი თაობის მეთოდით; ბ) უპირობო თაობის მეთოდით;  
გ) ძირითადი მეთოდით; დ) პირველადი მეთოდით.

17. ასაკობრივი სტრუქტურის განმარტავებელ მაჩვენებელთა შორის აღსანიშნავია მოსახლეობის:

- ა) ვარიაციული და მოდალური ასაკის მაჩვენებელი;  
ბ) საშუალო და მედიანური ასაკის მაჩვენებელი;  
გ) საშუალო და საინდექსო ასაკის მაჩვენებელი;  
დ) ყველა პასუხი სწორია.

18. საშუალო ასაკი გაიანგარიშება:

- ა) საშუალო არითმეტიკულის ფორმულით;  
ბ) საშუალო გეომეტრიულის ფორმულით;  
გ) ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულით;  
დ) საშუალო ჰარმონიულის ფორმულით.

19. მედიანური ასაკი გამოითვლება ფორმულით:

$$\text{ა) } M_e = X_{me} + i_{me} \frac{\frac{1}{2} \sum f - S_{me+1}}{f_{me}}, \quad \text{ბ) } M_e = X_{me} + i_{me} \frac{\frac{1}{2} \sum f - S_{me-1}}{f_{me}},$$

$$\text{ბ) } M_e = X_{me} - i_{me} \frac{\frac{1}{2} \sum f - S_{me-1}}{f_{me}}, \quad \text{დ) } M_e = X_{me} + i_{me} \frac{\sum f - S_{me-1}}{f_{me}},$$

20. სიბერის საწყის ასაკად მიიჩნევა:

- ა) 60 წელი; ბ) 65 წელი; გ) 63 წელი; დ) ა და ბ.

21. მოცემული ფორმულა არის:  $K_{დაბ.} = \frac{S_{60+}}{S} \times 100$

- ა) მოსახლეობის დაბერების კოეფიციენტი;  
 ბ) მოსახლეობის გარდაცვალების კოეფიციენტი;  
 გ) ახალდაბადებულთა კოეფიციენტი;  
 დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

22. საქართველო რეგიონების მოსახლეობის მიხედვით იმყოფება დემოგრაფიული სიბერის:

- ა) ძალიან მაღალ ღონეზე; ბ) საშუალო ღონეზე;  
 გ) საწყის ღონეზე; დ) მაღალ ღონეზე.

23. დღევრძელად ითვლება ადამიანი:

- ა) 90 წლის და უფროს ასაკში; ბ) 80 წლისა და უფროს ასაკში;  
 გ) 78 წლის და უფროს ასაკში; დ) 75 წლის და უფროს ასაკში.

24. მოცემული ფორმულა არის  $K = \frac{S_{80+}}{S_{60+}} \times 100$

- ა) დღევრძელობის კოეფიციენტი; ბ) დაბერების კოეფიციენტი;  
 გ) ხანდაზმულობის კოეფიციენტი; დ) არცერთი.

25. ხანდაზმულობის დატვირთვის კოეფიციენტი გვიჩვენებს:

- ა) რამდენი ხანდაზმული ადამიანი მოდის შრომითი ასაკის (15-70 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე;  
 ბ) რამდენი ხანდაზმული ადამიანი მოდის შრომითი ასაკის (15-74 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე;  
 გ) რამდენი ხანდაზმული ადამიანი მოდის შრომითი ასაკის (15-64 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე;  
 დ) რამდენი ხანდაზმული ადამიანი მოდის შრომითი ასაკის (15-84 წელი) ყოველ 100 მცხოვრებზე.

## თემა 4. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მისი ცვლილების ტენდენციები

### საღიგეო საკითხები

- 4.1. ეთნიკური სტატისტიკა
- 4.2. ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი
- 4.3. ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში
- 4.4. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა
- 4.5. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით
  - 4.5.1. საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა
  - 4.5.2. საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა
  - 4.5.3. საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა
- 4.6. ტესტები
  - დანართი 1
  - დანართი 2
  - დანართი 3

### 4.1. ეთნიკური სტატისტიკა

ეთნიკური სტატისტიკაზე მსჯელობისთვის, მნიშვნელოვანია თავდაპირველად განვსაზღვროთ საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნება.

**ეროვნება** - ერის, ხალხის გამაერთიანებელი სახელი.

ცნება „ეროვნება“ სხვადასხვა კულტურაში სხვადასხვაგვარად არის გაგებული. კავკასიურ, კოლექტიურ კულტურაში, ეთნოსისა და ეროვნების ცნებები ერთმანეთთან ძალიან ახლოს დგას, თუმცა, დასავლური კულტურა განასხვავებს ამ ცნებებს. დასავლურ (ევროპულ და ამერიკულ) მეცნიერებაში ეროვნება უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ეთნოსი და უახლოვდება ერის გაგებას; ანუ, დასავლური გაგებით, ეროვნება შეიძლება აღნიშნავდეს და მოიცავდეს პიროვნების მოქალაქეობას, ეთნიკურ წარმომავლობას, სახელმწიფოებრიობას, ენას და სხვა ფაქტორებს<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ეროვნებათშორისი ურთიერთობების მართვა [მეთოდური სახელმძღვანელო], ადამიანის რესურსების განვითარების ფონდი – რედ. ვ. ჯავახიშვილი და ნ. სარჯველაძე, თბილისი, 2007.  
<https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e18394e183a0e1839de18395e1839ce18394e18391e18390e18397e183a8e1839d183a0e18398e183a1e18398-e183a3e183a0e18397e18398e18394e183a0e18397.pdf>.

ეთნიკურობა აღნიშნავს ადამიანის კუთვნილებას ამა თუ იმ სახელმწიფოში არსებული ეთნიკური ჯგუფისადმი.

ეთნიკურ ჯგუფებს წარმოადგენენ მცირერიცხოვანი თემები, რომლებიც ისტორიულად არსებობენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და განსხვავდებიან დანარჩენი მოსახლეობისაგან თავისი ადამიან-წესებით, ენით, კულტურით, რწმენით. ზოგიერთი ეთნიკური ჯგუფი ცდილობს, ხაზი გაუსვას ამ განსაკუთრებულობას და ეწინააღმდეგება ასიმილაციას. ზოგი ერწყმის უმრავლესობაში მყოფ მოსახლეობას, მაგრამ ინარჩუნებს ყოფით თავისებურებებს, ენას ან დიალექტს<sup>1</sup>.

თანამედროვე ლიტერატურაში გამოყოფენ ეთნიკურობის ახსნის სხვადასხვა მიდგომას:

**„პრიმორდიალიზმი**, რომლის თანახმად ეთნიკურობას საფუძვლად უდევს ადამიანთა პირველყოფილი სულიერი ერთობა. ამ თეორიის მიხედვით ეთნიკურობა ადამიანის, მისი პიროვნების საწყისი ფუნდამენტური თვისებაა, რომელიც უპირობოა და არაა დამოკიდებული ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე.

**სიტუაციონიზმი**, რომლის თანახმადაც ინდივიდი თავის თავს მიაწერს გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფს (ამავე დროს სხვებიც მიაკუთვნებენ მას ამავე ჯგუფს) გარკვეულ სიტუაციაში. თვით ჯგუფი იქმნება საკუთარი თავის შემოსაზღვრის წყალობით. ამგვარი თვითმკუთვნილებისა და მიკუთვნილების საფუძველია რესურსებისათვის ბრძოლა.

**კონსტრუქციონიზმი**, რომლის დროსაც ეთნიკურობა კონსტრუირდება შემოქმედებითი წარმოსახვის ნოვატორული აქტის შედეგად, მას ქმნის ელიტა საკუთარი ინტერესების დასაცავად, საფუძვლად კი უდევს მოგონილი ტრადიციები, რომლებიც თითქოსდა ძველთაგანვე მნიშვნელოვანი იყო.“<sup>2</sup>

ინდივიდების ნებისმიერ მოქმედებას სარგებლის მიღების სურვილი წარმართავს. ადამიანები ჯგუფებს ქმნიან და ჯგუფურ მოქმედებებში მონაწილეობენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მათ პირად ინტერესებს აკმაყოფილებს, რაც ხსნის ეთნიკური იდენტობის დინამიკურ ბუნებას<sup>3</sup>. ეთნიკურობა ცვალებადი კულტურული ელემენტია. ამასთან ის მაილენტიფიციონიზმი ნიშნავს, რომელიც განსხვავებულობის სიმბოლოს წარმოადგენს და ხელს უწყობს კოლექტიური მიზნების მიღწევას<sup>4</sup>. სოციალური ინტერაქციის პროცესში, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდთა რეგულარულ, სისტემატურ გავლენას ერთმანეთზე, რის შედეგადაც ახალი სოციალური კავშირები განახლება და იქმნება თემებში ან მის ელემენტებს შორის, სოციალური და ფიზიკური გარემოს ცვლილებისას ეთნიკური სივრცის შემავსებელი კულტურული კომპონენტის მოდიფიციონიზმად შესაძლებელია ეთნოსის გაქრობაც კი გამოიწვიოს<sup>5</sup>.

ეთნოსი (ბერძ. ethnos - ტომი, ხალხი) წარმოადგენს განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობას, რომელთაც გააჩნიათ საერთო ენობრივი, კულტურული, რელიგიური თავისებურებანი.

ეთნიკური სტატიისტიკა - დემოგრაფიული სტატიისტიკის ნაწილი, რომლის მიზანია მოსახლეობის ეთნიკური (ეროვნული) შემადგენლობის აღწარმოების შესახებ მონაცემთა მოპოვება და დამუშავება<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ლ. გორგაძე, მ. კვაჭაძე და სხვ., ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი, 2005 - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=3915>.

<sup>2</sup> ნ. ლაღარია, სოციოლინგვისტიკა (სახელმძღვანელო) - თბილისი, 2002 <http://www.nplg.gov.ge>.

<sup>3</sup> Hechter, M. (1986). A rational choice approach to race and ethnic relations. In D. Mason, & J. Rex, Theories of race and ethnic relations (pp. 268-277). Cambridge University Press.

<sup>4</sup> Eller, J. D. (2009). Cultural Anthropology Global forces Local Lives. New York, USA: Routledge.

<sup>5</sup> ვ. გამსახურდია, ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოღერულ კონტექსტში, თბილისი 2016, გვ. 60.

<sup>6</sup> გ. წულაძე, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბილისი, 2012, გვ. 90 [https://www.geostat.ge/media/20657/Demografiis\\_Mokle\\_Leksikoni.pdf](https://www.geostat.ge/media/20657/Demografiis_Mokle_Leksikoni.pdf).

## 4.2. ეთნიკური სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი

ეთნიკურ სტატისტიკას, ისევე როგორც ნებისმიერ დარგობრივ სტატისტიკურ დისციპლინას, გააჩნია შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდები. მისი შესწავლის ობიექტია მოსახლეობის ეთნიკური ჯგუფები და მათ შესახებ მონაცემების შეგროვება. კვლევის საგანს წარმოადგენს ეთნიკური მონაცემების დამუშავება, ანალიზი და ადეკვატური ტენდენციების დადგენა. რაოდენობრივი მონაცემები მჭიდრო კავშირშია თვისობრივ მხარესთან და გამოსახულია კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მაგალითად, ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა წლების მიხედვით, ეთნიკური უმცირესობების განაწილება რეგიონების მიხედვით და ა. შ.

ეთნიკური სტატისტიკა თავის ობიექტს შეისწავლის სხვადასხვა მეთოდით. მისი, ისევე როგორც სხვა მეცნიერებების ზოგადი მეთოდი დაილექტიკური მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტატისტიკა მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს არა უძრავობაში და იზოლირებულად, არამედ მუდმივ მოძრაობასა და სხვა მოვლენებთან და პროცესებთან ურთიერთკავშირში. იგი, აგრეთვე, ფართოდ იყენებს ინდექსის (კონკრეტულიდან ზოგადისკენ) და დედექსის (ზოგადიდან კონკრეტულისკენ) მეთოდებს<sup>1</sup>.

ეთნიკური სტატისტიკა მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად იყენებს საკუთარ, სპეციფიკურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სტატისტიკურ მეთოდოლოგიას. აღნიშნული მეთოდები განსხვავდება სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების მიხედვით. ესენია: მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. პირველ ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც სტატისტიკა სწავლობს იმ კანონზომიერებებს, რაც ვლინდება მრავალრიცხოვანი მასობრივი მოვლენების გამოკვლევით. მეორე ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკურ დაჯგუფების მეთოდი, რაც ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით თვისობრივად ერთგვაროვანი მოვლენების დაჯგუფებას. ხოლო მესამე ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოვლენების რაოდენობრივი მხარის, სტრუქტურის, დინამიკის დახასიათება და მათი ურთიერთკავშირის შესწავლა<sup>2</sup>.

## 4.3. ეთნიკური სტატისტიკის წარმოება საქართველოში

ეთნიკური სტატისტიკის წარმოება, ძირითადად, ეფუძნება მოსახლეობის აღწერებს, რომლის საფუძველზეც გროვდება მონაცემები მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის შესახებ. ხოლო უფრო სიღრმისეული ინფორმაციის მისაღებად საჭიროა სპეციალური სოციალურ-დემოგრაფიული გამოკვლევების ჩატარება.

მოსახლეობის აღწერების დროს გროვდება მრავალფეროვანი და ზუსტი მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი შემადგენლობის, სხვადასხვა დემოგრაფიული, სოციალურ და ეკონომიკური მახასიათებლების მიხედვით. აღწერა იყოფა რამდენიმე ეტაპად და ის მოიცავს მონაცემების შეგროვების, ინდივიდუალური ინფორმაციის დამუშავებისა და აგრეგირებული მონაცემების გავრცელების პროცესს.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) რეკომენდაციების<sup>3</sup> მიხედვით, მოსახლეობის აღწერების დროს ეთნოკულტურული მონაცემების შეგროვება განსაზღვრულია, როგორც არაპირდაპირი საკითხი, თუმცა აქვე აღნიშნულია, რომ კულტურულად მრავალფეროვანი მოსახლეობის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ ინფორმაციის შეგროვება მოსახლეობის ეთ-

<sup>1</sup> ბ. გაბიძაშვილი, სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი 2011, გვ. 23.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23-26.

<sup>3</sup> Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing, prepared in cooperation with the Statistical Office of the European Communities (EUROSTAT), UN, New York and Geneva, 2006. გვ. 95.



ნიკური იდენტურობის (ან შემადგენლობის) შესახებ, მშობლიური ენის, ენების ცოდნასა და პრაქტიკაზე, აგრეთვე რელიგიურ თემებზე.

მოსახლეობის და საცხოვრისების აღწერის 2010 წლის მსოფლიო რაუნდის დროს, 51 ქვეყნიდან მხოლოდ 61%-მა შეაგროვა ინფორმაცია მოსახლეობის ეთნიკურობის შესახებ.<sup>1</sup> ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ მონაცემების შეგროვება ევროკავშირის რეგულაციებით გათვალისწინებული არ არის.

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა წარმოადგენს ერთადერთ საინფორმაციო წყაროს საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

მოსახლეობის პირველი საყოველთაო აღწერა საქართველოში (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში) ჩატარდა 1897 წელს. მოსახლეობის აღწერის პროგრამა არ ითვალისწინებდა კითხვას ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის შესახებ.

შემდეგი აღწერა ჩატარდა 1926 წელს და ეს იყო პირველი აღწერა საბჭოთა პერიოდში. მოსახლეობის აღწერის პროგრამა სხვა საკითხებთან ერთად მოიცავდა კითხვებს ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის და მშობლიური ენის შესახებ.

მოსახლეობის 1937 წლის აღწერის პროგრამაც მოიცავდა კითხვებს ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის და მშობლიური ენის შესახებ. ასევე, დაემატა კითხვა რელიგიაზე, რომელიც ჩამოყალიბდა, როგორც „გამოკითხულის ამჟამინდელი საკუთარი მრწამსი“. იმდროინდელი ხელისუფლების მიერ მიჩნეულ იქნა, რომ მოსახლეობის აღწერა ჩატარდა უხეში შეცდომებით. აღწერის ორგანიზატორები რეპრესირებულ იქნენ, ხოლო აღწერის შედეგები გაუქმდა და 1939 წელს დაინიშნა ახალი აღწერა.

1959, 1970, 1979 და 1989 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერებიც მოიცავდა კითხვებს ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის და მშობლიური ენის შესახებ. 1970-1989 წლის აღწერების დროს, ასევე, გროვდებოდა ინფორმაცია გამოკითხულის მიერ სსრკ სახლების ენების თავისუფლად ფლობის შესახებ.

2002 წელს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო აღწერა. აღწერის პროგრამა შეადგინა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დამოუკიდებელი ექსპერტების მონაწილეობით, გაეროს რეკომენდაციის, წინა აღწერებისა და ანალოგიური ღონისძიების საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩატარების გამოცდილების გათვალისწინებით. აღწერას უნდა მოეცვა საქართველოს იურისდიქციაში მყოფი მთელი ტერიტორია, აღრიცხულიყო თითოეული ადამიანი როგორც მუდმივად (ან დროებით არმყოფი), ისე აღწერის კრიტიკულ მომენტში ადგილზე მყოფი ყველა დროებით მცხოვრები.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის დროს მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სტატისტიკური დაკვირვების ერთეულად, ადრე ტრადიციულად მიღებული „ოჯახის“ ნაცვლად, გამოყენებულიყო „შინამეურნეობა“, რაც გამოწვეული იყო სტატისტიკის სფეროში განვითარების საერთო მიმართულებითა და საერთაშორისო რეკომენდაციებით.

„შინამეურნეობა“ გულისხმობს პირთა ერთობლიობას, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და ერთმანეთთან დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტითა (ან მისი ნაწილით) და ნათესაური, ან არანათესაური ურთიერთობით. იგი შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც, რომელიც წინა აღწერებში აღიწერებოდა, როგორც „მარტოხელა“.

საქართველოში მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2014 წელს და მოსახლეობის რიცხოვნობაში ჩათვლილია 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით ქვეყანაში 12 თვითა და მეტი ხნით მცხოვრები მოსახლეობა. აგრეთვე ის მოსახლეობა, რომელთა ყოფნა ქვეყანაში არ აღემატება 12 თვეს, მაგრამ აპირებს დარჩენას 12 თვეზე მეტ ხანს.

საქართველოში მოსახლეობის ბოლო საყოველთაო აღწერა ჩატარდა 2014 წლის 5 ნოემბრიდან 19 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში და სხვა მონაცემებთან ერთად, შეგროვდა ინფორმაცია მოსახლეობის ეროვნების/ეთნიკური შემადგენლობის შესახებ.

<sup>1</sup> Measuring population and housing Practice of UNECE countries in the 2010 round of Census, United Nations, 2014. გვ. 158-159.

საქსტატის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად, ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის შევსებისას აღმწერს უნდა აღენიშნა კითხვარში ჩამოთვლილი ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგანი, ან გრაფაში „სხვა“, უნდა ჩაეწერა ის ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა, რომელსაც მიუთითებდა თვით გამოსაკითხი პირი. ამასთან, არასრულწლოვანს, რომელსაც თვითონ არ შეეძლო მიეთითებინა თავისი ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა, განისაზღვრებოდა მშობლების მიერ, ხოლო თუ მშობლები ვერ თანხმდებდნენ, უპირატესობა ენიჭებოდა დედის ეროვნებას/ეთნიკურ წარმომავლობას. თუ გამოსაკითხ პირს არ სურდა ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის მითითება, ან უარს აცხადებდა პასუხზე, აღენიშნებოდა „უარი პასუხზე“. მაგალითისათვის შევსების წესი იხ. სურათი 1-ზე.

სურათი 1

**6. ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა**

<input checked="" type="checkbox"/> ქართველი	<input type="checkbox"/> ოსი	<input type="checkbox"/> რუსი	<input type="checkbox"/> სხვა	→	<input type="text"/>
<input type="checkbox"/> აფხაზი	<input type="checkbox"/> აზერბაიჯანელი	<input type="checkbox"/> სომეხი	<input type="checkbox"/> უარი პასუხზე		(მიუთითეთ ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა)

---

**6. ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა**

<input type="checkbox"/> ქართველი	<input type="checkbox"/> ოსი	<input type="checkbox"/> რუსი	<input checked="" type="checkbox"/> სხვა	→	<input type="text" value="გაგაულები"/>
<input type="checkbox"/> აფხაზი	<input type="checkbox"/> აზერბაიჯანელი	<input type="checkbox"/> სომეხი	<input type="checkbox"/> უარი პასუხზე		(მიუთითეთ ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა)

გარდა მუდმივი მოსახლეობისა, ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია შეგროვდა, ასევე, ემიგრანტებისთვისაც. ზემოთ მოცემული ინსტრუქციის ანალოგიურად: ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის შევსებისას აღმწერს უნდა აღენიშნა კითხვარში ჩამოთვლილი ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგანი, ან გრაფაში „სხვა“, უნდა ჩაეწერა ემიგრანტის ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა. ამასთან, არასრულწლოვანი ემიგრანტის ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა, განისაზღვრებოდა მშობლების მიერ და თუ მშობლები ვერ თანხმდებოდნენ, უპირატესობა ენიჭებოდა დედის ეროვნებას. მაგალითისათვის შევსების წესი იხ. სურათი 2-ზე.

სურათი 2

**5. ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა**

<input checked="" type="checkbox"/> ქართველი	<input type="checkbox"/> ოსი	<input type="checkbox"/> რუსი	<input type="checkbox"/> სხვა	→	მიუთითეთ ეროვნება	<input type="text"/>
<input type="checkbox"/> აფხაზი	<input type="checkbox"/> აზერბაიჯანელი	<input type="checkbox"/> სომეხი	<input type="checkbox"/> უარი პასუხზე			(მიუთითეთ ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა)

ენა არის აზრის გამოხატვისა და ადამიანთა შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება. შესაბამისად, სახელმწიფო ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ისეთი ქვეყნის მშვიდობიანი განვითარებისთვის, რომელიც ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ეთნიკური უმცირესობების, ასევე უცხო ქვეყნის იმიგრანტების ინტეგრაციისათვის, სახელმწიფო ენის ცოდნას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს, სხვა ინფორმაციასთან ერთად, შეგროვდა ინფორმაცია მშობლიური ენისა და ქართული ენის ფლობის შესახებ.

საქსტატის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად, მშობლიური ენის შევსებისას აღმწერს უნდა აღნიშნა კითხვარში ჩამოთვლილი ენებიდან ერთ-ერთი ან გრაფაში „სხვა“, მიეთითებინა იმ ენის დასახელება, რომელსაც თავად გამო-საკითხი მიიჩნევდა თავის მშობლიურ ენად. შესაბამისად,

- ა) მშობლიურ ენად, მიეთითებოდა იმ ენის დასახელება, რომელსაც გამოსაკითხი ჩვეულებრივ იყენებს შინამეურნეობაში;
- ბ) მცირეწლოვანი ბავშვების მშობლიურ ენას განსაზღვრავდნენ მშობლები. თუ მშობლებს უჭირდათ ბავშვის მშობლიური ენის განსაზღვრა, იწერებოდა ის ენა, რომელი ენაც ჩვეულებრივ გამოიყენება შინამეურნეობაში;
- გ) ყრუ-მუხდთათვის მშობლიურ ენად ითვლება ის ენა, რომელ ენაზეც ისინი კითხულობენ და წერენ, ან ენა, რომლითაც სარგებლობენ მათი შინამეურნეობის წევრები ან ისინი, ვისთანაც მათ აქვთ ძირითადად ურთიერთობა. მაგალითისათვის, შევსების წესი იხ. სურათი 3-ზე.

**სურათი 3**

**12. პენების ფორმა**  
**12.1 მშობლიური ენა**

<input checked="" type="checkbox"/> ქართული	<input type="checkbox"/> აზერბაიჯანული	<input type="checkbox"/> სხვა	→	<input type="text"/>
<input type="checkbox"/> აფხაზური	<input type="checkbox"/> რუსული	(მიუთითეთ მშობლიური ენა)		
<input type="checkbox"/> ოსური	<input type="checkbox"/> სომხური			

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ინსტრუქციის თანახმად, ქართული ენის ცოდნის შე-სახებ ინფორმაციის მისაღებად, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა: „ფლობთ თუ არა თავისუფლად ქართულ ენას?“.

1. დიას - აღნიშნებოდა პირს, რომელიც თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას (ე.ი. შეეძლო კითხვა, წერა და თავი-სუფლად ლაპარაკი);
2. არა - აღნიშნებოდა პირს, რომელიც თავისუფლად არ ფლობდა ქართულ ენას, ასევე ბავშვს, რომელმაც ჯერ არ იცოდა ლაპარაკი.

აღსანიშნავია, რომ კითხვა არ დაესმოდათ იმ რესპონდენტებს, რომლებმაც მშობლიურ ენაში მიუთითეს ქართული. მა-გალითისათვის, შევსების წესი იხ. სურათი 4-ზე.

**სურათი 4**

**12. პენების ფორმა**  
**12.1 მშობლიური ენა**

<input type="checkbox"/> ქართული	<input type="checkbox"/> აზერბაიჯანული	<input checked="" type="checkbox"/> სხვა	→	<input type="text" value="ზეინდელი"/>	<b>12.2 ფლობთ თუ არა თავისუფლად ქართულ ენას?</b>
<input type="checkbox"/> აფხაზური	<input type="checkbox"/> რუსული	(მიუთითეთ მშობლიური ენა)			<input checked="" type="checkbox"/> დიახ
<input type="checkbox"/> ოსური	<input type="checkbox"/> სომხური				<input type="checkbox"/> არა

**12. პენების ფორმა**  
**12.1 მშობლიური ენა**

<input type="checkbox"/> ქართული	<input checked="" type="checkbox"/> აზერბაიჯანული	<input type="checkbox"/> სხვა	→	<input type="text"/>	<b>12.2 ფლობთ თუ არა თავისუფლად ქართულ ენას?</b>
<input type="checkbox"/> აფხაზური	<input type="checkbox"/> რუსული	(მიუთითეთ მშობლიური ენა)			<input type="checkbox"/> დიახ
<input type="checkbox"/> ოსური	<input type="checkbox"/> სომხური				<input checked="" type="checkbox"/> არა

აღსანიშნავია, რომ აღწერების ისტორიული მასალები დაცულია არქივებში, ხოლო სტატისტიკის ეროვნულ სამსახურში ხელმისაწვდომია ელექტრონული სტატისტიკური ინფორმაცია მოსახლეობის განაწილების შესახებ ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე 1926 წლიდან, ხოლო მშობლიური ენის შესახებ 1959 წლიდან.

#### 4.4. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა


საქართველო მდებარეობს კავკასიის დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, სამხრეთიდან – თურქეთის და სომხეთის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – აზერბაიჯანის რესპუბლიკები. თავისი ისტორიის განმავლობაში ქვეყანა მრავალჯერ იყო დაპყრობილი, რამაც, თავის მხრივ, გავლენა იქონია მის ისტორიაზე, კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ კავშირებზე მეზობელ ერებთან.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ძალიან ახლოს არის მონო-ეთნიკურთან, საქართველოს მოსახლეობის 86,8% ეთნიკური ქართველია<sup>1</sup>.

დიაგრამა 1

ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი მთლიან მოსახლეობაში (%)

(მოსახლეობის საყოველთაო აღწერებით)



დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩატარებულმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერებმა აჩვენა, რომ ეთნიკურად ქართველების წილი 2014 წელს 87%-მდე გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მაღალი გარე მიგრაციით.


<sup>1</sup> 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა: <http://census.ge/ge/results/census>.

ქვემოთ მოყვანილია დიაგრამა, რომელიც ასახავს საქართველოდან 2002-2014 წლებში ემიგრაციის ინტენსივობას ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. ინტენსივობის მაჩვენებლად გამოყენებულია ფარდობითი ინდექსი<sup>1</sup>, როგორც არის გარკვეული ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის ემიგრანტების წილისა და შესაბამისი ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის წილის შეფარდება. ემიგრაციის ინტენსივობის ფარდობითი ინდექსი ეროვნებებისთვის/ეთნიკურობისთვის გაიანგარიშება ფორმულით:  $I_m = \frac{E_m}{P_m}$ , სადაც  $E_m$  არის გარკვეული ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის ემიგრანტების წილი, ხოლო  $P_m$  – შესაბამისი ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის წილი.

დიაგრამა 2

საქართველოდან სხვადასხვა ეროვნების/ეთნიკური წარმომავლობის მოსახლეობის ემიგრაციის ინტენსივობა ფარდობითი ინდექსის მიხედვით 2002 და 2014 წლებში

(მოსახლეობის საყოველთაო აღწერების და მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული შედეგებით)



როგორც ზემოთ მოცემული გრაფიკიდან ჩანს, ყველაზე მაღალი ინტენსივობით აღწერათაშორის პერიოდში ხასიათდებოდა ეთნიკური ბერძენი, ოსი და რუსი მოსახლეობა, რაც, თავის მხრივ, დამახასიათებელი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდისათვის, როდესაც ეროვნული უმცირესობები უბრუნდებოდნენ ისტორიულ სამშობლოს.

<sup>1</sup> გიორგი წულაძე, ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, ევრაზიის ფონდი, ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაცია, 2005.

## საქართველოს მოსახლეობის განაწილება ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით

(მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	1926	1939	1959	1970	1979	1989	2002*	2014
<b>რიცხვობა, კაცი</b>								
<b>სულ</b>	<b>2,666,494</b>	<b>3,540,023</b>	<b>4,044,045</b>	<b>4,686,358</b>	<b>4,993,182</b>	<b>5,400,841</b>	<b>3,991,273</b>	<b>3,713,804</b>
ქართველი	1,788,186	2,173,922	2,600,588	3,130,741	3,433,011	3,787,393	3,353,815	3,224,564
სომეხი	307,018	415,013	442,916	452,309	448,000	437,211	227,650	168,102
აზერბაიჯანელი	137,921	187,841	153,600	217,758	255,678	307,556	243,513	233,024
ოსი	113,298	147,292	141,178	150,185	160,497	164,055	34,394	14,385
რუსი	96,085	308,684	407,886	396,694	371,608	341,172	65,157	26,453
აფხაზი	56,847	57,226	62,878	79,449	85,285	95,853	17,976	864
ბერძენი	54,051	84,636	72,938	89,246	95,105	100,324	13,914	5,544
ებრაელი	30,534	42,300	51,582	55,382	28,298	24,795	3,710	1,405
სხვა	82,554	123,109	110,479	114,594	115,700	142,482	31,144	38,359
უარი პასუხზე	0	0	0	0	0	0	0	591
არ არის								
მითითებული	0	0	0	0	0	0	0	513
<b>%</b>								
<b>სულ</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>	<b>100.0</b>
ქართველი	67.1	61.4	64.3	66.8	68.8	70.1	84.0	86.8
სომეხი	11.5	11.7	11.0	9.7	9.0	8.1	5.7	4.5
აზერბაიჯანელი	5.2	5.3	3.8	4.6	5.1	5.7	6.1	6.3
ოსი	4.2	4.2	3.5	3.2	3.2	3.0	0.9	0.4
რუსი	3.6	8.7	10.1	8.5	7.4	6.3	1.6	0.7
აფხაზი	2.1	1.6	1.6	1.7	1.7	1.8	0.5	0.0
ბერძენი	2.0	2.4	1.8	1.9	1.9	1.9	0.3	0.1
ებრაელი	1.1	1.2	1.3	1.2	0.6	0.5	0.1	0.0
სხვა	3.1	3.5	2.7	2.4	2.3	2.6	0.8	1.0
უარი პასუხზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არ არის								
მითითებული	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

\* მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული შედეგები.

#### 4.5. საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა და მშობლიური ენა რეგიონების მიხედვით

2014 წლის მოსახლეობის აღწერის შედეგების მიხედვით, ქ. თბილისის მოსახლეობის 89.9%, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის – 99.7%, სამეგრელო - ზემო სვანეთის – 99.4%, იმერეთის – 99.3%, გურიის – 98.1%, აჭარის ა.რ.-ის 96.0%, შიდა ქართლის 94.7%, მცხეთა-მთიანეთის – 94.5%, კახეთის – 85.2% ეთნიკურად ქართველია, ხოლო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - ქართველები შედარებით დაბალი წილით არიან წარმოდგენილი – შესაბამისად, 51.3% და 48.3%.

საქართველოს მოსახლეობის 6.3% ეთნიკურად აზერბაიჯანელია, ამათგან 41.8% ცხოვრობს ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო 10.2% – კახეთში.

ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა, საქართველოს მოსახლეობის 4.5%-ს შეადგენს, მათგან თითქმის ნახევარი (50.2%) სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მცხოვრებია.

საინტერესოა მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილების ანალიზი 2002-2014 წლებში რეგიონების მიხედვით.

ქ. თბილისში 2002-2014 წლებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი გაიზარდა 5.7 პროცენტული პუნქტით - 84.2%-დან 89.9%-მდე. ეთნიკური აზერბაიჯანელების წილი თითქმის უცვლელი დარჩა, ხოლო სხვა ეთნიკური უმცირესობების წილი შემცირდა. დედაქალაქში მცხოვრები ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის წილი შემცირდა 7.6%-დან 4.8%-მდე. მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლის რეგიონში შემცირდა ეთნიკურად ოსი მოსახლეობის წილი.

ასევე, აღსანიშნავია ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის წილის შემცირება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. 2002 წელს ეთნიკურად სომეხების წილმა შეადგინა 53.6%, ხოლო 2014 წელს მათი წილი განისაზღვრა 50.5%-ით.

გურიის, იმერეთის, კახეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად ქართველ მოსახლეობას შეადგენს და 2002-2014 წლებში ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით ცვლილება პრაქტიკულად არ განუცდია.

#### ცხრილი 2

##### საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონების და ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით

(2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული შედეგებით)

	სულ	მათ შორის ეროვნებით/ეთნიკური წარმომავლობით:					
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	სხვა
<b>რიცხვობა, კაცი</b>							
<b>საქართველო</b>	<b>3,991,273</b>	<b>3,353,815</b>	<b>243,513</b>	<b>227,650</b>	<b>65,157</b>	<b>34,394</b>	<b>66,744</b>
ქ. თბილისი	1,062,157	894,177	10,742	81,093	31,993	10,083	34,069
აფხაზეთის ა.რ.	1,633	1,595	5	1	19	2	11
აჭარის ა.რ.	342,088	317,786	516	8,814	8,917	203	5,852
გურია	125,308	121,238	87	1,989	1,417	139	438
იმერეთი	632,126	622,464	254	1,823	4,671	591	2,323

კახეთი	<b>352,736</b>	297,312	33,282	3,424	3,443	5,184	10,091
მცხეთა-მთიანეთი	<b>109,548</b>	101,752	1,919	476	698	3,418	1,285
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	<b>44,003</b>	43,649	39	26	96	105	88
სამეგრელო-ზემო სვანეთი	<b>416,349</b>	410,247	131	452	3,918	154	1,447
სამცხე-ჯავახეთი	<b>183,096</b>	80,970	58	98,226	2,013	786	1,043
ქვემო ქართლი	<b>443,110</b>	206,355	191,356	28,045	6,162	2,070	9,122
შიდა ქართლი	<b>279,119</b>	256,270	5,124	3,281	1,810	11,659	975
<b>%</b>							
<b>საქართველო</b>	<b>100.0</b>	<b>84.0</b>	<b>6.1</b>	<b>5.7</b>	<b>1.6</b>	<b>0.9</b>	<b>1.7</b>
ქ. თბილისი	100.0	84.2	1.0	7.6	3.0	0.9	3.2
აფხაზეთის ა.რ.	100.0	97.7	0.3	0.1	1.2	0.1	0.7
აჭარის ა.რ.	100.0	92.9	0.2	2.6	2.6	0.1	1.7
გურია	100.0	96.8	0.1	1.6	1.1	0.1	0.3
იმერეთი	100.0	98.5	0.0	0.3	0.7	0.1	0.4
კახეთი	100.0	84.3	9.4	1.0	1.0	1.5	2.9
მცხეთა-მთიანეთი	100.0	92.9	1.8	0.4	0.6	3.1	1.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100.0	99.2	0.1	0.1	0.2	0.2	0.2
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100.0	98.5	0.0	0.1	0.9	0.0	0.3
სამცხე-ჯავახეთი	100.0	44.2	0.0	53.6	1.1	0.4	0.6
ქვემო ქართლი	100.0	46.6	43.2	6.3	1.4	0.5	2.1
შიდა ქართლი	100.0	91.8	1.8	1.2	0.6	4.2	0.3

**ცხრილი 3**

საქართველოს მოსახლეობის განაწილება რეგიონების და ეროვნებების/ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	სულ	მათ შორის ეროვნებით/ეთნიკური წარმომავლობით:							
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	ოსი	სსეა	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
<b>რიცხვობა, კაცი</b>									
<b>საქართველო</b>	<b>3,713,804</b>	<b>3,224,564</b>	<b>233,024</b>	<b>168,102</b>	<b>26,453</b>	<b>14,385</b>	<b>46,172</b>	<b>591</b>	<b>513</b>
ქ. თბილისი	1,108,717	996,804	15,187	53,409	13,350	4,313	25,178	177	299
აჭარის ა.რ.	333,953	320,742	340	5,461	3,679	101	3,524	21	85
გურია	113,350	111,168	34	1,228	564	30	319	1	6



იმერეთი	<b>533,906</b>	530,288	106	709	1,384	143	1,252	7	17
კახეთი	<b>318,583</b>	271,298	32,354	2,191	1,921	2,526	8,257	4	32
მცხეთა-მთიანეთი	<b>94,573</b>	89,343	2,316	291	252	1,327	1,043	0	1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	<b>32,089</b>	31,977	1	9	29	28	45	0	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	<b>330,761</b>	328,662	64	143	1,173	46	668	0	5
სამცხე-ჯავახეთი	<b>160,504</b>	77,498	89	81,089	712	393	712	5	6
ქვემო ქართლი	<b>423,986</b>	217,305	177,032	21,500	2,631	810	4,283	370	55
შიდა ქართლი	<b>263,382</b>	249,479	5,501	2,072	758	4,668	891	6	7
		<b>%</b>							
<b>საქართველო</b>	<b>100.0</b>	<b>86.8</b>	<b>6.3</b>	<b>4.5</b>	<b>0.7</b>	<b>0.4</b>	<b>1.2</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>
ქ. თბილისი	100.0	89.9	1.4	4.8	1.2	0.4	2.3	0.0	0.0
აჭარის ა. რ.	100.0	96.0	0.1	1.6	1.1	0.0	1.1	0.0	0.0
გურია	100.0	98.1	0.0	1.1	0.5	0.0	0.3	0.0	0.0
იმერეთი	100.0	99.3	0.0	0.1	0.3	0.0	0.2	0.0	0.0
კახეთი	100.0	85.2	10.2	0.7	0.6	0.8	2.6	0.0	0.0
მცხეთა-მთიანეთი	100.0	94.5	2.4	0.3	0.3	1.4	1.1	0.0	0.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100.0	99.7	0.0	0.0	0.1	0.1	0.1	0.0	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100.0	99.4	0.0	0.0	0.4	0.0	0.2	0.0	0.0
სამცხე-ჯავახეთი	100.0	48.3	0.1	50.5	0.4	0.2	0.4	0.0	0.0
ქვემო ქართლი	100.0	51.3	41.8	5.1	0.6	0.2	1.0	0.1	0.0
შიდა ქართლი	100.0	94.7	2.1	0.8	0.3	1.8	0.3	0.0	0.0

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ქართული მშობლიურ ენად საქართველოს მოსახლეობის 87.6%-ს აქვს მითითებული. ამასთან, ქ. თბილისის მოსახლეობის 91.5%, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის – 99.7%, იმერეთის – 99.4%, სამეგრელო-ზემო სვანეთის – 99.3%, გურიის – 98.2%, შიდა ქართლის 96.6%, აჭარის ა.რ.-ის 96.4%, მცხეთა-მთიანეთის – 95.6%, კახეთის – 85.2% მშობლიური ენა ქართულია, ხოლო ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში - მოსახლეობის 51.8% და 49.3%-სთვის არის ქართული მშობლიური ენა.

აზერბაიჯანული მშობლიურ ენად, საქართველოს მოსახლეობის 6.2%-ს აქვს მითითებული, რომლებიც, ძირითადად, განაწილებულნი არიან ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში – 41.6% და 10.1% შესაბამისად. საქართველოს მოსახლეობის 3.9%-ის მშობლიური ენა სომხურია. სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (49.8%) სომხურენოვანია, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში მათი წილი არ აღემატება 5%-ს.


საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ 1.2%-მა მიუთითა რუსული, როგორც მშობლიური ენა (იხ. ცხრილი 4).

მოსახლეობის განაწილება რეგიონების და მშობლიური ენის მიხედვით  
(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	სულ	მათ შორის მშობლიური ენით:							
		ქართული	აფსაზური	ოსური	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სხვა	არ არის მითითებული
<b>რიცხვობა, კაცი</b>									
<b>საქართველო</b>	<b>3,713,804</b>	<b>3,254,852</b>	<b>272</b>	<b>5,698</b>	<b>231,436</b>	<b>45,920</b>	<b>144,812</b>	<b>30,742</b>	<b>72</b>
ქ. თბილისი	1,108,717	1,014,079	96	1,281	14,640	25,993	37,500	15,086	42
აჭარის ა. რ.	333,953	321,823	113	23	232	6,500	3,237	2,017	8
გურია	113,350	111,343	3	15	33	742	998	215	1
იმერეთი	533,906	530,672	12	43	85	1,755	528	810	1
კახეთი	318,583	272,737	6	1,953	32,183	2,310	1,483	7,902	9
მცხეთა-მთიანეთი	94,573	90,370	3	578	2,297	332	150	843	0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,992	0	21	1	50	2	23	0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330,761	328,570	17	17	55	1,585	117	399	1
სამცხე-ჯავახეთი	160,504	79,065	4	91	74	979	79,878	413	0
ქვემო ქართლი	423,986	219,706	13	277	176,417	4,849	20,095	2,620	9
შიდა ქართლი	263,382	254,495	5	1,399	5,419	825	824	414	1
<b>%</b>									
<b>საქართველო</b>	<b>100.0</b>	<b>87.6</b>	<b>0.0</b>	<b>0.2</b>	<b>6.2</b>	<b>1.2</b>	<b>3.9</b>	<b>0.8</b>	<b>0.0</b>
ქ. თბილისი	100.0	91.5	0.0	0.1	1.3	2.3	3.4	1.4	0.0
აჭარის ა. რ.	100.0	96.4	0.0	0.0	0.1	1.9	1.0	0.6	0.0
გურია	100.0	98.2	0.0	0.0	0.0	0.7	0.9	0.2	0.0
იმერეთი	100.0	99.4	0.0	0.0	0.0	0.3	0.1	0.2	0.0
კახეთი	100.0	85.6	0.0	0.6	10.1	0.7	0.5	2.5	0.0
მცხეთა-მთიანეთი	100.0	95.6	0.0	0.6	2.4	0.4	0.2	0.9	0.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	100.0	99.7	0.0	0.1	0.0	0.2	0.0	0.1	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	100.0	99.3	0.0	0.0	0.0	0.5	0.0	0.1	0.0
სამცხე-ჯავახეთი	100.0	49.3	0.0	0.1	0.0	0.6	49.8	0.3	0.0
ქვემო ქართლი	100.0	51.8	0.0	0.1	41.6	1.1	4.7	0.6	0.0
შიდა ქართლი	100.0	96.6	0.0	0.5	2.1	0.3	0.3	0.2	0.0


საქართველოს მოსახლეობის 7.1% არ ფლობს თავისუფლად ქართულ ენას, მათ შორის ქვემო ქართლის მოსახლეობის 38.3%-ს, სამცხე-ჯავახეთის – 35.9%-ს და კახეთის – 7.6%-ს არ შეუძლია სახელმწიფო ენაზე წერა-კითხვა და თავისუფლად ლაპარაკი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართი 2-ში.

**ქართული ენის არმცოდნეთა წილი მთელ მოსახლეობაში, (%)**  
**(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)**



საინტერესო სურათია მუნიციპალიტეტების მიხედვით. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის 73.5% და 75.7%, ახალციხის მუნიციპალიტეტის 16.2% – არ ფლობს სახელმწიფო ენას. ასევე, კახეთის რეგიონში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 16.4 და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 26.0% თავისუფლად არ ფლობს ქართულ ენას. ანალოგიური სურათია ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 78.6%, ღმანისის მუნიციპალიტეტის – 57.3%, ბოლნისის მუნიციპალიტეტის – 56.7% და წალკის მუნიციპალიტეტის 41.1% არ ფლობს ქართულ ენას.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე წარმოდგენილია ქართული ენის არმცოდნე მოსახლეობის წილი (%) მთელ მოსახლეობაში.



საქართველოს შინამეურნეობების 85.9%-ში შინამეურნეობის ყველა წევრი ეთნიკურად ქართველია. საქართველოს რეგიონების აბსოლუტურ უმრავლესობაში მსგავსი სიტუაციაა, სადაც შინამეურნეობების 85%-ზე მეტში შინამეურნეობის ყველა წევრი ეთნიკურად ქართველია. გამონაკლისია მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონი, სადაც ასეთი შინამეურნეობები 48.8% და 53.6% შეადგენს. ქვემო ქართლის რეგიონში შინამეურნეობების 36.0% ეთნიკურად აზერბაიჯანელი წევრებისგან შედგება, ხოლო სამცხე-ჯავახეთის რეგიონის შინამეურნეობების 45.6% - ეთნიკურად სომხებისგან.

**ცხრილი 5**

**კერძო შინამეურნეობების რაოდენობა ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით**

**(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)**

	საქართველო	თბილისი	აჭარის ა.რ.	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	
<b>კერძო შინამეურნეობების რაოდენობა</b>	<b>1,109,130</b>	<b>339,304</b>	<b>83,782</b>	<b>34,931</b>	<b>169,016</b>	<b>98,975</b>	<b>29,863</b>	<b>12,902</b>	<b>101,507</b>	<b>43,981</b>	<b>114,579</b>	<b>80,290</b>	
<b>ერთი ეროვნების შინამეურნეობები</b>	<b>1,068,009</b>	<b>319,276</b>	<b>80,148</b>	<b>34,197</b>	<b>167,266</b>	<b>95,954</b>	<b>28,742</b>	<b>12,835</b>	<b>100,409</b>	<b>41,930</b>	<b>110,349</b>	<b>76,903</b>	
<i>მათ შორის შინამეურნეობების წევრები, რომლებსაც შინამეურნეობის წევრები ეთნიკურად</i>	ქართველია	953,104	292,857	77,083	33,728	166,484	85,529	27,800	12,805	99,940	21,476	61,425	73,977
	აზერბაიჯანელია	76	35	21	0	3	6	2	0	2	1	4	2
	ოსია	3,038	710	13	7	30	714	282	8	7	75	129	1,063
	რუსია	6,192	3,050	892	135	322	492	34	7	289	132	696	143
	აზერბაიჯანელია	53,700	3,737	64	4	23	6,974	473	0	13	12	41,205	1,195
	სომეხია	41,315	13,129	1,219	263	118	465	26	3	37	20,076	5,707	272
	ბერძენია	1,428	332	147	6	18	27	9	1	10	110	748	20
	სხვა	9,156	5,426	709	54	268	1,747	116	11	111	48	435	231
<b>შერეული შინამეურნეობები, რომლის ერთი წევრი მანც ეთნიკურად ქართველია</b>	<b>36,238</b>	<b>17,175</b>	<b>3,133</b>	<b>703</b>	<b>1,692</b>	<b>2,749</b>	<b>1,072</b>	<b>67</b>	<b>1,049</b>	<b>1,825</b>	<b>3,483</b>	<b>3,290</b>	
<b>შერეული შინამეურნეობები, რომლის არცერთი წევრი არ არის ეთნიკურად ქართველი</b>	<b>4,321</b>	<b>2,493</b>	<b>420</b>	<b>26</b>	<b>37</b>	<b>251</b>	<b>48</b>	<b>0</b>	<b>44</b>	<b>216</b>	<b>702</b>	<b>84</b>	
<b>არ არის მითითებული/არ უპასუხა</b>	<b>562</b>	<b>360</b>	<b>81</b>	<b>5</b>	<b>21</b>	<b>21</b>	<b>1</b>	<b>0</b>	<b>5</b>	<b>10</b>	<b>45</b>	<b>13</b>	

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, შინამეურნეობების 5.4%-ში არცერთი წევრი არ ფლობს სახელმწიფო ენას. ქ. თბილისში, აჭარის ა.რ.-ში, გურიის, იმერეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და შიდა ქართლის რეგიონებში ასეთი შინამეურნეობების წილი არ აღემატება 2%-ს.

კახეთის რეგიონში აღსანიშნავია ორი მუნიციპალიტეტი, სადაც შინამეურნეობებში არცერთი წევრი არ ფლობს თავისუფლად ქართულ ენას – ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი (9.7%) და საგარეჯოს მუნიციპალიტეტი (13.9%).

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, ამ მხრივ საგულისხმოა ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები – 64.3% და 65.7% შესაბამისად. ასლციხის მუნიციპალიტეტში ასეთი შინამეურნეობების წილი 12.9%-ია.

ქვემო ქართლის რეგიონში აღსანიშნავია, ბოლნისის (51.6%), დმანისის (47.7%), მარნეულის (69.4%) და წალკის (36.5%) მუნიციპალიტეტები. დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართ N3-ში.

#### 4.5.1. საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რიცხვითი მონაცემები 3 მილიონ 225 ათას კაცს შეადგენს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 86,88 პროცენტია.

საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის 31% ქ. თბილისში ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 26,8%-ია. იმერეთის რეგიონში შესაბამისად 16.4% და 14.3%, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში – 10.2% და 8.8%, აჭარის ა. რ-ში – 9.9% და 8.6% და ა. შ. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განაწილებას რეგიონების მიხედვით:

ცხრილი 6

#### საქართველოს ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	რიცხვითობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>3,224,564</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	996,804	30.9
აჭარის ა.რ.	320,742	9.9
გურია	111,168	3.4
იმერეთი	530,288	16.4
კახეთი	271,298	8.4
მცხეთა-მთიანეთი	89,343	2.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31,977	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	328,662	10.2
სამცხე-ჯავახეთი	77,498	2.4
ქვემო ქართლი	217,305	6.7
შიდა ქართლი	249,479	7.7

საინტერესოა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (იხ. დანართი 1).

ქ. თბილისის, აჭარის ა. რ-ის, გურიის, იმერეთის მცხეთა-მთიანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის და შიდა ქართლის ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი აღემატება 85%-ს.

ამასთან, ახმეტის, ლაგოენის, თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტებში და ქ. ახალციხეში ეთნიკურად ქართველების წილი 70%-დან 85%-მდეა.

აღსანიშნავია, ახალქალაქის, ნინოწმინდის და მარნეულის მუნიციპალიტეტები, სადაც ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი არ აღემატება 10%-ს.

ქვემოთ მოცემულ ეთნიკურ რუკაზე წარმოდგენილია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის განაწილება (%) ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.



#### 4.5.2. საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რიცხოვნობა 223 ათას კაცს შეადგენს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 6.3%-ია. აზერბაიჯანელები, ძირითადად, ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონში არიან განაწილებულნი, მათი წილი ქ. თბილისში არ აღემატება 7%-ს (იხ. ცხრილი 7).

საქართველოს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	რიცხოვნობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>233,024</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	15,187	6.5
აჭარის ა.რ.	340	0.1
გურია	34	0.0
იმერეთი	106	0.0
კახეთი	32,354	13.9
მცხეთა-მთიანეთი	2,316	1.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	64	0.0
სამცხე-ჯავახეთი	89	0.0
ქვემო ქართლი	177,032	76.0
შიდა ქართლი	5,501	2.4

აღსანიშნავია, მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც მოსახლეობის 83.8% ეთნიკურად აზერბაიჯანელია.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებმა აჩვენა, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის წილი 33.2%-ია, გარდაბნის მუნიციპალიტეტში – 43.5%, ხოლო ბოლნისის და დმანისის მუნიციპალიტეტებში – 63.3% და 65.5%-ია.

ქვემოთ მოცემულ ეთნიკურ რუკაზე წარმოდგენილია ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის განაწილება (%) ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.



### 4.5.3. საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის რიცხოვნობა 168 ათას კაცს შეადგენს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 4.5%-ია.

ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის 48.2% სამცხე-ჯავახეთში ცხოვრობს. ქ. თბილისში მათი წილი 31.8%-ია, ხოლო ქვემო ქართლის რეგიონში სომეხების თითქმის 13% ცხოვრობს (იხ. ცხრილი 8).

ცხრილი 8

საქართველოს ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	რიცხოვნობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>168,102</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	53,409	31.8
აჭარის ა. რ.	5,461	3.2
გურია	1,228	0.7
იმერეთი	709	0.4
კახეთი	2,191	1.3
მცხეთა-მთიანეთი	291	0.2
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	9	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	143	0.1
სამცხე-ჯავახეთი	81,089	48.2
ქვემო ქართლი	21,500	12.8
შიდა ქართლი	2,072	1.2

ახალქალაქისა და ნინოწმინდის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად სომეხია – 92.9% და 95.0% შესაბამისად. ასევე, შედარებით მაღალია სომეხების წილი ქ. ახალციხეში, ახალციხის და წალკის მუნიციპალიტეტებში – 26.7%, 34.5% და 38.8%.

ქვემოთ მოცემულ ეთნიკურ რუკაზე წარმოდგენილია ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის განაწილება (%) ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.



## 4.6. ტესტები

1. განსაზღვრულ ტერიტორიაზე ადმინთანა ისტორიულად ჩამოყალიბებულ ერთობას, რომელთაც გააჩნიათ საერთო ენობრივი, კულტურული, რელიგიური თავისებურებანი არის:
  - ა) ეთნოსი;
  - ბ) ეთნიკურობა;
  - გ) კონსტრუქციონიზმი;
  - დ) ეროვნება.
2. რას ეფუძნება ეთნიკურობის სტატიისტიკის წარმოება საქართველოში?
  - ა) შინამეურნეობათა კვარტალურ გამოკვლევებს;
  - ბ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს;
  - გ) ადმინისტრაციულ წყაროებს;
  - დ) შინამეურნეობათა კვარტალურ გამოკვლევებს და ადმინისტრაციულ წყაროებს.
3. ჩამოთვლილთაგან რომელ მეთოდებს იყენებს ეთნიკურობის სტატიისტიკა მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად?
  - ა) მონაცემთა შეგროვების მეთოდი;
  - ბ) მონაცემთა ანალიზის მეთოდი;
  - გ) მონაცემთა დამუშავების მეთოდი;
  - დ) სამივეს.
4. რომელი უწყება ატარებს მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს საქართველოში?
  - ა) იუსტიციის სამინისტრო;
  - ბ) სტატიისტიკის სააგენტო;
  - გ) სტატიისტიკის ეროვნული სამსახური;
  - დ) არასამთავრობო ორგანიზაციები.
5. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით რამდენია ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი საქართველოში?
  - ა) 50%;
  - ბ) 60-65%;
  - გ) 70-80%;
  - დ) 85-90%.
6. ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის რამდენი პროცენტი ცხოვრობს ქ. თბილისში?
  - ა)  $\approx 31\%$ ;
  - ბ)  $\approx 30\%$ ;
  - გ)  $\approx 90\%$ ;
  - დ)  $\approx 89\%$ .
7. ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობის რამდენი პროცენტი ცხოვრობს ქვემო ქართლის რეგიონში?
  - ა) 6.3%;
  - ბ) 80.0%;
  - გ) 76.0%;
  - დ) არცერთი არ არის სწორი.
8. ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის რამდენი პროცენტი ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში?
  - ა) 48.2%;
  - ბ) 26.7%;
  - გ) 4.5%;
  - დ) არცერთი არ არის სწორი.
9. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, 2002-2014 წლებში ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი?
  - ა) შემცირდა;
  - ბ) გაიზარდა;

გ) არ შეცვლილა; დ) ინფორმაცია არ არის საკმარისი დასკვნის გასაკეთებლად.

10. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ თვითმმართველ ერთეულშია ყველაზე მეტად გავრცელებული ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსახლეობა?

ა) ქ. თბილისი;

ბ) ქ. რუსთავი;

გ) წალკის მუნიციპალიტეტში;

დ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.

11. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ თვითმმართველ ერთეულშია ყველაზე მეტად გავრცელებული ეთნიკურად სომეხი მოსახლეობა?

ა) ქ. თბილისი;

ბ) ადიგენის მუნიციპალიტეტში;

გ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;

დ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში.

12. რომელი წლიდან არის საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომი?

ა) 2002;

ბ) 1993;

გ) 2014;

დ) 1926.

13. რა მიზეზით გაიზარდა ეთნიკურად ქართველი მოსახლეობის წილი 1989-2002 წლებში?

ა) ეთნიკური უმცირესობების ემიგრაცია;

ბ) ეთნიკური ქართველების იმიგრაცია;

გ) ბუნებრივი მატება;

დ) ეთნიკურად ქართველების წილი არ გაზარდილა.

დანართი 1

მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების და ეროვნების/ეთნიკური შემადგენლობის მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

კაცი

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	სულ მოსახლეობა	ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა:						
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	სხვა	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
<b>საქართველო</b>	<b>3,713,804</b>	<b>3,224,564</b>	<b>233,024</b>	<b>168,102</b>	<b>26,453</b>	<b>60,557</b>	<b>591</b>	<b>513</b>
<b>ქ. თბილისი</b>	<b>1,108,717</b>	<b>996,804</b>	<b>15,187</b>	<b>53,409</b>	<b>13,350</b>	<b>29,491</b>	<b>177</b>	<b>299</b>
გლდანის რაიონი	177,214	164,181	829	4,934	1,734	5,474	11	51
დიღუბის რაიონი	70,018	66,556	225	1,385	786	1,054	4	8
ვაკის რაიონი	111,903	107,862	494	1,070	813	1,605	14	45
ისნის რაიონი	125,610	98,884	1,003	19,378	2,314	3,955	19	57
კრწანისის რაიონი	39,286	28,762	5,407	3,313	465	1,333	3	3
მთაწმინდის რაიონი	49,052	45,622	462	1,396	478	1,085	6	3
ნაძალადევის რაიონი	154,067	144,322	819	3,190	1,545	4,162	17	12
საბურთალოს რაიონი	138,493	131,150	2,691	1,359	1,038	2,183	50	22
სამგორის რაიონი	177,844	151,328	3,065	13,764	3,263	6,328	33	63
ჩუღურეთის რაიონი	65,230	58,137	192	3,620	914	2,312	20	35
<b>აჭარის ა.რ.</b>	<b>333,953</b>	<b>320,742</b>	<b>340</b>	<b>5,461</b>	<b>3,679</b>	<b>3,625</b>	<b>21</b>	<b>85</b>
ქ. ბათუმი	152,839	142,691	269	4,636	2,889	2,256	14	84
ქედის მუნიციპალიტეტი	16,760	16,747	0	1	5	7	0	0
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	74,794	72,624	40	696	666	765	2	1
შუახევის მუნიციპალიტეტი	15,044	14,764	0	2	2	275	1	0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51,189	50,811	19	125	110	122	2	0
ხულოს მუნიციპალიტეტი	23,327	23,105	12	1	7	200	2	0
<b>გურია</b>	<b>113,350</b>	<b>111,168</b>	<b>34</b>	<b>1,228</b>	<b>564</b>	<b>349</b>	<b>1</b>	<b>6</b>
ქ. ოზურგეთი	14,785	13,975	1	558	125	124	1	1
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	31,486	31,135	8	102	157	82	0	2
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	48,078	47,121	24	557	245	128	0	3
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	19,001	18,937	1	11	37	15	0	0
<b>იმერეთი</b>	<b>533,906</b>	<b>530,288</b>	<b>106</b>	<b>709</b>	<b>1,384</b>	<b>1,395</b>	<b>7</b>	<b>17</b>
ქ. ქუთაისი	147,635	146,153	54	127	533	754	3	11
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	21,582	21,514	1	6	32	29	0	0
ვანის მუნიციპალიტეტი	24,512	24,465	0	3	31	13	0	0

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	სულ მოსახლეობა	ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა:						
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	სხვა	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
ზესტაონის მუნიციპალიტეტი	57,628	57,365	1	42	119	100	0	1
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	35,563	35,446	9	13	64	30	0	1
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	48,562	47,779	23	379	218	158	2	3
საჩხერის მუნიციპალიტეტი	37,775	37,690	0	7	31	47	0	0
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	20,839	20,646	3	13	90	87	0	0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	56,883	56,601	13	28	147	94	0	0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	39,884	39,708	0	76	51	46	2	1
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	19,473	19,417	2	5	30	19	0	0
ხონის მუნიციპალიტეტი	23,570	23,504	0	10	38	18	0	0
<b>კახეთი</b>	<b>318,583</b>	<b>271,298</b>	<b>32,354</b>	<b>2,191</b>	<b>1,921</b>	<b>10,783</b>	<b>4</b>	<b>32</b>
ქ. თელავი	19,629	18,863	90	102	97	470	0	7
ასპეტის მუნიციპალიტეტი	31,461	24,852	91	54	63	6,399	0	2
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	54,337	53,494	48	273	140	382	0	0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	21,221	19,422	288	915	379	217	0	0
თელავის მუნიციპალიტეტი	38,721	33,490	4,945	46	59	179	1	1
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	41,678	29,796	9,601	350	733	1,190	0	8
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	51,761	34,211	17,164	92	169	111	0	14
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	29,948	29,180	100	218	209	241	0	0
ყვარლის მუნიციპალიტეტი	29,827	27,990	27	141	72	1,594	3	0
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	<b>94,573</b>	<b>89,343</b>	<b>2,316</b>	<b>291</b>	<b>252</b>	<b>2,370</b>	<b>0</b>	<b>1</b>
ქ. მცხეთა	7,940	7,661	10	57	61	151	0	0
ღუშეთის მუნიციპალიტეტი	25,659	24,946	3	18	39	653	0	0
თიანეთის მუნიციპალიტეტი	9,468	9,409	1	8	14	36	0	0
მცხეთის მუნიციპალიტეტი	47,711	43,561	2,301	205	131	1,512	0	1
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3,795	3,766	1	3	7	18	0	0
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	<b>32,089</b>	<b>31,977</b>	<b>1</b>	<b>9</b>	<b>29</b>	<b>73</b>	<b>0</b>	<b>0</b>
ქ. ამბროლაური	2,047	2,039	0	0	2	6	0	0
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	9,139	9,113	0	2	11	13	0	0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	4,386	4,382	0	0	2	2	0	0
ონის მუნიციპალიტეტი	6,130	6,073	1	6	6	44	0	0
ცაგერის მუნიციპალიტეტი	10,387	10,370	0	1	8	8	0	0
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	<b>330,761</b>	<b>328,662</b>	<b>64</b>	<b>143</b>	<b>1,173</b>	<b>714</b>	<b>0</b>	<b>5</b>
ქ. ზუგდიდი	42,998	42,739	6	10	134	109	0	0
ქ. ფოთი	41,465	40,446	40	65	604	308	0	2
აბაშის მუნიციპალიტეტი	22,341	22,258	2	3	51	27	0	0
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	62,511	62,340	1	5	104	60	0	1

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	სულ მოსახლეობა	ეროვნება/ეთნიკური წარმომავლობა:						
		ქართველი	აზერბაიჯანელი	სომეხი	რუსი	სვვა	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
მარტვილის მუნიციპალიტეტი	33,463	33,394	1	2	33	33	0	0
მესტიის მუნიციპალიტეტი	9,316	9,299	0	1	11	5	0	0
სენაკის მუნიციპალიტეტი	39,652	39,476	9	39	59	68	0	1
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	22,309	22,243	2	6	38	19	0	1
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	26,158	26,043	0	7	71	37	0	0
ზობის მუნიციპალიტეტი	30,548	30,424	3	5	68	48	0	0
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>160,504</b>	<b>77,498</b>	<b>89</b>	<b>81,089</b>	<b>712</b>	<b>1,105</b>	<b>5</b>	<b>6</b>
ქ. ასპლციხე	17,903	12,838	53	4,781	75	155	0	1
ადიგენის მუნიციპალიტეტი	16,462	15,985	13	372	41	51	0	0
ასპინძის მუნიციპალიტეტი	10,372	8,959	0	1,381	12	20	0	0
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	45,070	3,085	0	41,870	54	54	4	3
ასპლციხის მუნიციპალიტეტი	20,992	13,612	7	7,247	69	57	0	0
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	25,214	21,990	16	2,176	277	753	0	2
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	24,491	1,029	0	23,262	184	15	1	0
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>423,986</b>	<b>217,305</b>	<b>177,032</b>	<b>21,500</b>	<b>2,631</b>	<b>5,093</b>	<b>370</b>	<b>55</b>
ქ. რუსთავი	125,103	114,819	4,661	1,965	1,459	1,813	362	24
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	53,590	16,565	33,964	2,690	135	231	2	3
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	81,876	44,398	35,642	602	414	803	3	14
ღმანისის მუნიციპალიტეტი	19,141	6,345	12,530	87	67	112	0	0
თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტი	21,127	17,424	1,548	1,544	277	333	0	1
მარნეულის მუნიციპალიტეტი	104,300	8,952	87,371	7,291	230	441	3	12
წალკის მუნიციპალიტეტი	18,849	8,802	1,316	7,321	49	1,360	0	1
<b>შიდა ქართლი</b>	<b>263,382</b>	<b>249,479</b>	<b>5,501</b>	<b>2,072</b>	<b>758</b>	<b>5,559</b>	<b>6</b>	<b>7</b>
ქ. გორი	48,143	46,044	66	838	289	902	1	3
გორის მუნიციპალიტეტი	77,549	75,160	459	483	149	1,295	3	0
კასპის მუნიციპალიტეტი	43,771	37,877	3,846	104	101	1,841	1	1
ქარელის მუნიციპალიტეტი	41,316	38,684	1,124	311	81	1,113	0	3
საშურის მუნიციპალიტეტი	52,603	51,714	6	336	138	408	1	0

დანართი 2

მოსახლეობის განაწილება რეგიონების, მშობლიური ენისა და ქართული ენის თავისუფლად ფლობის მიხედვით

რეგიონი	საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა	თავისუფლად ფლობს ქართულ ენას				თავისუფლად არ ფლობს ქართულ ენას				იჯამოს		
		სულ	მათ შორის მშობლიური ენით:			სულ	მათ შორის მშობლიური ენით:					
			ადასტურდა	არაადასტურდა	არაადასტურდა		ადასტურდა	არაადასტურდა	არაადასტურდა			
საქართველო	3,713,804	3,409,015	3,254,852	43,579	57,316	53,268	263,706	X	172,134	74,258	17,314	41,083
ქ. თბილისი	1,108,717	1,082,680	1,014,079	10,121	29,584	28,896	13,299	X	3,034	2,889	7,376	12,738
აჭარის ა. რ.	333,953	328,651	321,823	160	2,233	4,435	3,098	X	32	511	2,555	2,204
გურია	113,350	112,653	111,343	19	745	546	269	X	5	72	192	428
იმერეთი	533,906	532,786	530,672	38	411	1,665	556	X	20	30	506	564
კახეთი	318,583	290,873	272,737	8,068	1,251	8,817	24,249	X	21,672	110	2,467	3,461
მცხეთა-მთიანეთი	94,573	93,702	90,370	1,816	98	1,418	341	X	198	6	137	530
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	32,059	31,992	1	0	66	12	X	0	1	11	18
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330,761	329,711	328,570	19	88	1,034	688	X	21	19	648	362
სამცხე-ჯავახეთი	160,504	96,649	79,065	40	16,676	868	57,610	X	27	57,132	451	6,245
ქვემო ქართლი	423,986	247,822	219,706	18,983	5,573	3,560	162,400	X	146,276	13,423	2,701	13,764
შიდა ქართლი	263,382	261,429	254,495	4,314	657	1,963	1,184	X	849	65	270	769

დანართი 3

კერძო შინამეურნეობების რაოდენობა თვითმმართველი ერთეულების და ქართულის ფლობის მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	სულ კერძო შინამეურნეობები	შინამეურნეობის ყველა წევრის მშობლიური ენა ქართულია ან ფლობს მაინც ქართულს სრულყოფილი და	შინამეურნეობის სულ მცირე ერთი წევრის მშობლიური ენა არის ქართული ან ფლობს მაინც ქართულს სრულყოფილია	შინამეურნეობის არცერთი წევრის მშობლიური ენა არ არის ქართული და არ ფლობს ქართულს სრულყოფილია	შინამეურნეობის არცერთ წევრს არ აქვს მითითებული მშობლიურ ენად ქართულის ფლობა
<b>საქართველო</b>	<b>1,109,130</b>	<b>1,009,810</b>	<b>39,898</b>	<b>59,403</b>	<b>19</b>
<b>ქ. თბილისი</b>	<b>339,304</b>	<b>322,622</b>	<b>11,448</b>	<b>5,224</b>	<b>10</b>
<b>აჭარის ა. რ.</b>	<b>83,782</b>	<b>80,320</b>	<b>1,964</b>	<b>1,493</b>	<b>5</b>
ქ. ბათუმი	41,591	39,017	1,586	984	4
ქედის მუნიციპალიტეტი	3,815	3,813	2	0	0
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	18,421	17,928	286	206	1
მუახევის მუნიციპალიტეტი	3,633	3,548	6	79	0
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	10,950	10,850	79	21	0
სულოს მუნიციპალიტეტი	5,372	5,164	5	203	0
<b>გურია</b>	<b>34,931</b>	<b>34,475</b>	<b>305</b>	<b>151</b>	<b>0</b>
ქ. ოზურგეთი	4,895	4,739	105	51	0
ღანჩოხეთის მუნიციპალიტეტი	9,752	9,658	60	34	0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	14,286	14,108	120	58	0
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	5,998	5,970	20	8	0
<b>იმერეთი</b>	<b>169,016</b>	<b>168,166</b>	<b>539</b>	<b>310</b>	<b>1</b>
ქ. ქუთაისი	45,249	44,894	184	170	1
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	7,047	7,029	17	1	0
ვანის მუნიციპალიტეტი	8,253	8,239	13	1	0
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	18,187	18,138	36	13	0
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	11,021	10,989	25	7	0
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	15,081	14,934	109	38	0
საჩხერის მუნიციპალიტეტი	11,336	11,315	14	7	0
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	7,489	7,442	25	22	0
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	17,032	16,937	65	30	0
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	13,827	13,785	30	12	0
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	6,754	6,742	9	3	0
ხონის მუნიციპალიტეტი	7,740	7,722	12	6	0

<b>კახეთი</b>	<b>98,975</b>	<b>90,631</b>	<b>4,789</b>	<b>3,554</b>	<b>1</b>
ქ. თელავი	6,416	6,328	64	23	1
ანმეტის მუნიციპალიტეტი	10,063	9,194	774	95	0
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	17,679	17,570	82	27	0
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	7,412	7,137	195	80	0
თელავის მუნიციპალიტეტი	11,634	10,804	708	122	0
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	12,660	10,153	1,273	1,234	0
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	13,406	10,101	1,440	1,865	0
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	10,406	10,299	66	41	0
ყვარლის მუნიციპალიტეტი	9,299	9,045	187	67	0
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	<b>29,863</b>	<b>29,369</b>	<b>420</b>	<b>74</b>	<b>0</b>
ქ. მცხეთა	2,323	2,279	33	11	0
ლუშეთის მუნიციპალიტეტი	9,099	9,048	42	9	0
თიანეთის მუნიციპალიტეტი	3,711	3,696	10	5	0
მცხეთის მუნიციპალიტეტი	13,325	12,951	328	46	0
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	1,405	1,395	7	3	0
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	<b>12,902</b>	<b>12,877</b>	<b>16</b>	<b>9</b>	<b>0</b>
ქ. ამბროლაური	721	718	3	0	0
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	3,950	3,943	4	3	0
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	1,543	1,542	1	0	0
ონის მუნიციპალიტეტი	2,593	2,585	3	5	0
ცაგერის მუნიციპალიტეტი	4,095	4,089	5	1	0
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	<b>101,507</b>	<b>100,684</b>	<b>557</b>	<b>266</b>	<b>0</b>
ქ. ზუგდიდი	13,113	13,010	66	37	0
ქ. ფოთი	12,744	12,381	218	145	0
აბაშის მუნიციპალიტეტი	7,262	7,237	19	6	0
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	18,206	18,114	78	14	0
მარტვილის მუნიციპალიტეტი	10,571	10,544	21	6	0
მესტიის მუნიციპალიტეტი	2,726	2,716	10	0	0
სენაკის მუნიციპალიტეტი	12,745	12,684	46	15	0
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	6,936	6,911	19	6	0
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	8,123	8,068	33	22	0
ხობის მუნიციპალიტეტი	9,081	9,019	47	15	0
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>43,981</b>	<b>25,040</b>	<b>6,545</b>	<b>12,396</b>	<b>0</b>
ქ. ახალციხე	5,175	4,344	577	254	0
ადიგენის მუნიციპალიტეტი	4,651	4,572	53	26	0
ასპინძის მუნიციპალიტეტი	2,876	2,547	177	152	0
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	11,092	1,113	2,846	7,133	0
ახალციხის მუნიციპალიტეტი	6,223	4,445	973	805	0
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	7,936	7,594	274	68	0
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	6,028	425	1,645	3,958	0
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>114,579</b>	<b>66,614</b>	<b>12,322</b>	<b>35,641</b>	<b>2</b>
ქ. რუსთავი	37,488	35,447	1,358	682	1



ბოლნისის მუნიციპალიტეტი	14,309	5,217	1,706	7,386	0
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	20,540	12,460	2,661	5,419	0
ღმანისის მუნიციპალიტეტი	5,524	2,216	674	2,634	0
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	6,706	5,798	398	510	0
მარნეულის მუნიციპალიტეტი	24,523	2,906	4,608	17,008	1
წალკის მუნიციპალიტეტი	5,489	2,570	917	2,002	0
<b>შიდა ქართლი</b>	<b>80,290</b>	<b>79,012</b>	<b>993</b>	<b>285</b>	<b>0</b>
ქ. გორი	15,021	14,823	143	55	0
გორის მუნიციპალიტეტი	23,263	23,093	145	25	0
კასპის მუნიციპალიტეტი	13,881	13,349	471	61	0
ქარელის მუნიციპალიტეტი	12,533	12,267	181	85	0
ხაშურის მუნიციპალიტეტი	15,592	15,480	53	59	0

## თემა 5. საქართველოს რეგიონების მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა შედარებითი ანალიზი

### საუქციო საკითხები

- 5.1. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები
- 5.2. შობადობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით
- 5.3. მოკვდაობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით
- 5.4. ქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით
- 5.5. განქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით
- 5.6. მოსახლეობის ბუნებრივი მატების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით
- 5.7. შობადობის კერძო კოეფიციენტები
- 5.8. მოკვდაობის კერძო კოეფიციენტები
- 5.9. ტესტები

### 5.1. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები

შობადობა საქართველოში იმ დემოგრაფიულ პროცესს წარმოადგენს, რომელიც მუდმივ ცვლილებას განიცდის. ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობით თუ ვიხელმძღვანელებთ, იყო წლები, როდესაც საქართველოში 100 000-ზე მეტი იბადებოდა (104 429 – 1961 წელს). საქსტატის მონაცემებით, დაბადებულთა ყველაზე მცირე რაოდენობა (46 194) საქართველოში 2003 წელს იყო დაფიქსირებული.<sup>1</sup>

დეკანდელი დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში ისეთია, რომ სახეზეა ბოლო 20 წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობის დასწრებით 1,7 მილიონი ადამიანით შემცირება. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ცალკეული რეგიონების მიხედვით ანალოგიური ტენდენცია გამოვლინდა. რეგიონების მოსახლეობის რიცხოვნობა ყოველთვის განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. უკანასკნელი, 2014 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, თბილისი და იმერეთი ყველაზე ხალხმრავალ რეგიონებს წარმოადგენდა. მოსახლეობის რაოდენობის სიმცირე საქართველოში რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა.

ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის რეგიონული განსხვავებები, ძირითადად, ორი მიზეზით არის განპირობებული: 1) მოსახლეობის რიცხოვნობით და 2) თვითონ შობადობის ინტენსივობით.<sup>2</sup>

სანამ გადავიდოდეთ რეგიონების ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკურ მაჩვენებელთა ანალიზზე, მოკლედ მიმოვიხილოთ მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები.

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგად კოეფიციენტებს მიეკუთვნება შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინების, განქორწინების კოეფიციენტები, მათ გამოსათვლელად საჭიროა დემოგრაფიულ შემთხვევათა საერთო რიცხვი წლის განმავ-

<sup>1</sup> გიორგი წულაძე, ავთანდილ სულაბერიძე. საქართველოს რეგიონების დემოგრაფიული თავისებურებები. თბ., 2016, გვ. 38.

<sup>2</sup> იქვე.

ლობაში, გავეყოთ ამავე წლის მოსახლეობის საშუალოწლიურ რიცხოვნობაზე, რომელსაც სხვანაირად საშუალო მოსახლეობასაც უწოდებენ.<sup>1</sup>

როგორ გამოითვლება მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნობა?

ზოგადად, მოსახლეობის რიცხოვნობა განისაზღვრება ყოველი წლის პირველი იანვრის მდგომარეობით, ე.ი. წლის დასაწყისში. ლოგიკურია, რომ შემდეგი წლისათვის მოსახლეობა, არის მოსახლეობის რიცხოვნობა წინა წლის დასასრულისათვის. ცხადია, მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის გავლენის შედეგად წლის დასაწყისისა და წლის დასასრულის მოსახლეობის რიცხოვნობა ერთმანეთისგან განსხვავდება. ამიტომ, დემოგრაფიულ შემთხვევათა შეფარდება წლის დასაწყისის, ან წლის დასასრულის მოსახლეობის რიცხოვნობასთან, მოგვცემს განსხვავებულ შედეგს. ვინაიდან დემოგრაფიული შემთხვევები აღრიცხულია წლის განმავლობაში, ამიტომ წილადის მრიცხველისა და მნიშვნელის შესადარისობის უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა მათი შეფარდება წლის განმავლობაში არსებულ (და არა 1 იანვრის მდგომარეობით) მოსახლეობის რიცხოვნობასთან. ასეთი მოსახლეობა არის საშუალოწლიური, ანუ საშუალო მოსახლეობა, რომელიც მიიღება გაანგარიშებით. იმ შემთხვევაში, თუ წლის განმავლობაში მოსახლეობის რიცხოვნობა არ იცვლება, მაშინ საშუალო მოსახლეობის გამოთვლა საჭირო არ არის.<sup>2</sup>

მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხვის დასადგენად გამოიყენება მარტივი საშუალო არითმეტიკულის ფორმულა:

$$\bar{S} = \frac{S_0 + S_1}{2},$$

სადაც  $\bar{S}$  - არის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობა;

$S_0$  - მოსახლეობის რიცხოვნობა წლის დასაწყისში;

$S_1$  - მოსახლეობის რიცხოვნობა წლის ბოლოს.

მაგრამ როდესაც საჭიროა გარკვეული პერიოდის რამდენიმე წლისათვის მოსახლეობის საშუალოწლიური რიცხოვნობის გამოთვლა, ზემოაღნიშნული ფორმულა აღარ გამოგვადგება, ამ დროს სტატისტიკაში გამოიყენება საშუალო ქრონოლოგიურის ფორმულა:

$$\bar{S} = \frac{0,5S_0 + S_1 + S_2 + \dots + 0,5S_n}{n - 1};$$

სადაც  $S_0, S_1, S_2, \dots, S_n$  ... არის ცალკეული წლების მოსახლეობის რიცხოვნობა;

$n$  - წლების რიცხვი.

ბუნებრივი მოძრაობა შეიძლება დასასიათებელ იქნეს აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით. აბსოლუტური მაჩვენებლებია წლის განმავლობაში დაბადებულების, გარდაცვლილების, ბუნებრივი მატების, დაქორწინებულების და განქორწინებულების რიცხვი.

რაც შეეხება შეფარდებით მაჩვენებლებს, უნდა გამოვყოთ: შობადობის, მოკვდაობის, ქორწინების და განქორწინების ზოგადი და კერძო კოეფიციენტები, რაც ლეტალურად იქნება განხილული მომდევნო პარაგრაფებში.

<sup>1</sup> მ. ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009. გვ. 206.

<sup>2</sup> იქვე.

## 5.2. შობადობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის გასანგარიშებლად გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$n = \frac{N}{S} \times 1000$$

სადაც  $n$  არის შობადობის ზოგადი კოეფიციენტი;

$N$  - წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვი.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გვისახაობებს წლის განმავლობაში დაბადებულთა რიცხვს ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით და გამოისახება პროცენტით - %.

გამოვთვალოთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 2018 წლისათვის. საქსტატის მონაცემებით 2018 წელს წელს დაიბადა 51 138 ბავშვი. ამავე პერიოდისთვის მოსახლეობის საშუალო წლიურ რიცხოვნობას შეადგენდა 3 726 500, მაშინ მონაცემების ფორმულაში შეტანისა და გაანგარიშების შემდეგ ვღებულობთ:

$$n = \frac{51138}{3726500} \times 1000 = 0,0112 \times 1000 = 13,7 \text{ ‰}$$

ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოში, 2018 წელს ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით მოდიოდა 13,7 დაბადებული.

როგორია შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში?

ამ მჩვენებლის გასანგარიშებლად საანალიზო პერიოდად ავიღოთ 2010-2018 წლები.


ცხრილი 1

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა

წლები	კოეფიციენტი, ‰
2010	14.6
2011	13.7
2012	13.4
2013	13.4
2014	16.3
2015	15.9
2016	15.2
2017	14.3
2018	13.7

გრაფიკულად ამ კოეფიციენტების დინამიკა შემდეგნაირად გამოისახება:

დიაგრამა 1



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა მეტად არამდგრადი ტენდენციით ხასიათდება. 2010-იდან 2014 წლამდე კოეფიციენტის მნიშვნელობა მცირდებოდა, მაგრამ 2014 წელს მიაღწია საკვლევ პერიოდში უმაღლეს ნიშნულს, ხოლო შემდეგ კოეფიციენტმა ყოველწლიურად დაიწყო კლება და 2018 წელს დაეცა 13,7 %-მდე.

ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტების განხილვის შემდეგ გავაანალიზოთ ამ კოეფიციენტების მნიშვნელობები რეგიონულ ჭრილში. ამისათვის ჯერ გავაანალიზოთ მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ცალკეული რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 2).

ცხრილი 2

მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა ცალკეული რეგიონების მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	3786.7	3756.4	3728.9	3717.7	3719.4	3725.3	3727.5	3728	3726.5
ქ. თბილისი	1098.9	1094.4	1091.6	1096.6	1108.4	1123.8	1138.7	1152.1	1164.9
აჭარის ა.რ.	332.4	332	332.2	332.9	334.9	338.4	341.6	344.7	347.7
გურია	117	116.3	115.4	114.5	113.7	112.9	111.9	111	110
იმერეთი	564	555	546.7	540.6	534.6	527.3	519	510.7	502.2
კახეთი	327.7	324.8	322.3	320.7	319.5	318.3	316.8	315.3	313.6
მცხეთა-მთიანეთი	92.8	93.2	93.4	93.8	94.1	94.1	94	93.9	93.8
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	35.9	34.9	34	33.1	32.5	31.8	31.2	30.5	30
სამეგრელო-ზემო სვანეთი	360.8	351.9	343.5	337.5	333.5	330.1	326.3	322.5	318.5
სამცხე-ჯავახეთი	168.5	166.2	164.1	162.4	161	159.5	158	156.5	155
შიდა ქართლი	266	265.5	264.6	264	263.4	262.4	261.2	259.8	258.3
ქვემო ქართლი	422.8	422.2	421.3	421.7	423.9	426.6	428.9	431	432.7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, მოსახლეობის ყველაზე ნაკლები რიცხვი ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, შემდეგ - მცხეთა-მთიანეთში. 2018 წელს 2014 წელთან შედარებით, მხოლოდ თბილისსა და აჭარის ა. რ. ფიქსირდება მოსახლეობის რიცხვის შესაბამისად 5% და 3%-იანი მატების ტემპები. ყველა დანარჩენ რეგიონში მოსახლეობის რიცხვი სისტემატურად მცირდება.

იმისათვის, რომ გავანალიზოთ, თუ როგორია რეგიონების მიხედვით გაანგარიშებული შობადობის ზოგადი კოეფიციენტების დინამიკა, ჯერ განვიხილოთ დაბადებულითა რაოდენობის დინამიკა რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 3).

### ცხრილი 3

#### დაბადებულითა რაოდენობის დინამიკა რეგიონების მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	55230	51565	49969	49657	60635	59249	56569	53293	51138
ქ. თბილისი	17382	16133	15481	15180	18048	17509	16784	14906	16161
აჭარის ა.რ.	5314	4871	4820	4917	6305	6299	5977	6108	5800
გურია	1446	1416	1309	1291	1577	1559	1535	1471	1272
იმერეთი	7851	7312	7129	6874	8593	8515	7784	7574	6757
კახეთი	4263	3999	4105	4185	5261	5212	4870	4722	4159
მცხეთა-მთიანეთი	1350	1304	1201	1202	1329	1280	1180	1205	1067
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	306	296	266	256	379	367	327	341	328
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4258	3862	3816	3821	5200	4998	4797	4436	3972
სამცხე-ჯავახეთი	2370	2333	2243	2224	2315	2268	2349	2178	2107
შიდა ქართლი	6875	3561	3399	3462	4274	4139	4074	3659	3336
ქვემო ქართლი	3815	6478	6200	6245	7354	7103	6892	6693	6179

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც მოსალოდნელი იყო, 2018 წელს ყველაზე მეტი ბავშვი დაიბადა თბილისში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და აჭარაში. მოსახლეობის მცირე რიცხვის გათვალისწინებით, საკმაოდ ცოტა დაბადებულითა რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, აგრეთვე მცხეთა-მთიანეთში.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის ფორმულის მიხედვით გავიანგარიშოთ კოეფიციენტები რეგიონების მიხედვით და შედეგები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით:

შობალობის ზოგადი კოეფიციენტები რეგიონების მიხედვით, პრომილი


	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	14.59	13.73	13.40	13.36	16.30	15.90	15.18	14.30	13.72
ქ. თბილისი	15.82	14.74	14.18	13.84	16.28	15.58	14.74	12.94	13.87
აჭარის ა.რ.	15.99	14.67	14.51	14.77	18.83	18.61	17.50	17.72	16.68
გურია	12.36	12.18	11.34	11.28	13.87	13.81	13.72	13.25	11.56
იმერეთი	13.92	13.17	13.04	12.72	16.07	16.15	15.00	14.83	13.45
კახეთი	13.01	12.31	12.74	13.05	16.47	16.37	15.37	14.98	13.26
მცხეთა-მთიანეთი	14.55	13.99	12.86	12.81	14.12	13.60	12.55	12.83	11.38
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8.52	8.48	7.82	7.73	11.66	11.54	10.48	11.18	10.93
სამეგრელო-ზემო სვანეთი	11.80	10.97	11.11	11.32	15.59	15.14	14.70	13.76	12.47
სამცხე-ჯავახეთი	14.07	14.04	13.67	13.69	14.38	14.22	14.87	13.92	13.59
შიდა ქართლი	25.85	13.41	12.85	13.11	16.23	15.77	15.60	14.08	12.92
ქვემო ქართლი	9.02	15.34	14.72	14.81	17.35	16.65	16.07	15.53	14.28

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მაღალი შობალობის ზოგადი კოეფიციენტი ფიქსირდება თბილისში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთში, შიდა და ქვემო ქართლში.

განსხვავებები საკმაოდ თვალსაჩინოა. თბილისში, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, შობალობა საკვლევ პერიოდში შემცირდა, თუმცა 2014 წელს გაიზარდა და ამ პერიოდისათვის მიაღწია თავის მაქსიმუმს. შემდგომ პერიოდში შობალობის კოეფიციენტი ისევ კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ შობალობის დონე პრაქტიკულად არ გაუმჯობესებულა საქართველოში. თუმცა 2017 წელთან შედარებით 2018 წელს 1258 ბავშვით მეტი დაიბადა, ყველაზე მნიშვნელოვან შემცირებას ჰქონდა ადგილი შიდა ქართლში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, და მცხეთა-მთიანეთში. რაც შეეხება დაბადებულთა რიცხვის ზრდას, 2018 წელს 2010 წელთან შედარებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1,07-ჯერ), აჭარაში -1,09 ჯერ და ქვემო ქართლში (1,62-ჯერ).

დიაგრამა 2

რეგიონების განაწილება შობალობის ზოგადი კოეფიციენტის მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმისათვის, რომ დეტალურად დავასაიათოთ საქართველოში შობადობის რიცხვის დინამიკა, აუცილებელია ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობის განსაზღვრა ცალკეული რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.

**ცხრილი 5**

**ცოცხლად დაბადებულთა რიცხვნობა რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით (აჭარის ა. რ. და გურია)**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	55230	51565	49969	49657	60635	59249	56569	53293	51138
ქ. თბილისი	17382	16133	15481	15180	18048	17509	16784	14906	16161
აფხაზეთის ა.რ.	..	..	..	..	..	..	..	..	..
აჭარის მუნიციპალიტეტი	..	..	..	..	..	..	..	..	..
აჭარის ა.რ.	5314	4871	4820	4917	6305	6299	5977	6108	5800
ქ. ბათუმი	1616	2000	2129	2217	3011	3016	2762	2828	2885
ქედის მუნიციპალიტეტი	303	221	249	249	265	291	292	280	242
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1243	1073	1097	1109	1371	1287	1216	1290	1142
შუახევის მუნიციპალიტეტი	295	210	235	231	243	253	255	257	206
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	1401	1046	749	754	969	996	982	976	896
ხულოს მუნიციპალიტეტი	456	321	361	357	446	456	470	477	429
გურია	1446	1416	1309	1291	1577	1559	1535	1471	1272
ქ. ოზურგეთი*	..	..	..	..	195	165	171	..	..
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	401	393	368	359	409	425	396	367	290
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	805	786	714	714	731	725	719	846	749
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	240	237	227	218	242	244	249	258	233

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობით ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა ბათუმი და ქობულეთი, მესამე ადგილზე კი ხელვაჩაური იმყოფება. დაბალია და თანდათან მცირდება დაბადებულთა რაოდენობა შუახევის მუნიციპალიტეტში. ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის შემცირების ტენდენციაა გურიაშიც, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია. კლების ყველაზე დიდი ტემპები ლანჩხუთშია დაფიქსირებული. მარტო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 21%-ით შემცირდა ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა, 2014 წელთან შედარებით კი კლების ტემპი 30%-ია.

**ცხრილი 6**

**ცოცხლად დაბადებულთა რიცხვნობა იმერეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
იმერეთი	7851	7312	7129	6874	8593	8515	7784	7574	6757
ქ. ქუთაისი	2258	2085	2124	2018	2674	2665	2469	2369	2270
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	311	292	276	269	336	353	284	279	249
ვანის მუნიციპალიტეტი	358	334	315	305	358	388	356	345	325



ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	840	785	755	731	864	913	833	802	724
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	501	471	445	436	496	525	474	452	377
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	708	661	651	627	770	741	674	645	552
საჩხერის მუნიციპალიტეტი	523	493	469	461	635	611	584	606	477
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	321	296	286	272	291	264	260	253	196
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	814	762	725	706	804	711	695	675	570
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	586	545	522	506	709	704	569	592	511
ზარაგაულის მუნიციპალიტეტი	284	265	249	242	315	323	277	265	226
ზონის მუნიციპალიტეტი	347	323	312	301	341	317	309	291	280

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთში, ისევე როგორც საერთოდ საქართველოში, დაბადებულთა რიცხვის შემცირების ტენდენციაა. მარტო ქუთაისში, სადაც იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტთან შედარებით ყველაზე მეტი ბავშვი იბადება, 2015 წელთან შედარებით 15%-ითაა შემცირებული დაბადებულთა რიცხვი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, იმერეთის ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით დაფიქსირებულია შემცირებული მონაცემები.

## ცხრილი 7

### ცოცხლად დაბადებულთა რიცხონობა კახეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კახეთი	4263	3999	4105	4185	5261	5212	4870	4722	4159
ქ. თელავი*	..	..	..	..	353	276	218	..	..
ახმეტის მუნიციპალიტეტი	429	402	410	417	534	598	509	505	398
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	730	688	713	725	786	809	696	692	623
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	300	277	279	281	349	348	333	299	252
თელავის მუნიციპალიტეტი	777	724	734	747	646	622	596	822	757
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	542	514	537	552	736	700	697	622	601
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	665	629	653	671	1003	944	936	925	796
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	422	392	398	403	391	421	413	415	324
ყვარლის მუნიციპალიტეტი	398	373	381	389	463	494	472	442	408

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, კახეთის ყველა მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით შემცირებულია დაბადებულთა რაოდენობა. კლების მაღალი ტემპით გამოირჩევა სიღნაღის (კლების ტემპია 22%), ახმეტის (კლების ტემპი 21%) საგარეჯოს (კლების ტემპია 14%) მუნიციპალიტეტები. 2014 წელთან შედარებით მხოლოდ თელავის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება 17%-იანი მატება. სოლო ახმეტაში, გურჯაანში, სიღნაღსა და საგარეჯოში, შესაბამისად, 26%, 21%, 18% და 21%-იანი კლება დაფიქსირდა.

## ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მცხეთა-მთიანეთი	1350	1304	1201	1202	1329	1280	1180	1205	1067
ქ. მცხეთა*	..	..	..	..	133	147	120	..	..
ახალგორის მუნიციპალიტეტი	..	..	..	..	..	..	..	..	..
დუშეთის მუნიციპალიტეტი	391	392	348	338	374	324	327	346	299
თიანეთის მუნიციპალიტეტი	152	148	131	126	139	141	118	112	94
მცხეთის მუნიციპალიტეტი	747	704	670	687	608	592	563	687	611
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	60	60	52	51	75	76	52	60	63

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, ზოგადად, შობადობის დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება. ყაზბეგის გარდა, 2018 წელს ყველა მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი შემცირებულია. მარტო 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, დუშეთში 24%-იანი, თიანეთში 17%, ხოლო მცხეთაში 12%-იანი კლება დაფიქსირდა,

## ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	306	296	266	256	379	367	327	341	328
ქ. ამბროლაური*	..	..	..	..	29	21	25	..	..
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	101	98	88	84	68	78	73	106	98
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	46	44	39	37	84	83	65	71	76
ონის მუნიციპალიტეტი	69	68	58	62	63	57	55	59	52
ცაგერის მუნიციპალიტეტი	90	86	81	73	135	128	109	105	102

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონების მონაცემების ანალიზისას მეტად საინტერესო სურათი გამოვლინდა. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, გაუარესებულია მონაცემები. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს წინა წლებთან შედარებით ბევრ მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ერთეულში მართალია, მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია დაბადებულთა რიცხვი. მიუხედავად იმისა, რომ 2018 წელს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში წინა წელთან შედარებით შეინიშნება დაბადებულთა მაჩვენებლის შემცირება, 2018 წლის დონე აღემატება 2016, 2013, 2012 წლის დონეს და 2011 წლის დონეზეა შენარჩუნებული. გაზრდილია მონაცემები ლენტეხის მუნიციპალიტეტისთვისაც.

## ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სამეგრელო - ზემო სვანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4258	3862	3816	3821	5200	4998	4797	4436	3972
ქ. ზუგდიდი*	..	..	..	..	783	751	720	..	..
ქ. ფოთი	529	488	480	492	604	595	545	511	491
აბაშის მუნიციპალიტეტი	273	248	249	251	303	224	245	223	188
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1433	1287	1257	1244	976	1020	994	1610	1462
მარტვილის მუნიციპალიტეტი	408	372	373	374	504	478	470	454	358
მესტიის მუნიციპალიტეტი	121	109	109	107	187	188	196	176	155
სენაკის მუნიციპალიტეტი	504	460	456	460	583	625	563	516	450
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	274	249	249	250	332	327	324	276	259
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	342	308	303	301	412	381	354	324	304
სოხის მუნიციპალიტეტი	374	341	340	342	516	409	386	346	305

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა აჭარბებს საკვლევი პერიოდის ყველა წლის მაჩვენებელს, როგორც მოსალოდნელი იყო, 2017 წლის მაჩვენებლის გარდა, რასაც ვერ ვიტყვი რეგიონის სხვა მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ერთეულზე, რადგან სასეზუა დაბადებულთა რიცხვის შემცირება.

## ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა ქვემო ქართლის რეგიონის მიხედვით

ქვემო ქართლი	6875	6478	6200	6245	7354	7103	6892	6693	6179
ქ. რუსთავი	1896	1882	1687	1740	2147	2026	1940	1948	1845
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	933	856	826	817	927	865	828	804	706
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	1350	1246	1233	1232	1367	1423	1313	1240	1121
დმანისის მუნიციპალიტეტი	345	313	304	299	329	302	304	307	280
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	356	329	320	319	300	255	284	271	245
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1688	1568	1548	1555	1994	1949	1926	1864	1725
წალკის მუნიციპალიტეტი	307	284	282	283	290	283	297	259	257

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქვემო ქართლი - ეს ის რეგიონია, სადაც წლების განმავლობაში მაღალი იყო დაბადებულია რიცხოვნობის მაჩვენებელი. მართალია, 2018 წელს წინა წელთან შედარებით, ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით მაჩვენებლები შემცირებულია და კლების ტემპები რუსთავში, გარდაბანში, ღმანისში, თეთრწყაროსა და მარნეულში შესაბამისად 5%, 10%, 9%, 10%, 8%-ს შეადგენს, სხვა რეგიონის მუნიციპალიტეტებსა და თვითმმართველ ერთეულებთან შედარებით, დინამიკაში აქ მაინც ნაკლები კლების ტემპებია. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები, სადაც ყველაზე მაღალი მაჩვენებლის ნიშნული დაფიქსირდა შესაბამისად 2014 და 2015 წელს. მართალია, შემდეგ წლებში შემცირდა მაჩვენებლის მნიშვნელობა, მაგრამ მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების წილი ქვემო ქართლში დაბადებული ბავშვების მთლიან რაოდენობაში არ შემცირებულა. პირიქით, მცირედით გაიზარდა და, შესაბამისად, 28% და 18% შეადგინა.

## ცხრილი 12

### ცოცხლად დაბადებულია რიცხოვნობა შიდა ქართლის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
შიდა ქართლი	3815	3561	3399	3462	4274	4139	4074	3659	3336
ქ. გორი*	..	..	..	..	753	672	684	..	..
გორის მუნიციპალიტეტი	1822	1700	1626	1658	1334	1370	1319	1863	1712
ერედვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
თილვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
კასპის მუნიციპალიტეტი	631	589	568	583	616	596	587	407	444
ქარელის მუნიციპალიტეტი	591	552	536	555	678	694	700	642	567
ქურთის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
საშურის მუნიციპალიტეტი	771	720	669	666	893	807	784	747	613

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლში დაბადებულია უმეტესი ნაწილი გორის მუნიციპალიტეტზე მოდის, რომლის მაჩვენებელი აღემატება 2012-2016 წლების მონაცემს და მხოლოდ 8%-ით ჩამორჩება 2017 წლის მაჩვენებელს. რეგიონში კასპის მუნიციპალიტეტი ერთადერთია, სადაც 2018 წელს უფრო მეტი ცოცხლად დაბადებული დაფიქსირდა, ვიდრე 2017 წელს, მაგრამ დინამიკაში მისი მნიშვნელობა 2010-იდან 2017 წლამდე სისტემატური კლების ტენდენციით ხასიათდება, ამ პერიოდში საშუალო წლიური კლების ტემპი 10%-ს შეადგენს.

თუ რეგიონების მონაცემებს კომპლექსურად გაავანალიზებთ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დიდი ქალაქების გარდა, ცოცხლად დაბადებულ ბავშვთა დიდი რაოდენობის მიხედვით გამოირჩევა გარდაბანი, მარნეული, ლაგოდეხი, თელავი, გურჯაანი, ხელვაჩაური და ზესტაფონი.

2018 წელს ყველაზე ცოტა ბავშვი დაიბადა ყაზბეგში, ამბროლაურში, ლენტეხში და ონში.

### 5.3. მოკვლობის სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით

როგორია მოკვლობის კოეფიციენტების დინამიკა საქართველოში?

როგორც ცნობილია, მოკვლობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$m = \frac{M}{S} \times 1000$$

სადაც  $m$  არის მოკვლობის ზოგადი კოეფიციენტი;

$M$  - წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვი.

მოკვლობის ზოგადი კოეფიციენტი ახასიათებს წლის განმავლობაში გარდაცვლილთა რიცხვს საშუალოდ ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

ქვემოთ მოტანილი ცხრილი ასახავს მოკვლობის კოეფიციენტების დინამიკას 2010-2018 წლებში.

ცხრილი 13

მოკვლობის ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა, პრომილი

წელი	კოეფიციენტი (პრომილი, ‰)
2010	13.5
2011	13.3
2012	13.2
2013	13.1
2014	13.2
2015	13.2
2016	13.6
2017	12.8
2018	12.5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, მაჩვენებელი კლების ტენდენციით ხასიათდება. 2018 წელს 2010 და 2015 წელთან შედარებით მოკვლობის კოეფიციენტის მნიშვნელობა შესაბამისად 1 და 0,7 პრომილით გაუმჯობესდა.

2018 წელს საქართველოში გარდაიცვალა 46 524 ადამიანი, ხოლო მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხვი, როგორც ვნახეთ, შეადგენდა 3 726 500-ს. თუ ამ მონაცემებს შევიტანთ მოკვლობის ზოგადი კოეფიციენტის ფორმულაში, მივიღებთ  $m$ , ანუ მოკვლობის კოეფიციენტს:

$$m = \frac{46524}{3726500} \times 1000 = 0,0125 \times 1000 = 12,5 ‰$$

რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოში 2018 წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, მოდიოდა 12.5 გარდაცვლილი.

იმისათვის, რომ გავანალიზოთ მოკვლობის ტენდენციები რეგიონების მიხედვით, გავიანგარიშოთ მოკვლობის კოეფიციენტები ზემოაღნიშნული ფორმულის მიხედვით.

გარდაცვლილთა აბსოლუტური რიცხვების დინამიკა რეგიონების მიხედვით მოცემულია ცხრილში 15:

ცხრილი 14

გარდაცვლილთა აბსოლუტური რიცხვების დინამიკა რეგიონების მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	51066	49818	49347	48564	49087	49121	50771	47822	46524
ქ. თბილისი	11622	12286	12456	12354	12403	12377	12720	11976	12122
აჭარის ა.რ.	3684	3280	3274	3290	3386	3475	3622	3480	3438
გურია	1900	1974	1926	1910	1820	1786	1832	1861	1691
იმერეთი	9136	9018	8868	8694	8822	8725	9102	8733	8005
კახეთი	5316	5338	4966	4922	5074	4957	5099	4806	4529
მცხეთა-მთიანეთი	1388	1438	1516	1420	1378	1464	1416	1370	1329
სამცხე-ჯავახეთი	2384	2166	2162	2072	2067	2086	2053	1941	1927
ქვემო ქართლი	4730	4304	4438	4278	4377	4444	4855	4351	4525
შიდა ქართლი	3706	3688	3436	3512	3613	3570	3717	3449	3398

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონების მიხედვით მოკვლობის კოეფიციენტების შედეგები წარმოგადგინოთ შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 15

მოკვლობის კოეფიციენტების დინამიკა რეგიონების მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	13.49	13.26	13.23	13.06	13.20	13.19	13.62	12.83	12.48
ქ. თბილისი	10.58	11.23	11.41	11.27	11.19	11.01	11.17	10.39	10.41
აჭარის ა.რ.	11.08	9.88	9.86	9.88	10.11	10.27	10.60	10.10	9.89
გურია	16.24	16.97	16.69	16.68	16.01	15.82	16.37	16.77	15.37
იმერეთი	16.20	16.25	16.22	16.08	16.50	16.55	17.54	17.10	15.94
კახეთი	16.22	16.43	15.41	15.35	15.88	15.57	16.10	15.24	14.44
მცხეთა-მთიანეთი	14.96	15.43	16.23	15.14	14.64	15.56	15.06	14.59	14.17
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	26.74	24.36	26.24	23.14	23.94	26.42	26.38	24.13	21.87
სამეგრელო - ზემო სვანეთი	17.29	15.56	15.76	15.84	16.10	16.35	16.95	15.87	15.40
სამცხე-ჯავახეთი	14.15	13.03	13.17	12.76	12.84	13.08	12.99	12.40	12.43
შიდა ქართლი	13.93	13.89	12.99	13.30	13.72	13.61	14.23	13.28	13.16
ქვემო ქართლი	11.19	10.19	10.53	10.14	10.33	10.42	11.32	10.10	10.46

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ განსხვავებები რეგიონების მიხედვით თვალსაჩინოა. ყველაზე დაბალი მოკვლობის ინტენსივობა თბილისისათვის, ქვემო ქართლისა და აჭარისათვის იყო დამახასიათებელი, ხოლო ყველაზე მაღალი მოკვლობით წინა წლებშიც და საკვლევ პერიოდშიც გამოირჩეოდა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი. ამასთან, 2018 წელს მოკვლობის კოეფიციენტი მაღალია სამეგრელო-ზემო სვანეთში, იმერეთსა და გურიაში.

დეტალურად, გარდაცვლილთა რაოდენობის დინამიკა ცალკეული რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით წარმოვადგინოთ შემდეგ ცხრილში:

**ცხრილი 16**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა აჭარის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
აჭარის ა. რ.	3684	3280	3274	3290	3386	3475	3622	3480	3438
ქ. ბათუმი	1259	1180	1322	1425	1393	1498	1594	1594	1599
ქედის მუნიციპალიტეტი	194	167	184	174	190	168	173	178	169
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	844	743	767	752	826	858	839	757	814
შუახევის მუნიციპალიტეტი	189	160	173	162	194	209	177	182	124
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	907	784	560	528	513	494	537	497	479
ზულოს მუნიციპალიტეტი	291	246	268	249	270	248	302	272	253

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაბადებულთა რიცხვის მსგავსად, გარდაცვლილთა რაოდენობის მიხედვითაც პირველ ადგილზეა ბათუმი, რომელსაც მოჰყვება ქობულეთი.

**ცხრილი 17**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა გურიის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
გურია	1900	1974	1926	1910	1820	1786	1832	1861	1691
ქ. ოზურგეთი *	..	..	..	..	282	253	225	..	..
ღანწხუთის მუნიციპალიტეტი	540	564	545	542	471	455	519	509	440
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	1024	1056	1043	1031	752	741	750	985	964
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	336	354	338	337	315	337	338	367	287

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გურიის რეგიონში 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით ფიქსირდება გარდაცვლილთა რიცხვის შემცირების ტენდენცია, დინამიკაში მცირდება ეს მაჩვენებლები ღანწხუთსა და ჩოხატაურში. მაგრამ 2012-2014 წლებში ოზურგეთში გარდაცვლილთა რიცხვი იზრდება და მატების ტემპები, შესაბამისად, 28, 30 და 28%-ს გაუტოლდა.

გარდაცვლილთა რიცხვნობა იმერეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
იმერეთი	9136	9018	8868	8694	8822	8725	9102	8733	8005
ქ. ქუთაისი	2261	2179	2168	2085	2072	2174	2250	2097	1978
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	395	394	385	381	405	410	453	382	348
ვანის მუნიციპალიტეტი	456	455	443	437	415	420	487	468	411
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	1013	1005	986	968	969	914	946	881	851
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	642	644	631	627	598	626	610	644	569
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	808	798	789	773	803	739	881	821	714
საჩხერის მუნიციპალიტეტი	665	669	658	657	604	575	623	630	541
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	375	367	357	347	420	430	437	404	404
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	1020	1020	998	990	898	875	884	859	812
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	718	710	694	682	797	734	718	732	652
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	367	366	356	352	425	382	396	359	365
ხონის მუნიციპალიტეტი	416	411	403	395	416	446	417	456	360

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება იმერეთს, გარდაცვალების რიცხვის მიხედვით, ზოგადად, მცირე გამოჩენის გარდა, შემცირების ტენდენცია ვლინდება. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს მხოლოდ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გაიზარდა გარდაცვლილთა რიცხვი წინა წელთან შედარებით. თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისთვის 2016 წელი გამოირჩევა გარდაცვალების მაღალი მაჩვენებლით. 2016 წელთან შედარებით, ყველაზე მეტი კლების ტემპი დაფიქსირდა ხონის მუნიციპალიტეტში - 22%, შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტში - 19%, ვანის მუნიციპალიტეტსა და საჩხერეში - 16% დაფიქსირდა, ქუთაისში 12%, ხოლო ზესტაფონში - 10%.

გარდაცვლილთა რიცხვნობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მცხეთა-მთიანეთი	1388	1438	1516	1420	1378	1464	1416	1370	1329
ქ. მცხეთა *	..	..	..	..	194	203	177	..	..
ასპლორის მუნიციპალიტეტი	..	..	..	..	..	..	..	..	..
ღუშეთის მუნიციპალიტეტი	400	398	436	399	465	479	455	448	448
თიანეთის მუნიციპალიტეტი	156	155	165	149	183	212	217	198	179
მცხეთის მუნიციპალიტეტი	771	824	849	812	476	478	498	642	624
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	61	61	66	60	60	92	69	82	78

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური



მცხეთა-მთიანეთში გარდაცვალების ყველაზე მაღალი დონე დაფიქსირდა 2012 წელს, როდესაც გარდაცვლილთა რაოდენობამ 1516 შეადგინა, რაც 9%-ით აჭარბებდა 2010 წლის დონეს. 2013 წლისათვის ეს მაჩვენებელი შემცირდა 8%-ით, შემდეგ წლებში კი საშუალო წლიურმა კლების ტემპმა 10% შეადგინა. 2018 წელს ყველაზე მეტი გარდაცვლილი მცხეთისა და ღუშეთის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა.

**ცხრილი 20**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა კახეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კახეთი	5316	5338	4966	4922	5074	4957	5099	4806	4529
ქ. თელავი*	..	..	..	..	250	236	257	..	..
ახმეტის მუნიციპალიტეტი	535	535	497	490	535	488	484	452	456
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	922	922	856	851	1006	968	956	977	910
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	370	368	339	331	403	373	423	411	352
თელავის მუნიციპალიტეტი	954	962	892	882	621	596	590	839	804
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	684	691	648	647	603	642	645	561	527
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	830	841	790	790	529	597	650	592	561
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	527	523	482	474	618	596	581	521	502
ყვარლის მუნიციპალიტეტი	494	496	462	457	509	461	513	453	417

წყარო: სტატი სტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადად, კახეთის რეგიონში მცირდება გარდაცვლილთა რაოდენობა. 2018 წელს 2014 წელთან შედარებით მხოლოდ ორი, თელავისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტებში შესაბამისად 21% და 6%-ით გაიზარდა გარდაცვლილთა რიცხვი, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი შემცირდა, კერძოდ, ყვარულსა და სიღნაღში 19%-ით, ლაგოდეხში 13%-ით, ახმეტაში 15%-ით, დედოფლისწყაროში კი 17%-ით.

**ცხრილი 21**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამცხე-ჯავახეთი	2384	2166	2162	2072	2067	2086	2053	1941	1927
ქ. ახალციხე*	..	..	..	..	193	196	176	..	..
აღიანის მუნიციპალიტეტი	244	221	219	208	225	233	237	237	202
ასპინძის მუნიციპალიტეტი	153	139	138	133	156	143	156	134	128
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	678	614	607	579	519	478	492	462	467
ახალციხის მუნიციპალიტეტი	559	513	521	504	324	317	317	490	468
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	377	343	345	332	402	445	403	368	376
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	373	336	332	316	248	274	272	250	286

წყარო: სტატი სტიკის ეროვნული სამსახური

სამცხე-ჯავახეთში 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 2 მუნიციპალიტეტის გარდა, ყველგან შემცირდა გარდაც-  
ვლილთა რაოდენობა. ყველაზე მეტად ეს გამოიკვეთა ადიგენის მუნიციპალიტეტში, სადაც გარდაცვალების კლების ტემპმა  
15% შეადგინა. დანარჩენი მუნიციპალიტეტებისათვის კლების ტემპი მერყეობს 5%-ის ფარგლებში. მხოლოდ ნინოწმინდასა  
და ბორჯომში, შესაბამისად, 14% და 2%-ით გაიზარდა გარდაცვლილთა რაოდენობა.

**ცხრილი 22**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა შიდა ქართლის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
შიდა ქართლი	3706	3688	3436	3512	3613	3570	3717	3449	3398
ქ. გორი*	..	..	..	..	569	552	533	..	..
გორის მუნიციპალიტეტი	1773	1767	1649	1684	1083	1065	1135	1542	1529
ერედვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
თილვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
კასპის მუნიციპალიტეტი	617	619	581	594	629	660	699	626	644
ქარელის მუნიციპალიტეტი	580	586	554	567	547	583	542	553	498
ქუთაის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
ხაშურის მუნიციპალიტეტი	736	716	652	667	785	710	808	728	727

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლში, თუ არ ჩავთვლით 2017 წელს, 2010 წლიდან გარდაცვალებულთა რიცხვის სისტემატური შემცირე-  
ბის ტენდენცია იკვეთება. გორის მუნიციპალიტეტში, წინა წელთან შედარებით, 1%-იანი, ხოლო 2014 წელთან შედარებით  
41%-იანი კლება დაფიქსირდა. კასპის მუნიციპალიტეტში 2014 წელთან შედარებით კლების ტემპი 17%-ია, მაგრამ 2017  
წელთან შედარებით 2% მატება დაფიქსირდა. მართალია, 2014 წელთან შედარებით ხაშურში 8%-იანი კლებაა, მაგრამ წინა  
წელთან შედარებით მდგომარეობა თითქმის უცვლელია.

**ცხრილი 23**

**გარდაცვლილთა რიცხოვნობა რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	960	850	892	766	778	840	823	736	656
ქ. ამბროლაური*	..	..	..	..	26	44	43	..	..
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	330	294	311	269	241	269	278	277	237
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	144	125	129	109	93	95	98	93	63
ონის მუნიციპალიტეტი	163	143	148	127	178	155	145	148	155
ცაგერის მუნიციპალიტეტი	323	288	304	261	240	277	259	218	201

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაჭა-ლეჩხუმში ისედაც შემცირებული მოსახლეობის რიცხოვნობის ფონზე, მნიშვნელოვანია გარდაცვალების რაოდენობის შემცირება. აქაც ტენდენცია კლებიანა. ზოგადად, რეგიონში 2014 წელთან შედარებით მაჩვენებლის 16%-იანი შემცირებაა, წინა წელთან შედარებით კი 11%-იანი კლებაა. ყველაზე მაღალ ნიშნულს გარდაცვალების რიცხვმა მიიღწია 2010 წელს, როდესაც მისი რაოდენობა 960 იყო. 2014 წელთან შედარებით, კლების ყველაზე დიდი ტემპი დაფიქსირდა ლენტეხის მუნიციპალიტეტში, სადაც აღნიშნულმა მაჩვენებელმა 33% შეადგინა, შემდეგ კი ონსა 13% და ცაგერში 17%-იანი კლების ტემპით.

## ცხრილი 24

### გარდაცვლილთა რიცხოვნობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6240	5476	5413	5346	5369	5397	5532	5119	4904
ქ. ზუგდიდი*	..	..	..	..	859	896	1010	..	..
ქ. ფოთი	820	714	690	752	528	560	542	541	536
აბაშის მუნიციპალიტეტი	392	349	352	341	399	408	401	383	401
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	2103	1826	1784	1745	850	840	932	1636	1556
მარტვილის მუნიციპალიტეტი	582	519	527	502	648	592	580	571	536
მესტიის მუნიციპალიტეტი	175	153	153	145	131	120	128	129	131
სენაკის მუნიციპალიტეტი	750	659	648	659	675	694	663	634	585
ჩხოროწყუის მუნიციპალიტეტი	390	348	351	335	373	370	353	364	365
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	494	432	428	408	424	435	462	394	353
სობის მუნიციპალიტეტი	534	476	480	459	482	482	461	467	441

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებს შორის გარდაცვალების ყველაზე დიდი რიცხვით ზუგდიდის, სენაკის, ჩხოროწყუისა და მარტვილის მუნიციპალიტეტები გამოირჩევა. მათ შორის ლიდერობს ზუგდიდი, სადაც 2018 წელს 1556 ადამიანი გარდაიცვალა. ეს 2014 წლის მაჩვენებელზე 83%-ით მეტია, მაგრამ წინა წელთან შედარებით, გარდაცვალების მაჩვენებელი 5%-ითაა შემცირებული. სამაგიეროდ, სენაკსა და ჩხოროწყუეში 2014 წელთან შედარებით ფიქსირდება და კლების ტემპები, შესაბამისად, 14% და 3%-ია.

## ცხრილი 25

### გარდაცვლილთა რიცხოვნობა ქვემო ქართლის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ქვემო ქართლი	4730	4304	4438	4278	4377	4444	4855	4351	4525
ქ. რუსთავი	1331	1172	1171	1258	1162	1090	1214	1116	1182
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	638	579	595	552	637	638	720	598	623
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	919	853	895	823	830	907	888	836	913

ღმანის მუნიციპალიტეტი	236	214	221	200	309	303	321	274	283
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	244	223	231	214	315	329	401	323	310
მარნეულის მუნიციპალიტეტი	1152	1068	1121	1042	961	974	1049	1019	1034
წალკის მუნიციპალიტეტი	210	195	204	189	163	203	262	185	180

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს საერთოდ ქვემო ქართლში გაზრდილია გარდაცვალების მაჩვენებლები, რაც გამოიწვია თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში (წალკისა და თეთრიწყაროს გარდა) გარდაცვალებულთა რიცხვის გაზრდამ. კერძოდ, რუსთავში გარდაცვალების მატების ტემპმა შეადგინა 6%, გარდაბანში 4%, ღმანისში 3%, მარნეულში 1,5%.

როგორც ვხედავთ, გარდაცვლილია მაღალი მაჩვენებლით, ღილი ქალაქების გარდა, გამოირჩევა: ქობულეთი, ოზურგეთი, წყალტუბო, გურჯაანი, თელავი, გარდაბანი, რუსთავი, მარნეული, ზესტაფონი.


#### 5.4. ქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით

დაქორწინებისა და განქორწინების პროცესები მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ქორწინებისა და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები გამოითვლება შემდეგნაირად: მოცემულ წელს დაქორწინებულთა და განქორწინებულთა რიცხვი გაიყოფა საშუალო მოსახლეობაზე და გამრავლდება 1000-ზე.

მომდევნო დიაგრამაზე წარმოდგენილია ქორწინების რაოდენობის დინამიკა მთლიანად საქართველოში. ქორწინების მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა 3

ქორწინების რაოდენობის დინამიკა



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, ქორწინების მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად, მცირდება ქორწინების ზოგადი კოეფიციენტის მნიშვნელობები, რაც ნათლად ჩანს ცხრილი 27-დან.

ქორწინების ზოგადი კოეფიციენტის დინამიკა

წლები	პრომილი, ‰
2010	9,2
2011	8,2
2012	8,2
2013	9,3
2014	8,5
2015	7,8
2016	6,7
2017	6,4
2018	6,2


წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში 2018 წელს ქორწინების კოეფიციენტი, 2010 წელთან შედარებით, 3 პრომილით გაუარესდა და 6,2 შეადგინა. კლების ტენდენცია სახეზეა.

რეგიონების მიხედვით განსხვავებული სურათი იკვეთება. როგორც რეგისტრირებული ქორწინების აბსოლუტური მაჩვენებლების დინამიკიდან ჩანს, ქორწინების ყველაზე მაღალი აბსოლუტური მაჩვენებლები თბილისში, იმერეთში, აჭარასა და სამეგრელო-ზემო სვანეთშია.

დიაგრამა 4

ქორწინების რაოდენობის დინამიკა რეგიონების მიხედვით



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ყოველივე ამის შესაბამისად, განსხვავებულია რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით შობადობის კოეფიციენტების დინამიკაც. 2010 წლიდან ყველა რეგიონის მიხედვით მცირდება შობადობის კოეფიციენტის მნიშვნელობები. შემცირება ყველაზე მეტად შეეხო ქვემო ქართლს, სადაც, 2010 წელთან შედარებით, თითქმის განახევრდა კოეფიციენტის სიდიდე და აჭარის ა. რ.-ს, სადაც მნიშვნელოვნად შემცირდა მისი სიდიდე - 2010 წლის 10,46-დან 2018 წელს 7,47-მდე (იხ. ცხრილი 27).

**ცხრილი 27**

**ქორწინების კოეფიციენტების დინამიკა რეგიონულ ჯგუფში, 2010-2018 წლებში, ‰**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	9.16	8.22	8.16	9.33	8.48	7.83	6.73	6.35	6.23
ქ. თბილისი	7.58	7.21	7.03	7.82	7.71	7.34	6.41	6.06	5.77
აჭარის ა. რ.	10.46	9.40	10.46	10.71	10.12	8.87	7.70	7.39	7.47
გურია	9.38	8.37	8.23	9.57	7.73	6.85	6.72	5.83	6.05
იმერეთი	9.51	9.11	9.20	9.54	9.00	8.43	7.38	7.54	7.29
კახეთი	7.49	7.25	6.98	12.17	8.13	7.60	6.11	5.53	5.72
მცხეთა-მთიანეთი	7.59	7.14	6.22	8.20	7.16	5.90	6.03	5.06	5.33
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	8.52	7.79	7.82	8.37	8.25	7.30	6.51	6.92	5.90
სამეგრელო-ზემო სვანეთი	9.72	9.27	8.66	9.64	8.73	7.87	6.87	6.51	6.45
სამცხე-ჯავახეთი	8.71	7.67	8.33	9.04	8.65	7.72	6.78	6.35	5.94
შიდა ქართლი	9.87	8.25	8.11	10.03	8.00	7.11	6.50	5.83	5.60
ქვემო ქართლი	12.63	9.00	8.79	9.45	9.33	8.88	6.68	6.07	6.16

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ქორწინების დეტალური ანალიზისათვის აუცილებელია რეგიონების მიხედვით უფრო ჩაშლილი მონაცემების ანალიზი, რადგან ცალკეული თვითმმართველი ერთეულებისათვის განსხვავებულია ქორწინების როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მაჩვენებლების დინამიკა (იხ. ცხრილი 28).

**ცხრილი 28**

**რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა აჭარის ა. რ.-ის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
აჭარის ა.რ.	3478	3120	3476	3564	3389	3002	2631	2548	2598
ქ. ბათუმი	1141	1299	1461	1477	1475	1321	1179	1156	1130
ქედის მუნიციპალიტეტი	166	161	176	171	184	150	130	130	167
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	830	745	763	865	747	685	485	534	543

შუახვევის მუნიციპალიტეტი	195	153	175	189	173	159	156	138	133
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	862	516	613	581	563	471	462	361	395
სულოს მუნიციპალიტეტი	284	246	288	281	247	216	219	229	230

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაში 2013 წელს დაფიქსირდა, როდესაც 3564 ქორწინების აქტი გაფორმდა. 2018 წელს ყველაზე მეტი ბათუმში და შემდეგ ქობულეთში დაქორწინდა, სადაც, წინა წელთან შედარებით, განსხვავებული ტემპები გამოვლინდა. თუ ბათუმში 2018 წელს 2%-იანი კლების ტემპი შეინიშნებოდა, ქობულეთში 2%-ით მეტი დაქორწინდა. ბოლო მონაცემებით გაიზარდა დაქორწინების მაჩვენებელი ხელვაჩაურსა და ქელაში, სადაც, წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 9% და 28%-იანი მატების ტემპი შეინიშნებოდა.

### ცხრილი 29

#### რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა გურიის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
გურია	1097	973	950	1096	879	773	752	647	665
ქ. ოზურგეთი *	..	..	..	..	124	97	90	..	..
ღანწხუთის მუნიციპალიტეტი	298	268	249	293	214	206	192	160	155
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	634	561	538	643	405	366	366	376	407
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	165	144	163	160	136	104	104	111	103

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გურიაში მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გაიზარდა ქორწინებათა რაოდენობა, ხოლო ღანწხუთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში 2018 წელს, შესაბამისად, 155 და 103 ქორწინების ფაქტი დაფიქსირდა, რაც წინა წელთან შედარებით, შესაბამისად, 3% და 7%-ითაა შემცირებული. ამიტომ, გურიის რეგიონში 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, 2%-იანი მატება მხოლოდ ოზურგეთის მაჩვენებლის 8%-იანი მატების ხარჯზე მოხდა.

### ცხრილი 30

#### რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა იმერეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
იმერეთი	5362	5058	5032	5155	4813	4444	3832	3850	3661
ქ. ქუთაისი	1532	1653	1530	1664	1583	1419	1296	1358	1295
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	219	181	209	221	199	168	151	153	156
ვანის მუნიციპალიტეტი	261	238	217	256	217	203	166	167	160
ზეგსტაფორის მუნიციპალიტეტი	540	487	559	504	456	438	380	343	337
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	336	336	329	303	272	278	230	217	210
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	553	435	390	439	417	350	295	327	302

საჩხერის მუნიციპალიტეტი	428	376	419	327	318	307	243	292	267
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	225	171	169	170	166	150	137	141	111
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	449	463	437	506	489	463	387	322	327
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	429	379	462	378	376	357	292	312	268
სარაგაულის მუნიციპალიტეტი	175	159	145	152	143	143	111	102	109
ხონის მუნიციპალიტეტი	215	180	166	235	177	168	144	116	119

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

იმერეთში 2010 წლიდან ქორწინების მაჩვენებლის სისტემატური შემცირების ტენდენცია იკვეთება. მარტო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 5%-იანი, ხოლო 2014 წელთან შედარებით 34%-იანი, 2010 წელთან შედარებით კი 32%-იანი კლება დაფიქსირდა. მართალია, მცირედი, მაგრამ მატების ტემპებით გამოირჩევა მხოლოდ სარაგაულის, ბაღდათის და ხონის მუნიციპალიტეტები. ქორწინების მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით, ყველაზე მეტად შემცირდა ვანში 27%-ით, საჩხერეში 17%-ით, ჭიათურაში 29%-ით.

### ცხრილი 31

#### რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა კახეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კახეთი	2453	2355	2251	3904	2597	2420	1936	1744	1794
ქ. თელავი*	..	..	..	..	193	180	139	..	..
ახმეტის მუნიციპალიტეტი	233	220	303	406	344	236	223	245	208
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	397	369	328	734	360	337	286	276	290
ღვინჯისწყლის მუნიციპალიტეტი	212	200	173	216	218	181	153	118	141
თელავის მუნიციპალიტეტი	398	399	405	796	260	297	274	323	324
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	326	337	298	500	337	310	242	220	222
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	438	400	328	581	383	361	246	267	272
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	230	195	217	327	272	308	183	144	166
ყვარლის მუნიციპალიტეტი	219	235	199	344	230	210	190	151	171

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბოლო მონაცემებით კახეთში გაზრდილია დაქორწინების მაჩვენებელი. უნდა აღინიშნოს, რომ ახმეტის მუნიციპალიტეტის გარდა, ყველა მუნიციპალიტეტში 2018 წელს უფრო მეტი ქორწინება იქნა დარეგისტრირებული, ვიდრე 2017 წელს. ყველაზე მეტი მატება შეინიშნებოდა სიღნაღსა და ყვარელში, სადაც მატების ტემპებმა, შესაბამისად, 15% და 13% შეადგინა. 2014 წელთან შედარებით, ქორწინების მაღალი კლების ტემპით გამოირჩეოდა ახმეტის მუნიციპალიტეტი, სადაც კლების ტემპმა შეადგინა 40%. შემდეგ მოდის სიღნაღის მუნიციპალიტეტი (39%), ღვინჯისწყალი (36%), ლაგოდეხი (35%), საგარეჯო 29% -იანი კლების ტემპით.



რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	306	272	266	277	268	232	203	211	177
ქ. ამბროლაური*	..	..	..	..	24	12	10	..	..
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	88	84	82	92	41	54	45	68	44
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	71	57	48	49	59	58	34	44	49
ონის მუნიციპალიტეტი	40	35	40	35	33	32	39	30	29
ცაგერის მუნიციპალიტეტი	107	96	96	101	111	76	75	69	55

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილი 33-ის მონაცემებიდან ჩანს რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში ამ მხრივ საკმაოდ მძიმე სიტუაციაა. ქორწინების ისედაც დაბალმა მაჩვენებლებმა 2010 წლის შემდეგ განაგრძო შემცირება და უკვე 2018 წლისათვის მთლიანად რეგიონში 43%-იანი შემცირება დაფიქსირდა. 2014 წელთან შედარებით, ქორწინების ყველაზე მეტი შემცირება გამოვლინდა ცაგერის მუნიციპალიტეტში, სადაც კლების ტემპმა 51% შეადგინა. ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში ამავე პერიოდში კლების ტემპები შესაბამისად 13% და 17% იყო.

რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა მცხეთა-მთიანეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მცხეთა-მთიანეთი	704	665	581	769	674	555	567	475	500
ქ. მცხეთა*	..	..	..	..	105	81	79	..	..
ასალგორის მუნიციპალიტეტი	..	..	..	..	..	..	..	..	..
ლეშეთის მუნიციპალიტეტი	155	180	158	175	180	153	169	156	123
თიანეთის მუნიციპალიტეტი	101	85	76	115	81	63	62	56	54
მცხეთის მუნიციპალიტეტი	390	340	296	423	245	215	205	233	272
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	58	60	51	56	63	43	52	30	51

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ მცხეთა-მთიანეთში 2018 წლის მონაცემებით, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია დაქორწინების მაჩვენებელი და ეს, ძირითადად, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ხარჯზე მოხდა, რადგან ლეშეთსა და თიანეთში შესაბამისად, 22%-იანი და 4%-იანი კლების ტემპი დაფიქსირდა.

## რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა სამეგრელო და ზემო-სვანეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3507	3263	2973	3254	2910	2598	2241	2101	2055
ქ. ზუგდიდი*	..	..	..	..	555	509	438	..	..
ქ. ფოთი	378	389	340	336	364	308	264	266	255
აბაშის მუნიციპალიტეტი	186	144	183	185	183	131	101	110	99
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	1303	1221	1043	1225	481	474	384	780	790
მარტვილის მუნიციპალიტეტი	306	294	290	289	256	214	181	183	156
მესტიის მუნიციპალიტეტი	99	86	94	118	90	88	66	56	73
სენაკის მუნიციპალიტეტი	383	362	302	412	325	303	255	213	217
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	255	235	204	216	202	160	154	153	133
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	286	237	265	226	227	208	186	172	173
ხობის მუნიციპალიტეტი	311	295	252	247	227	203	212	168	159

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამეგრელო და ზემო-სვანეთის რეგიონში არაერთგვაროვანი სურათი გამოიკვეთა. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, თუ ზუგდიდის, მესტიისა და სენაკის მუნიციპალიტეტებში დაქორწინებულთა რიცხვი, შესამჩნევად, 1%, 30%, და 2%-ით გაიზარდა, (წალენჯიხაში 1 აქტით მეტი განხორციელდა), დანარჩენ მუნიციპალიტეტებში შემცირების ტენდენცია გამოვლინდა.

2014 წელთან შედარებით, ქორწინების მაჩვენებელი ყველაზე მეტად შემცირდა: აბაშაში 46%-ით, მარტვილში 40%-ით, ჩხოროწყუში 35%-ით, ხოლო ფოთსა და ხობში 30%-ით.

## რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა სამცხე-ჯავახეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამცხე-ჯავახეთი	1468	1274	1367	1468	1392	1232	1071	993	921
ქ. ახალციხე*	..	..	..	..	176	148	117	..	..
აღიანის მუნიციპალიტეტი	162	139	149	136	142	138	136	139	115
ასპინძის მუნიციპალიტეტი	104	90	91	114	108	72	72	62	68
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	459	366	384	353	377	357	300	268	238
ახალციხის მუნიციპალიტეტი	306	280	323	389	116	143	130	229	223
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	188	215	207	253	238	214	164	170	166
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	249	184	213	223	235	160	152	125	111

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტებიდან ქორწინების რაოდენობის მიხედვით გამოჩნევა ახალქალაქისა და ახალციხის მუნიციპალიტეტები, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ახალციხეში აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წელთან შედარებით 92%-ით გაუმჯობესდა, ხოლო ახალქალაქის 37%-ით გაუარესდა. საერთოდ, რეგიონში 2017 წელთან შედარებით 7%-იანი, ხოლო 2014 წელთან შედარებით 34%-იანი კლებაა.

**ცხრილი 36**

**რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა ქვემო ქართლის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
<b>ქვემო ქართლი</b>	5342	3798	3702	3987	3955	3787	2867	2617	2666
<b>ქ. რუსთავი</b>	1161	1056	1118	1065	1104	1020	822	780	808
<b>ბოლნისის მუნიციპალიტეტი</b>	666	521	470	531	540	633	355	345	330
<b>გარდაბნის მუნიციპალიტეტი</b>	951	750	699	871	756	697	543	476	510
<b>ღმანისის მუნიციპალიტეტი</b>	227	168	177	184	179	168	161	138	149
<b>თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი</b>	153	116	125	147	136	119	132	103	124
<b>მარნეულის მუნიციპალიტეტი</b>	2054	1021	980	1041	1073	1006	745	665	632
<b>წალკის მუნიციპალიტეტი</b>	130	166	133	148	167	144	109	110	113

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების დიდ ნაწილში 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, დაქორწინების რაოდენობა გაზრდილია. ამ პერიოდში, ზოგადად რეგიონში მატების 2%-იანი ტემპია. ამ ერთი წლის განმავლობაში გარდაბნის 7%, წალკაში 3%, თეთრიწყაროში 20%, ღმანისში კი 8% მატების ტემპი დაფიქსირდა. 14%-ითაა შემცირებული ქორწინების მაჩვენებელი ბოლნისში, მარნეულში კი 5%-იანი კლება დაფიქსირდა.

**ცხრილი 37**

**რეგისტრირებულ ქორწინებათა რაოდენობის დინამიკა შიდა ქართლის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
<b>შიდა ქართლი</b>	2625	2190	2145	2648	2108	1865	1697	1514	1447
<b>ქ. გორი*</b>	..	..	..	..	423	326	343	..	..
<b>გორის მუნიციპალიტეტი</b>	1298	1084	1046	1273	630	547	468	749	723
<b>ერედვის მუნიციპალიტეტი**</b>	..	..	..	..	..	..	..	..	..
<b>თილვის მუნიციპალიტეტი**</b>	..	..	..	..	..	..	..	..	..
<b>კასპის მუნიციპალიტეტი</b>	330	313	304	395	284	274	255	193	176
<b>ქარელის მუნიციპალიტეტი</b>	469	354	362	468	374	349	256	238	262
<b>ქუთაისის მუნიციპალიტეტი**</b>	..	..	..	..	..	..	..	..	..
<b>ხაშურის მუნიციპალიტეტი</b>	528	439	433	512	397	369	375	334	286
<b>- ოკუპირებული ტერიტორია</b>	..	..	..	..	..	..	..	..	..

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დინამიკაში რეგიონში ქორწინების ტენდენცია კლებადაა. 2018 წელს შიდა ქართლში მხოლოდ ქარელის მუნიციპალიტეტში ფიქსირდება რეგისტრირებული ქორწინების მატება, ისიც 10%-ით. მაგრამ 2014 წელთან შედარებით 30%-ითაა შემცირებული. ამავე პერიოდში საშურში 28%-იანი კლება დაფიქსირდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2010 წელთან შედარებით, ყოველწლიურად, თითქმის ყველა მუნიციპალიტეტისა და თვითმმართველი ერთეულებისათვის მცირდება ქორწინების მაჩვენებლები. როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს დიდი ქალაქების: თბილისის, ქუთაისის, ბათუმის შემდეგ ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა რუსთავი, გარდაბანი, მარნეული, გორი და ზუგდიდი.

შექმნილი დემოგრაფიული მდგომარეობის გათვალისწინებით, შეიცვალა ქორწინების საშუალო ხანგრძლივობის მაჩვენებლებიც. თუ 2010 წელს ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 11,8 წელს, 2014 წელს იგი შემცირდა 10,4 წლამდე და 2018 წელს შეადგინა 10,3 წელი.

ცხრილი 38

**ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა (წელი)**

წელი	კოეფიციენტი (%)
2010	11.8
2011	11.7
2012	11.6
2013	11.1
2014	10.7
2015	10.4
2016	10.4
2017	10.2
2018	10.3

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური


**5.5. განქორწინების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით**

ქორწინების საშუალო ასაკის შემცირების პარალელურად გაიზარდა განქორწინების მაჩვენებლები. თუ გადავხედავთ განქორწინების მაჩვენებლების დინამიკას, დავინახავთ, რომ თვალნათლივ ვლინდება განქორწინების კოეფიციენტების ზრდის ტენდენცია, რამაც განაპირობა სწორედ ქორწინების საშუალო ასაკის შემცირება.

საქართველოში, 2018 წელს, ქორწინების ზოგადმა კოეფიციენტმა 6,2 პრომილი, ხოლო განქორწინების კოეფიციენტმა - 2,8 პრომილი შეადგინა. როგორც ვხედავთ, საკმაოდ მაღალია განქორწინების მაჩვენებლები. მარტო 2018 წელს განქორწინებულთა რაოდენობა 2010 წელთან შედარებით 2,18-ჯერ გაიზარდა, ხოლო წინა წელთან შედარებით 66-ით მეტი ფაქტი დაფიქსირდა.

განქორწინების რიცხვის დინამიკა საქართველოში

2010-2018



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რეგიონების მიხედვით კი განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი თბილისში, იმერეთსა და ქვემო ქართლში შეინიშნებოდა. თბილისში 2018 წელს, 2010 წელთან შედარებით, 1,7 ჯერ გაიზარდა განქორწინების კოეფიციენტის მნიშვნელობა, ხოლო წინა წელთან შედარებით 2,3%-ით. საგრძნობლად გაიზარდა განქორწინების მაჩვენებელი იმერეთის რეგიონისთვის, სადაც ყოველ 1000 კაცზე 2018 წელს 2, 88-ჯერ მეტი ადამიანი განქორწინდა ვიდრე 2010 წელს, მართალია წინა წელთან შედარებით იმერეთში 4%-ით შემცირდა განქორწინების კოეფიციენტის მნიშვნელობა, მაგრამ, ზოგადად, ბოლო წლებში მისი სიდიდე მაინც მაღალია, რადგან 2016 წელთან შედარებით განქორწინების რიცხვი იმერეთში 15%-ით გაიზარდა. რაც შეეხება ქვემო ქართლს, 2018 წელს განქორწინებულთა რაოდენობამ 1026 შეადგინა, რაც 2,6-ჯერ აღემატება 2010 წლის და 1,04-ჯერ 2016 წლის ღირსს, აღსანიშნავია, რომ წინა წელთან შედარებით იმერეთის მსგავსად, ქვემო ქართლშიც 4%-ით შემცირდა განქორწინებულთა რიცხვი.

ცხრილი 39

განქორწინების კოეფიციენტების დინამიკა 2010-2018 წლებში რეგიონულ ჯგუფებში (პრომილი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	1.25	1.56	1.91	2.18	2.45	2.45	2.56	2.74	2.76
ქ. თბილისი	2.04	2.31	2.64	2.79	3.02	3.20	3.24	3.24	3.27
აჭარის ა. რ.	0.93	1.22	1.73	1.64	2.02	2.00	2.10	1.97	2.19
გურია	0.74	1.13	1.27	1.54	1.65	1.39	2.06	2.14	2.29
იმერეთი	1.03	1.49	1.90	2.17	2.66	2.67	2.79	3.41	3.32
კახეთი	0.92	1.24	1.48	1.86	2.10	2.05	2.13	2.48	2.32
მცხეთა-მთიანეთი	1.17	1.24	1.82	2.07	2.21	2.09	2.48	2.36	2.49
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.50	1.06	1.15	1.54	1.35	1.86	1.79	2.36	2.33

სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.90	1.05	1.48	2.29	2.37	1.98	2.22	2.56	2.55
სამცხე-ჯავახეთი	0.65	0.81	1.08	1.04	1.29	1.18	1.28	1.39	1.50
შიდა ქართლი	0.95	1.18	1.58	1.78	2.00	1.92	2.22	2.51	2.35
ქვემო ქართლი	0.93	1.40	1.68	2.08	2.44	2.37	2.29	2.48	2.37


წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გრაფიკულად განქორწინების კოეფიციენტების დინამიკა 2010-2018 წლებში რეგიონულ ჯრილში წარმოდგენილია დიაგრამა 6-ის სახით.

დიაგრამა 6

განქორწინების კოეფიციენტების

დინამიკა 2010-2018 წლებში



წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რადგან განსხვავებულია ცალკეული რეგიონების მიხედვით ქორწინებისა და განქორწინების კოეფიციენტების მნიშვნელობები, საინტერესო იქნება ლეტალურად ჩავშალოთ განქორწინების მაჩვენებლები ცალკეული რეგიონების, მუნიციპალიტეტებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით.

## რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა აჭარის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
აჭარის ა.რ.	309	405	574	546	678	678	717	678	761
ქ. ბათუმი	162	230	315	291	372	366	398	357	421
ქედის მუნიციპალიტეტი	3	7	17	16	21	30	27	24	23
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	81	96	105	118	132	145	156	156	160
შუახევის მუნიციპალიტეტი	7	11	23	24	23	25	22	17	28
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	41	47	82	67	95	80	80	84	85
ზულოს მუნიციპალიტეტი	15	14	32	30	35	32	34	40	44

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, აჭარის ა.რ.-ში 2018 წელს უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რომელიც, წინა წელთან შედარებით, 37%-ითაა გაზრდილი და 2014 წელთან შედარებით კი 12%-ით შემცირებული. 2014 წელთან შედარებით, მხოლოდ ქელაში და ხელვაჩაურშია შემცირებული განქორწინების რაოდენობა. ამავე პერიოდში, ქობულეთში გაიზარდა 21%-ით, ხოლო ბათუმში 13%-ით.

## რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა გურიის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
გურია	86	132	146	176	188	157	230	237	152
ქ. ოზურგეთი	-	-	-	-	17	25	29	-	-
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	18	39	45	49	54	47	67	73	63
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	59	80	77	96	84	69	101	131	145
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	9	13	24	31	33	16	16	33	44

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

გურიაში განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სადაც სახეზეა განქორწინების მზარდი ტემპი. მარტო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 10%-ით გაიზარდა განქორწინების რიცხვი, 2016 წელთან შედარებით კი 43%-ით. 2014 წელთან მიმართებით 72%-იანი მატება დაფიქსირდა.

**ცხრილი 42**

**რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა იმერეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
იმერეთი	580	825	1038	1175	1423	1409	1450	1739	1668
ქ. ქუთაისი	260	368	444	494	632	623	625	799	750
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	15	28	36	54	59	55	58	75	52
ვანის მუნიციპალიტეტი	19	19	44	39	46	51	52	67	71
ხესტაფონის მუნიციპალიტეტი	51	75	78	82	97	117	108	116	133
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	20	56	48	46	64	66	61	68	81
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	68	38	89	127	126	110	103	136	135
საჩხერის მუნიციპალიტეტი	25	38	45	63	66	77	81	91	80
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	19	31	36	35	43	38	39	48	59
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	47	83	113	127	125	126	157	172	149
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	29	41	50	48	80	80	97	90	86
ზარაგაულის მუნიციპალიტეტი	4	19	25	25	32	32	28	34	29
ზონის მუნიციპალიტეტი	23	29	30	35	53	34	41	43	43

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რაც შეეხება იმერეთის რეგიონს, აქ განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2017 წელს დაფიქსირდა, როდესაც მისმა რიცხვმა 1450 შეადგინა. ეს წინა წელთან შედარებით 3%-ით და 2010 წელთან შედარებით 150%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. 2018 წელს ქუთაისის შემდეგ საყურადღებოა ხესტაფონის მუნიციპალიტეტი, სადაც წინა წელთან შედარებით 15%-ით, ხოლო 2014 წელთან შედარებით - 34%-ითაა გაზრდილი რეგისტრირებული განქორწინებების რიცხვი.

**ცხრილი 43**

**რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა კახეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
კახეთი	300	402	477	595	671	653	676	783	727
ქ. თელავი*	..	..	..	..	..	53	54	..	..
ახმეტის მუნიციპალიტეტი	41	53	55	100	114	93	86	84	82
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	36	49	80	89	94	124	114	142	132
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	22	27	36	35	47	39	54	51	44
თელავის მუნიციპალიტეტი	71	94	103	130	138	85	96	170	166



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	35	54	55	77	81	71	76	96	80
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	29	40	52	57	73	68	82	101	80
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	29	36	47	42	70	51	59	62	68
ყვარლის მუნიციპალიტეტი	37	49	49	65	54	69	55	77	75

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

კახეთის რეგიონში, როგორც ცხრილი 42-დან ჩანს, განქორწინების რაოდენობით ლიდერობს თელავის მუნიციპალიტეტი 166 შემთხვევით, შემდეგ მას მოსდევს გურჯაანის მუნიციპალიტეტი. ზოგადად, მთელ რეგიონში განქორწინების ზრდის ტენდენცია შეინიშნება.

#### ცხრილი 44

##### რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა მცხეთა-მთიანეთის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
მცხეთა-მთიანეთი	109	116	170	194	208	197	233	222	234
ქ. მცხეთა*	..	..	..	..	31	22	28	..	..
ახალგორის მუნიციპალიტეტი	..	..	..	..	..	..	..	..	..
ლუშეთის მუნიციპალიტეტი	33	36	57	59	58	56	83	68	64
თიანეთის მუნიციპალიტეტი	9	13	19	31	30	29	28	43	29
მცხეთის მუნიციპალიტეტი	61	55	73	82	72	73	80	97	123
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	6	12	21	22	17	17	14	14	18

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, 5%-ით გაიზარდა განქორწინების რიცხვი, რაც, ძირითადად, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ხარჯზე დაფიქსირდა, სადაც წინა წელთან შედარებით მისი რიცხვი 27% და 28%-ით გაიზარდა. შემცირებულია თიანეთისა და ლუშეთის მუნიციპალიტეტებში განქორწინების რიცხვი.

#### ცხრილი 45

##### რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	18	37	39	51	44	59	56	72	70
ქ. ამბროლაური*	..	..	..	..	2	1	2	..	..
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	11	10	11	11	7	14	15	19	14
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	2	10	5	15	7	13	14	21	19
ონის მუნიციპალიტეტი	2	4	7	10	10	10	6	10	7
ცაგერის მუნიციპალიტეტი	3	13	16	15	18	21	19	22	30

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთის რეგიონში, ცაგერის მუნიციპალიტეტის გარდა (სადაც 37%-ით გაიზარდა განქორწინებულთა რაოდენობა), მცირდება განქორწინების მაჩვენებლები. კერძოდ, 2018 წელს, 2017 წელთან შედარებით, ონში 30%-ით, ცაგერში 10%-ით, ამბროლაურში 27%-ით შემცირდა.

**ცხრილი 46**

**რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამეგრელო-ზემო სვანეთი	324	368	507	772	791	654	725	825	813
ქ. ზუგდიდი*	..	..	..	..	135	124	138	..	..
ქ. ფოთი	65	56	74	103	114	90	67	119	121
აბაშის მუნიციპალიტეტი	14	19	37	42	51	27	43	48	45
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	97	145	179	289	131	126	189	326	329
მარტვილის მუნიციპალიტეტი	26	30	33	73	64	46	54	57	61
მესტიის მუნიციპალიტეტი	5	4	13	17	16	14	20	16	20
სენაკის მუნიციპალიტეტი	47	55	60	99	83	95	76	100	76
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	16	15	37	32	47	26	42	39	40
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	18	18	32	55	71	48	48	58	53
ზობის მუნიციპალიტეტი	36	26	42	62	79	58	48	62	68

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს განქორწინების რაოდენობა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შეადგენს 813, რაც წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით 2%-ით და 2014 წელთან შედარებით 3%-ითაა შემცირებული. განქორწინების რიცხვი მცირედით, მაგრამ მაინც გაზრდილია ფოთის, ზუგდიდისა და ზობის მუნიციპალიტეტებში.

**ცხრილი 47**

**რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მიხედვით**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
სამცხე-ჯავახეთი	110	134	177	169	207	188	202	217	233
ქ. ახალციხე*	..	..	..	..	30	29	30	..	..
აღიგენის მუნიციპალიტეტი	9	11	34	20	24	19	25	37	30
ასპინძის მუნიციპალიტეტი	7	4	9	13	19	11	12	17	18
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	15	16	23	24	33	23	27	21	33
ახალციხის მუნიციპალიტეტი	38	45	45	49	27	31	32	74	65
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	33	51	53	49	60	58	71	59	72
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	8	7	13	14	14	17	5	9	15

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილი 46-დან ჩანს, 2018 წელს ადიგენისა და ასალციხის მუნიციპალიტეტების გარდა, წინა წელთან შედარებით, დანარჩენ მუნიციპალიტეტებში გაზრდილია განქორწინების მაჩვენებლები, განსაკუთრებით ეს ვლინდება ბორჯომისა (22%-ით გაიზარდა) და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში (67%-ით).

ცხრილი 48

რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა ქვემო ქართლის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ქვემო ქართლი	394	591	706	879	1036	1013	982	1067	1026
ქ. რუსთავი	195	292	344	378	382	399	414	442	435
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	41	63	62	92	109	126	114	101	112
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	73	112	146	204	265	220	187	210	182
ღმანისის მუნიციპალიტეტი	16	15	17	24	32	32	31	34	44
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	8	23	25	29	30	36	30	38	40
მარნეულის მუნიციპალიტეტი	55	74	101	139	192	180	174	219	194
წალკის მუნიციპალიტეტი	6	12	11	13	26	20	32	23	19

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში 2018 წელს შეინიშნება განქორწინების რიცხვის შემცირება, მაგრამ წინა წლებთან შედარებით მაჩვენებლები მაინც მზარდია. ასე მაგალითად, 2014 წელთან შედარებით განქორწინების რიცხვი გაიზარდა ბოლნისში 3%-ით, რუსთავში - 14%-ით, ღმანისში - 37%-ით.

ცხრილი 49

რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობა შიდა ქართლის რეგიონის მიხედვით

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
შიდა ქართლი	254	312	419	469	527	503	580	651	606
ქ. გორი*	..	..	..	..	158	110	130	..	..
გორის მუნიციპალიტეტი	137	173	251	239	136	163	171	335	315
ერედვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
თილვის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
კასპის მუნიციპალიტეტი	37	41	50	61	65	64	75	81	84
ქარელის მუნიციპალიტეტი	33	44	43	81	73	71	83	83	94
ქურთის მუნიციპალიტეტი**	..	..	..	..	..	..	..	..	..
საშურის მუნიციპალიტეტი	47	54	75	88	95	95	121	152	113

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შიდა ქართლში 2010 წლიდან, მართალია, იზრდება განქორწინების მაჩვენებლები, მაგრამ 2017 წელთან შედარებით 2018 წელს 51 შემთხვევით ნაკლები ფაქტი დაფიქსირდა, რაც, ძირითადად, გორის მუნიციპალიტეტში განქორწინების 6%-ით და ხაშურში 26%-ით შემცირების ხარჯზე მოხდა.

მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს დიდი ქალაქების - თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის გარდა, ყველაზე მეტი განქორწინების ფაქტი დაფიქსირდა რუსთავში, გორში, ზუგდიდში.

დინამიკაში თითქმის ყველა რეგიონში იზრდება განქორწინების მაჩვენებლები, მაგრამ 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, ზოგიერთ მუნიციპალიტეტსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებში დაფიქსირდა განქორწინების რაოდენობის შემცირება. მარტო 2018 წელს, წინა წელთან შედარებით, თბილისში განქორწინებათა რაოდენობა 2%-ით, ბათუმში 18%-ით, ოზურგეთში 11%-ით, ზუგდიდში 1%-ით, ზესტაფონში 15%-ით გაიზარდა. მართალია მაღალია განქორწინების რიცხვი ქუთაისში, მაგრამ 2017 წელთან შედარებით ის 8%-ით შემცირდა, თუმცა 2015 წელთან შედარებით თითქმის 20%-ითაა გაზრდილი. წინა წელთან შედარებით შემცირება დაფიქსირდა საჩხერეში 12%-ით, ხარაგაულსა და წყალტუბოში 15%-ით, ლაგოდეხში 17%-ით, საგარეჯოში 21%-ით. სხვა რაიონებში, მართალია მცირედით, მაგრამ ყველგან გაიზარდა განქორწინების მაჩვენებლები.

## 5.6. მოსახლეობის ბუნებრივი მატების სტატისტიკური ანალიზი რეგიონების მიხედვით

დაბადებულთა და გარდაცვლილთა შორის სხვაობას, ბუნებრივი მატება ეწოდება. მის დასახასიათებლად გამოითვლება ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი. ის გვიხსნიათებს, ბუნებრივ მატებას მოცემულ წელს, ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით და გამოითვლება ფორმულით:

$$K_{ბ.მ.} = \frac{N - M}{S} \times 1000 \quad 4.5$$

სადაც  $K_{ბ.მ.}$  არის ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი;

$N - M$  - ბუნებრივი მატება.

გამოვთვალოთ ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში 2018 წლისათვის, რისთვისაც უკვე შემოთ მოტანილი მონაცემები შევიტანოთ ფორმულაში:

$$K_{ბ.მ.} = \frac{51138 - 46524}{3726500} \times 1000 = 1,2 \text{ ‰}$$

მივიღეთ, რომ 2018 წელს მოსახლეობის ბუნებრივი მატება საქართველოში შეადგენდა 4614 კაცს, ხოლო ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით, ის ტოლია 1,2‰-ის.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტების დინამიკა მოცემულია ცხრილი 49-ში.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტი (მოსახლეობის 1 000 კაცზე)

წელი	პრომილი, ‰
2010	1.1
2011	0.5
2012	0.2
2013	0.3
2014	3.1
2015	2.7
2016	1.6
2017	1.5
2018	1.2

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცხრილიდან ჩანს, რომ 2014 წლამდე ადგილი ჰქონდა ბუნებრივი მატების კოეფიციენტის სისტემატურ შემცირებას. 2014 წელს მან მიაღწია თავის მაქსიმუმს 3,1 პრომილს და შემდეგ ისევ კლების ტენდენცია დაფიქსირდა. მარტო 2018 წელს, 2014 წელთან შედარებით, მისი ღონე 1.9 პრომილით გაუარესდა.

მეორენაირად, ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება მივიღოთ შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობით. კერძოდ,

$$K_{ბ.მ.} = n - m$$

შესაბამისად, 2018 წლისთვის, ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი საქართველოში ტოლია:

$$K_{ბ.მ.} = 13,72 - 12,48 = 1,24 \approx 1,2 ‰.$$

ცხადია, ეს ზოგადი ტენდენცია ზოგიერთი გამონაკლისის გარდა დამახასიათებელია ცალკეული რეგიონებისთვისაც.

ბუნებრივი მატების კოეფიციენტების დინამიკა რეგიონულ ჯრილში

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	1.10	0.47	0.17	0.30	3.10	2.71	1.56	1.47	1.24
ქ. თბილისი	5.24	3.51	2.77	2.57	5.09	4.57	3.57	2.55	3.46
აჭარის ა.რ.	4.91	4.79	4.65	4.89	8.72	8.34	6.90	7.62	6.79
გურია	-3.88	-4.79	-5.35	-5.40	-2.14	-2.01	-2.65	-3.52	-3.81
იმერეთი	-2.28	-3.08	-3.18	-3.36	-0.43	-0.40	-2.54	-2.27	7.51
კახეთი	-3.21	-4.11	-2.67	-2.30	0.59	0.80	-0.73	-0.26	-1.18

მცხეთა-მთიანეთი	-0.41	-1.44	-3.37	-2.33	-0.52	-1.96	-2.51	-1.76	-2.79
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-18.22	-15.88	-18.42	-15.41	-12.28	-14.88	-15.90	-12.95	-10.94
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-5.40	-4.59	-4.65	-4.52	-0.51	-1.21	-2.25	-2.11	-2.93
სამცხე-ჯავახეთი	-0.08	1.01	0.50	0.93	1.54	1.14	1.88	1.52	1.16
შიდა ქართლი	11.92	-0.48	-0.14	-0.19	2.51	2.16	1.37	0.80	-0.24
ქვემო ქართლი	-2.17	5.15	4.19	4.67	7.02	6.23	4.75	5.43	3.82

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბუნებრივი მატების რაოდენობის დინამიკა რეგიონულ ჯრილში მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ცხრილი 52

**ბუნებრივი მატების დინამიკა საქართველოში (2010-2018)**

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საქართველო	4164	1747	622	1093	11548	10128	5798	5471	4614
ქ. თბილისი	5760	3847	3025	2826	5645	5132	4064	2930	4039
აჭარის ა.რ.	1630	1591	1546	1627	2919	2824	2355	2628	2362
გურია	-454	-558	-617	-619	-243	-227	-297	-390	-419
იმერეთი	-1285	-1706	-1739	-1820	-229	-210	-1318	-1159	-1248
კახეთი	-1053	-1339	-861	-737	187	255	-229	-84	-370
მცხეთა-მთიანეთი	-38	-134	-315	-218	-49	-184	-236	-165	-262
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-654	-554	-626	-510	-399	-473	-496	-395	-328
სამეგრელო-ზემო სვანეთი	-1982	-1614	-1597	-1525	-169	-399	-735	-683	-932
სამცხე-ჯავახეთი	-14	167	81	152	248	182	296	237	180
ქვემო ქართლი	2145	2174	1762	1967	2977	2659	2037	2342	1654
შიდა ქართლი	109	-127	-37	-50	661	569	357	210	-62

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ცხრილიდან ჩანს, უარყოფითი საღლოს მომატებით გამოირჩევა სამეგრელო-ზემო სვანეთი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი.

ბუნებრივი მატების ყველაზე ღილი მაჩვენებელი 2018 წელს ლაფიქსორდა თბილისში, თუმცა წინა წელთან შედარებით ის შემცირებულია და სიდიდით 2016 წლის ღონესაც ვერ აჭარბებს.

ყველა რეგიონის მიხედვით ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლები წარმოვადგინოთ ცხრილის სახით:

რეგიონების ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების დინამიკა

	მოლიანი რიცხოვნობა	შობადობის კოეფიციენტი	მოკვდაობის კოეფიციენტი	ბუნებრივი მატების კოეფიციენტი	ქორწინების კოეფიციენტი	განქორწინების კოეფიციენტი
საქართველო	3726.5	13.72	12.48	1.24	6.23	2.76
ქ. თბილისი	1164.9	13.87	10.41	3.46	5.77	3.27
აჭარის ა.რ.	347.7	16.68	9.89	6.79	7.47	2.19
გურია	110	11.56	15.37	-3.81	6.05	2.29
იმერეთი	502.2	13.45	15.94	7.51	7.29	3.32
კახეთი	313.6	13.26	14.44	-1.18	5.72	2.32
მცხეთა-მთიანეთი	93.8	11.38	14.17	-2.79	5.33	2.49
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30	10.93	21.87	-10.94	5.90	2.33
სამეგრელო-ზემო სვანეთი	318.5	12.47	15.40	-2.93	6.45	2.55
სამცხე-ჯავახეთი	155	13.59	12.43	1.16	5.94	1.50
შიდა ქართლი	258.3	12.92	13.16	-0.24	5.60	2.35
ქვემო ქართლი	432.7	14.28	10.46	3.82	6.16	2.37

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას, ასევე, ვასასიათებთ სიცოცხლისუნარიანობის კოეფიციენტით, რომელიც წარმოადგენს მოცემულ წელს დაბადებულების რიცხვის შეფარდებას გარდაცვლილთა რიცხვთან. კოეფიციენტი გვიჩვენებს, რამდენჯერ აღმატება დაბადებულების რიცხვი გარდაცვლილების რიცხვს და გამოითვლება ფორმულით:

$$K_{\text{სიც.}} = \frac{N}{M}$$

აღნიშნულ მაჩვენებელს, მისი ავტორის, რუსი დემოგრაფის, პოკროვსკის პატივსაცემად, პოკროვსკის ინდექსსაც უწოდებენ.

საზოგადოებისათვის სუფერით არ არის, ბუნებრივი მატება შობადობის და მოკვდაობის როგორი დონის პირობებში მიიღწევა. ერთი და იგივე სიდიდის ბუნებრივი მატება შეიძლება მივიღოთ შობადობის და მოკვდაობის როგორც მაღალი, ისე დაბალი დონის პირობებში. მაგალითად, ბუნებრივი მატება, 10,0% შეიძლება მივიღოთ როგორც შობადობის 50 და მოკვდაობის 40 პრომილეს პირობებში, ისე შობადობის 20 და მოკვდაობის 10 პრომილეს პირობებში. ბუნებრივი მოძრაობის დაახლოებით ასეთი თანაფარდობით მიიღებოდა ერთნაირი ბუნებრივი მატება XIX და XX საუკუნის მეორე ნახევრის ევროპაში, მათ შორის საქართველოშიც.

მაგრამ, საქმე ისაა, რა სასიცოცხლო, რა ადამიანური დანახარჯების ფასად უჯდება საზოგადოებას მიღწეული ბუნებრივი მატება? მაგალითად, XIX საუკუნეში, დაახლოებით 10 პრომილე ბუნებრივი მატება საზოგადოებას უჯდებოდა 50, ხოლო XX საუკუნის მეორე ნახევარში - 30 პრომილემდე, ე.ი. 1,7-ჯერ ნაკლები. შესაბამისად, XX საუკუნის მეორე ნახევარში, მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა უფრო ეკონომიური და ეფექტურია.

შობაღობის და მოკვდაობის ჯამს (როგორც აბსოლუტურად, ისე კოეფიციენტებში), ეწოდება ადამიანთბრუნვა. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის (ეფექტიანობის) დასახასიათებლად გამოითვლება მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს, შობაღობის და მოკვდაობის საერთო ჯამის რამდენი პროცენტი მიდის მოსახლეობის ბუნებრივ მატებაზე და იგი გამოითვლება ფორმულით<sup>1</sup>:

$$K_{\text{მკ}} = \frac{n - m}{n + m} \times 100$$

სადაც  $K_{\text{მკ}}$  არის ბუნებრივი მოძრაობის ეკონომიურობის კოეფიციენტი;

$n$  და  $m$  - შობაღობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები, ე.ი. მაჩვენებლის გამოსათვლელად ბუნებრივი მატება შეეფარდება ადამიანთა ბრუნვას და გამოისახება პროცენტებში.

რიგ შემთხვევებში საჭიროა ბუნებრივი მოძრაობის კოეფიციენტების გამოთვლა რამდენიმეწლიანი ინტერვალებით. როგორც წესი, გავრცელებულია ხუთწლიანი ინტერვალები. კოეფიციენტები წარმოადგენენ ბუნებრივი მოძრაობის საშუალოწლიურ მაჩვენებლებს. ასეთი კოეფიციენტები გამოითვლება იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენა განიხილება დიდი პერიოდისათვის და ერთწლიანი მაჩვენებლების ცვალებადობა, ქაოსური ზრდა-კლება, მოვლენის კანონზომიერების დადგენის საშუალებას არ იძლევა. ინტერვალურ მაჩვენებელში იზრდება მოვლენის მოცულობა, ხოლო სტატისტიკაში კარგად ცნობილი დიდ რიცხვთა კანონის თანახმად, კანონზომიერება ამ შემთხვევაში უფრო ნათლად გამოვლინდება. ამასთან ერთად, გამოთვლილი მაჩვენებელი არის საშუალო. ეს უკანასკნელი კი ასახავს იმ საერთოს, კანონზომიერებას, რაც გააჩნია მოვლენას. მოვიტანოთ შესაბამისი მონაცემები და საკითხი განვიხილოთ შობაღობის მაგალითზე საქართველოში 1998-2007 და 2015-2018 წლებში. ათი წელი მოგვყავს სიტუაციის გასამარტივებლად. აღნიშნული ხერხი გამოიყენება, როგორც წესი, ისტორიული, გაცილებით დიდი პერიოდის ანალიზისათვის.<sup>2</sup>

განვიხილოთ 1998-2007 და 2015-2018 წლის პერიოდები.

#### ცხრილი 54

##### შობაღობის მაჩვენებლების დინამიკა

წლები	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007
შობაღობა ( $n$ )	11,5	10,9	11,0	10,9	10,7	10,7	11,5	10,7	10,9	11,2
დაბადებულები (ათასი)	51,5	48,7	48,8	47,6	46,6	46,2	49,6	46,5	47,8	49,3
მოსახლეობა 01.01-სთვის (ათასი)	4504,9	4469,8	4435,2	4401,4	4370,2	4342,6	4315,2	4321,5	4401,3	4394,7

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

აღნიშნულ პერიოდში, როგორც ვხედავთ, შობაღობის ზოგადი კოეფიციენტი ადასტურებს შობაღობის დაბალ დონეს, მაგრამ, ამასთან, ძნელია კანონზომიერების დადგენა, რამდენადაც მაჩვენებელი წლების მიხედვით იცვლება.

<sup>1</sup> მ. ხმალაძე, დემოგრაფია, თბ., 2009, გვ. 203-213.

<sup>2</sup> იქვე.



გამოვთვალოთ შობადობის ზოგადი კოეფიციენტი 1998-2002 და 2003-2007 წლებსათვის.  
ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებელი რამდენიმე წლისთვის გამოითვლება ფორმულით:

$$\bar{n} = \frac{\sum N}{T \times \bar{S}} \times 1000$$

სადაც  $\bar{n}$  არის შობადობის საშუალოწლიური ზოგადი კოეფიციენტი;

$\sum N$  - მოცემული წლების მანძილზე დაბადებულთა რიცხვის ჯამი;

$\bar{S}$  - ამ პერიოდის საშუალო მოსახლეობა;

$T$  - წლების რიცხვი, ჩვენს მაგალითში ხუთი წელი.

დაბადებულთა რიცხვმა 1998-2003 წლებში შეადგინა 243,2, ხოლო 2003-2007 წლებში – 239,4 ათასი. მაჩვენებლების გამოსათვლელად საჭიროა, ასევე, საშუალო მოსახლეობის განსაზღვრა. შესაბამისი გამოთვლებით მივიღებთ, რომ საშუალო მოსახლეობა 1998-2002 წლებში ტოლია 4436,0, ხოლო 2003-2007 წლებში - 4351,7 ათასის.

ამ წინასწარი, მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, შეგვიძლია გამოვთვალოთ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები:

$$\bar{n}_{1998-2002} = \frac{243,2}{5 \times 4436,0} \times 1000 = \frac{243,2}{22180} \times 1000 = 11,0 \text{ ‰}$$

$$\bar{n}_{2003-2007} = \frac{239,4}{5 \times 4351,7} \times 1000 = \frac{239,4}{21759} \times 1000 = 11,0 \text{ ‰}$$

როგორც აღმოჩნდა, განხილულ პერიოდში შობადობის დონე არ ამჟღავნებს არც ზრდის და არც შემცირების ტენდენციას. ის ყოველწლიურად, საშუალოდ შეადგენს 11.0‰-ს.

რაც შეეხება 2015-2018 წლების პერიოდს, ზემოაღნიშნულ მაჩვენებელთა დინამიკა წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

ცხრილი 55

#### შობადობის მაჩვენებლების დინამიკა (2015-2018)

წლები	2015	2016	2017	2018
შობადობა ( $n$ )	15,9	15,2	14,3	13,7
დაბადებულები (ათასი)	59,2	56,5	53,3	51,1
მოსახლეობა 01.01-სათვის (ათასი)	3721.9	3728.6	3726.4	3729.6

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შევიტანოთ მონაცემები ფორმულაში:

$$\bar{n} = \frac{\sum N}{T \times S} \times 1000 = \frac{220,1}{4 \times 3601,6} = \frac{220,1}{14406,4} = 0,015 \times 1000 = 15 \%$$

როგორც ვხედავთ, განხილულ პერიოდში, შობადობის დონე საშუალოდ, ყოველწლიურად შეადგენს 15.0%.

იმ შემთხვევაში, როდესაც ყოველწლიურად გაგვჩნია შობადობის ზოგადი კოეფიციენტები (ასევე მოკვდაობის და სხვა მოვლენების ზოგადი კოეფიციენტები), მაშინ, საშუალოწლიური კოეფიციენტი შეიძლება გამოვთვალოთ, როგორც საშუალო არითმეტიკული ყოველწლიური კოეფიციენტებიდან. ამისათვის კოეფიციენტების ჯამი გაიყოფა მათ რიცხვზე, ანუ წლების რიცხვზე. ჩვენს მაგალითში:

$$\bar{n}_{1998-2002} = \frac{11,5 + 10,9 + 11,0 + 10,9 + 10,7}{5} = \frac{55,0}{5} = 11,0 \%$$

$$\bar{n}_{2003-2007} = \frac{10,7 + 11,5 + 10,7 + 10,9 + 11,2}{5} = \frac{55,0}{5} = 11,0 \%$$

$$\bar{n}_{2015-2018} = \frac{15,9 + 15,2 + 14,3 + 13,7}{4} = 14,8 \%$$

თითქმის მივიღეთ იგივე შედეგი, როგორც წინა ფორმულის გამოყენებით, მაგრამ, მასთან შედარებით, გაცილებით მარტივი გამოთვლებით.

## 5.7. შობადობის კერძო კოეფიციენტები

მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ზოგადი კოეფიციენტები ზოგადად ახასიათებენ მოვლენას. შესაბამისად, შობადობის ზოგადი კოეფიციენტები შობადობის დონის მიახლოებით საზომს წარმოადგენს, რადგან დაბადებულთა რიცხვი შეფარდებულია მოსახლეობის რიცხოვნობასთან. ეს უკანასკნელი მოიცავს მოსახლეობას, რომელსაც ფიზიოლოგიურად, სიცმაწვილის თუ ხანდაზმულობის გამო, ბავშვთაშობის უნარი არ გააჩნია და მოსახლეობას, რომელსაც ეს უნარი გააჩნია. ამიტომ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტების სიდიდე დამოკიდებულია ასაკობრივ სტრუქტურაზე, ე.ი. მოსახლეობაში ასალგაზრდა, რეპროდუქციული ასაკის ქალების რიცხოვნობასა და ხვედრ წილზე. რაც მეტნი არიან ისინი, მით მეტია შობადობის ზოგადი კოეფიციენტი. რეპროდუქცია ლათინური სიტყვაა და, ბიოლოგიური თვალსაზრისით, ნიშნავს გამრავლების უნარს. დემოგრაფიაში, ტრადიციულად, რეპროდუქციულ ასაკს მიეკუთვნება 15-49 წელი. რა თქმა უნდა, დაბადების შემთხვევებს ადგილი აქვს ასალგაზრდა, 15 წლამდე და 49 წელზე უფროსი ასაკის ქალებშიც. 15 წლამდე დაბადებულები ყველა ქვეყნის სტატისტიკაში აღირიცხებიან 15-19 წლის, ხოლო 49 წლის შემდეგ დაბადებულები, 45-49 წლის დედების მიერ დაბადებული ბავშვების რიცხვში.<sup>1</sup>

შესაბამისად, შობადობის დონეს უფრო ზუსტად დავახასიათებთ, თუ დაბადებულთა რიცხვს შევუფარდებთ იმ მოსახლეობას, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს აღნიშნულ პროცესში.

შობადობის ზოგადი კოეფიციენტის სიდიდე ყალბდება ორი კომპონენტის: 1. შობადობის, როგორც ბავშვთაშობის ინტენსივობის (სიხშირის) და 2. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენის შედეგად. რაც უფრო ადეკვატურად ასახავს კოეფიციენტი ბავშვთაშობის ინტენსივობას და ნაკლებად განიცდის ასაკობრივი

<sup>1</sup> მ. ხმალაძე, დემოგრაფია. გვ. 203-213.

სტრუქტურის გავლენას, მით უფრო ზუსტად ასახავს ის შობადობის ჭეშმარიტ ღონეს, ასეთ მაჩვენებლებს წარმოადგენს შობადობის კერძო კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება მოსახლეობის რომელიმე კონკრეტული, კერძო ჯგუფის მიმართ.<sup>1</sup>

შობადობის კერძო კოეფიციენტებიდან უნდა აღინიშნოს შობადობის სპეციალური კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება მოცემულ წელს დაბადებულთა რიცხვის შეფარდებით 15-49 წლის ქალების საშუალო რიცხვთან და გამოისახება პრომილებში. კერძოდ,

$$F = \frac{N}{\bar{W}} \times 1000 \quad 4.10$$

სადაც  $F$  არის შობადობის სპეციალური კოეფიციენტი;

$N$  - დაბადებულთა რიცხვი მოცემულ წელს;

$\bar{W}$  - რეპროდუქციული ასაკის ქალების საშუალო რიცხვი მოცემულ წელს.

შობადობის სპეციალური კოეფიციენტი გვიხასიათებს დაბადებულთა რიცხვს, რომელიც მოლის 15-49 წლის ყოველ 1000 ქალზე მოცემული წლისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ 1970-იან წლებამდე, მოცემულ კოეფიციენტს უწოდებდნენ ნაყოფიერების კოეფიციენტს, ხოლო 15-49 წლის ასაკს, ნაყოფიერების ასაკს. მაგრამ, ნაყოფიერება არის ცოცხალი ორგანიზმის გამრავლების უნარი, რომელიც ცოცხალი ორგანიზმისათვის, მათ შორის ადამიანებისთვის განსაზღვრულია ფიზიოლოგიური შესაძლებლობებით. შობადობა არის ნაყოფიერების რეალიზაცია. ეს აზრი პირველად გამოთქვა რუსმა დემოგრაფმა ვ. ა. ბორისოვმა 1973 წელს, ამის შემდეგ, დემოგრაფიულ ტერმინოლოგიაში, ტერმინ „ნაყოფიერების კოეფიციენტის“ ნაცვლად, ვ. ბორისოვის ინიციატივით, შემოვიდა ტერმინი - შობადობის სპეციალური კოეფიციენტი.<sup>2</sup>

შობადობის სპეციალური კოეფიციენტიც განიცდის ასაკობრივი სტრუქტურის გავლენას, ის მით უფრო მაღალია, რამდენადაც მეტია რეპროდუქციულ ასაკში ახალგაზრდა ქალების ხვედრი წილი. შობადობის გაცილებით ზუსტი საზომია შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები, რომლებიც გამოითვლება ცალკეული ასაკის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რიცხვის შეფარდებით შესაბამისი ასაკის ქალების საშუალო რიცხვთან. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება ფორმულით:

$$f_x = \frac{N_x}{\bar{W}_x} \times 1000$$

სადაც  $f_x$  არის შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი;

$N_x$  - ცალკეული ასაკის ქალების მიერ დაბადებული ბავშვების რიცხვი;

$\bar{W}_x$  - შესაბამისი ასაკის ქალების საშუალო რიცხვი.

შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები ახასიათებენ დაბადებულთა რიცხვს, შესაბამისი ასაკის 1000 ქალზე გაანგარიშებით, მოცემულ წელს. კოეფიციენტები გამოითვლება 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში, 15-49 წლის ინტერვალში.

<sup>1</sup> მ. ხმალაძე, დემოგრაფია. გვ. 203-213.

<sup>2</sup> იქვე.

## შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტების დინამიკა მოცემულია შემდეგ ცხრილში:

## შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები

წლები	15-19	20-24	25-29	30-34	35-39	40-44	45-55
2010	52.2	132.6	111	67	29.1	6.8	0.3
2011	47.1	125	106.9	63.5	28	6.3	0.3
2012	43	120.3	105.5	65.6	28.5	6.9	0.4
2013	42.2	119.1	106.2	67.3	30.5	7.2	0.4
2014	51.5	144.7	131.3	86.5	38.9	9.2	0.7
2015	48.4	144.1	128	87.7	41.5	10.6	0.7
2016	43.4	134.9	127.5	86.4	43.7	11.2	0.8
2017	36.2	126.1	126.9	84.5	44	10.5	0.5

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შობადობის კოეფიციენტი 2017 წელს 15-19 ასაკის ქალებისათვის შეადგენს 36,2%-ს, ეს ნიშნავს, რომ ამ წელს, 15-19 წლის ყოველ 1000 ქალზე საშუალოდ მოდის 36,2 დაბადებული, 25-29 წლის ასაკის ქალებზე კი 126,9.

როგორც ცხრილიდან ჩანს, შობადობის სპეციალური კოეფიციენტი განხილულ პერიოდში 15-19 წლის ასაკის ქალებში შემცირდა 1,4-ჯერ, 20-24 წლის ასაკში მცირედი შემცირება დაფიქსირდა, 25-29 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის სპეციალური კოეფიციენტი 1,1-ჯერ გაიზარდა. 2010 წელთან შედარებით 35-39 და 40-44 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვისაც გაიზარდა შობადობის კოეფიციენტის მნიშვნელობა, რაც ზოგად კოეფიციენტთან შედარებით შობადობის დონის უფრო ზუსტი საზომია. სასურველი რაოდენობის შეილება დაბადება, ცხადია, ხდება ახალგაზრდა ასაკებში. მოცემული ტენდენციის სიმპტომია, ასევე, შობადობის ზრდა ყველაზე ახალგაზრდა, 15-19 წლის და შემდეგ ასაკობრივ ჯგუფში.

შობადობის ზოგადი, სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტების ანალოგიურად, ყოველწლიურად გამოითვლება ქორწინების სპეციალური და ასაკობრივი კოეფიციენტები. აღნიშნული მაჩვენებლები გამოითვლება ცალკე მამაკაცების და ცალკე ქალების მიმართ. ორივე სქესისათვის ერთად კოეფიციენტების გამოთვლა პრაქტიკაში მიღებული არაა, რამდენადაც მათი დონე და დინამიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ქორწინების და განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები გამოითვლება ქალების და მამაკაცებისათვის ერთად, მთელი მოსახლეობის მიმართ.<sup>1</sup>

ქორწინების და განქორწინების სპეციალური კოეფიციენტები გამოითვლება 16 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის მიმართ.

ქორწინების და განქორწინების ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება შემდეგი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორცაა: 16-19, 20-24, 25-29 და ა. შ. 60 წლის და უფროსი ასაკის მიხედვით.

შობადობის დონის ყველაზე ზუსტი მაჩვენებელია შობადობის ჯამური კოეფიციენტი, რომელიც ახასიათებს, რამდენი შვილი ეყოლება ყოველ ქალს საშუალოდ, რეპროდუქციული ასაკის დასასრულისათვის, ასაკობრივი შობადობის მოცემული

<sup>1</sup> მ. ხმაღაძე, დემოგრაფია. გვ. 203-213.

წლის დონის შენარჩუნების პირობებში. მაჩვენებელი გამოითვლება როგორც ზოგადად ერთ ქალზე, ისე ერთ გათხოვილ ქალზე შემდეგი ფორმულით:

$$K_{\text{ჯამ.}} = \sum_{15}^{49} f_x : 1000 \times 5$$

ცხრილი 57

**შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დინამიკა**

2010	2
2011	1.9
2012	1.9
2013	1.9
2014	2.3
2015	2.3
2016	2.2
2017	2.1
2018	2.1

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ჩანს, შობადობის ჯამური კოეფიციენტი 2018 წელს შეადგენდა 2,1 (ე. ი. 100 ქალზე 210), რომელიც 2010 წლისათვის 2-ის დონეზე იყო, ხოლო 2015 წელს 2,3-ს შეადგენდა.

**5.8. მოკვდაობის კერძო კოეფიციენტები**

მოკვდაობის კერძო კოეფიციენტებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი. ის ახასიათებს მოკვდაობას ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში და გამოითვლება ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილი ბავშვების რიცხვნობის შეფარდებით იმავე წელს დაბადებული ბავშვების რიცხვთან. კოეფიციენტი გამოითვლება პრომილებში და გვიჩვენებს, მოცემულ წელს რამდენი ერთ წლამდე გარდაცვლილი მოდის ყოველ 1000 დაბადებულზე, ან რაც იგივეა, ყოველი 1000 დაბადებულიდან რამდენი ვერ აღწევს ერთი წლის ასაკს. კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

$$m_0 = \frac{M_0}{N} \times 1000 \tag{4.13}$$

სადაც  $m_0$  არის ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი;

$M_0$  - მოცემულ წელს ერთ წლამდე გარდაცვლილ ბავშვთა რიცხვი;

$N$  - ამავე წელს დაბადებულთა რიცხვი.

## ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი (1 000 ცოცხლად დაბადებულზე)

წლები	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო
2010	16.9	18.7	14.9
2011	13.8	16	11.5
2012	14.6	16.3	12.7
2013	13.2	15	11.2
2014	9.5	10.1	8.9
2015	8.6	8.9	8.2
2016	9	10.1	7.8
2017	9.6	10.1	9.1
2018	8.1	9.3	6.9

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც ვხედავთ, ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის მაჩვენებლები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. თუ 2010 წელს 1000 ცოცხლად დაბადებულზე ფიქსირდებოდა 16,9 ბავშვის გარდაცვალება, 2018 წელს იგივე მაჩვენებელი 8,1-მდე შემცირდა. უფრო მეტად შემცირდა გოგონების გარდაცვალების კოეფიციენტი. მარტო 2018 წელს ყოველ 1000 დაბადებული ვაჟიდან გარდაიცვალა 9,3, ხოლო 1000 გოგონადან 6,9 გოგონა.

აღნიშნული ტენდენცია, ცხადია, დასტურდება აბსოლუტური მონაცემების საფუძველზე.

## ერთ წლამდე გარდაცვლილთა რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით

წლები	ორივე სქესი	ბიჭი	გოგო
2010	932	538	394
2011	714	430	284
2012	728	426	302
2013	654	386	268
2014	578	316	262
2015	507	275	232
2016	507	292	215
2017	512	278	234
2018	416	246	170

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოში, 2018 წელს ერთ წლამდე ასაკში გარდაიცვალა 416 ადამიანი, მათ შორის 246 ბიჭი და 170 გოგო.

ჩვენ მიერ მოტანილი ფორმულა ჩვილთა მოკვდაობის ღონის გაზომვის მიახლოებითი, უხეში ხერხია. საქმე ისაა, რომ როგორც დემოგრაფიული სტატისტიკით დადგინდა, მიმდინარე წელს, ერთ წლამდე ასაკში გარდაცვლილებიდან 2/3 დაბადე-

ბულია იმავე წელს, ხოლო 1/3 - წინა წელს. ამ ფაქტის გათვალისწინებით, გერმანელმა დემოგრაფმა და მათემატიკოსმა იოჰანეს რატსმა (1854-1933) შემოიტანა ჩვილთა მოკვლობის გასაზომი ფორმულა, რომელიც დემოგრაფიაში ცნობილია რატსის ფორმულის სახელწოდებით<sup>1</sup>:

$$m_0 = \frac{M_0}{\frac{2}{3}N + \frac{1}{3}N_0} \times 1000 \quad 4.14$$

სადაც  $\frac{2}{3}N$  არის მიმდინარე წელს დაბადებულითა 2/3;

$\frac{1}{3}N_0$  - წინა წელს დაბადებულითა 1/3.

მოკვლობის ღონე განიხილება ცალკეული, ახლოს მდგომი ასაკების, როგორც წესი, ხუთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, როგორცაა: 0-4 წლის, 5-9, 10-14 და ა.შ. 85 წლის და უფროსი ან 100 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობისთვის ერთად, რომლებიც გვამლევენ მოკვლობის ასაკობრივ კოეფიციენტებს.

მოკვლობის ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება ფორმულით:

$$m_x = \frac{M_x}{S_x} \times 1000 \quad 4.18$$

სადაც  $m_x$  არის მოკვლობის ასაკობრივი კოეფიციენტი;

$M_x$  - გარდაცვლილთა რიცხვი ცალკეულ ასაკში მოცემულ წელს;

$\bar{S}_x$  - მოსახლეობის საშუალო რიცხვი ცალკეულ ასაკში მოცემულ წელს.

მოკვლობის ასაკობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს ცალკეულ ასაკში (ასაკობრივ ჯგუფში) გარდაცვლილთა რიცხვს ამ ასაკის ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით და გვიანახსიათებს მოკვლობის ღონეს ცალკეული ასაკის (ასაკობრივი ჯგუფის) მიხედვით, მოცემული წლისათვის.

მოკვლობის ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება მოკვლობის მიზეზების მიხედვითაც, ყოველ 100 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

მოკვლობის მაჩვენებლები გამოითვლება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებშიც. მაგალითად, მოკვლობის ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება განათლების სხვადასხვა დონის, დასაქმების (ფიზიკური და გონებრივი შრომით, სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო შრომა), ქორწინებითი მდგომარეობის, ეროვნებების და მოსახლეობის სხვა ჯგუფებში.

<sup>1</sup> მ. ხმალაძე, დემოგრაფია, გვ. 210.

## 5.9. ტესტები

1. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა შეიძლება დასასიათებულ იქნეს:

- ა) მხოლოდ აბსოლუტური და შეფარდებითი მაჩვენებლებით;
- ბ) მხოლოდ შეფარდებითი მაჩვენებლებით;
- გ) აბსოლუტური, შეფარდებითი და საშუალო მაჩვენებლებით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

2. შობადობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

ა)  $n = \frac{N}{S} \times 1000$ ;   ბ)  $n = \frac{N}{S} \times 1000$ ;   გ)  $n = \frac{\bar{N}}{S} \times 1000$ ;   დ)  $n = \frac{N}{S} \times 100$ .

3. მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი გამოითვლება ფორმულით:

ა)  $m = \frac{\bar{M}}{S} \times 1000$ ;   ბ)  $m = \frac{M}{S} \times 1000$ ;

გ)  $m = \frac{M}{S} \times 100$ ;   დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

4. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება ფორმულით:

ა)  $m_x = \frac{M_x}{S} \times 1000$ ;   ბ)  $m_x = \frac{M}{S_x} \times 1000$ ;   გ)  $m_x = \frac{S}{M_x} \times 1000$ ;   დ)  $m_x = \frac{M_x}{S_x} \times 1000$ .

5. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება ფორმულით:

ა)  $f_x = \frac{\bar{N}_x}{W_x} \times 1000$ ;   ბ)  $f_x = \frac{N_x}{W_x} \times 100$ ;   გ)  $f_x = \frac{N_x}{W_x} \times 1000$ ;   დ)  $f_x = \frac{N_x}{W_x} \times 1000$ .

6. შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტები გამოითვლება:

- ა) 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში, 15-49 წლის ინტერვალში;
- ბ) 4-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში, 15-49 წლის ინტერვალში;
- გ) 5-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში, 16-49 წლის ინტერვალში;
- დ) 4-წლიან ასაკობრივ ჯგუფებში, 16-49 წლის ინტერვალში.



7. შობადობის ჯამური კოეფიციენტი გამოთვლება ფორმულით:

$$ა) K_{\text{ჯამ.}} = \sum_{15}^{49} f_x : 100 \times 5; \quad ბ) K_{\text{ჯამ.}} = \sum_{15}^{48} f_x : 1000 \times 5;$$

$$გ) K_{\text{ჯამ.}} = \sum_{16}^{49} f_x : 1000 \times 5; \quad დ) K_{\text{ჯამ.}} = \sum_{15}^{49} f_x : 1000 \times 5.$$

8. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის კოეფიციენტი გამოთვლება ფორმულით:

$$ა) m_0 = \frac{M_0}{N} \times 1000; \quad ბ) m_0 = \frac{M}{N} \times 1000; \quad გ) m_0 = \frac{M_0}{N} \times 1000; \quad დ) m_0 = \frac{\bar{M}_0}{N} \times 1000.$$

9. ჩვილ ბავშვთა მოკვდაობის რატის ფორმულა არის:

$$ა) m_0 = \frac{M}{\frac{2}{3}N + \frac{1}{3}N_0} \times 1000; \quad ბ) m_0 = \frac{M_0}{\frac{2}{3}N + \frac{1}{3}N_0} \times 1000;$$

$$გ) m_0 = \frac{M_0}{\frac{2}{3}N + \frac{1}{3}N} \times 1000; \quad დ) m_0 = \frac{M_0}{\frac{2}{3}N_0 + \frac{1}{3}N_0} \times 1000.$$

10. მოკვდაობის ასაკობრივი კოეფიციენტი გვიჩვენებს:

- ა) ცალკეულ ასაკში (ასაკობრივ ჯგუფში) გარდაცვლილთა რიცხვს ამ ასაკის ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით;
- ბ) ყველა ასაკში გარდაცვლილთა რიცხვს ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით;
- გ) ასაკობრივ ჯგუფში გარდაცვლილთა რიცხვს ყოველ 1000 ადამიანზე გაანგარიშებით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

11. მოკვდაობის ზოგადი და ასაკობრივი კოეფიციენტები შეიძლება გამოთვლილ იქნეს:

- ა) მოკვდაობის მიზეზების მიხედვით ყოველ 100 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით;
- ბ) მოკვდაობის მიზეზების მიხედვით ყოველ 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებით;
- გ) მოკვდაობის მიზეზების მიხედვით ყოველ 10 000 მცხოვრებზე გაანგარიშებით;
- დ) მოკვდაობის მიზეზების მიხედვით ყოველ 100 მცხოვრებზე გაანგარიშებით.

12. 2019 წელს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით, დაბადებულია შორის:

- ა) 52% ბიჭი და 48% გოგა;      ბ) 48% ბიჭი და 52% გოგა;
- გ) 53% ბიჭი და 47% გოგა;      დ) 47% ბიჭი და 53% გოგა.

13. 2019 წელს ყველაზე მეტი ბავშვი დაიბადა:

- ა) იმერეთში;      ბ) ქვემო ქართლში;      გ) აჭარაში;      დ) კახეთში.

14. 2019 წელს აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე ცოტა ცოცხლად დაბადებულია რიცხოვნობა დაფიქსირდა:

- ა) შუახევის მუნიციპალიტეტში;      ბ) ხულოს მუნიციპალიტეტში;

- გ) ქედის მუნიციპალიტეტში;                    დ) ქობულეთის მუნიციპალიტეტში.
15. 2019 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი ცოცხლად დაბადებულია რიცხოვნობა დაფიქსირდა:  
 ა) წყალტუბოს მუნიციპალიტეტში;            ბ) ჭიათურის მუნიციპალიტეტში;  
 გ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტში;        დ) სამტრედიის მუნიციპალიტეტში.
16. 2019 წელს კახეთის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი ცოცხლად დაბადებულია რიცხოვნობა დაფიქსირდა:  
 ა) თელავის მუნიციპალიტეტში;            ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში;  
 გ) ლავიანის მუნიციპალიტეტში;        დ) გურჯაანის მუნიციპალიტეტში.
17. 2019 წელს მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე ცოტა ცოცხლად დაბადებულია რიცხოვნობა დაფიქსირდა:  
 ა) ყაზბეგის მუნიციპალიტეტში;            ბ) თიანეთის მუნიციპალიტეტში;  
 გ) ლუშეთის მუნიციპალიტეტში;        დ) მცხეთის მუნიციპალიტეტში.
18. 2019 წელს რეგიონებს შორის ყველაზე მეტი გარდაიცვალა:  
 ა) იმერეთში;                                    ბ) კახეთში;  
 გ) სამეგრელო-ზემო სვანეთში;        დ) ქვემო ქართლში.
19. 2019 წელს აჭარის მუნიციპალიტეტებს შორის გარდაცვალების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა:  
 ა) ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში;        ბ) ხულოს მუნიციპალიტეტში;  
 გ) ქობულეთის მუნიციპალიტეტში;        დ) ქედის მუნიციპალიტეტში.
20. 2019 წელს იმერეთის მუნიციპალიტეტებს შორის გარდაცვალების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა:  
 ა) ჭიათურის მუნიციპალიტეტი;            ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;  
 გ) ზესტაფონის მუნიციპალიტეტი;        დ) სამტრედიის მუნიციპალიტეტი.
21. 2019 წელს კახეთის მუნიციპალიტეტებს შორის ყველაზე მეტი გარდაიცვალა:  
 ა) გურჯაანის მუნიციპალიტეტში;        ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტში;  
 გ) თელავის მუნიციპალიტეტში;        დ) სიღნაღის მუნიციპალიტეტში.
22. 2019 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტებს შორის გარდაცვლილთა აბსოლუტური რაოდენობით ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა:  
 ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტში;        ბ) სენაკის მუნიციპალიტეტში;  
 გ) მესტიის მუნიციპალიტეტში;        დ) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში.
23. ქორწინების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა:  
 ა) აჭარა;    ბ) იმერეთი;    გ) ქვემო ქართლი;    დ) სამეგრელო-ზემო სვანეთი.

24. უკანასკნელ წლებში ქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აჭარაში დაფიქსირდა:  
 ა) 2013 წელს; ბ) 2015 წელს; გ) 2019 წელს; დ) 2011 წელს.
25. უკანასკნელ წლებში ქორწინების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი იმერეთში დაფიქსირდა:  
 ა) ტყიბულის მუნიციპალიტეტში; ბ) ხონის მუნიციპალიტეტში;  
 გ) სარაგაულის მუნიციპალიტეტში; დ) ვანის მუნიციპალიტეტში.
26. ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, უკანასკნელ წლებში ქორწინების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში დაფიქსირდა:  
 ა) ამბროლაურის მუნიციპალიტეტში; ბ) ონის მუნიციპალიტეტში;  
 გ) ცაგერის მუნიციპალიტეტში; დ) ლენტეხის მუნიციპალიტეტში.
27. უკანასკნელ წლებში ქორწინების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა:  
 ა) ასპინძის მუნიციპალიტეტში; ბ) ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში;  
 გ) აღიგენის მუნიციპალიტეტში; დ) ბორჯომის მუნიციპალიტეტში.
28. ქორწინების საშუალო ხანგრძლივობა საქართველოში შეადგენს:  
 ა) 10.3; ბ) 9,2; გ) 15; დ) 18.
29. განქორწინების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა:  
 ა) თბილისში; ბ) იმერეთში;  
 გ) ქვემო ქართლში; დ) სამეგრელო-ზემო სვანეთში.
30. ბუნებრივი მატების ზოგადი კოეფიციენტი შეიძლება მივიღოთ:  
 ა) შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების სხვაობით;  
 ბ) შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების შეკრებით;  
 გ) შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების გადამრავლებით;  
 დ) არცერთი პასუხი არაა სწორი.

## თემა 6. რელიგიის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით

### საღუქციო საკითხები

- 6.1. მსოფლიოში გავრცელებული რელიგიები
- 6.2. რელიგიის სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი
- 6.3. რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში
- 6.4. აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით
  - 6.4.1. საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობა
  - 6.4.2. საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობა
  - 6.4.3. საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობა
- 6.5. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და მისი საქმიანობის მიმართულებები
- 6.6. ტესტები

### 6.1. მსოფლიოში გავრცელებული რელიგიები

არსებული წყაროების მიხედვით, დღევანდელ მსოფლიოში ორასამდე რელიგიაა ცნობილი, რომლებსაც ერთმანეთთან ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა ზოგიერთ მათგანს შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებებიც.

რელიგიები ერთმანეთისგან განსხვავდება არა მხოლოდ სიძველით, არამედ შინაარსით და ფილოსოფიური შეხედულებებით. ამასთან, მსოფლიოში ყველაზე მეტად გავრცელებულ რელიგიებთან ერთად (ქრისტიანობა, ისლამი, ბუდიზმი, ინდუიზმი და სხვა), არსებობენ სხვა რელიგიური წარმოდგენებიც, როგორცაა მაგალითად, კერპთაყვანისცემა<sup>1</sup>.

მიმდევართა რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ რელიგიებს მიეკუთვნება ქრისტიანობა, ისლამი და ინდუიზმი.

**ქრისტეს მოძღვრებას** სამი ძირითადი მიმართულება აქვს: კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და მართლმადიდებლობა. საერთო ნიშანი, რომელიც აერთიანებს ქრისტიანობის ზემოთ აღნიშნულ მიმართულებებს, არის რწმენა იესო ქრისტესადმი.

არსებული მონაცემების მიხედვით, ქრისტიანობის მიმდევართა საერთო რიცხვი მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით 35%-ზე მეტს შეადგენს.

კათოლიციზმს ყველაზე მრავალრიცხოვანი მრევლი ჰყავს, რაც მთელი ქრისტიანობის დაახლოებით 52%-ს შეადგენს. პროტესტანტიზმის მიმდევართა წილი ქრისტიანობის დაახლოებით 27% შეადგენს, ხოლო მართლმადიდებლებზე მოდის ქრისტიანობის დაახლოებით 13% <sup>2</sup>.

<sup>1</sup> <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90>.

<sup>2</sup> <http://intermedia.ge/სტატია/61315-მსოფლიოს-რელიგიები-ყველაზე-გავრცელებული-და-მრავალრიცხოვანი-რელიგიები>.

სიტყვა „მართლმადიდებლობა“ წარმოშობილია ბერძნული სიტყვიდან „ორთოქსი“ და მის ქართულ თაგრმანს წარმოადგენს. მართლმადიდებლობა იესო ქრისტესა და მოციქულების მოძღვრებას წარმოადგენს, ჩამოყალიბებული ძველი აღთქმის რწმენის სიმბოლოებში და გადმოცემული ეკლესიის მამების მიერ. მართლმადიდებელთა მოძღვრება და პრაქტიკა, საღვთო წერილისა და საღვთო გადმოცემის გარდა, ეფუძნება, ასევე, წმინდა მოწამეების, ეკლესიის მამებისა და საეკლესიო კრებების ღვთისმეტყველებას.

**ისლამი** მონოთეისტური აბრაამისეული რელიგიაა. მის მიმდევარს მუსლიმიტეწოდება (ასევე მაჰმადიანი, მუსლიმანი ან მუსულმანი). უკანასკნელი მონაცემების მიხედვით, მათი რიცხვი 1,6 მილიარდს აღემატება და მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 23% შეადგენს.

მსოფლიოში გავრცელებულ რელიგიებს შორის გვხვდება, ასევე, **ინდუიზმი**, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს რელიგიას, რომელსაც დღესდღეობით ინდოეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი (დაახლოებით 84%) აღიარებს - ისლამის, ქრისტიანობის, სიქიზმის, ჯაინიზმისა და ბუდიზმის გვერდით<sup>1</sup>. **ინდუიზმის მიმდევართა** რიცხვი მსოფლიო მოსახლეობის თითქმის 15% -ს შეადგენს.

## 6.2. რელიგიის სტატისტიკის შესწავლის საგანი, ობიექტი და მეთოდი

სტატისტიკის, როგორც მეცნიერების ერთ-ერთი დარგის შესწავლისას ხშირად ჩნდება კითხვები: რა არის სტატისტიკა? რატომ უნდა ვისწავლოთ ის? რაში შეიძლება დაგვეხმაროს მისი ცოდნა?

ცხოვრებაში თითქმის ყოველდღიურად ვხვდებით სტატისტიკის მაგალითებს. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

- 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხვონობამ 3 716.9 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 0.2 პროცენტით ნაკლებია;
- მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის 86,8% ქართველია, ამასთან, ქვეყანაში მცხოვრები მართლმადიდებლების საერთო რაოდენობა 3 მილიონ კაცს აღემატება და ა. შ.

ზემოთ მოტანილი ფრაზები მიიღება სხვადასხვა სახის მონაცემთა შეგროვების საფუძველზე, რომლებიც, თავის მხრივ, გამოკითხვის, დაკვირვების, დათვლის ან გაზომვის შედეგად მიღებული ინფორმაციები საგან შედგება, რომელზე დაყრდნობითაც შესაძლებელია სხვადასხვა სახის დასკვნების გაკეთება და გადაწყვეტილებების მიღება.

აქედან გამომდინარე, სტატისტიკა წარმოადგენს მეცნიერებას მონაცემების შეგროვების, დამუშავების, ანალიზისა და მათზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების შესახებ.

რელიგიის სტატისტიკას, ისევე როგორც ნებისმიერ დარგობრივ სტატისტიკურ დისციპლინას, გააჩნია შესწავლის ობიექტი, საგანი და მეთოდები. მისი შესწავლის ობიექტია საზოგადოებაში რელიგიური კუთხით არსებული მოვლენები თვისებრივ მხარესთან მჭიდრო კავშირში, გამოსახული კონკრეტულ დროსა და სივრცეში. მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელთა და მუსულმანთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით, ამა თუ იმ წელს, სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის რაოდენობა და ა. შ. რაც შეეხება თვისებრივ მხარეს, მის გარეშე მოვლენების რაოდენობრივი მხარის დადგენა შეუძლებელია.

რელიგიის სტატისტიკა თავის ობიექტს შეისწავლის სხვადასხვა მეთოდით. მისი, ისევე როგორც სხვა მეცნიერებების, ზოგადი მეთოდია დიალექტიკური მეთოდი, რაც იმას ნიშნავს, რომ სტატისტიკა მოვლენებსა და პროცესებს განიხილავს არა უძრაობაში და იზოლირებულად, არამედ მუდმივ მოძრაობასა და სხვა მოვლენებთან და პროცესებთან ურთიერთკავშირში.

<sup>1</sup> <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%A3%E1%83%98%E1%83%96%E1%83%9B%E1%83%98>.

იგი, აგრეთვე, ფართოდ იყენებს ინდექციის (კონკრეტულიდან ზოგადისკენ) და დედუქციის (ზოგადიდან კონკრეტულისკენ) მეთოდებს<sup>1</sup>.

რელიგიის სტატისტიკა მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად იყენებს საკუთარ, სპეციფიკურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა ქმნის სტატისტიკურ მეთოდოლოგიას. აღნიშნული მეთოდები განსხვავდება სტატისტიკური გამოკვლევის ეტაპების მიხედვით. ესენია: მონაცემთა შეგროვება, დამუშავება და ანალიზი. პირველ ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკური გამოკვლევის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც სტატისტიკა სწავლობს იმ კანონზომიერებს, რაც ვლინდება მრავალრიცხოვანი მასობრივი მოვლენების გამოკვლევით. მეორე ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკური დაჯგუფების მეთოდი, რაც ითვალისწინებს ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით თვისობრივად ერთგვაროვანი მოვლენების დაჯგუფებას, ხოლო მესამე ეტაპზე გამოიყენება სტატისტიკური ანალიზის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია მოვლენების რაოდენობრივი მხარის, სტრუქტურის, დინამიკის დახასიათება და მათი ურთიერთკავშირის შესწავლა<sup>2</sup>.

### 6.3. რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში

საქართველოში რელიგიის სტატისტიკის წარმოება მეტწილად ეფუძნება მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს, რომლის საფუძველზეც გროვდება მონაცემები მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ.

მოსახლეობის აღწერების ჩატარებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ისტორიული წყაროების მიხედვით, 1254-1258 წლებში მონღოლმა ნოინმა არღუნმა აღწერა საქართველოს მოსახლეობა და მისი ქონება. 1689 წლიდან, ერეკლე I-ის მეფობის ხანაში, საქართველოს საღრმობის სარდლები შვიდ წელიწადში ერთხელ ატარებდნენ თავიანთ საღრმობებში ხალხის აღწერას. ჩვენს დრომდეა მოღწეული XVII-XVIII სს. დავთრები, რომლებშიც შეჰქონდათ აღწერის შედეგად მოპოვებული ცნობები<sup>3</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის აღწერათა წარმოშობა და განვითარება განპირობებული იყო სახელმწიფოს მოთხოვნით, მიეღო დეტალური და რეგულარული მონაცემები მოსახლეობის რაოდენობის და სტრუქტურის შესახებ, დასახლებული პუნქტების მიხედვით, სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში.

მოსახლეობის საყოველთაო აღწერა წარმოადგენს ერთადერთ საინფორმაციო წყაროს საქართველოს მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ.

საქსტატის მეთოდოლოგიის მიხედვით, რომელიც ეფუძნება გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) რეკომენდაციებს, მოსახლეობის აღწერის დროს აღირიცხება მოსახლეობის ორი კატეგორია: მუდმივი მოსახლეობა, დროებით არმყოფთა და სახეზე მყოფი მოსახლეობა - დროებით მცხოვრებთა გამოყოფით.

მუდმივი მოსახლეობის ცნებაში იგულისხმება მოსახლეობა, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ ადგილზე, მიუხედავად იმისა, თუ სად იმყოფებოდა იგი აღწერის ჩატარების მომენტში. ამასთან, მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ითვლება ის დასახლებული პუნქტი, სახლი, ბინა, რომელშიც გამოსაკითხი პირი ატარებს თავისი დროის უმეტეს ნაწილს.

დროებით არმყოფს მიეკუთვნება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემულ დასახლებულ პუნქტში, მაგრამ მოსახლეობის აღწერის მომენტში იმყოფებოდა მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებს გარეთ, თუ მისი არყოფნა არ აღემატება 12 თვეს. დროებით არმყოფი პირი ექვემდებარება აღწერას თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და აღირიცხება მუდმივი მოსახლეობის რიცხვში.

<sup>1</sup> ბ. გაბიაშვილი, სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბილისი, 2011, გვ. 23.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 23-26.

<sup>3</sup> ისტორიული ბუკლეტი „საქართველოს სტატისტიკა 100“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2019.

დროებით არმყოფს არ მიეკუთვნება მოცემულ საცხოვრისში მუდმივად მცხოვრები ის პირი, რომელიც მოსახლეობის გამოთვლის მომენტში არ იმყოფებოდა შინ, ხოლო დროებით მცხოვრებს მიეკუთვნება პირი, რომელიც მოსახლეობის გამოთვლის მომენტში იმყოფებოდა მოცემულ საცხოვრისში, მაშინ როცა მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი არის იმ დასახლების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, სადაც მას მოუსწრო აღწერამ.

მუდმივ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, აგრეთვე მომთაბარენი, მაწანწალა-მოხეტიალენი, რომლებიც აღიწერება იმ დასახლებაში, სადაც მათ აღწერამ მოუსწრო.<sup>1</sup>

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებში, მოსახლეობის აღწერები ტარდება 10 წელიწადში ერთხელ, რომლის შედეგადაც მიიღება დეტალური ინფორმაცია მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური, დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

საქართველოში მოსახლეობის საყოველთაო აღწერა უკანასკნელად, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) მიერ, 2014 წელს ჩატარდა, რომლის კითხვარშიც მოცემული იყო ცალკე ნაწილი აღმსარებლობის შესახებ (იხ. სურათი 1).

სურათი 1

The image shows two screenshots of a survey form titled "11. აღმსარებლობა" (11. Religion). Each screenshot has a grid of radio button options:

- მართლმადიდებლური (Orthodox)
- სომხური-სამოციქულო (Armenian Apostolic)
- მუსლიმური (Muslim)
- არცერთი (None)
- კათოლიკური (Catholic)
- იუდეური (Jewish)
- სხვა (Other)
- უარი პასუხზე (Refuse to answer)

In the first screenshot, the "მართლმადიდებლური" option is selected. In the second screenshot, the "სხვა" option is selected, and an arrow points to a text box containing the handwritten text "მართლმადიდებელი" (Orthodox). Below the text box is the label "(მიუთითეთ აღმსარებლობა)" (Specify religion).

საქსტატის მიერ შემუშავებული ინსტრუქციის თანახმად, აღმსარებლობის ნაწილის შევსებისას აღწერმა უნდა აღნიშნოს კითხვარში ჩამოთვლილი სარწმუნოების ერთ-ერთი ჩამოთვლილთაგანი ან გრაფაში „სხვა“, უნდა ჩაიწეროს ის აღმსარებლობა, რომელსაც მიუთითებს თვით გამოსაკითხი პირი. ამასთან, არასრულწლოვანის აღმსარებლობა, განისაზღვრება მისი მშობლების მიერ.

თუ გამოსაკითხი პასუხობს, რომ იგი არ აღიარებს არცერთ აღმსარებლობას, აღინიშნება „არცერთი“, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ გამოსაკითხს არ სურს აღმსარებლობის მითითება, ან უარი განაცხადა პასუხზე, აღინიშნება „უარი პასუხზე“.

რელიგიის სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით, საქსტატი მჭიდროდ თანამშრომლობს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, 2014 წელს ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, მომზადდა ციფრული რუკები, რომელშიც წარმოდგენილია მოსახლეობის რელიგიური შემადგენლობის რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებლები.

<sup>1</sup> <http://census.ge/ge/methodology/categories>.

## 6.4. აღმსარებლობის სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით

საქართველო მრავალეთნიკურ სახელმწიფოს წარმოადგენს. საუკუნეების განმავლობაში ის მიჩნეული იყო რეგიონის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრად. შესაბამისად, აქ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების და რელიგიური მიმდევრების წარმომადგენლები, რომლებსაც ყოველთვის ჰქონდათ ჩვენს ქვეყანაში არსებობისათვის მისაღები გარემო.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოში ასეულობით ათასი მიგრანტის - განსაკუთრებით რუსებისა და უკრაინელების ჩამოსახლებამ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, რასაც თან ახლდა მოსახლეობაში ქართველების წილის შემცირება. იმავე პერიოდში ინტენსიური ხასიათი ჰქონდა ასევე სომხების, აზერბაიჯანელების, ბერძენების და ებრაელების ჩამოსახლებას, რომლის შედეგადაც, ქართველები პირველად თავისი ისტორიის მანძილზე, XX საუკუნის 40-იან წლებში აღმოჩნდნენ მთელი მოსახლეობის 2/3-ზე ნაკლები. ისტორიული წყაროების მიხედვით, ასევე, ცნობილია, რომ 1926 წელს ქალაქის მოსახლეობაში არაქართველების წილი დაახლოებით 52%-ს შეადგენდა, ხოლო სოფლის მოსახლეობაში 28%-ს არ აღემატებოდა.

საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები მოხდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. თუ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედეგებით, მათი წილი 16%-მდე შემცირდა, რომლის უმთავრეს მიზეზად ემიგრაცია სახელდება.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა შემდეგნაირად გამოიყარება: მოსახლეობის უმრავლესობას (86,8%) წარმოადგენენ ქართველები, 6,5%-ს - აზერბაიჯანელები, 4,5%-ით არიან წარმოდგენილი სომხები, ხოლო დანარჩენი ეროვნებები სტრუქტურაში უმნიშვნელო წილით ხასიათდებიან და მთლიანობაში ქვეყნის მოსახლეობის 2,4%-ს შეადგენენ.

მთლიანი მოსახლეობის 83,4% მართლმადიდებლები არიან. მოსახლეობის 0,5% კათოლიკეა, 2,9% - სომხური სამოციქულო რელიგიის წარმომადგენელი, 10,7% - მუსულმანი. აღსანიშნავია, რომ აღწერის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის 0,5% არ მიეკუთვნება არცერთ აღმსარებლობას.

საინტერესო სურათია რეგიონების მიხედვით. მართლმადიდებელია ქ. თბილისის მოსახლეობის 92,4%, იმერეთის მოსახლეობის - 98,8%, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის - 99,2%, სამეგრელო-ზემო სვანეთის - 98,6%, მცხეთა-მთიანეთის - 96,1%, შიდა ქართლის 95,9%, გურიის - 86,1%, კახეთის - 85,7%, ხოლო დანარჩენ რეგიონებში მართლმადიდებლები შედარებით დაბალი წილით არიან წარმოდგენილი, კერძოდ, აჭარის ა.რ.-ში - 54,5%-ით, ქვემო ქართლში - 51,4%-ით და სამცხე-ჯავახეთში - 45,2%-ით.


საქართველოს მოსახლეობის კათოლიკური აღმსარებლობის 78,2% ცხოვრობს სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, 8,7% - ქ. თბილისში, ხოლო 7,8% - ქვემო ქართლის რეგიონში.

სომხურ-გრიგორიანული აღმსარებლობის 58,8% სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მაცხოვრებელია, 26,9% ცხოვრობს ქ. თბილისში, 12,8% - ქვემო ქართლის რეგიონში.

საქართველოში მცხოვრებ მუსულმანთა უმრავლესობა (79%) ქვეყნის ორ რეგიონზე - ქვემო ქართლსა (45,7%) და აჭარაზე ნაწილდება (33,3%). მუსულმანი მოსახლეობის 9,7% ცხოვრობს კახეთის რეგიონში, 4,1% - ქ. თბილისში, ხოლო დანარჩენი 7,2% - სხვა რეგიონებში.

ქვემოთ მოცემულ რუკაზე წარმოდგენილია საქართველოს მოსახლეობის პროცენტული განაწილება აღმსარებლობის მიხედვით, რეგიონულ ჭრილში:





#### 6.4.1. საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის რაოდენობაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების საფუძველზე.

როგორც ქვემოთ მოცემული ცხრილიდან ჩანს (იხ. ცხრილი 1), საქართველოს მართლმადიდებლური მოსახლეობის 33.1% ქ. თბილისში ცხოვრობს, რაც მთლიანი მოსახლეობის 27.6% შეადგენს. იმერეთის რეგიონში, შესაბამისად, 17.0% და 14.2%; სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში 10.5% და 8.8%; კახეთის რეგიონში – 8.8% და 7.4%, შიდა ქართლის რეგიონში 8,2% და 6.8% და ა. შ.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის რაოდენობა 3 მილიონ 98 ათას კაცს შეადგენს, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის 83% აღემატება; ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის განაწილებას რეგიონების მიხედვით:

## საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	რიცხვობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>3,097,573</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	1,024,931	33.1
აჭარის ა. რ.	182,041	5.9
გურია	98,330	3.2
იმერეთი	527,531	17.0
კახეთი	273,177	8.8
მცხეთა-მთიანეთი	90,861	2.9
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31,818	1.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	326,061	10.5
სამცხე-ჯავახეთი	72,605	2.3
ქვემო ქართლი	217,724	7.0
შიდა ქართლი	252,494	8.2

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა მუნიციპალიტეტების მიხედვით. მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, ასევე, მცხეთა-მთიანეთის ყველა მუნიციპალიტეტში, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი 95%-ს აღემატება. მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი 95%-ს აღემატება, ასევე, შიდა ქართლის მუნიციპალიტეტების უმრავლესობაში, ასევე ოზურგეთის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში.

მოსახლეობაში მართლმადიდებლების შედარებით დაბალი წილით გამოირჩევა აჭარის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონები, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხულოს, ახალქალაქის და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტები, სადაც მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი საერთო მოსახლეობის 5-6%-ს არ აღემატება.

ქვემო მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მოსახლეობის განაწილება აღმსარებლობის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულების ჭრილში:

მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების და აღმსარებლობის მიხედვით

(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	სულ	მათ შორის აქეთ აღმსარებლობა:							
		მართლმადიდებელი	მუსლიმური	სომხური-სამოციქულო	კათოლიკური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
<b>საქართველო</b>	<b>3,713,804</b>	<b>3,097,573</b>	<b>398,677</b>	<b>109,041</b>	<b>19,195</b>	<b>26,352</b>	<b>19,080</b>	<b>9,635</b>	<b>34,251</b>
<b>ქ. თბილისი</b>	<b>1,108,717</b>	<b>1,024,931</b>	<b>16,268</b>	<b>29,368</b>	<b>1,662</b>	<b>15,266</b>	<b>4,971</b>	<b>2,429</b>	<b>13,822</b>
გლდანის რაიონი	177,214	167,079	884	2,065	209	3,384	624	286	2,683
დიღუბის რაიონი	70,018	67,766	411	565	84	279	232	85	596
ვაკე სრაიონი	111,903	107,868	761	483	132	472	501	342	1,344
ისნის რაიონი	125,610	105,739	1,094	12,616	298	2,344	944	318	2,257
კრწანისის რაიონი	39,286	30,501	5,284	2,052	59	740	169	108	373
მთაწმინდის რაიონი	49,052	46,589	478	725	67	448	242	144	359
ნაძალადევის რაიონი	154,067	148,008	933	1,297	149	1,920	513	226	1,021
საბურთალოს რაიონი	138,493	131,619	3,084	533	231	636	427	282	1,681
სამგორის რაიონი	177,844	159,082	3,117	7,300	274	4,038	977	488	2,568
ჩუღურეთის რაიონი	65,230	60,680	222	1,732	159	1,005	342	150	940
<b>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა</b>	<b>333,953</b>	<b>182,041</b>	<b>132,852</b>	<b>1,082</b>	<b>147</b>	<b>457</b>	<b>9,233</b>	<b>4,217</b>	<b>3,924</b>
ქ. ბათუმი	152,839	105,004	38,762	916	102	306	3,961	1,508	2,280
ქედის მუნიციპალიტეტი	16,760	5,235	10,411	0	2	10	624	342	136
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	74,794	48,696	21,573	117	17	121	2,728	848	694
შუახევის მუნიციპალიტეტი	15,044	3,532	11,193	5	2	1	76	153	82
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	51,189	18,618	28,841	41	23	15	1,816	1,277	558
ხულოს მუნიციპალიტეტი	23,327	956	22,072	3	1	4	28	89	174
<b>გურია</b>	<b>113,350</b>	<b>98,330</b>	<b>12,951</b>	<b>144</b>	<b>306</b>	<b>214</b>	<b>368</b>	<b>198</b>	<b>839</b>
ქ. ოზურგეთი	14,785	14,247	77	50	141	50	74	19	127
ღანჩოეთის მუნიციპალიტეტი	31,486	28,301	2,790	26	5	82	56	55	171
ოზურგეთი სმუნიციპალიტეტი	48,078	39,426	7,649	65	158	50	232	106	392
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	19,001	16,356	2,435	3	2	32	6	18	149
<b>იმერეთი</b>	<b>533,906</b>	<b>527,531</b>	<b>931</b>	<b>67</b>	<b>158</b>	<b>1,778</b>	<b>711</b>	<b>282</b>	<b>2,448</b>

	სულ	მათ შორის აქვთ აღმსარებლობა:							
		მარილმადიდებელი	მუსლიმური	სიძსურვი-სამოციქულო	კათოლიკური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
ქ. ქუთაისი	<b>147,635</b>	145,683	104	16	42	643	234	113	800
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	<b>21,582</b>	21,402	11	6	1	63	33	7	59
ვანის მუნიციპალიტეტი	<b>24,512</b>	24,128	211	1	2	48	25	12	85
ზეესტაფონის მუნიციპალიტეტი	<b>57,628</b>	57,068	4	5	11	207	65	18	250
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	<b>35,563</b>	35,205	43	2	2	43	48	11	209
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	<b>48,562</b>	47,812	203	19	20	182	22	27	277
საჩხერის მუნიციპალიტეტი	<b>37,775</b>	37,339	1	3	6	196	46	21	163
ტყეპულის მუნიციპალიტეტი	<b>20,839</b>	20,669	8	1	4	43	40	21	53
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	<b>56,883</b>	56,277	71	4	24	84	121	19	283
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	<b>39,884</b>	39,515	6	6	33	144	34	15	131
სარაგაულის მუნიციპალიტეტი	<b>19,473</b>	19,320	0	2	3	89	6	13	40
ხონის მუნიციპალიტეტი	<b>23,570</b>	23,113	269	2	10	36	37	5	98
<b>კახეთი</b>	<b>318,583</b>	<b>273,177</b>	<b>38,683</b>	<b>182</b>	<b>264</b>	<b>1,679</b>	<b>931</b>	<b>512</b>	<b>3,155</b>
ქ. თელავი	<b>19,629</b>	18,892	149	3	7	347	67	29	135
ახმეტის მუნიციპალიტეტი	<b>31,461</b>	24,881	5,950	8	17	258	85	52	210
გურჯაანის მუნიციპალიტეტი	<b>54,337</b>	53,656	47	27	6	195	191	36	179
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი	<b>21,221</b>	19,880	770	61	10	145	107	143	105
თელავის მუნიციპალიტეტი	<b>38,721</b>	33,324	4,893	8	4	134	73	61	224
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი	<b>41,678</b>	30,944	9,662	16	30	178	181	70	597
საგარეჯოს მუნიციპალიტეტი	<b>51,761</b>	34,241	15,804	9	10	112	42	37	1,506
სიღნაღის მუნიციპალიტეტი	<b>29,948</b>	29,026	367	23	9	197	126	66	134
ყვარლის მუნიციპალიტეტი	<b>29,827</b>	28,333	1,041	27	171	113	59	18	65
<b>მცხეთა-მთიანეთი</b>	<b>94,573</b>	<b>90,861</b>	<b>2,296</b>	<b>35</b>	<b>15</b>	<b>640</b>	<b>141</b>	<b>92</b>	<b>493</b>
ქ. მცხეთა	<b>7,940</b>	7,810	3	2	0	65	10	8	42

	სულ	მათ შორის აქვთ აღმსარებლობა:							
		მარილმადიდებელი	მუსლიმური	სიძსურვი-სამოციქულო	კათოლიკური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
ლეშეთის მუნიციპალიტეტი	25,659	25,318	5	4	4	195	45	9	79
თიანეთის მუნიციპალიტეტი	9,468	9,352	1	4	2	38	5	15	51
მცხეთის მუნიციპალიტეტი	47,711	44,604	2,287	24	8	342	78	56	312
ყაზბეგის მუნიციპალიტეტი	3,795	3,777	0	1	1	0	3	4	9
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	<b>32,089</b>	<b>31,818</b>	<b>4</b>	<b>2</b>	<b>0</b>	<b>85</b>	<b>30</b>	<b>24</b>	<b>126</b>
ქ. ამბროლაური	2,047	2,032	0	0	0	0	5	5	5
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	9,139	9,089	1	2	0	7	5	0	35
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	4,386	4,343	0	0	0	7	0	7	29
ონის მუნიციპალიტეტი	6,130	6,049	2	0	0	32	17	9	21
ცაგერის მუნიციპალიტეტი	10,387	10,305	1	0	0	39	3	3	36
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	<b>330,761</b>	<b>326,061</b>	<b>766</b>	<b>23</b>	<b>53</b>	<b>1,492</b>	<b>338</b>	<b>245</b>	<b>1,783</b>
ქ. ზუგდიდი	42,998	42,393	5	1	4	254	79	33	229
ქ. ფოთი	41,465	40,859	79	8	9	236	25	33	216
აბაშის მუნიციპალიტეტი	22,341	22,142	45	0	4	42	23	10	75
ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	62,511	61,431	34	2	10	375	61	58	540
მარტვილის მუნიციპალიტეტი	33,463	33,231	10	2	6	38	3	7	166
მესტიის მუნიციპალიტეტი	9,316	9,192	0	0	2	48	6	0	68
სენაკის მუნიციპალიტეტი	39,652	39,297	9	7	6	66	41	15	211
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	22,309	22,097	47	0	8	45	14	26	72
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	26,158	25,731	2	1	1	270	55	8	90
სობის მუნიციპალიტეტი	30,548	29,688	535	2	3	118	31	55	116
<b>სამცხე-ჯავახეთი</b>	<b>160,504</b>	<b>72,605</b>	<b>6,060</b>	<b>64,115</b>	<b>15,024</b>	<b>413</b>	<b>903</b>	<b>168</b>	<b>1,216</b>
ქ. ახალციხე	17,903	13,806	140	3,152	479	47	147	41	91
ადიგენის მუნიციპალიტეტი	16,462	11,153	3,302	104	1,619	33	140	21	90
ასპინძის მუნიციპალიტეტი	10,372	7,760	1,207	981	240	30	111	2	41
ახალქალაქის მუნიციპალიტეტი	45,070	2,586	847	35,497	5,290	73	229	28	520
ახალციხის	20,992	12,648	13	3,600	4,410	63	96	43	119


	სულ	მათ შორის აქვთ აღმსარებლობა:							
		მართლმადიდებელი	მუსლიმური	სომხური-სამოციქულო	კათოლიკური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
მუნიციპალიტეტი									
ბორჯომის მუნიციპალიტეტი	25,214	23,763	11	981	34	124	141	8	152
ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი	24,491	889	540	19,800	2,952	43	39	25	203
<b>ქვემო ქართლი</b>	<b>423,986</b>	<b>217,724</b>	<b>182,216</b>	<b>13,926</b>	<b>1,493</b>	<b>1,490</b>	<b>839</b>	<b>1,125</b>	<b>5,173</b>
ქ. რუსთავი	125,103	117,065	4,566	500	113	794	281	729	1,055
ბოლნისის მუნიციპალიტეტი	53,590	16,982	33,716	1,542	100	170	182	40	858
გარდაბნის მუნიციპალიტეტი	81,876	45,055	35,145	182	116	214	77	157	930
დმანისის მუნიციპალიტეტი	19,141	6,492	12,340	9	8	29	51	5	207
თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	21,127	17,802	2,297	560	24	122	66	61	195
მარნეულის მუნიციპალიტეტი	104,300	9,749	86,777	4,536	1,098	144	140	121	1,735
წალკის მუნიციპალიტეტი	18,849	4,579	7,375	6,597	34	17	42	12	193
<b>შიდა ქართლი</b>	<b>263,382</b>	<b>252,494</b>	<b>5,650</b>	<b>97</b>	<b>73</b>	<b>2,838</b>	<b>615</b>	<b>343</b>	<b>1,272</b>
ქ. გორი	48,143	47,027	69	35	15	586	138	64	209
გორის მუნიციპალიტეტი	77,549	75,336	523	10	40	1,037	224	119	260
კასპის მუნიციპალიტეტი	43,771	39,060	3,787	8	10	482	105	71	248
ქარელის მუნიციპალიტეტი	41,316	39,347	1,264	15	4	311	73	28	274
ხაშურის მუნიციპალიტეტი	52,603	51,724	7	29	4	422	75	61	281

ქვემოთ მოცემულ რელიგიურ რუკაზე წარმოდგენილია მართლმადიდებელი მოსახლეობის განაწილება ქვეყნის თვით-მმართველი ერთეულების მიხედვით.



# საქართველოს რელიეფური რუკა

მართლმადიდებელი მოსახლეობის განაწილება თეთიშართეული ერთეულების მიხედვით



## 6.4.2. საქართველოს მაკმაღიანური მოსახლეობა

საქართველოში ისლამის გავრცელება VII საუკუნიდან იღებს სათავეს. დღეის მდგომარეობით იგი, ძირითადად, ქვეყნის ორ რეგიონში - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა (რეგიონის მოსახლეობის 39,8%) და ქვემო ქართლის რეგიონშია (რეგიონის მოსახლეობის 43,0%) გავრცელებული. ქვეყნის აჭარელი მუსლიმანები სუნიტები არიან, ხოლო საქართველოს აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, ძირითადად, შიიზმია გავრცელებული.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 10,7% მაჰმადიანური სარწმუნოების მიმდევარია. მათი 45,7% ქვემო ქართლის რეგიონში ცხოვრობს, 33,3% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. სხვა რეგიონებთან შედარებით, მუსულმანთა სიმრავლით გამოირჩევა, ასევე, კახეთის რეგიონი, სადაც ქვეყნის მაჰმადიანური მოსახლეობის 9,7% ცხოვრობს. ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობის განაწილებას რეგიონების მიხედვით:

**ცხრილი 3**

**საქართველოს მაჰმადიანური მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით  
(2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)**

	რიცხვობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>398,677</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	16,268	4.1
აჭარის ა.რ.	132,852	33.3
გურია	12,951	3.2
იმერეთი	931	0.2
კახეთი	38,683	9.7
მცხეთა-მთიანეთი	2,296	0.6
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	4	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	766	0.2
სამცხე-ჯავახეთი	6,060	1.5
ქვემო ქართლი	182,216	45.7
შიდა ქართლი	5,650	1.4

მოსახლეობის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. მაჰმადიანი მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქვემო ქართლის რეგიონში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ხულოს მუნიციპალიტეტი, რომელშიც მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, მთლიანი მოსახლეობის 95% მუსულმანია. მუსულმანების წილი, ასევე, მაღალია შუაზევის (74,4%) და ქედის მუნიციპალიტეტებში (62,1%).

ქვემო ქართლის რეგიონში აღსანიშნავია მარნეულის მუნიციპალიტეტი, სადაც მუსულმანების წილი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 83,2%-ს შეადგენს, დმანისის მუნიციპალიტეტში - 64,5%-ს, ბოლნისის მუნიციპალიტეტში - 62,9%-ს.<sup>1</sup>

ქ. თბილისში მუსულმანების წილი მთლიანი მოსახლეობის 1,5%-ს შეადგენს, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ყველაზე მაღალია კრწანისის მუნიციპალიტეტში (13,5%), ხოლო ყველაზე დაბალი - ჩულურეთის მუნიციპალიტეტში (0,3%).

მოსახლეობაში მუსულმანების დაბალი წილით გამოირჩევიან დანარჩენი რეგიონები, განსაკუთრებით იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი, მცხეთა-მთიანეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი და შიდა ქართლი, სადაც მუსულმანი მოსახლეობის წილი მთლიანი მოსახლეობის 4%-ს არ აღემატება.

ქვემოთ მოცემულ რელიგიურ რუკაზე წარმოდგენილია საქართველოს მუსლიმური სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილება ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით:

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები.





### 6.4.3. საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობა

სომხური სამოციქულო ეკლესიის სამეუფეო ქალაქს ენშიაძინი<sup>1</sup> წარმოადგენს, სადაც ცხოვრობს სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი. სომეხ მორწმუნეებს თვითმართვადი საპატრიარქოები აქვთ იერუსალიმსა და კონსტანტინოპოლში. ამთგან უპირატესი ენშიაძინის მღვდელმთავარია.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სომეხთა საერთო რიცხვი 168,1 ათას კაცს შეადგენდა, რაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 4,5%-ია. იმავე მონაცემების მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 3% სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მიმდევარია. მათი უდიდესი ნაწილი (58,8%) სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობს, 26,9% - ქ. თბილისში, 12,8% - ქვემო ქართლის რეგიონში, ხოლო დანარჩენი 1,5% სხვა რეგიონებზე ნაწილდება.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილებას რეგიონების მიხედვით:

ცხრილი 4

საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით (2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

	რიცხვონობა, კაცი	%
<b>საქართველო</b>	<b>109,041</b>	<b>100.0</b>
ქ. თბილისი	29,368	26.9
აჭარის ა. რ.	1,082	1.0
გურია	144	0.1
იმერეთი	67	0.1
კახეთი	182	0.2
მცხეთა-მთიანეთი	35	0.0
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	2	0.0
სამეგრელო-ზემო სვანეთი	23	0.0
სამცხე-ჯავახეთი	64,115	58.8
ქვემო ქართლი	13,926	12.8
შიდა ქართლი	97	0.1

საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის წილი შედარებით მაღალია ნინოწმინდის და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში, სადაც მათი წილი მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს შეადგენს. ასევე, აღსანიშნავია, წალკის მუნიციპალიტეტი, რომლის 35% სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მიმდევარია. ქ. თბილისში კი შედარებით მაღალი წილით იხნის მოსახლეობა გამოირჩევა, სადაც ყოველი მეათე სომხურ-სამოციქულო სარწმუნოებას აღიარებს.


ქვემოთ მოცემულ რელიგიურ რუკაზე წარმოდგენილია საქართველოს სომხურ-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილება ქვეყნის თვითმმართველი ერთეულების მიხედვით:

<sup>1</sup> მდებარეობს არმავირის პროვინციაში, ერევნიდან დასავლეთით 20 კმ-ში.



# საქართველოს რეგიონული რუკა

სომხური-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილება  
თვითმმართველი ერთეულების მიხედვით



## პირობითი აღნიშვნები

საქელმწიფო საზღვარი

თვითმმართველი ერთეული

სომხური-სამოციქულო სარწმუნოების მქონე მოსახლეობის განაწილება თვითმმართველი ერთეულების მიხედვით

ოკუპირებული ტერიტორია

0

1 - 1000

1001 - 5000

5001 - 10000

10001 - 40000

განსახლების არეალი

1:2,000,000

მოსახლეობის განაწილება რეგიონებისა და აღმსარებლობის მიხედვით  
(მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებით)

რეგიონი	სულ	აღმსარებლობა								
		მართლმადიდებლური	კათოლიკური	სომხური-სამოციქულო	იუდეური	მუსლიმური	სხვა	არცერთი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
<b>საქართველო</b>	<b>3,713,804</b>	<b>3,097,573</b>	<b>19,195</b>	<b>109,041</b>	<b>1,417</b>	<b>398,677</b>	<b>24,935</b>	<b>19,080</b>	<b>9,635</b>	<b>34,251</b>
ქ. თბილისი	1,108,717	1,024,931	1,662	29,368	1,016	16,268	14,250	4,971	2,429	13,822
აჭარის ა. რ.	333,953	182,041	147	1,082	59	132,852	398	9,233	4,217	3,924
გურია	113,350	98,330	306	144	...	12,951	211	368	198	839
იმერეთი	533,906	527,531	158	67	93	931	1,685	711	282	2,448
კახეთი	318,583	273,177	264	182	35	38,683	1,644	931	512	3,155
მცხეთა-მთიანეთი	94,573	90,861	15	35	...	2,296	631	141	92	493
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32,089	31,818	0	...	13	...	72	30	24	126
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330,761	326,061	53	23	13	766	1,479	338	245	1,783
სამცხე-ჯავახეთი	160,504	72,605	15,024	64,115	33	6,060	380	903	168	1,216
ქვემო ქართლი	423,986	217,724	1,493	13,926	41	182,216	1,449	839	1,125	5,173
შიდა ქართლი	263,382	252,494	73	97	102	5,650	2,736	615	343	1,272

... შემთხვევათა რაოდენობა არ აღემატება 10-ს.

მოსახლეობის განაწილება რეგიონების და აღმსარებლობის მიხედვით  
(მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის გადაანგარიშებული შედეგებით)

რეგიონი	სულ მოსახლეობა	აღმსარებლობა						
		მართლმადიდებლური	კათოლიკური	სომხური-გეორგიანული	იუდეური	მკჰმადიანური	სხვა	არცერთი
<b>საქართველო</b>	<b>3,991,273</b>	<b>3,354,759</b>	<b>30,924</b>	<b>156,414</b>	<b>3,369</b>	<b>388,033</b>	<b>31,501</b>	<b>26,273</b>
თბილისი	1,062,157	970,831	2,666	50,755	2,278	11,232	18,807	5,589
აფხაზეთის ა.რ.	1,633	1,620	1	1	0	8	3	2
აჭარის ა.რ.	342,088	218,847	621	2,877	146	104,770	879	13,948
გურია	125,308	111,200	633	298	11	12,007	389	770
იმერეთი	632,126	626,522	432	534	330	1,399	1,723	1,186
კახეთი	352,736	303,309	638	993	63	44,402	2,254	1,076
მცხეთა-მთიანეთი	109,548	106,271	38	88	13	1,956	908	274
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	44,003	43,745	3	5	28	65	102	56
სამეგრელო-ზემო სვანეთი	416,349	413,075	57	170	46	907	1,067	1,028
სამცხე-ჯავახეთი	183,096	74,977	24,581	77,461	61	5,167	323	525
ქვემო ქართლი	443,110	215,607	926	22,878	98	200,975	1,880	746
შიდა ქართლი	279,119	268,756	327	355	295	5,145	3,168	1,073

**6.5. რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო და მისი საქმიანობის მიმართულებები**

საქართველოში 2014 წლიდან ფუნქციონირებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო<sup>1</sup>, რომელიც საქართველოს მთავრობისთვის ახორციელებს საინფორმაციო, კვლევით, სამეცნიერო-საგანმანათლებლო და სარეკომენდაციო საქმიანობას რელიგიის სფეროში.

საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად, რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო, ისტორიული გამოცდილებისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების გათვალისწინებით, პროფესიული კვლევისა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შეიმუშავებს რეკომენდაციებს რელიგიის სფეროში თანამედროვეობის გამოწვევების შესაბამისად. გარდა ამისა, სააგენტო:

- ა) იკვლევს და საქართველოს მთავრობას წარუდგენს საქართველოში რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობას;

<sup>1</sup> საქართველოს მთავრობის დადგენილება N177, 2014 წლის 19 თებერვალი, ქ. თბილისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ.

ბ) ამზადებს რეკომენდაციებს და გასცემს კონსულტაციებს რელიგიური გაერთიანებებისათვის პრობლემატურ საკითხებზე, შეიმუშავებს, ასევე, წინადადებებს რელიგიის სფეროში განათლების შესახებ;

გ) იკვლევს ევროკავშირის ქვეყნებში არსებულ სახელმწიფოსა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობათა სისტემებს;

დ) შეისწავლის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების გამოცდილებას და სტანდარტებს რელიგიის სფეროში;

ე) ამყარებს კავშირს და თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან;

ვ) ქმნის და აწარმოებს რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკს;

ზ) საქართველოს მთავრობის სახელით, უფლებამოსილია შეასრულოს შუამავლის ფუნქცია და მონაწილეობა მიიღოს იმ დავებისა და საკითხების გადაწყვეტაში, რომელიც შეიძლება გაჩნდეს საქართველოში მოქმედ რელიგიურ გაერთიანებებს შორის;

თ) ხელს უწყობს ინტერრელიგიური და კულტურათაშორისი დიალოგის გადრმავებას რელიგიურ გაერთიანებათა შორის;

ი) ახორციელებს პრემიერ-მინისტრის დავალებებს რელიგიის სფეროში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს დაარსება დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოს ეროვნულ პროექტთან, რაც გულისხმობდა ეროვნული გამოცდილებისა და თანამედროვეობის მოთხოვნების საფუძველზე, მწყობრი რელიგიური პოლიტიკის ჩამოყალიბებას, რამაც ქვეყანას უნდა დაუბრუნოს კუთვნილი ადგილი, თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში.

რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობით და დებულების საფუძველზე. მას ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრემიერმინისტრი. შესაბამისად, მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

## 6.6. ტესტები

1. არსებული წყაროების მიხედვით, მსოფლიოში დაახლოებით რამდენი რელიგიაა ცნობილი?  
ა) ათამდე; ბ) ასამდე; გ) ორასამდე; დ) ათასამდე.
2. რას ეფუძნება რელიგიის სტატისტიკის წარმოება საქართველოში?  
ა) შინამეურნეობათა კვარტალურ გამოკვლევებს;  
ბ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს;  
გ) ბიზნესსექტორის გამოკვლევებს;  
დ) რელიგიური ორგანიზაციების გამოკვლევებს.
3. რა პერიოდულობით ტარდება მოსახლეობის აღწერები?  
ა) ყოველკვარტალურად; ბ) ყოველწლიურად;  
გ) 10 წელიწადში ერთხელ; დ) ყოველთვიურად.
4. დაახლოებით რამდენია საქართველოს მართლმადიდებელი მოსახლეობის წილი საქართველოში?  
ა) 20-25%; ბ) 50%; გ) 60-65%; დ) 80-85%.
5. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ მუნიციპალიტეტში ჭარბობს მაჰმადიანი მოსახლეობა?  
ა) აბაშის მუნიციპალიტეტში; ბ) ქედის მუნიციპალიტეტში;  
გ) ღმანისის მუნიციპალიტეტში; დ) ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტში.
6. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მონაცემების მიხედვით, ჩამოთვლილთაგან რომელ მუნიციპალიტეტშია ყველაზე მეტად გავრცელებული სომხური სამოციქულო სარწმუნოება?  
ა) ადიგენის მუნიციპალიტეტში; ბ) ახალქალაქის მუნიციპალიტეტში;  
გ) ბორჯომის მუნიციპალიტეტში; დ) ხარაგაულის მუნიციპალიტეტში.
7. ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ფუნქციებს?  
ა) მთავრობისთვის ქვეყანაში რელიგიის სფეროში არსებულ მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის წარდგენა;  
ბ) რელიგიის სფეროში საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციების გამოცდილებისა და სტანდარტების შესწავლა;  
გ) რელიგიური გაერთიანებების შესახებ საინფორმაციო ბანკის წარმოება;  
დ) ყველა.
8. რომელი წლიდან ფუნქციონირებს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო?  
ა) 2020; ბ) 1993; გ) 2014; დ) 2012.
9. რამდენი ძირითადი მიმართულება აქვს ქრისტეს მოძღვრებას?  
ა) სამი (კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი და მართლმადიდებლობა);

- ბ) ორი (კათოლიციზმი და მართლმადიდებლობა);
- გ) ოთხი (კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, ისლამი და მართლმადიდებლობა).

10. ჩამოთვლილთაგან, რომელ მეთოდებს იყენებს რელიგიის სტატისტიკა მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად?

- ა) მონაცემთა შეგროვების მეთოდი;
- ბ) მონაცემთა ანალიზის მეთოდი;
- გ) მონაცემთა დამუშავების მეთოდი;
- დ) ყველა.

11. რომელი უწყება ატარებს მოსახლეობის საყოველთაო აღწერებს საქართველოში?

- ა) მონაცემთა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო;
- ბ) საქპატენტი;
- გ) საქსტატი;
- დ) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

12. ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს საქართველოში მოსახლეობის აღმსარებლობის შესახებ ინფორმაციის წყაროს?

- ა) მონაცემთა რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევები;
- ბ) მოსახლეობის საყოველთაო აღწერა;
- გ) შინამეურნეობების კვარტალური გამოკვლევა;
- დ) მოსახლეობის ყოველწლიური გამოკითხვა;

13. რომელ საუკუნეში აღწერა მონღოლმა ნოინმა არღუნმა საქართველოს მოსახლეობა და მისი ქონება?

- ა) X საუკუნეში;
- ბ) XII საუკუნეში;
- გ) V საუკუნეში;
- დ) XIII საუკუნეში.

14. ისტორიული წყაროების მიხედვით, რა პერიოდულობით ატარებდნენ აღწერებს საქართველოს სადროშოების სარდლები?

- ა) ყოველწლიურად;
- ბ) 2 წელიწადში ერთხელ;
- გ) 7 წელიწადში ერთხელ;
- დ) 10 წელიწადში ერთხელ.



## თემა 7. განათლების სტატისტიკა საქართველოს რეგიონების მიხედვით

### საღიგეო საკითხები

- 7.1. განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში
- 7.2. სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის ნულოვანი საფეხური
- 7.3. ზოგადი სრული განათლება საქართველოს რეგიონების მიხედვით
- 7.4. პროფესიული, არაუმადლე სი განათლება, როგორც მნიშვნელოვანი მიმართულება საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის
- 7.5. უმაღლესი განათლება საქართველოს რეგიონების მიხედვით - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის V-VIII საფეხურები
- 7.6. ტესტები

### 7.1. განათლების სისტემა თანამედროვე საქართველოში

მდგრადი განვითარების მიზნების შესრულება 2030 წლისთვის მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე მთელი მსოფლიოს ცივილიზაციისთვის. მიზანი 4 - „ხარისხიანი განათლება“ - მოიცავს ინდიკატორებს, რომელიც სასიცოცხლო პროგრესისთვის. საქართველო ჩართულია ამ პროცესში და 2015 წელს მოხდა მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია. განისაზღვრა ინდიკატორების წრე, რომელიც არის მიზნის ინდიკატორი და დაკავშირებულია მასთან.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით, დამტკიცდა განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო ითვალისწინებს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს (EQF LLL) და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩოს (QF-EHEA) მოთხოვნებს. დოკუმენტი აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციას, ასახავს ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სხვადასხვა საფეხურის სწავლის შედეგებს. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აყალიბებს, თუ რა ცოდნა, უნარი და პასუხისმგებლობა უნდა ჰქონდეს პირს შესაბამისი საფეხურის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად.

#### ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიზნებია:

- ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს ძირითადი პრინციპების (სწავლის შედეგების შესაბამისობა, ხარისხის უზრუნველყოფა, კვალიფიკაციებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) დაცვით კლასიფიცირება;
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ურთიერთდაკავშირება, მართვა და განვითარება;
- მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;
- ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდაჭერა;
- კვალიფიკაციების შეთავსებადობის, შესადარობისა და გამჭვირვალობის საერთაშორისო დონეზე უზრუნველყოფა;

- მობილობის ხელშეწყობა;
- სწავლის პერიოდში მიღებული ფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა;
- არაფორმალური განათლების აღიარების ხელშეწყობა;
- არსებული კვალიფიკაციების შესახებ საზოგადოების ინფორმირება;
- განათლების სისტემაში საზოგადოების მუდმივად ცვალებადი მოთხოვნილებების ასახვა და მათი შესაბამისი, განახლებადი კვალიფიკაციების აღწერის სტიმულირება.

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (UNESCO) დოკუმენტებზე („განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაცია“ (ISCED-F-2013) და „განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 – დეტალური სფეროების აღწერა“ (ISCED-FoET-2013) დაყრდნობით, ახდენს საქართველოში არსებული სწავლის სფეროების კლასიფიცირებას და განსაზღვრავს სწავლის თითოეულ სფეროში მისანიჭებელ კვალიფიკაციას.

## **7.2. სკოლამდელი განათლება - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხური**

სკოლამდელი განათლების მონაცემების რამდენიმეწლიანი სიცარიელე აღმოვჩნავთ საქართველოს კანონმა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, მუხლი 12, პირდაპირ მიუთითებს მონაცემების შეგროვების და გამოქვეყნების ვალდებულებას. დღეისათვის ხელმისაწვდომია მხოლოდ სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების მონაცემები, რომლის მიხედვითაც, 2019/2020 წლის სექტემბრისთვის შეადგენდა 1621 დაწესებულებას, რომელშიც ჩართული იყო 164.6 ათასი აღსაზრდელი და 14.3 ათასი აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე.

სკოლამდელი განათლება, რომელიც განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხურია, ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. ადამიანის ცხოვრებაში ეს არის ეტაპი, როდესაც იწყება პიროვნებად ჩამოყალიბება და რომლის ზეგავლენა შესაძლოა მთელი ცხოვრება გააჰყვეს ადამიანს.

1994 წელს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის რატიფიცირებით საქართველომ დაადასტურა, რომ აღიარებს ყოველი ბავშვის უფლებას ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების სტანდარტები სწორედ ბავშვთა უფლებების დაცვის პრინციპებს ეხმიანება და საზოგადოების ფართო წრისთვის არის შექმნილი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მნიშვნელოვანია მშობლის როლი ადრეული განათლების პროცესში, რომელიც ბავშვის განვითარების პროცესში ყურადღებას გაამახვილებს იმ თავისებურებებზე, თუ რომელი მიმართულებით აქვს ბავშვს განვითარებული უნარები.

ყოველი ბავშვი არის ინდივიდუალური და ამიტომ თითოეულ მათგანს სპეციფიკური მიდგომა ესაჭიროება. ზოგადად, ყველა ბავშვს უნდა შეექმნას საკუთარი იდეების, გრძნობების, ემოციების სხვადასხვა საშუალებით გამოხატვის საშუალება, რათა მოხდეს ბავშვის, როგორც ინდივიდის შემეცნებითი უნარების განვითარება. სწავლების მეთოდები და მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს.

სკოლამდელი დაწესებულება უნდა იყოს უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით და ინვენტარით, რაც საერთაშორისო დონეზეა აღიარებული, ბავშვის ფიზიკური განვითარებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის, კეთილდღეობის და სხვა პირობების ხელშეწყობისათვის.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სკოლამდელ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალის პასუხისმგებლობა საკმაოდ მაღალია, რამდენადაც თითოეულ ბავშვს თავისი განვითარების ინდივიდუალურობის შესაბამისი მიდგომა ესაჭიროება.

როგორია სამართლებრივი ბაზა ამ მიმართულებით?

საქართველოში არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი აქტი, რომელიც უშუალოდ დაარეგულირებდა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სფეროს. არსებობდა მხოლოდ ჩანაწერი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში (მე-16 მუხლი), რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები, სხვა უფლებამოსილებებს შორის, იყო „მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა“.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა და შემუშავდა საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ [3], რომლის მიზანია საქართველოში ყველა ბავშვისათვის მაღალი ხარისხის, საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გამჭვირვალე, ინკლუზიური, ანგარიშვალდებულების პრინციპზე დაფუძნებული, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ადრეული აღზრდისა და განათლების სისტემის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

აღნიშნული კანონით შეიქმნა მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციის 28 და 29 მუხლების მოთხოვნები, რომელიც წევრ ქვეყნებს ავალდებულებს ხარისხიან განათლებაზე ბავშვთა ხელმისაწვდომობის უფლების აღიარებას და მისი თანასწორობის პრინციპით განხორციელებას ამ სფეროში საბაზისო სტანდარტების დანერგვის გზით.

კანონის შესაბამისად, გათვალისწინებულია ორსაფეხურიანი სწავლების სისტემა:

- ადრეული აღზრდა და განათლება (დაბადებიდან 2 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის);
- სკოლამდელი განათლება (2 წლის ასაკიდან ბავშვის სკოლაში შესვლამდე).

დაწესებულებებში ჯგუფები უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით:

- ✓ 2-დან 3 წლამდე - სკოლამდელი განათლების პირველი წელი;
- ✓ 3-დან 4 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-2 წელი;
- ✓ 4-დან 5 წლამდე - სკოლამდელი განათლების მე-3 წელი;
- ✓ 5 წლიდან სკოლის დაწყებითი საფეხურის პირველ კლასში შესვლამდე;
- ✓ სკოლამდელი განათლების მე-4 წელს ხორციელდება სასკოლო მზაობის პროგრამა.

მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონით დაწესებულებაში აკრძალულია ბავშვთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ფიზიკური დასჯა, უგულვებლყოფა, შეურაცხმყოფელი ან/და დამამცირებელი მოპყრობა.

სტატისტიკური საქმიანობის სრულყოფისთვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის გარემოება, რომ დაწესებულებამ დაფუძნების შემდეგ, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე, სასკოლო მზაობის პროგრამის განსახორციელებლად, ვალდებულია გაიაროს ავტორიზაცია:

- დაწესებულების ავტორიზაციის წესი ღვინდება საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტით;
- დაწესებულების ავტორიზაციას ახორციელებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური;
- მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური დაწესებულების ავტორიზაციის მიზნით ამოწმებს მის შესაბამისობას ამ კანონითა და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილ მოთხოვნებთან.

საქართველოში სკოლამდელი დაწესებულებების შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები 2007 წლიდან არ მოიპოვებოდა. ათასწლეულის განვითარების მიზნების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელი - სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის გაანგარიშება, სწორედ ამ პერიოდიდან შეუძლებელი იყო. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, 2012 წელს

საქსტატმა იუნისეფ-ის დაკვეთით განახორციელა სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების კვლევა, რომელმაც შეავსო შესაბამისი მონაცემების ლეფიციტი.

სკოლამდელი დაწესებულებების ბოლო სტატისტიკურმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში 2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, 1621 სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებაა, აქედან ყველაზე მეტი არის იმერეთის რეგიონში - 299, ანუ სახელმწიფო სკოლამდელი დაწესებულებების 18,4 %. შემდეგ მოდის სამეგრელო-ზემო სვანეთი - 258 (15,9 %), კახეთი - 231 (14,3 %), ქ. თბილისი - 185 (11,4%), აჭარის ა. რ. - 137 (8,5 %), შიდა ქართლი - 130 (8,0 %), ქვემო ქართლი - 106 (6,5 %), გურია - 84 (5,2 %), სამცხე-ჯავახეთი - 73 (4,5 %). მცხეთა-მთიანეთი - 70 (4,3 %), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 48 (3,0 %). ცხრილი 1 -ში მოცემულია საქართველოს რეგიონების მიხედვით სკოლამდელი აღზრდის ძირითადი მაჩვენებლები.


## ცხრილი 1

### მონაცემები საჯარო სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შესახებ მუნიციპალიტეტების მიხედვით (2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)

	სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების რაოდენობა	ჩართულ ბავშვთა რაოდენობა (აღსაზრდელები)	აღმზრდელ-პედაგოგი/აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე
საქართველო, სულ	1 621	164 605	14 309
ქ. თბილისი	185	60 968	4 911
აფხაზეთის ა. რ.	...	...	...
აჭარის ა. რ.	137	14 589	1 424
გურია	84	4 455	541
იმერეთი	299	22 529	1 883
კახეთი	231	13 259	1 123
მცხეთა-მთიანეთი	70	3 825	403
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	48	873	182
სამეგრელო-ზემო სვანეთი	258	12 832	1 247
სამცხე-ჯავახეთი	73	4 994	627
ქვემო ქართლი	106	14 745	1 048
შიდა ქართლი	130	11 536	920

როგორც ცხრილიდან ჩანს, აღსაზრდელების რაოდენობა სკოლამდელ დაწესებულებებში, რეგიონების მიხედვით ბევრად განსხვავებულია, ვიდრე დაწესებულებებისა და მათში ადგილების ანალიზი იძლევა. კერძოდ, აღსაზრდელების ყველაზე მეტი რაოდენობა მოდის ქ. თბილისზე (61,0 ათასი ბავშვი), შემდეგ იმერეთის რეგიონში - 22,5 ათასი, კახეთი - 13,3 ათასი, ქვემო ქართლი - 14,7 ათასი, სამეგრელო-ზემო სვანეთი 12,8 ათასი, აჭარის ა.რ. - 14,6 ათასი, შიდა ქართლი - 11,5 ათასი, გურია - 4,5 ათასი, სამცხე-ჯავახეთი - 5,0 ათასი, მცხეთა-მთიანეთი - 3,8 ათასი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0,9 ათასი (იხ. გრაფიკი 1).

აღსაზრდელების განაწილება სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებებში  
2019/2020 სასწ. წლის დასაწყისისთვის, %



სკოლამდელი დაწესებულებების განაწილების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ადგილების რაოდენობა, ანუ რამდენი ბავშვის მიღების შესაძლებლობა აქვთ დაწესებულებებს თავისი ინფრასტრუქტურით, პერსონალით, ფინანსური სახსრებით და ა. შ. თუმცა, აღნიშნულ მონაცემებს საქსტატი არ ფლობს.

საქართველოს სახელმწიფო სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის საერთო მაჩვენებელი დაახლოებით 40,0%-ია. აქ საინტერესოა სხვა ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარება. ასე, მაგალითად, ავსტრალიის სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის საერთო მაჩვენებელი 95,0%-ია, გაერთიანებულ სამეფოში - 85,0 %, ფინეთში - 70,0%, სომხეთში - 48,0%, აზერბაიჯანში - 28,0% და ა. შ.

დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფამ დადებითად იმოქმედა სკოლამდელი განათლების სტატიის წარმოებაზე, რომელიც განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ნულოვანი საფეხურია (ISCED 2011). ამოქმედდა სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის საკითხი, შეიქმნა დაწესებულებების რეესტრი და შესაძლებელი გახდა ათასწლეულის განვითარების მიზნების მაჩვენებლის სკოლამდელ დაწესებულებებში აღსაზრდელების ჩაბმის გაანგარიშება.

### 7.3. ზოგადი სრული განათლება საქართველოს რეგიონების მიხედვით

**ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:**

- ა) ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების მიმართ საკუთარი პასუხისმგებლობის გააზრება;
- ბ) ბუნებრივი გარემო პირობების შენარჩუნება და დაცვა;
- გ) ტექნოლოგიური თუ სხვა ინტელექტუალური მიღწევების ეფექტიანად გამოყენება;
- დ) დამოუკიდებლად ცხოვრება, გადაწყვეტილების მიღება;
- ე) იყოს შემოქმედი, თავად შექმნას ღირებულებები და არ იცხოვროს მხოლოდ არსებულის ხარჯზე;

- ვ) საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში და მათი მაქსიმალური რეალიზება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთაც;
- ზ) კომუნიკაცია ინდივიდებთან და ჯგუფებთან;
- თ) იყოს კანონმორჩილი, ტოლერანტი მოქალაქე.

**ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საფეხურები**

საქართველოში სრული ზოგადი განათლება არის სამსაფეხურიანი და თორმეტწლიანი. სრული ზოგადი განათლების საფეხურებია:

- ა) დაწყებითი - I-VI კლასები;
- ბ) საბაზო - VII-IX კლასები;
- გ) საშუალო - X-XII კლასები.

საქართველოში დაწყებითი და საბაზო განათლება სავალდებულოა.

სრული ზოგადი განათლების მიღება გულისხმობს ზოგადი განათლების სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევების ღონის დაძლევას, სკოლის გამოსაშვები გამოცდების წარმატებით ჩაბარებას და შესაბამისი დოკუმენტით სახელმწიფოს მიერ ამის დადასტურებას. საბაზო განათლების მიღების შემდეგ გაიცემა საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი.

საბაზო საფეხურის დაძლევის საფუძველზე პირს აქვს უფლება, გავიდეს სკოლიდან, სწავლა გააგრძელოს ზოგადი განათლების მეხამე საფეხურზე ან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელების უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღება ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად, რომელსაც შეიმუშავენ და ავითარებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. ეროვნული სასწავლო გეგმა ეფუძნება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, შედეგზე ორიენტირებული, მოსწავლეზე გათვლილ განათლების სისტემის კონცეფციას. სტრუქტურულად მოიცავს ზოგადი განათლების ყველა საფეხური სათავის საათების განაწილებას, სასწავლო გარემოს ორგანიზების პირობებსა და რეკომენდაციებს, მოსწავლეთა აუცილებელ დატვირთვას, იმ მიღწევების (უნარ-ჩვევებისა და ცოდნის) ჩამონათვალს, რომელთაც მოსწავლე უნდა ფლობდეს ყოველი საფეხურის დამთავრებისას, და ამ უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეძენის საშუალებათა აღწერას, საგნობრივ პროგრამებს. ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას. ზოგადი განათლების მიღება შესაძლებელია საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში - სკოლებში.

**ზოგადი განათლების მიღების ალტერნატიული გზები**

ზოგადი განათლების მიღება შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს ალტერნატიული ფორმებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით, მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და შრომითი და ოჯახური პირობების გათვალისწინებით. სახელმწიფო იცავს მოსწავლის და მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლებას. მშობლის საგანმანათლებლო არჩევანის თავისუფლება არ გულისხმობს:

- ა) სავალდებულო განათლებისთვის თავის არიდების უფლებას;
- ბ) ისეთ განათლებას, რომელიც ხელს შეუშლის ამ კანონის მიზნების მიღწევას.

პირს, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება შეუძლია ექსტერნატის წესით. ექსტერნს უფლება აქვს მიიღოს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მხოლოდ ექსტერნატის ფორმით სრული ზოგადი განათლების დაძლევის შემთხვევაში. ექსტერნატის გამოცდას, გარდა იმ პირობისა, რომლებიც ზოგადი განათლების ცალკეული კლასის/კლასების პროგრამებს, ძირითადად, დამოუკიდებლად ძლევენ და ექსტერნატის გამოცდას აბარებენ შესაბამისი განათლების დასადასტურებლად, რაც მათ შემდეგ კლასში/საფეხურზე სწავლის გაგრძელების საშუალებას მისცემს, აბარებენ აგრეთვე ის მოსწავლეები, რომლებმაც საბაზო-საშუალო საფეხურებზე სასწავლო წლის განმავლობაში გააცდინეს კონკრეტული საგნისთვის კონკრეტული სასწავლო წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% და მეტი, მოსწავლე ფასდება მხოლოდ ექსტერნატის გამოცდის ჩაბარების საფუძველზე.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს განსაზღვრავენ და იყენებენ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.

ავტორიზაცია არის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმი, რომლის მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ინსტიტუციური შეფასება და მისი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. საავტორიზაციო შეფასება ხორციელდება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ და ეფუძნება დაწესებულების თვითშეფასებითა და საავტორიზაციო ვიზიტის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

2019-2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის საქართველოში აღირიცხა 2313 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც სწავლობდა 592.9 ათასი მოსწავლე; აქედან, 227 კერძო სკოლაა 62.8 ათასი მოსწავლით. კერძო სკოლების რაოდენობა 19 ერთეულითაა შემცირებული 2015-2016 სასწავლო წელთან შედარებით, თუმცა, მოსწავლეთა რიცხოვნობა გაზრდილია 7.8 ათასით.

მოსწავლეთა რიცხოვნობა, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციის (ISCED 2011) შესაბამისად, საფეხურების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: დაწყებითი განათლების საფეხურზე - 325.7 ათასი, საბაზო განათლების - 142.3 ათასი, ხოლო საშუალო განათლების საფეხურზე 124.9 მოსწავლე. ზოგადად, საშუალო სკოლაში მთლიანი ჩაბმის მაჩვენებელი, შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან მიმართებაში 158.0 %-ია. მთლიანი ჩაბმის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულას შემდეგი სახე აქვს:

$$GER^t_h = \frac{E^t_h}{P^t_{h,a}} * 100,$$

$GER^t_h$  არის ჩაბმის მთლიანი მაჩვენებელი  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$E^t_h$  არის მოსწავლეთა რიცხოვნობა  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$P^t_{h,a}$  არის მოსახლეობის რიცხოვნობა  $a$  ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც ოფიციალურად შეესაბამება  $h$  საფეხურს  $t$  სასწავლო წელს.

მოსწავლეთა რიცხოვნობა 592.9 ათასია, 6-17 წლის ასაკის მოსახლეობა კი - 375.4 ათასი. შესაბამისად, ზემოთ მოცემული ფორმულის მეშვეობით გაიანგარიშება ჩაბმის მთლიანი მაჩვენებელი. ასევე, შესაძლებელია გაანგარიშებული იქნას მთლიანი ჩაბმის მაჩვენებლები ცალკეული რეგიონების მიხედვითაც.

წმინდა ჩაბმის მაჩვენებლის ფორმულას კი შემდეგი სახე აქვს:

$$NER^t_h = \frac{E^t_{h,a}}{P^t_{h,a}} * 100,$$

$NER^t_h$  არის ჩაბმის წმინდა მაჩვენებელი  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$E^t_{h,a}$  არის მოსწავლეთა რიცხოვნობა  $a$  ასაკობრივ ჯგუფში  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$P^t_{h,a}$  არის მოსახლეობის რიცხოვნობა  $a$  ასაკობრივ ჯგუფში, რომელიც ოფიციალურად შეესაბამება  $h$  საფეხურს  $t$  სასწავლო წელს. აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშება ცოტა სირთულეს წარმოადგენს, რადგან ამ შემთხვევაში უნდა გამოირიცხოს იმ მოსწავლეების რიცხოვნობა, რომელთა ასაკი 6 წელზე ნაკლებია და 17 წელზე მეტი, ხოლო შეფარდება მოხდეს ამ ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის ზუსტ რაოდენობასთან. ამის საშუალება კი მხოლოდ მოსახლეობის აღწერის მონაცემების ბაზაზეა შესაძლებელი.

## ცხრილი 2

### საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით (სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ერთეული)

	2005/2006	2015/2016	2019/2020
საქართველო, სულ	2 731	2 331	2 313
ქ. თბილისი	319	300	291
აფხაზეთის ა. რ.	28	15	15
აჭარის ა. რ.	260	255	253
გურია	112	101	101
იმერეთი	466	400	396
კახეთი	227	195	193
მცხეთა-მთიანეთი	142	88	89
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	72	68	68
სამეგრელო-ზემო სვანეთი	344	263	262
სამცხე-ჯავახეთი	221	206	206
ქვემო ქართლი	317	268	268
შიდა ქართლი	223	172	171

როგორც ცხრილიდან ჩანს, დინამიკაში ძლიერ ცვალებადია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობრივი მონაცემები. ასევე, ცვალებადია მოსწავლეთა ჩაბმის მაჩვენებელი. სავალდებულო განათლება არის 9 კლასი, რომლის დასრულების შემდგომ მოსწავლეების გარკვეული ნაწილი აღარ აგრძელებს სწავლას არც სკოლაში და არც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.



მოსწავლეთა რიცხოვნობა საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მუნიციპალიტეტების მიხედვით  
(სასწავლო წლის დასაწყისისათვის, კაცი)

	2005/2006	2015/2016	2019/2020
საქართველო, სულ	634 724	553 914	592 883
ქ. თბილისი	166 651	180 612	205 829
აფხაზეთის ა. რ.	3 503	2 256	2 337
აჭარის ა. რ.	61 657	54 115	59 068
გურია	19 377	14 405	14 165
იმერეთი	95 144	73 970	76 914
კახეთი	54 279	42 723	43 100
მცხეთა-მთიანეთი	16 262	11 275	12 079
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5 376	3 261	2 928
სამეგრელო-ზემო სვანეთი	56 646	43 288	43 840
სამცხე-ჯავახეთი	31 591	24 810	24 424
ქვემო ქართლი	75 764	66 046	70 427
შიდა ქართლი	48 474	37 153	37 772

როგორც ცხრილი 3-დან ჩანს, მოსწავლეთა რიცხოვნობა ბოლო 15 წლის განმავლობაში შემცირებულია. აქვე საზგა-სასმელია ის ფაქტიც, რომ ქ. თბილისში ფიქსირდება მოსწავლეთა რიცხოვნობის ზრდა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ მიმდინარეობს ურბანიზაციის პროცესები.

მოსწავლეების მიერ ერთსა და იმავე კლასში ჩარჩენის დონე, ანუ მეორეწლიანი მოსწავლეების (REPETITION RATE BY GRADE) წილი გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$RR_i^t = \frac{R_i}{E_i^t} * 100, \text{ სადაც}$$

$RR_i^t$  სკოლაში ჩარჩენის დონე  $i$  კლასში  $t$  სასწავლო წელს;

$R_i^{t+1}$  ჩარჩენილი მოსწავლეების რიცხოვნობა  $i$  კლასში  $t+1$  სასწავლო წელს;

$E_i^t$  მოსწავლეების რიცხოვნობა  $i$  კლასში  $t$  სასწავლო წელს.

ეს არის იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტის მნიშვნელოვანი ინდიკატორი. თუ სკოლაში მეორეწლიანი მოსწავლე-ების რაოდენობა 8 კლასში არის 250, ხოლო მე-8 კლასში მოსწავლეთა რიცხოვნობა არის 46.0 ათასი მოსწავლე, მეორეწლი-ანი მოსწავლეების წილი ტოლი იქნება 0.01 %.

საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები, %

	2010		2019	
	გოგო	ბიჭი	გოგო	ბიჭი
მიიღო:				
საბაზო განათლება (დაასრულა 9 კლასი)	48	52	48	52
საშუალო განათლება (დაასრულა 12 კლასი)	49	51	48	52

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

შედეგის ინდიკატორია ისიც, თუ რამდენმა მოსწავლემ დაასრულა განათლების შესაბამისი დონე. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში 2010-2019 წლებში გენდერული სტრუქტურა თითქმის უცვლელია.

მნიშვნელოვანი ინდიკატორია, ასევე, საშუალოდ რამდენი მოსწავლე მოდის 1 მასწავლებელზე. მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა სკოლაში გაიანგარიშება (PUPIL-TEACHER RATIO):

$$PTR_h^t = \frac{E_h^t}{T_h^t} = , \quad \text{სადაც}$$

$PTR_h^t$  მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა სწავლების  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$E_h^t$  მოსწავლეების მთლიანი რიცხონობა სწავლების  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს;

$T_h^t$  მასწავლებლების მთლიანი რიცხონობა სწავლების  $h$  საფეხურზე  $t$  სასწავლო წელს.

საქართველოში მოსწავლე-მასწავლებლის თანაფარდობა შეადგენს 9.0. აღნიშნული მაჩვენებლების გაანგარიშება რეგიონების დონეზეც შესაძლებელია.

#### 7.4. პროფესიული, არაუმადლეი განათლება, როგორც მნიშვნელოვანი მიმართულება საქართველოს რეგიონების განვითარებისთვის


პროფესიული არაუმადლეი განათლების სტატიუსტიკური შესწავლა 2009 წლის შემდეგ აღარ ხორციელდებოდა, რამაც გამოიწვია მონაცემების წყვეტა 2013 წლამდე.

რაც შეეხება პროფესიული განათლების პროგრამებს, 2019 წლის ბოლოსათვის ფუნქციონირებდა 105 დაწესებულება, რომელთაგან 7 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაა, 36 - პროფესიული კოლეჯი, 41 - საზოგადოებრივი კოლეჯი, 21 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. აღნიშნული დაწესებულებები განახორციელებენ სწავლების 5 საფეხურს. არსობრივი სხვაობა საზოგადოებრივ და პროფესიულ კოლეჯს შორის შემდეგია:

**საზოგადოებრივი კოლეჯი** – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად ახორციელებს მოსამზადებელ ზოგადსაგანმანათლებლო ან/და ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამებს, ასევე უფლებამოსილია განახორციელოს ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; ხოლო

**პროფესიული კოლეჯი** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც ახორციელებს მხოლოდ პირველი სამი საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2019 წლის ბოლოსათვის, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 11.6 ათასი სტუდენტი (აქედან 5510 ქალია და 6019 კაცი), ხოლო ამავე წელს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტით სწავლა დაასრულა 10 928 კურსდამთავრებულმა (აქედან 5448 ქალია და 5480 კაცი).



წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ცხრილი 5

**პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით (ერთეული)**

	საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა		მასწავლებლების რიცხოვნობა	
	კერძო	საჯარო	ქალი	კაცი
<b>2019</b>				
თბილისი	35	13	1 721	824
აჭარა	9	6	469	243
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა-მთიანეთი	-	4	126	68
კახეთი	3	3	158	59
იმერეთი	6	6	393	201
სამეგრელო-ზემო სვანეთი	2	4	202	82
სამცხე-ჯავახეთი	2	2	91	33
ქვემო ქართლი	3	1	99	20
შიდა ქართლი	2	4	172	48
<b>საქართველო</b>	<b>62</b>	<b>43</b>	<b>3 431</b>	<b>1 578</b>

2015				
თბილისი	60	12	1 503	678
აჭარა	4	5	228	123
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	3	5	164	74
იმერეთი	13	3	213	149
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8	4	124	51
სამცხე-ჯავახეთი	5	2	152	51
ქვემო ქართლი	6	1	102	33
შიდა ქართლი	6	3	110	38
<b>საქართველო</b>	<b>105</b>	<b>35</b>	<b>2 596</b>	<b>1 197</b>
2013				
თბილისი	39	10	744	313
აჭარა	5	5	130	64
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	4	3	89	45
იმერეთი	8	2	200	105
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5	4	112	50
სამცხე-ჯავახეთი	3	2	52	22
ქვემო ქართლი	5	1	60	23
შიდა ქართლი	6	2	93	24
<b>საქართველო</b>	<b>75</b>	<b>29</b>	<b>1 480</b>	<b>646</b>

წყარო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

როგორც ცხრილიდან ჩანს, რეგიონების მიხედვით დაწესებულებების რაოდენობა, წლების შესაბამისად, განსხვავებულია საკუთრების სახეების მიხედვით. აუცილებელია რეგიონებში გაფართოვდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელი, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების პრობლემების მოგვარებას რეგიონის დონეზე.

## ცხრილი 6

### პროფესიული განათლების მაჩვენებლები რეგიონების მიხედვით (ერთეული)

	ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა		კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა	
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი
2019				
თბილისი	2 967	2 404	2 529	1 912
აჭარა	1 004	1 819	1 033	1 422
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/მცხეთა-მთიანეთი	155	221	184	228
კახეთი	231	272	365	369

იმერეთი	303	505	390	837
სამეგრელო - ზემო სვანეთი	384	404	332	243
სამცხე-ჯავახეთი	130	230	233	226
ქვემო ქართლი	145	43	168	84
შიდა ქართლი	191	121	214	159
<b>საქართველო</b>	<b>5 510</b>	<b>6 019</b>	<b>5 448</b>	<b>5 480</b>
<b>2015</b>				
თბილისი	4 211	3 964	2 694	2 302
აჭარა	753	1 252	706	1 008
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	656	752	639	723
იმერეთი	553	1 200	411	690
სამეგრელო - ზემო სვანეთი	668	572	665	522
სამცხე-ჯავახეთი	433	357	311	206
ქვემო ქართლი	379	363	243	228
შიდა ქართლი	382	278	208	172
<b>საქართველო</b>	<b>8 035</b>	<b>8 738</b>	<b>5 877</b>	<b>5 851</b>
<b>2013</b>				
თბილისი	4 297	4 811	2 275	2 293
აჭარა	1 935	2 240	923	1 118
გურია/რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი/კახეთი	649	881	261	454
იმერეთი	955	1 364	625	665
სამეგრელო - ზემო სვანეთი	885	755	499	432
სამცხე-ჯავახეთი	457	285	59	74
ქვემო ქართლი	480	395	414	460
შიდა ქართლი	377	279	125	113
<b>საქართველო</b>	<b>10 035</b>	<b>11 010</b>	<b>5 181</b>	<b>5 609</b>

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ შემცირებულია ჩარიცხული სტუდენტების რიცხოვნობა ცალკეული რეგიონების მიხედვით, რაც ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ მნიშვნელოვანი ღონისძიებების გატარებას მოითხოვს.

2014-2018 წლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოღვაწე პროფესიული პროგრამების დანერგვას გულისხმობს. მოღვაწე მიღმომის თანახმად როგორც პროგრამის შემუშავება, ასევე უშუალოდ სწავლება, ეფუძნება თემებს (ამდენად, ერთი თემა შესაძლოა რამდენიმე საგნის კომბინაციასაც კი წარმოადგენდეს). მოღვაწე პროგრამებში აქცენტები კეთდება არა მხოლოდ პროფესიული (ხელობის, პროფესიის შესწავლა), არამედ საბაზო (წიგნიერება, მათემატიკური უნარები და სხვ.) და საკვანძო (მეწარმეობა, უცხო ენაზე კომუნიკაცია, კომპიუტერული/ციფრული კომპეტენციები და სხვ.) უნარების განვითარებაზეც. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტირება, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები მოღვაწე პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია. მოღვაწე მიღმომით პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია შეიქმნა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მხარდაჭერით. პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ დამსაქმებლები, დარგობრივი ასოციაციების/კავშირების წარმომადგენლები. ეტაპობრივად დაიხვეწა ჩარჩო დოკუმენტების (საგანმანათლებლო სტანდარტები) შემუშავების პროცესიც და იგი მოიცავს ისეთი სამუშაოების შესრულებას, როგორცაა: განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCED) შესაბამისი სწავ-

ლის სფეროსა და აღმწერის იდენტიფიცირება, დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) პროფესიების იდენტიფიცირება, საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში - ეკონომიკური საქმიანობის სახეები - სფეროს შესაბამისი პოზიციების იდენტიფიცირება, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რაც ნიშნავს არანაკლებ სამი ქვეყნის (ამათგან ორი ევროკავშირის წევრი ქვეყნები) მაგალითზე ინფორმაციის მოძიებას კვალიფიკაციის დონის, ჩარჩო დოკუმენტის/მოღულის სავარაუდო შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ. სწორედ აღნიშნული ეტაპების გავლის გზით განახლდა 200-მდე პროფესიული სტანდარტი და დამტკიცდა და დაინერგა 110 მოღულოური პროგრამა. 2018 წლის მდგომარეობით, სისტემაში დანერგილი პროგრამების 70% მოღულოურია.

## 7.5. უმაღლესი განათლება საქართველოს რეგიონების მიხედვით - განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის V-VIII საფეხურები

### საქართველოში უმაღლესი განათლების ძირითადი მიზნებია:

- ა) ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება, რომლებიც აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის;
- ბ) პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნისათვის დაკმაყოფილება;
- გ) პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და სგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, სტუდენტთა და ფართო საზოგადოების მოთხოვნათა შესაბამისი მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება და ინტერესებული პირებისათვის;
- დ) სახელმწიფოს განვითარებისა და საკუთრივ უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება;
- ე) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.

**საქართველოში უმაღლესი განათლება სამი საფეხურისგან შედგება:** ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთი სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. სწავლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატი) საგანმანათლებლო პროგრამა შედგება არანაკლებ 240 კრედიტისგან. უმაღლესი განათლების პირველი საფეხური შეიძლება მოიცავდეს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ბაკალავრიატში სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს. მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს. მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების პროგრამა არის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მთავრდება დიპლომირებული მედიკოსის/ სტომატოლოგის აკადემიური ხარისხის მინიჭებით. დიპლომირებული მედიკოსის 360-კრედიტიანი ან დიპლომირებული სტომატოლოგის 300-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის

გავლის შედეგად მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან. სწავლების მესამე საფეხური (დოქტორანტურა) შედგება არანაკლებ 180 კრედიტიდან. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლის შემთხვევაში მიანიჭოს სტუდენტს შუალედური კვალიფიკაცია. შუალედური კვალიფიკაციის მინიჭება დასაშვებია შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილის გავლისთვის დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რომელიც არ შეიძლება იყოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ნახევარზე ნაკლები.

### **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები:**

საქართველოში მოქმედებს სამი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება:

**უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს სამივე საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს და სამეცნიერო კვლევებს.

**სასწავლო უნივერსიტეტი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის – საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს.

**კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვება და შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით, ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში.

ავტორიზაცია არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვების პროცედურა, რომლის მიზანია სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გასაცემად შესაბამისი საქმიანობის განხორციელებასათვის აუცილებელი სტანდარტების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა. ავტორიზაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით დადგენილი წესით. სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და/ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.

### **უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღება:**

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. მართლმადიდებლურ საღვთისმეტყველო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ წარდგენილი წინადადების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ერთიანი ეროვნული გამოცდების ცალკეული სავსის შედეგის საფუძველზე. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც უზრუნველყოფს ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გა-

მოცდების ჩატარებას, უფლებამოსილია განახორციელოს ეროვნული შეფასებები და საერთაშორისო კვლევები, ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ ხელი შეუწყო მრავალი კერძო, ფასიანი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას, თუმცა დროთა განმავლობაში ეს პროცესები დარეგულირდა კანონმდებლობით და 2019–2020 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანაში ფუნქციონირებდა 19 სახელმწიფო და 43 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

სტუდენტთა რიცხოვნობამ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2019–2020 სასწავლო წელს ბაკალავრიატის პროგრამებზე 72 938 სტუდენტი შეადგინა, მაგისტრატურაში ან რეზიდენტურაში - 20 026 და პროფესიულ პროგრამებზე - 2571. იგივე მაჩვენებელმა კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეადგინა, შესაბამისად, 38 929, 13 899 და 440 სტუდენტი.

2019–2020 სასწავლო წელს, 2011/2012 სასწავლო წელთან შედარებით, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა რიცხოვნობა 2.2-ჯერ გაიზარდა, ხოლო სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - 35.0%-ით. აღნიშნულ პერიოდში თითქმის 8-ჯერ გაიზარდა უცხოელ სტუდენტთა რიცხოვნობა. უცხოელი სტუდენტების უმეტესობა სწავლობს ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებზე (71.0%), ხოლო 22.0% - სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის პროგრამებზე.

მნიშვნელოვანი მაჩვენებელია კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რამდენადაც სტუდენტების გარკვეული ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით იჩერებს სტატუსს, რომელიც კანონით 5 წლითაა შესაძლებელი. კურსდამთავრებულთა რაოდენობა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, სტუდენტების საერთო რიცხოვნობის შესაბამისად იზრდება.

რაც შეეხება სადოქტორო პროგრამებს, 2019 წლის მონაცემებით, 2011 წელთან შედარებით, მათი რიცხოვნობა შემცირებულია 7.0 %-ით. სადოქტორო პროგრამებიდან ყველაზე რეიტინგულ მიმართულებებს წარმოადგენს: სოციალური მეცნიერებების, ბიზნესისა და სამართლის სფეროები, ხოლო ყველაზე ნაკლებად მოთხოვნადია სოფლის მეურნეობა.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილმა ხარჯებმა შეადგინა მთლიანი ხარჯების 12.7%, ნაცვლად 2007 წლის 7.5%-ისა. აგრეთვე, 2019 წელს მშპ-ში განათლების ხვედრითი წილი 4.5% იყო, ნაცვლად 2007 წლის 3.1%-ისა. ამასთან, საქართველოს მოსახლეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა საშუალო-იუორმა ხარჯებმა მთლიან სამომხმარებლო ხარჯებში 2018 წელს შეადგინა 4.5 %, ნაცვლად 2012 წლის 4.3 %-ისა.

**სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები მთლიან შიდა პროდუქტში შემდგენაირად გაიანგარიშება:**

$$XGNI = \frac{PXE_t}{GNI_t} * 100, \text{ სადაც}$$

XGNI განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ბიუჯეტის წილი t ფინანსურ წელს;

PXE<sub>t</sub> სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები t ფინანსურ წელს;

GNI<sub>t</sub> მთლიანი შიდა პროდუქტი t ფინანსურ წელს.

2019 წლის მონაცემებით, მშპ-მ მიმდინარე ფასებში შეადგინა 43319.6 მლნ ლარი, მათ შორის განათლების 1953.2 მლნ ლარი, აქედან გამოძინარე, განათლების წილი შეადგენს 4.5%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების წილი მთლიან ხარჯებში:



$$PXE_t = * \frac{PXE_t}{TPX_t} 100, \text{ საღაც}$$

$PXE_t$  განათლებაზე გაწეული სახელმწიფო ხარჯების წილი მთლიან სახელმწიფო ხარჯებში  $t$  ფინანსურ წელს;

$PXE_t$  სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გაწეული ხარჯები  $t$  ფინანსურ წელს;

$TPX_t$  მთლიანი სახელმწიფო ხარჯები  $t$  ფინანსურ წელს.

შესაბამისად გაიანგარიშება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან განათლებაზე გამოყოფილი ხარჯების შეფარდებით მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებთან, გამოხატული პროცენტებში.

რაც შეეხება საშუალოთვიურ ხარჯებს, ერთი შინამეურნეობის მიერ განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა 2018 წელს, სამომხმარებლო ფულადი ხარჯების 3,1% (25,2 ლარი) შეადგინა. აღნიშნული მაჩვენებელი 2012-2018 წლებში 3,6%-დან 3,3%-მდე მერყეობს. თუ გავანალიზებთ ინდიკატორს შინამეურნეობის ერთ სულზე ქალაქისა და სოფლის ჭრილით, 2018 წელს ქალაქად განათლებაზე გაწეულმა ხარჯმა სამომხმარებლო ფულადი

ხარჯების 4,2% (10,5 ლარი) და სოფლად 1,1% (2,2 ლარი) შეადგინა.

ამჯერად შემცირებულია კერძო უმაღლესი დაწესებულებების ხვედრითი წილი. საქართველოში, ამ ტიპის დაწესებულებებზე მოდის სტუდენტთა საერთო რაოდენობის 29,3%. 2000/2001 სასწავლო წელს საქართველოს სტატისტიკის ორგანოების მიერ აღრიცხული იყო 26 დამოუკიდებელი სახელმწიფო, 14 მათთან არსებული ფილიალი და 146 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2000 წლის 1 ოქტომბრისათვის ლიცენზირებული იყო 301 კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. 2013/2014 წლებში კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რაოდენობა შემცირდა 68,2%-ით 2006/2007 წლებთან შედარებით.

საქართველოში კურსდამთავრებულთა რაოდენობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დაფიქსირდა 2007/2008 წლებში. ყველაზე მცირე რაოდენობა კი ფიქსირდება სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში - 2009/2010 წლებში, კერძოში კი - 2012/2013 წლებში.

სადოქტორო პროგრამებიდან ყველაზე რეიტინგულ მიმართულებებს წარმოადგენს: სოციალური მეცნიერებების, ბიზნისისა და სამართლის სფეროები, ხოლო ნაკლებად მოთხოვნადია სოფლის მეურნეობა.

ჩვენ მიერ მიღებული განათლება პირდაპირ არის დამოკიდებული შრომის ბაზარზე სამუშაო ადგილის დაკავებაზე. შრომის ბაზარი საბაზრო ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მისი ძირითადი ფუნქციაა წარმოებისა და მომსახურების სფეროების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ისე მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება. შრომის ბაზრის ფუნქციონირება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. ეს ფაქტორები განსხვავებული ხასიათისაა (დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული, ინსტიტუციონალური) და შრომის ბაზარზე მათი გადაკვეთით, გარკვეულწილად, ფოკუსირდება ქვეყანაში არსებული ვითარება.

მოსახლეობის წიგნიერება (Adult Literacy or Illiteracy Rate) განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც ასე გაიანგარიშება:

$$LIT_{15+}^t = \frac{L_{15+}^t}{P_{15+}^t} * 100$$

$LIT_{15+}^t$  მოზრდილი მოსახლეობის (15+) წიგნიერების დონე  $t$  წელს;

$L_{15+}^t$  მოზრდილი წიგნიერი მოსახლეობა (15+) t წელს;

$P_{15+}^t$  მოზრდილი მოსახლეობა (15+) t წელს.

კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმებისა და შემოსავლების შესახებ მონაცემების მოპოვება და გავრცელება არ ხორციელდება არცერთი უწყების მიერ და ეს კიდეც უფრო ართულებს შეფასებების გაკეთების შესაძლებლობებს.

ცხრილი 7

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა რეგიონების მიხედვით  
(ერთეული)**

	სახელმწიფო		კერძო	
	2007/2008	2019/2020	2007/2008	2019/2020
<b>საქართველო</b>	<b>19</b>	<b>19</b>	<b>137</b>	<b>43</b>
ქ. თბილისი	9	8	101	29
აფხაზეთის ა. რ. *	2	1	5	-
აჭარის ა. რ.	2	3	5	6
გურია	-	-	1	-
იმერეთი	1	2	10	2
კახეთი	2	1	1	2
მცხეთა-მთიანეთი	-	-	1	1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-	-	-	1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	1	2	1
სამცხე-ჯავახეთი	1	1	2	1
ქვემო ქართლი	-	-	5	-
შიდა ქართლი	1	2	4	-

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელი თითქმის 15 წლის მანძილზე, მნიშვნელოვნად შემცირდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა. უნივერსიტეტების უმრავლესობა კი კვლავ ქ. თბილისშია თავმოყრილი.

გენდერული პარიტეტის ინდექსი (GENDER PARITY INDEX), იუნესკოს სტატისტიკის მნიშვნელოვანი ინდიკატორია, რომელიც გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$GPI_i^t = \frac{F_i^t}{M_i^t}$$


$GPI_i^t$  გენდერული პარიტეტის ინდექსი i ინდიკატორი t წელს;

$F_i^t$  ქალების რიცხვონობა i ინდიკატორი t წელს;

$M_i^t$  მამაკაცების რიცხვონობა i ინდიკატორი t წელს.

2019 წლის მონაცემებით, საქართველოს გენდერული პარიტეტის ინდექსი შეადგენს 1.03, ანუ ეს არის უმაღლეს სა-  
განმანათლებლო დაწესებულებებში ქალი სტუდენტების რიცხოვნობის (75 365) შეფარდება კაცი სტუდენტების (73 438)  
რიცხოვნობაზე.

უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში დაინერგა მონაცემთა გავრცელების  
ახალი სახე: ინფორმაციები და ვიდეო რგოლები, რომელიც სტატისტიკური ინფორმაციით დაინტერესებული მომხმარებლე-  
ბისთვის უფრო ადვილად აღსაქმელია. ინფორმაციაზე წარმოდგენილი მონაცემები უნდა იყოს მარტივი და შესაბამისი დასუ-  
რებით (აიკონებით), რომელიც მონაცემების მომენტალური აღქმის საშუალებას იძლევა. ქვემოთ წარმოდგენილია საქარ-  
თველოში განათლების მდგომარეობის ამსახველი ინფორმაციების გარკვეული რაოდენობა:





# პროფესიული განათლება 2019 წელი



დანესებულებები  
**სახელმწიფო 43**  
**კერძო 62**



ჩარიცხულია  
**11 529** სტუდენტი



ქალი - 48%  
მაგაპაცი - 52%

ჩარიცხული სტუდენტების განაწილება ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, %

კურსდამთავრებულთა რიცხოვნობა ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, %



კურსდამთავრებულები



**10 928**

ქალი - 50%

მაგაპაცი - 50%



კუდაგოგიური  
კერძონალი

კერძო

ქალი - 75.5%

მაგაპაცი - 24.5%

სახელმწიფო

ქალი - 62.2%

მაგაპაცი - 37.8%

03.02.2020 WWW.GEOSTAT.GE info@geostat.ge



**გოგადსაგანმანათლებლო  
დანეშეებულებების  
სტატისტიკური მონაცემები**  
2019/2020 სასწავლო წლის  
დასაწყისისთვის



გოგადსაგანმანათლებლო  
დანეშეებულებების  
რაოდენობა - **2 313**  
საჯარო - 2086  
კერძო - 227



**მოსწავლეები საჯარო  
გოგადსაგანმანათლებლო  
დანეშეებულებებში - 530.1 ათასი**

გოგო - 255.2 ათასი (48 %)  
ბიჭი - 274.9 ათასი (52 %)

**მოსწავლეები კერძო  
გოგადსაგანმანათლებლო  
დანეშეებულებებში - 62.8 ათასი**

გოგო - 28.5 ათასი (45 %)  
ბიჭი - 34.3 ათასი (55 %)



**დაამთავრა სკოლა - 86 482 მოსწავლე**

<b>საბაგო განათლება</b>	<b>საშუალო განათლება</b>
გოგო - 22 770 (48%) ბიჭი - 25 107 (52%)	გოგო - 18 793 (49%) ბიჭი - 19 812 (51%)



**კედაგოგების რიცხოვნობა**

**63 780**

**ჯალი - 55 376**  
87%

**კაცი - 8 404**  
13%



# საჯარო სკოლაგდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები 2019-2020



## სკოლაგდელი დაწესებულებების რაოდენობა



## აღსაზრდელების რაოდენობა



2019/2020 **164 605**  
2018/2019 **161 848**

## აღსაზრდელების განაწილება რეგიონების მიხედვით (%)

თბილისი	61.0
იმერეთი	22.5
კახეთი	13.5
სამეგრელო ზავთ-სვანეთი	12.8
ქვემო ქართლი	14.7



## აღზრდელების კვალიფიკაციების რაოდენობა



02.12.2019  
WWW.GEOSTAT.GE  
info@geostat.ge

საშუალოდ 1 დაწესებულებაზე მოდის 102 აღსაზრდელი

განვითარებული ქვეყნები რეგულარულად ახორციელებენ მონაცემების შეგროვებას კურსდამთავრებულთა რაოდენობისა და მათი დასაქმების მაჩვენებლების გაანალიზების მიზნით. ქვემოთ მოვიყვანოთ რამდენიმე ქვეყნის მაგალითი,<sup>1</sup> თუ როგორია საერთაშორისო გამოცდილება ამ მიმართულებით.

**გაერთიანებულ სამეფოში** მოთხოვნა-მიწოდების ტენდენციების კონტროლი მრავალი წლის განმავლობაში სისტემატურად ხორციელდება და გულისხმობს, მაგალითად, უმაღლესი განათლების სისტემის კურსდამთავრებულთა გამოკითხვას - Destination of Leavers from HE survey (უმაღლეს სწავლებელში სწავლის დასრულებიდან 6 თვის და 35 თვის შემდეგ), დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევას უმაღლესი განათლებისადმი - National Employer Skills survey and Employer Perspective Survey. კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკის შეგროვებაზე ოფიციალურად პასუხისმგებელია უმაღლესი განათლების სტატისტიკის სააგენტო (HESA). რადგან ბრიტანეთში სამუშაო ბაზარი მეტ-ნაკლებად ინდეფერენტულია აპლიკანტის სპეციალიზაციის მიმართ (ეს მახასიათებელი განსხვავებს დიდ ბრიტანეთს ევროპის ბევრი სხვა ქვეყნიდან, სადაც სწავლის მიმართულება უფრო მკაფიო კავშირშია სამუშაო ბაზართან), HESA-ს კვლევებში ერთმანეთისგანა გამიჯნული სწავლის მიმართულებასთან უშუალოდ დაკავშირებული კომპეტენციები და ზოგადი კომპეტენციები.

**საფრანგეთში** მოთხოვნა-მიწოდების კონტროლის ფუნქციას ახორციელებს კვალიფიკაციების კვლევის ცენტრი Centre d'études et de recherches sur les qualifications (CEREQ), რომელიც სახელმწიფო და რეგიონულ დეპარტამენტებს აწვდის ინფორმაციას დასაქმების ტენდენციების შესახებ ყველა დონისა და ყველა ტიპის პროგრამისათვის. ცენტრის ანგარიშები უმაღლესი განათლების სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ ანგარიშებით, მაგალითად, ინტენსიურად სარგებლობს ეროვნული შეფასების სააგენტო საუნივერსიტეტო პროგრამების აკრედიტაციისთვის AERES, the national evaluation agency for accrediting university programmes.

**შვედეთში** უმაღლესი განათლების ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად აქვეყნებს ანგარიშს ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ. წლიური ანგარიშები რეგულარულად იბეჭდება 2003 წლის შემდეგ და შეიცავს ინფორმაციას დასაქმებულ კურსდამთავრებულთა წილის შესახებ (სწავლის დასრულებიდან 12-18 თვის შემდეგ). მოსახლეობის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძებელია სამუშაო ბაზრის ტენდენციების ლეტალური აღწერა და კურსდამთავრებულთა კლასიფიკაცია ოთხ კატეგორიაში დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით. ამგვარი კლასიფიკაცია შესაძლებლობას იძლევა ერთმანეთს შევადაროთ სხვადასხვა უნივერსიტეტი და პროგრამა.

**ფინეთში** ოფიციალური სტატისტიკა მოთხოვნა-მიწოდების ბალანსის შესახებ გროვდება განათლების სამინისტროს, სტატისტიკის სააგენტოსა და კერძო კომპანიების მიერ. რეგიონების დონეზე სტატისტიკას აგროვებენ რეგიონალური დეპარტამენტები. სხვადასხვა წყაროებიდან შეგროვებული ინფორმაცია გამოიყენება პოლიტიკის რეგიონული ქსელების მიერ, რომლებშიც ჩართულნი არიან რეგიონის მმართველობის წარმომადგენლები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, დამსაქმებელთა ასოციაციები და დიდი ბიზნესკომპანიები.

ყველა მშობლის მიზანია შვილს კარგი განათლება მისცეს, რათა ის მომავალში წარმატებულად ადამიანად იქცეს. განათლებული საზოგადოების ყოლა, ერთ-ერთი მთავარი მიზანია ნებისმიერი ქვეყნისთვისაც, ვინაიდან ადამიანური რესურსები წარმოადგენს ქვეყნის მწარმოებლურობის და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის განმაპირობებელ ერთ-ერთ ლეტერმინანტს. თუმცა, როგორ მივცეთ საზოგადოებას კარგი განათლება და რა სისტემას უნდა დაეყრდნოს ქვეყანა, კვლავაც რჩება დავისა და განხილვის საგნად. ფაქტია, რომ მიმდინარე ტექნოლოგიური ცვლილებებისა და გლობალიზაციის პირობებში, განათლების სისტემა, რომელიც ამართლებდა 50 წლის წინათ, დღეს აღარ ამართლებს.

განათლების შესახებ გლობალური ანგარიშის მიხედვით, მსოფლიოში განათლების ყველაზე კარგი სისტემა სამხრეთ კორეას აქვს. ასევე, აღსანიშნავია ფინეთიც, რომელიც იგივე რეიტინგში პირველ ადგილს იკავებდა 2012 წლის მდგომარეობით.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ბრეკვაძე თ. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2013, გვ. 18.

რას გულისხმობს ფინეთის ან სამხრეთ კორეის განათლების სისტემები და რით განსხვავდება ისინი ტრადიციული საგანმანათლებლო სისტემებისგან?

**სამხრეთ კორეამ** წიგნიერების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ქვეყანაში წიგნიერების დონე 100%-ია. მოსწავლეების 93% სკოლას მოცემულ ვადაში ამთავრებს. მოსახლეობის 68% ფლობს ბაკალავრის ხარისხს 25-34 წლის ასაკში, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელია OECD წევრ ქვეყნებს შორის. კორეის სამუშაო ძალა კი ერთ-ერთი ყველაზე განათლებული და მაღალი უნარების მქონეა მსოფლიოში.

სამხრეთ კორეული სწავლების მოდელი მოსწავლეებისგან დიდ ნებისყოფას, მძიმე შრომასა და თავდადებას მოითხოვს. ბავშვები მთელი წლის განმავლობაში სწავლობენ როგორც სკოლის კედლებში, ასევე მის გარეთ: კერძო რეპეტიტორებთან. მშობლები აღნიშნავენ, რომ მათი ყოველწლიური ხარჯების ერთი მესამედი შვილების განათლებაზე მოდის. ბავშვებს ტრადიციულად სწამთ, რომ გრძელვადიანი ბედნიერებისთვის, მოკლევადიანი უბედურების პერიოდები უნდა განვლონ. აქ პიროვნების მიღწევები განათლებაში, მის სოციო-ეკონომიკურ სტატუსს განაპირობებს. ბავშვების მთელი გარემომცველი სამყარო თავიდანვე ქმნის იმის მოლოდინს, რომ ბავშვმა უნდა ისწავლოს კარგად, რაც შემდგომში წარმოადგენს ძირითად მოტივს მოსწავლეებისთვის, მიაღწიონ მეტს და იშრომონ მეტი.

ბევრი პოლიტიკოსი აქებს კორეულ სისტემას და განიხილავს საკუთარი ქვეყნის კურიკულუმის კორეული სისტემისადმი მისადაგებას, თუმცა, ამასთანავე, მეცნიერები დავობენ, რომ მიუხედავად სისტემის წარმატებისა საერთაშორისო რეიტინგებში, წარმატება მიიღწევა ბავშვების სტრესის ხარჯზე და აღნიშნული მოდელის გამეორება არ შეიძლება.

**ფინური** სასწავლო მოდელის მიხედვით, მთავარია სწავლა და არა სწავლება. შესაბამისად, მოსწავლეები შედარებით მოკლე სასწავლო საათებს ატარებენ საკლასო ოთახებში, დროის ძირითადი ნაწილი კი არასაკლასო სამუშაოებს ეთმობა. ფინელებს სჯერათ, რომ ცოდნის ყველაზე დიდი ნაწილი სასწავლო კედლებს გარეთ მიიღება. უმაღლეს კლასებში საგნების მესამედი არჩევითია და მოსწავლეები თავად წყვეტენ არა მარტო იმას, თუ რომელი საგნები ისწავლონ, არამედ იმასაც, თუ რომელი გამოცდები ჩააბარონ. ფინელი მასწავლებლები არ არიან ვალდებული დაემორჩილონ წინასწარ განსაზღვრულ რეგულაციებს; მათ აქვთ უფლება შეიმუშაონ საკუთარი ინოვაციური სასწავლო გეგმა და ჩაატარონ ექსპერიმენტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფინეთში როგორც დაწყებითი, ასევე უმაღლესი კლასების მასწავლებლებს მოეთხოვებათ მაგისტრის ხარისხის ფლობა. მომავალ მასწავლებლებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საუკეთესო აკადემიური მოსწრება და მასწავლებლის სამუშაოს იღებს მხოლოდ კურსდამთავრებულების პირველი 10%. შესაბამისად, ფინეთში მასწავლებლები ღრმა პატივისცემითა და იგივე სტატუსით სარგებლობენ, რითაც ექიმები.

ფინური სისტემა ნაკლებად სტრესულია და გახსნილია სხვადასხვა ტიპის სწავლების მეთოდებისადმი. შედეგად, განსხვავება ყველაზე საუკეთესო აკადემიური მოსწრებისა და ყველაზე დაბალი მოსწრების მოსწავლეებს შორის მინიმალურია მსოფლიოს მასშტაბით. ისევე, როგორც სამხრეთ კორეაში, ფინეთშიც მაღალია სკოლადამთავრებულთა რიცხვი - ყოველწლიურად მოსწავლეთა საშუალოდ 93% ამთავრებს სკოლას.

ფინეთში მოსწავლეები სწავლას 7 წლის ასაკიდან იწყებენ და 16 წლის ასაკში ამთავრებენ საშუალო განათლების მიღებას. რასაც მოსდევს 3-წლიანი არასავალდებულო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა, ან პროფესიული სწავლება, რის შემდეგაც ისინი აბარებენ უნივერსიტეტებში ბაკალავრის ხარისხის დასაუფლებლად. შესაბამისად, მოსწავლეს მიღებული გაქვს გარკვეული პრაქტიკული უნარები მისთვის საინტერესო სფეროში და შეგნებულად იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა პროფესიის დაუფლება სურს ბაკალავრიატის საფეხურზე.

როგორც ვხედავთ, ეს ორი მოდელი სწავლების ორ ექსტრემალურ პოლუსს წარმოადგენს და სრულიად განსხვავებულია ერთმანეთისაგან. ის, თუ რომელი მათგანია უკეთესი და შეთავსებადი კონკრეტული ქვეყნისათვის, დიდადა დამოკიდებულია აღნიშნული ქვეყნის ტრადიციებსა და სოციალ-ეკონომიკურ პირობებზე.



მნიშვნელოვანია ის, თუ მიღწეული განათლება როგორ გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ანუ გამოვიკვლიოთ ფუნქციონალური განათლება. ამ მისიის შესრულება იმ შეზღუდვების გათვალისწინებით, რომლებიც ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, მთავარი გამოწვევაა დღეს.

ამ მიმართულებით საინტერესოა შემდეგი სტატისტიკური კვლევების ჩატარება:

- ✓ ცალკეული პროგრამების მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების (მუშაობის დაწყების) ხვედრი წილი;
- ✓ კურსდამთავრებულთა მიერ მუშაობის დაწყება მიღებული პროფესიის მიხედვით;
- ✓ ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლების შედარება მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან და სხვ.

დღეისათვის შეუძლებელია დასაბუთებული მტკიცება, თუ როგორია საქართველოში კურსდამთავრებულთა აქტიურობის დონე პროფესიული დასაქმების სფეროში. მაგრამ შესაძლებელია მომდევნო ნაბიჯები გადაიდგას სპეციალიზებული კვლევის ჩასატარებლად და შესაბამისი შეფასებების გასაკეთებლად. ეს კი საშუალებას მოგვცემს განხორციელოთ ისეთი მნიშვნელოვანი ანალიზი, როგორცაა უმაღლესი განათლების როლი კურსდამთავრებულთა პროფესიული დასაქმების სფეროში.

## 7.6. ტესტები

1. მდგრადი განვითარების რომელი მიზანი ეხება განათლების სფეროს?  
ა) პირველი მიზანი; ბ) მეხუთე მიზანი; გ) მეცხრე მიზანი; დ) მეოთხე მიზანი.
2. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ არის დამტკიცებული განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი?  
ა) გაეროს ქალთა ორგანიზაცია; ბ) შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია;  
გ) იუნესკო; დ) ევროსტატი.
3. რამდენ საფეხურს მოიცავს განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ISCED 2011?  
ა) 6 საფეხური; ბ) 5 საფეხური; გ) 8 საფეხური; დ) 4 საფეხური.
4. რამდენ საფეხურს მოიცავს უმაღლესი განათლება, განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ISCED 2011 მიხედვით?  
ა) 6 საფეხური; ბ) 5 საფეხური; გ) 8 საფეხური დ) 4 საფეხური.
5. საქართველოს კანონმდებლობით, რამდენი კლასი არის განსაზღვრული, როგორც სავალდებულო განათლება?  
ა) 6 კლასი; ბ) 4 კლასი; გ) 9 კლასი; დ) 12 კლასი.
6. საქართველოს კანონმდებლობით, რამდენი სახის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა განსაზღვრული:  
ა) უნივერსიტეტი; ბ) სასწავლო უნივერსიტეტი;  
გ) კოლეჯი; დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
7. განათლების სტატისტიკა სწავლობს:  
ა) განათლების სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემას;  
ბ) განათლების სტატისტიკის მიზანს და ამოცანებს;  
გ) განათლების სტატისტიკის მონაცემთა გავრცელების მეთოდებს;  
დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
8. განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ISCED 2011 მიხედვით 1-4 საფეხურის შესწავლა ხდება:  
ა) მხოლოდ ქვეყნის მიხედვით; ბ) რეგიონულ ჭრილში;  
გ) მუნიციპალიტეტის დონეზე; დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.

**9. დაწყებით განათლებაში მოსწავლეთა ჩაბმის მთლიანი მაჩვენებელი იანგარიშება:**

- ა) 1-6 კლასის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან, გამოსახული პროცენტებში;
- ბ) 1-6 კლასში 6-12 წლის ასაკის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან, პროცენტებში;
- გ) 1-6 კლასის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**10. დაწყებით განათლებაში მოსწავლეთა ჩაბმის წმინდა მაჩვენებელი იანგარიშება:**

- ა) 1-6 კლასის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან, გამოსახული პროცენტებში;
- ბ) 1-6 კლასში 6-12 წლის ასაკის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით 6-12 წლის ასაკის მოსახლეობასთან, გამოსახული პროცენტებში;
- გ) 1-6 კლასის მოსწავლეთა რიცხოვნობის ფარდობით შესაბამისი ასაკის მოსახლეობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**11. განათლების სტატისტიკას აწარმოებს:**

- ა) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;
- ბ) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო;
- გ) ა) და ბ);
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**12. მოსწავლეთა/სტუდენტთა საშუალო რიცხოვნობა იანგარიშება:**

- ა) საშუალო არითმეტიკულით;
- ბ) საშუალო გეომეტრიულით;
- გ) საშუალო ქრონოლოგიური;
- დ) საშუალო ჰარმონიული.

**13. საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა სტატისტიკური მონაცემების კონფიდენციალობის დაცვას უზრუნველყოფს:**

- ა) საქართველოს კანონი ოფიციალური სტატისტიკის შესახებ;
- ბ) საქართველოს კანონი საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ;
- გ) საქართველოს შრომის კოდექსი;
- დ) საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

**14. განათლების სისტემა მოიცავს:**

- ა) სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საშუალო პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს;

- ბ) მხოლოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვთა საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებს;
- გ) საშუალო და უმაღლესი პროფესიული განათლების სასწავლო დაწესებულებებს;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 15. განათლების სტატისტიკის ფარდობითი მაჩვენებლები გაიანგარიშება:**
- ა) 1000 მაცხოვრებელზე;                      ბ) 10000 მაცხოვრებელზე;
- გ) 100 მაცხოვრებელზე;                      დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- 16. განათლების სტატისტიკის კრებისთი მაჩვენებელია:**
- ა) 15-64 წლის მოსახლეობის წიგნიერების დონე;
- ბ) 15-24 წლის მოსახლეობის წიგნიერების დონე;
- გ) მოსახლეობის წიგნიერების დონე;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 17. განათლების სტატისტიკის ეფექტიანობის მაჩვენებელია:**
- ა) კურსდამთავრებულთა რიცხვნობა საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან;
- ბ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში მიღებულ/ჩარიცხულ მოსწავლეთა/სტუდენტთა რიცხვნობა;
- გ) საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა რიცხვნობა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 18. განათლების სტატისტიკის ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს:**
- ა) მოსახლეობის აღწერა;                      ბ) მიმდინარე აღრიცხვა;
- გ) შინამეურნეობების გამოკვლევა;                      დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი.
- 19. უმაღლესი განათლების სტუდენტთა რიცხვნობის მაჩვენებლების დამუშავება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით:**
- ა) განსაზღვრულია საქართველოს კანონით ოფიციალური სტატისტიკის შესახებ;
- ბ) განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორით (ISCED 2011);
- გ) ა) და ბ);
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 20. ინდიკატორი - მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით - არის:**
- ა) ინდიკატორის „წიგნიერების დონე“ სინონიმი;
- ბ) მოსახლეობის მიერ მიღებული, დასრულებული განათლების საფეხური მოცემული პერიოდისთვის;
- გ) მხოლოდ უმაღლესი განათლების საფეხური;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.
- 21. მოსახლეობის განაწილება განათლების მიღწეული დონის მიხედვით არის:**
- ა) ინდიკატორის „წიგნიერების დონე“ სინონიმი;
- ბ) მოსახლეობის მიერ მიღებული, დასრულებული განათლების საფეხური

მოცემული პერიოდისთვის;

გ) მხოლოდ უმაღლესი განათლების საფეხური;

დ) არცერთი.

## 22. აღნიშნული ფორმულა არის

$$LIT_{15+}^t = \frac{L_{15+}^t}{P_{15+}^t} * 100$$

ა) მოსახლეობის მიერ მიღწეული განათლების დონის გაანგარიშების ფორმულა;

ბ) მოსახლეობის წიგნიერების დონის გაანგარიშების ფორმულა;

გ) სტუდენტების რიცხოვნობის წილის გაანგარიშების ფორმულა;

დ) არცერთი.

## 23. აღნიშნული ფორმულა არის

$$RR^t = \frac{R_{i+1}}{E_i^t}$$

ა) მოსწავლეთა რიცხოვნობის გაანგარიშების ფორმულა;

ბ) სკოლის დასრულების მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;

გ) განათლების ერთი საფეხურის დასრულების და შემდეგ საფეხურზე გადასვლის გაანგარიშების ფორმულა;

დ) არცერთი.

## 24. აღნიშნული ფორმულა არის

$$GPI_i^t = \frac{F_i^t}{M_i^t}$$

ა) ზოგადი განათლების მიღების მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;

ბ) მეორეწლიანების მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;

გ) გენდერული პარიტეტის ინდექსი;

დ) არცერთი.

## 25. აღნიშნული ფორმულა არის

$$NER_h^t = * \frac{E_{h,a}^t}{P_{h,a}^t} 100,$$

- ა) წმინდა ჩაბმის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;
- ბ) მთლიანი ჩაბმის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;
- გ) გენდერული პარიტეტის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**26. აღნიშნული ფორმულა არის**

$$GER^t_h = \frac{E^t_h}{P^t_{h,a}} * 100$$

- ა) წმინდა ჩაბმის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;
- ბ) მთლიანი ჩაბმის მაჩვენებლის გაანგარიშების ფორმულა;
- გ) სტუდენტების რიცხოვნობის წილის გაანგარიშების ფორმულა;
- დ) არცერთი.

## თემა 8. საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სტატისტიკა რეგიონების მიხედვით

### საღუჯიო საკითხები:

- 8.1. ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში
- 8.2. ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და საყოველთაო ჯანდაცვა, მისი გავლენა საქართველოს რეგიონებზე
- 8.3. ჯანდაცვის სტატისტიკის სტანდარტები და ინდიკატორები
- 8.4. ჯანდაცვის სტატისტიკური ანალიზი რეგიონულ კრილში
- 8.5. საქართველოს გამოწვევა COVID-19 პანდემიის პირობებში
- 8.6. ტესტები

### 8.1. ჯანდაცვის სისტემა თანამედროვე საქართველოში

ჯანმრთელობის კარგი მდგომარეობა მეტად მნიშვნელოვანია მოსახლეობის კეთილდღეობისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი ქვეყნების და, მათ შორის, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მთავარ მიზნებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ფინანსური რისკებისგან დაცვა, ფინანსური ტვირთის თანაბარი გადანაწილება, არსებული რესურსების ეფექტიანად გამოყენება და ჯანდაცვის საჭიროებებზე დროული რეაგირება წარმოადგენს. ბოლო ათწლეულის განმავლობაში, საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში არაერთი რეფორმა გატარდა. 2006 წლიდან მთავრობამ გაატარა ბაზარზე ორიენტირებული რეფორმები. სახელმწიფო დაფინანსება პრიორიტეტული გახდა მოსახლეობის მოწყვლადი (მიზნობრივი) ფენებისთვის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით. სახელმწიფო პროგრამებით სამედიცინო დაწესებულებების პირდაპირი დაფინანსება ჩანაცვალა სადაზღვეო და სამედიცინო ვაუჩერებით დაფინანსების მოდელმა. მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა სადაზღვეო პირობები და კომპანიების მონაწილეობის პირობები.

რეფორმის პირველ წლებში ვაუჩერის მფლობელი მოქალაქე თავად ირჩევდა სადაზღვეო კომპანიას და სადაზღვეო ვაუჩერის ღირებულებას, ანუ სადაზღვეო პრემიას ანაზღაურებდა სააგენტო. პრემიის გადახდა ხდებოდა სადაზღვეო პერიოდის დაწყებამდე, დაზღვევის შესახებ კანონის შესაბამისად. ერთი სახელმწიფო შემსყიდველის სისტემა შეცვალა კერძო სადაზღვეო კომპანიებზე დამყარებულმა სისტემამ. 2012 წლის ბოლოსთვის საქართველოს 1 200 000-მდე მოქალაქეს ჰქონდა სამედიცინო დაზღვევა, აქედან 850 000-მდე მოქალაქეს ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული სამედიცინო დაზღვევა. 2007 წელს დაიწყო ახალი ინიციატივა - ჰოსპიტალური სექტორის განვითარება. ჰოსპიტალური განვითარების გენერალური გეგმის ფარგლებში თითქმის მთლიანად განასხლდა სამედიცინო ინფრასტრუქტურა და მოხდა სამედიცინო სერვისის მომწოდებელთა უმეტესი ნაწილის განკერძოება, ნაწილის - სახელმწიფო კერძო პარტნიორობის მოდელით, და ნაწილის - პირდაპირი პრივატიზა-

ციის ფორმით. ამ წლებში სამედიცინო ინფრასტრუქტურაში განხორციელებულმა კერძო ინვესტიციამ 500 მლნ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. ჯანდაცვის დაფინანსება გაიზარდა 80 მლნ ლარიდან 380 მლნ ლარამდე. მნიშვნელოვნად შემცირდა არალეგალური გადასახდების წილი - 67%-დან 6%-მდე და, ზოგადად, კოროფციის დონე ჯანდაცვის სექტორში. ვიზიდან გადასახდები შემცირდა 90%-დან 75%-მდე.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში სახელმწიფოს კურსი მკვეთრად შეიცვალა, რაც შემდეგში გამოიხატა:

1. მიზნობრივი ჯგუფების ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა ჩანაცვლად სერვისების საყოველთაო მოცვით და თითოეული მოქალაქისთვის შეიქმნა ჯანდაცვის უფლებით უნივერსალური სარგებლობის ფუნდამენტი;

2. პროგრამის მიზანი იყო საქართველოს ყველა იმ მოქალაქის ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა, რომელიც 2013 წლის 1 ივლისის მდგომარეობით არ სარგებლობდა უკვე არსებული სახელმწიფო დაზღვევით და არ გააჩნდა კერძო დაზღვევა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამისგან განსხვავებით, სხვა სახელმწიფო დაზღვევის პროგრამებს კერძო სადაზღვევო კომპანიები ახორციელებდნენ, რომელთა ბენეფიციარებს წარმოადგენდნენ მხოლოდ სოციალურად დაუცველი ადამიანები, საპენსიო ასაკის მოსახლეობა, 5 წლამდე ასაკის ბავშვები, სტუდენტები, შშმ ბავშვები და მკვეთრად გამოხატული შშმ პირები. 2014 წელს ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის ყველა სხვა პროგრამა გაუქმდა და მათი მოსარგებლე მოქალაქეებიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამას შეუერთდნენ. შესაბამისად, კერძო სადაზღვევო კომპანიები ამ პერიოდიდან უკვე აღარ მონაწილეობდნენ სახელმწიფო პროექტებში;

3. 2013 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო იხდიდა ნოზოლოგიის (დაავადების) 70%-ს, (ზოგ შემთხვევაში 80% ან 90%-ს), ხოლო სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის – 100%-ს. დარჩენილი თანხა, ანუ 30%, თანაგადახდის სახით პაციენტის გადასახდელი იყო. მნიშვნელოვანია, რომ 2017 წლიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში დიფერენცირებული პაკეტები ამოქმედდა, რითაც შეიცვალა სამიზნე ჯგუფები და დაფინანსების პირობები. მოსარგებლეების დაყოფა განხორციელდა შემოსავლების ჯგუფების მიხედვით (ცვლილება არ შეეხო მიზნობრივ ჯგუფებს (სოციალურად დაუცველებს, ასაკით პენსიონერებს, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვებს, სტუდენტებს, პედაგოგებს, ვეტერანებს და სხვ.). თუმცა, იმის გამო, რომ ყველა კლინიკას ჰქონდა თავისი ტარიფი და სახელმწიფო არ არეგულირებდა პაციენტის ვიზიდან გადასახდის მოცულობას, პაციენტს სხვადასხვა სამედიცინო ორგანიზაციასთან თანაგადახდის გადახდა უწევდა სხვადასხვა ოდენობით. ზოგიერთ შემთხვევაში, თანაგადახდის მოცულობა ძალიან სოლიდური თანხა იყო და ტვირთად აწვებოდა პაციენტს. აღნიშნული ქმნიდა სისტემის გამჭვირვალობის პრობლემას. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2011-წლიდან 2018 წლის ჩათვლით, კლინიკების რაოდენობა 229-დან 273-მდე გაიზარდა. ჭარბი სამედიცინო ინფრასტრუქტურა, ხშირ შემთხვევაში, მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების გათვალისწინების გარეშე იქმნებოდა. კლინიკების რაოდენობის ასეთი სწრაფი ზრდა თავიდანვე არასწორად დაგეგმილი საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შედეგი იყო. მთავრი პრობლემა ჯანდაცვაზე მზარდი ფინანსებია, კერძოდ კი, საყოველთაო ჯანდაცვის ბიუჯეტის ყოველწლიური მატება. 2012 წელს ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების (მათ შორის, ჯანმრთელობის დაზღვევა) ჯამური დაფინანსება 332 მლნ ლარს შეადგენდა. ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია და 2019 წელს მილიარდ ლარს გადაჭარბა. მისი უდიდესი წილი, ანუ 70%-ზე მეტი, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯებია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედების შემდეგ, ჯანდაცვის მთლიან დანახარჯებში ვიზიდან გადასახდების წილი შემცირდა. თუმცა, 2017 წლის მონაცემებით, ჯანდაცვის დანახარჯების დახლოებით 55%-ს მოსახლეობა კვლავ საკუთარი ვიზიდან იხდიდა. მიუხედავად ბოლო წლებში ჯანმრთელობაზე დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდისა, არსებული მონაცემებით, ევროპის რეგიონის ქვეყნებს შორის, საქართველო ჯერ კიდევ ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა სახელმწიფო ჯანდაცვაზე დანახარჯების წილით როგორც მთლიან ჯანდაცვაზე დანახარჯებში (2017 - 38%), ასევე, მთლიან შიდა პროდუქტსა (2017 - 2.9%) და სახელმწიფო ბიუჯეტში (2017 - 10%);



4. 2019 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა სამედიცინო საზოგადოებას გააცნო ჯანდაცვის მიმართულებით დაგეგმილი რეფორმა, რომელიც რამდენიმე მიმართულებას მოიცავს, კერძოდ: ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასვლა, რაც ითვალისწინებს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მიწოდებული სერვისების ტარიფების გათანაბრებას.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ტელემედიცინის დანერგვა პირველადი ჯანდაცვის დონეზე, რაც მოიცავს პირველადი ჯანდაცვის დონეზე ტელემედიცინის განვითარებას.

აღნიშნული რეფორმის ფარგლებში, ყურადღება გამახვილდა სამედიცინო განათლებაზე, კერძოდ, რეფორმა მიზნად ისახავს საუნივერსიტეტო კლინიკების გაძლიერებას, რეზიდენტების წახალისებას და მათ საზღვარგარეთ წამყვან კლინიკებში გაგზავნას სახელმწიფოს ხარჯზე. ასევე, გაგრძელდება იმ დარგების მხარდაჭერა, რომელშიც სამედიცინო კადრების დეფიციტია. „ადამიანურ კაპიტალში დიდი ინვესტიცია“ არის რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება. რეფორმა შეეხება მედიკამენტების საკითხსაც, რადგან სწორედ ამ კომპონენტზე მოდის ვიზიტიდან გადახდების ყველაზე დიდი მაჩვენებელი. უნდა არსებობდეს სტრატეგია, რომელიც შეეხება ფასების დარეგულირებას და მედიკამენტების ჭარბად დანიშნვის კონტროლს. ხარისხის კომპონენტში აქცენტი გაკეთდება წამლის რეგისტრაციაზე. ასევე, რეფორმის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რაც მოიცავს ამბულატორიების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის უპირატესობებია: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით საქართველოს მოსახლეობას გაუჩნდა მნიშვნელოვანი სოციალური გარანტიები. თუმცა, პროგრამის მასშტაბებმა გააჩინა რისკები, რომლებიც დაკავშირებული იყო: სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ზრდასთან; პროგრამის ეფექტურ მართვასთან; კერძო სადაზღვევო ბიზნისის განვითარებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, ამ პროგრამის მეშვეობით მოსახლეობის ბაზისური ჯანდაცვის სერვისებით უზრუნველყოფა მოხდა. ცალსახაა, რომ საყოველთაო ჯანდაცვის რეფორმამ უზრუნველყო ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება: კერძოდ, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მოსარგებლეთა ნახევარზე მეტი (51.4%) მანამდე დაზღვეული არ ყოფილა. 2017 წელს 2010 წელთან შედარებით, ავადმყოფობის გამო მოსახლეობა უფრო ხშირად აკითხავდა ჯანდაცვის სერვისის მიწოდებულს და შემცირდა თვითმკურნალობაზე გაწეული ხარჯები. ჯანდაცვის სერვისებით სარგებლობისა და დანახარჯების კვლევის თანახმად, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებამ შეამცირა სერვისებზე ფინანსური ბარიერები, განსაკუთრებით ჰოსპიტალურ სერვისებზე, ფინანსური ხელმისაწვდომობა გაიზარდა მედიკამენტებსა და ლაბორატორიულ გამოკვლევებზე. 2017 წელს მოსახლეობის 82% ეძებდა სამედიცინო მომსახურებას, თუკი ავადმყოფობდა 6 თვის განმავლობაში, მაშინ, როდესაც იგივე მონაცემი 2014 წელს იყო 79%. იმ პაციენტების რაოდენობა, ვინც აცხადებს, რომ სჭირდებოდა ჰოსპიტალიზაცია, მაგრამ ვერ მოხვდნენ საავადმყოფოში, შემცირდა, კერძოდ: 2.2%-დან 2014 წელს 1.2%-მდე 2017 წელს.

განახევრდა იმ პაციენტების წილი, რომლებიც ექიმთან ვიზიტის დროს მოელოდნენ კონსულტაციის ღირებულების გადახდას - შემცირდა 69.4%-დან 36.7%-მდე 2014 წელს, (2010 წელთან შედარებით) და 34.5%-მდე 2017 წელს;

5. სამედიცინო მომსახურებაზე უნივერსალურმა ხელმისაწვდომობამ მნიშვნელოვნად შეამცირა ვიზიტიდან დანახარჯები და გაზარდა ფინანსური დაცულობა. თუმცა, ვიზიტიდან გადახდილი თანხები მაღალი რჩება ქრონიკული დაავადებების შემთხვევაში. მოსახლეობა კარგად არის ინფორმირებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის შესახებ (მოსახლეობის 74% ინფორმირებულია) და გაუმჯობესდა ჯანდაცვის სისტემის მიმართ მომხმარებელთა გამოცდილება. 2017 წლის მონაცემებით, მოსახლეობის 56%-ს შეუძლია მივიდეს სამედიცინო დაწესებულებაში 15 წუთში (2014 წელს 49%); სტაციონარზე დანახარჯი წარმოადგენს 67%, მაშინ, როცა 25% აკუმულირებულია პირველად ჯანდაცვაში; მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირ სტაციონარს აკითხავს (32% 2017 წელს, ხოლო 31% 2014 წელს), ვიდრე პირველად ჯანდაცვას. აღნიშნულის მიუხედავად, მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი, ზოგადად, ჯანდაცვის სისტემის ეფექტიანობის ასამაღლებლად, ასევე ჯანდაცვით მომსახურების სრულ სპექტრზე ხელმისაწვდომობის ზრდასა და სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

საყოველთაო ჯანდაცვის სისტემის ნაკლოვანებები და ფინანსების პრობლემები - საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებიდან 6 წლის შემდეგ, მისი ფინანსური მაჩვენებლების და სხვა მონაცემების შესწავლით, ნათლად გამოჩნდა, რომ პროგრამის შექმნისას არ იყო სათანადოდ გაცნობიერებული მოსალოდნელი რისკები, რომლებიც პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე იჩენდა თავს. პროგრამას არ გააჩნდა სამოქმედო გეგმა და სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობდა პროგრამის ეფექტურ და თანმიმდევრულ განვითარებას. პროგრამის არსებული ფორმით გაგრძელება დაკავშირებულია მთელ რიგ რისკებთან. მათ შორის: საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაზე გაწეული ხარჯების ზრდის არსებული ტენდენცია წარმოშობს საფრთხეს, რომ სახელმწიფო ვეღარ უზრუნველყოფს პროგრამის განსახორციელებლად საჭირო ფინანსური რესურსის მოძიებას და სამედიცინო დაწესებულებების მიერ გაწეული მომსახურების საფასურის დროულ დაფარვას, რაც გამოიწვევს პროგრამის ფუნქციონირების შეფერხებას.

მდგრადი განვითარების მიზნები (SDGs) 2030 წლისათვის ათასწლეულის განვითარების მიზნების გაგრძელებას წარმოადგენს. მდგრადი განვითარების 17 მიზანი არის უფრო ფართო და უფრო ამბიციური, ვიდრე ათასწლეულის განვითარების მიზნები და წარმოადგენს დღის წესრიგს, რომელიც უზრუნველყოფს, რომ „არავინ არ დარჩეს მიღმა“. მდგრადი განვითარების მიზნები მიმართულია სიღარიბის აღმოფხვრისკენ და პრიორიტეტად განსაზღვრავს ჯანმრთელობას, განათლებას, საკვების უსაფრთხოებას და ხელმისაწვდომობას. გარდა ამისა, ფარავს საკითხების ისეთ ფართო სპექტრს, როგორცაა ეკონომიკა, სოციალური და გარემოს მიზნები, მისწრაფვის უფრო მშვიდობიანი და ჩართული საზოგადოებისაკენ. მესამე სტრატეგიული მიზანია 2030 წლისათვის ჯანმრთელი ცხოვრებისა და კეთილდღეობის მიღწევა ყველა ასაკის ადამიანისათვის, ყველასათვის უსაფრთხო და ეფექტური მედიკამენტებისა და ვაკცინებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურებით მოსახლეობის საყოველთაო მოცვა, რაც, ამავდროულად, გლობალური ჯანმრთელობის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, ასევე, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული თამბაქოს კონტროლის ჩარჩო კონვენციის დანერგვის ხელშეწყობა და სხვ.

2018 წელს მრავალმა ქვეყანამ მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების საკუთარ პროგრამებში ინტეგრირება და მიაღწიეს პროგრესს „ჯანმრთელობა 2020“ პოლიტიკის ჩარჩოთი განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. საქართველო იზიარებს მდგრადი განვითარების, „ჯანმრთელობა 2020“-ის და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის გლობალურ ინიციატივებს და აქტიურად მონაწილეობს ზემოაღნიშნული მიზნების შესრულების პროგრესის მონიტორინგში. SDG-ის ზოგადი პროგრესის შესაფასებლად, შემუშავებულ იქნა ე.წ. SDG-ის გლობალური ინდექსი, რომელიც წარმოადგენს ყველა მიზნის შესრულების შეფასებულ (შეწონილ) მაჩვენებელს. ამ ინდექსით საქართველო 73-ე ადგილს იკავებს 162 ქვეყანას შორის და 2.1%-ით ნაკლებია რეგიონის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით.

## **8.2. ჯანდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების ანალიზი და საყოველთაო ჯანდაცვა, მისი გავლენა საქართველოს რეგიონებზე**

საქართველოში შექმნილი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ფონზე მნიშვნელოვანი გამოწვევა საყოველთაო ჯანდაცვის შემოღება. აღნიშნულმა მიზეზებმა გამოიწვია სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების აუცილებლობა ჯანდაცვის სფეროს გარდასაქმნელად და ჯანდაცვის სერვისებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ეს არის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება. ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ეს არის ერის მომავალზე აქტიური ქმედება. ამ აქტივობის პრიორიტეტულობაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მილენიუმის განვითარების ინდიკატორებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯანდაცვის მაჩვენებლებს.

სახელმწიფო სტრატეგია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მიმართულია მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისა და სიღარიბის აღმოფხვრისკენ. ეს არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკის სამოქმედო გეგმა, რაც გამოიხატება ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებაში საქართველოს მოსახლეობის ყველა ფენისთვის და საქართველოს ყველა რეგიონში.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საყურადღებოა, აგრეთვე, კერძო დაზღვევა, რომელზე მისაწვდომობა, რა თქმა უნდა, ყველასთვის შესაძლებელია.

2012 წლის შემოდგომიდან ამოქმედდა ფართომასშტაბიანი ჯანმრთელობის საყოველთაო დაზღვევის პროგრამა, რომელმაც საქართველოს მრავალი მოქალაქის ოჯახში შეაღწია და, შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა შეუმსუბუქა როგორც ჯანმრთელობის, ასევე ფინანსური სასწრების ხაზითაც, რამდენადაც სამედიცინო ჩარევების ფასები საკმაოდ მაღალია.

**1. დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის პროგრამის** კომპონენტებია: კიბოს სკრინინგის კომპონენტი; საშვილოსნოს ყელის ორგანიზებული სკრინინგის პილოტი; 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა ასაკის მსუბუქი და საშუალო ხარისხის მენტალური განვითარების დარღვევების პრევენცია; ეპილეფსიის დიაგნოსტიკა და ზედამხედველობა; დენააკულთა რეტინოპათიის სკრინინგის პილოტი.

**2. იმუნიზაციის პროგრამის** კომპონენტებია: ვაქცინებისა და ასაცრელი მასალების შესყიდვა; სპეციფიკური შრატები-სა და ვაქცინების შესყიდვა; ანტირაბიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა; გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინის შესყიდვა; აცრა - ვიზიტისა და ექიმის კონსულტაციის მომსახურება.

**3. ეპიდზედამხედველობის პროგრამის** კომპონენტებია: რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე არსებული ჯანდაცვის ცენტრებისთვის ეპიდზედამხედველობის, იმუნიზაციისა და სამედიცინო სტატისტიკის დონისძიებათა ფარგლებში მომსახურების დაფინანსება; მაღარიისა და სხვა ტრანსმისიური (დენგე, ზიკა, ჩიკუნგუნია, ყირიმ-კონგო, ლეიშმანიოზი და სხვა) დაავადებების პრევენციისა და კონტროლის გაუმჯობესება; ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობა; ვირუსული დიარეების კვლევა; გრიპზე, გრიპისმაგვარ დაავადებებსა და მძიმე მწვავე რესპირაციულ დაავადებებზე ეპიდზედამხედველობის ქსელის მდგრადობის შენარჩუნება და სეზონურ/პანდემიურ გრიპზე რეაგირება.

**4. უსაფრთხო სისხლის პროგრამის** კომპონენტებია: დონორული სისხლის კვლევა B და C ჰეპატიტზე, აივ ინფექციაზე/შიდსზე და ათაშანგზე; ხარისხის გარე კონტროლისა და მონიტორინგის უზრუნველყოფა (მ. შ., სისხლის დონორთა ერთიანი ეროვნული ელექტრონული ბაზის ადმინისტრირება და ქვეყნის მასშტაბით დანერგვა); სისხლის უანგარო რეგულარული დონორობის მხარდაჭერისა და მოზიდვის ეროვნული კამპანიის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, მათ შორის, „უანგარო დონორთა მსოფლიო დღესთან“ დაკავშირებული ღონისძიებების მხარდაჭერა და კვლევები ფოკუს ჯგუფებში დონორობის მოტივაციური ფაქტორების გამოსავლენად; სისხლის დონორებში C ჰეპატიტზე სკრინინგით საეჭვო-დადებითი შემთხვევების კონფირმაციული კვლევა CoI-Ag მეთოდით, მ. შ. იმ სისხლის ბანკებში, რომლებიც არ წარმოადგენენ ამ პროგრამის მომსახურების მიმწოდებლებს, მაგრამ ჩართული არიან ხარისხის გარე კონტროლის ერთიან სისტემაში.

**5. პროფესიულ დაავადებათა პრევენციის პროგრამის** კომპონენტებია: სხვადასხვა ტიპის საწარმოებში დასაქმებულთა პროფესიულ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა და, ასევე, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვისა და გარემოს ჯანმრთელობის სფეროში აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობა.

**6. ტუბერკულოზის მართვის პროგრამის** კომპონენტებია: ამბულატორიული მომსახურება (მათ შორის, პენიტენციურ დაწესებულებებში ტუბსაწინააღმდეგო ამბულატორიული ღონისძიებების დაფინანსება), ლაბორატორიული კონტროლი და ნახველის ლოჯისტიკა და ამბულატორიული მეთვალყურეობა; სტაციონარული მომსახურება; პენიტენციური დაწესებულებებისთვის ტუბერკულოზის მართვისთვის მედიკამენტების, სხვა სახარჯი და დამხმარე მასალების შესყიდვა; ტუბერკულოზის პროგრამის რეგიონული მართვა და მონიტორინგი; ტუბერკულოზის სამკურნალო პირველი რიგის მედიკამენტების შესყიდვა; სენსიტიური და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობაზე დამყოლობის გაუმჯობესების მიზნით, ფულადი წახალისების საშემოსავლო გადასახადი და რეზისტენტული ფორმის ტუბერკულოზით დაავადებულთა ფულადი წახალისების დაფინანსება.

**7. აივ ინფექცია/შიდსის მართვის პროგრამის** კომპონენტებია: აივ ინფექცია/შიდსზე ნებაყოფლობითი კონსულტირება და ტესტირება; მ. შ. აივ ინფექცია/შიდსზე სკრინინგული კვლევისათვის საჭირო ტესტ-სისტემების და სახარჯი მასალების შესყიდვა; აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ ინფექცია/შიდსით დაავადებულთა სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა; აივ ინფექცია/შიდსის სამკურნალო პირველი და მეორე რიგის მედიკამენტების შესყიდვა, სამედიცინო მომსახურება სიფილისზე ეჭვის შემთხვევაში.

**8. ღელა და ბავშვთა ჯანმრთელობის პროგრამის** კომპონენტებია: ანტენატალური მეთვალყურეობა; მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელონეთა მკურნალობა; გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა; ორსულბში B და C ჰეპატიტების, აივ ინფექციის/შიდსის და სიფილისის განსაზღვრისათვის საჭირო ტესტებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა; ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონური აზზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე; ახალშობილთა სმენის სკრინინგული გამოკვლევა; ორსულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა - ფოლიუმის მჟავისა და რკინის პრეპარატების შესყიდვა, მიკროელემენტების შემცველი საკვები დანამატების შესყიდვა, სამკურნალო საშუალებების ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა.

**9. ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამის** კომპონენტებია: სტაციონარული ლეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაცია ოპიოიდების, სტიმულატორების და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების დროს; ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელება და ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდების (ტრანსპორტირება, ბადრაგირება) უზრუნველყოფა ქ. თბილისსა და რეგიონებში; ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვა; ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტის ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა; №2 და №8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი ლეტოქსიკაციის უზრუნველყოფა; ეფექტურობის შეფასების კომპონენტი; ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურება.

**10. ჯანმრთელობის ხელშეწყობის პროგრამის** კომპონენტებია: თამბაქოს მოხმარების კონტროლის გაძლიერება; ალკოჰოლის ჭარბი მოხმარების შესახებ ცნობიერების ამაღლება; ჯანსაღი კვების შესახებ განათლება; ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობა; C ჰეპატიტის პრევენცია და მოსახლეობის განათლების ხელშეწყობა; ფსიქიკური ჯანმრთელობის ხელშეწყობა და ნივთიერებადამოკიდებულების პრევენცია; ჯანმრთელობის ხელშეწყობის პოპულარიზაცია და გაძლიერება.

**11. ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის** კომპონენტებია: ფსიქიატრიული ამბულატორიული მომსახურება; ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია; ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობა; ფსიქიატრიული კრიზისული ინტერვენცია; ბავშვთა და მოზრდილთა სტაციონარული მომსახურება; ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის კომპონენტი.

**12. ღიაბეტის მართვის პროგრამის** კომპონენტებია: შაქრიანი ღიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურება; სპეციალური ზეგული ამბულატორიული დახმარება; შაქრიანი და უშაქრო ღიაბეტით დაავადებული მოსახლეობის სპეციალური მედიკამენტებითა და საანალიზო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა; შაქრიანი ღიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; უშაქრო ღიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

**13. ბავშვთა ონკოპათოლოგიური მომსახურების პროგრამით** გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს ონკოპათოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიულ და სტაციონარულ მკურნალობას.

**14. დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის პროგრამის** კომპონენტებია: ჰემოდიალიზით უზრუნველყოფა; პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფა; ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზი საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვა და მიწოდება; თირკმლის ტრანსპლანტაცია; ორგანოგადანერგილთა იმუნოსუპრესული მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირება, შენახვა და გაცემა.

**15. ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის პროგრამის** კომპონენტებია: ინკურაბელურ პაციენტთა ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა სტაციონარული პალიატიური მზრუნველობა; ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სპეციალურ სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

**16. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის პროგრამის** კომპონენტებია: იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურება; იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება; ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ფენილკეტონურიით დაავადებულთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფა; მუკოვისცილოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზრდილთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფა; იუვენული რემატოიდიული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფა; დიდი თალასემიით დაავადებულთათვის რკინის შემოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფა; სპეციალური სამკურნალო საშუალებათა ტრანსპორტირების, შენახვისა და გაცემის ხარჯები.

**17. სასწრაფო გადაუღებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების პროგრამის** კომპონენტებია: სასწრაფო სამედიცინო დახმარება (მ. შ. ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარება); რეფერალური დახმარება; სამედიცინო ტრანსპორტირება.

**18. სოფლის ექიმის პროგრამის** კომპონენტებია: პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად (მათ შორის – ამბულატორიული მომსახურებისათვის აუცილებელი მედიკამენტების და სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთის და სამედიცინო დოკუმენტაციის ბეჭდვის მომსახურების შესყიდვა); სპეციალიზაციაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდება; შიდა ქართლის სოფლების ამბულატორიული ქსელის ხელშეწყობა და განვითარება; სპეციალიზაციაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფა.

**19. რეფერალური მომსახურების პროგრამით** გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარებას, მათ შორის: ა.ა) გულის თანდაყოლილი მანკით დაავადებული პირების კარდიოქირურგიულ მკურნალობას, თუ ეს ხარჯები არ იფარება სახელმწიფო სადაზღვეო პროგრამებით; ა.ბ) პროგრამა „მომავლის ბანაკით“ განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სხვა სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამებით; ა.გ) ადრეული ძუძუს აგრესიული HER-2 რეცეპტორდადებითი დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (ტრასტუსუმაბი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.დ) ფილტვების იდოპათური ფიბროზის დიაგნოზის მქონე პირების მედიკამენტით (პირფენიდონი) ნაწილობრივ ან სრულად უზრუნველყოფას; ა.ე) პროგრამა „საზავხულო სკოლებით“ („დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“) განსაზღვრული ღონისძიებების ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, რომელთა ხარჯებიც არ იფარება სახელმწიფო ჯანდაცვითი სხვა პროგრამებით; ა.ვ) სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა პოსტკოიტალური კონტრაცეფციით/სგდ ტესტირებითა და მკურნალობით უზრუნველყოფა.

ბ) ყოფილი უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირის ოჯახის წევრთა სამედიცინო დაზღვევას.

**20. სამხედრო ძალებში გასაწვევ მობილიზაციის პროგრამით** გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა ამბულატორიულ შემოწმებას; სამხედრო ძალებში გასაწვევ პირთა დამატებით გამოკვლევებს.

**21. ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამით** გათვალისწინებული მომსახურება მოიცავს: გულ-სისხლძარღვთა, ფილტვის, ფარისებრი ჯირკვლის, დიაბეტის (ტიპი 2) ქრონიკული დაავადებების სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტის შესყიდვას და ლოგისტიკის კომპონენტს – ფარმაცევტული პროდუქტის საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე გაფორმების ხარჯები, მიღება, შენახვა, ტრანსპორტირება, გაცემა პროგრამის მოსარგებლებზე (მედიკამენტების ჩამონათვალი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით). ასევე, „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მოიცავს სკრინინგული კვლევის კომპონენტს; დიაგნოსტიკის კომპონენტს; მკურნალობის კომპონენტს; ფარმაცევტული პროდუქტის ლოგისტიკის კომპონენტს; პილოტურ პროექტს - „HCV ინფექციაზე სკრინინგისა და გამარტივებული მიდგომებით მკურნალობის სერვისების ინტეგრირება პირველადი ჯანდაცვის რგოლში“ და ასევე, მეორე პილოტურ პროექტს - „მკურნალობამდე დიაგნოსტიკური კვლევებისა და მკურნალობის დროს მონიტორინგის პროცესის გამარტივება C ჰეპატიტის ვირუსის ელიმინაციის პროექტში“. გარდა ამისა, ქვეყანაში მოქმედებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვალის №36 დადგენილება, რომელიც საქართველოს მოქალაქეებისთვის გულისხმობს გადაუღებელ და გეგმიურ ამბულატორიულ, გადაუღებელ და გეგმიურ სტაციონარულ მომსახურებას, შესაბამისი პაკეტის ფარგლებში, გარკვეული ლიმიტის შესაბამისად. ასევე, აღნიშნულ პროგრამაში ინტეგრირდა „ინფექციური დაავადებების მართვის“ სახელმწიფო პროგრამა, გარკვეული ნოზოლოგიებით, შესაბამისი ლიმიტისა და თანაგადახდის ფარგლებში.

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი სტატისტიკური ანალიზი მკაფიოდ აჩვენებს, თუ როგორ გაიზარდა მოსახლეობის მიმართვიანობა ჯანდაცვის მომსახურებაზე.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ დიდი პრობლემაა სიღარიბე. სწორედ ამიტომ, რომ შემუშავებულია სხვადასხვა სახის დახმარების პროგრამები სოციალურად დაუცველი და იძულებით ადგილნაცვალი პირებისთვის. მიუხედავად ამისა, პრობლემები მაინც გადაუჭრელია. ის კიდევ უფრო ღრმად სოფლის მოსახლეობაში. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის ექიმი-მეწარმის დამკვიდრებით, სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის მომსახურება გაუმჯობესდა.

ჯანდაცვის სისტემის ეფექტური შეფასების ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესდა ხელმისაწვდომობა ამბულატორიულ და პოსტიტალურ მომსახურებაზე, თუმცა, ფინანსური დაცულობა მთლიანობაში ვერ განხორციელდა მედიკამენტების არარაციონალური ფარმაცოთერაპიის და სადაზღვეო პაკეტში დაბალი მედიკოსარგებლის გამო. კვლავ დიდია სხვაობა უღარიბეს და უმდიდრეს შინამეურნეობათა იმ სამედიცინო დანახარჯებს შორის, რომელიც გადახდისუნარიანობის 40%-ს აჭარბებს, რაც საყოველთაოდ აღიარებული ზღვარია, რომლის შემთხვევაში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მიიჩნევა კატასტროფულად. სახელმწიფო და კერძო სადაზღვეო მექანიზმების განვითარების მეშვეობით საჭიროა განხორციელდეს უნივერსალური ხელმისაწვდომობის მიღწევა, როდესაც თითოეული მოქალაქე იღებს აუცილებელ და ხარისხიან სამედიცინო მომსახურებას ფინანსური ტვირთის გარეშე. ასევე, უნდა მოხდეს სადაზღვეო პაკეტის გაზრდა/რაციონალიზაცია აუცილებელ ფარმაცევტულ საშუალებებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიმართულებით.

### 8.3. ჯანდაცვის სტატისტიკის ღეფინიციები და ინდიკატორები

ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გადახედვით (ICD 10), ავადმყოფობათა კლასიფიკაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც რუბრიკების სისტემა, რომელშიც კონკრეტული ნოზოლოგიური ერთეული შესულია მიღებული კრიტერიუმის შესაბამისად. ასკ-ს მიზანს წარმოადგენს სისტემატიზებული რეგისტრაციის, ანალიზის, ინტერპრეტაციის პირობების შექმნა და სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში სხვადასხვა დროს მიღებული სიკვდილიანობის და დაავადებთან დაკავშირებული მონაცემთა შედარება. ასკ გამოიყენება ავადმყოფობათა დიაგნოზების და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების სიტყვიერი ფორმულირების გარდასაქმნელად ანბანურ-რიცხობრივ კოდად, რომლებიც მონაცემთა ადვილად შენახვის, მოპოვების და ანალიზის საშუალებას იძლევა. პრაქტიკულად ასკ იქცა საერთაშორისო სადიაგნოსტიკო კლასიფიკაციის სტანდარტად ყველა ძირითადი ეპიდემიოლოგიური და ჯანდაცვის მრავალი სხვა მიზნისთვის. ის მოიცავს მოსახლეობის ჯგუფების ჯანმრთელობის ზოგადი სიტუაციის ანალიზს, ასევე ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების სინშირისა და გავრცელების მონიტორინგს, მათ კავშირს სხვადასხვა ფაქტორებთან, როგორცაა ცალკეულ პირზე მოქმედების თავისებურება და გარემოებები. ასკ არ არის გათვალისწინებული ცალკეული კლინიკური შემთხვევის ინდექსაციისთვის. გარკვეული სირთულეებია ასკ-ს გამოყენებაში ისეთი ფინანსური საკითხების გადაწყვეტისას, როგორცაა ანგარიშის გამოწერა ან რესურსების განაწილება. ასკ შეიძლება გამოყენებული იქნას ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების კლასიფიცირებისთვის, რომლებიც რეგისტრირებულია ჯანმრთელობასთან და მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობასთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაში. თავდაპირველად, ის გამოიყენებოდა სიკვდილის მიზეზების კოდირებისთვის, რომელიც მოცემული იყო ცნობაში სიკვდილის შესახებ. შემდგომში მისი ჩარჩოები გაფართოვდა და მასში ჩართეს დიაგნოზები ავადმყოფობათა სტატისტიკისთვის. აღსანიშნავია, რომ მართალია, ასკ განკუთვნილია, უმთავრესად, ფორმალური დიაგნოზის მქონე ავადმყოფობათა და ტრავმათა კლასიფიკაციისთვის, ყველა პრობლემის გამოხატვა დიაგნოზის სახით შეუძლებელია. ამის გამო ასკ ითვალისწინებს ნიშნების, სიმპტომების, გამოკვლევის პროცესში არსებული გადახრების, ჩივილების, სოციალური მდგომარეობის მონაცემთა ფართო სპექტრის დამუშავების შესაძლებლობებს, რომლებიც შეიძლება იყოს ნაჩვენები სამედიცინო დოკუმენტაციაში. ამდენად, ასკ შესაძლებელია გამოყენებული იქნას იმ მონაცემთა კლასიფიცირებისთვის, რომლებიც შესულია გრაფებში: „დიაგნოზი“, „მიმართვის მიზეზი“, „მდგომარეობები, რომელთა გამოც ჩატარდა მკურნალობა“, „კონსულტაციის მიზეზი“. ეს ყველაფერი მითითებულია სხვადასხვა სამედიცინო დოკუმენტებში, საიდანაც ხდება სტატისტიკური მონაცემებისა და ჯანმრთელობის შესახებ სხვა ინფორმაციის დამუშავება.

კონცეფცია ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების კლასიფიკაციათა „ოჯახის“ შესახებ მართალია, ასკ გამოიყენება მრავალი მიზნით, მაგრამ არ მოიცავს სხვადასხვა მომხმარებლის ყველა საჭიროებას. ის ყოველთვის არ იძლევა საშუალებას, მივიღოთ საკმარისად დეტალური მონაცემები ზოგიერთი სპეციალობისთვის და ზოგჯერ შესაძლოა საჭირო იყოს ინფორმაცია კლასიფიცირებულ მდგომარეობათა სხვადასხვა მახასიათებლების შესახებ. ასკ, ასევე, არ არის მისაღები ფუნქციონირებისა და ინვალიდობის, როგორც ჯანმრთელობის ასპექტების, აღსაწერად და არ ფარავს სამედიცინო ჩარევებისა და მიმართვის მიზეზთა სრულ სპექტრს. ასკ-10-თან დაკავშირებულმა საერთაშორისო კონფერენციამ (1989 წ.) შექმნა სამედიცინო კლასიფიკატორების „ოჯახის“ ჩამოყალიბების საფუძვლები.

უკანასკნელ წლებში ასკ-ს გამოყენებასა და ჯანმრთელობის სხვა დაკავშირებული კლასიფიკაციების შემუშავებით, „ოჯახის“ კონცეფცია კიდევ უფრო განვითარდა. ამჟამად „ოჯახი“ წარმოადგენს კლასიფიკაციათა ინტეგრირებულ პროექტს, რომელშიც გაზიარებულია მსგავსი თვისებები და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც ცალ-ცალკე, ისე ერთობლივად ჯანმრთელობის და ჯანდაცვის სისტემის სხვადასხვა ასპექტების აღსაწერად. მაგალითად, ასკ, როგორც საცნობარო კლასიფიკაცია, ძირითადად, გამოიყენება სიკვდილიანობისა და ავადობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად.

ჯანმრთელობის სხვა ასპექტები, როგორცაა ფუნქციონირება და ინვალიდობა ამჟამად კლასიფიცირდება ფუნქციონირების, შესაძლებლობის შეზღუდვის და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაციით (ICF). ზოგადად, ჯანმო-ს საერთაშორისო კლასიფიკაციითაა ოჯახის მიზანია ჯანმრთელობასა და ჯანდაცვის მართვასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება. ამგვარად, ყალიბდება ერთიანი ენა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია კომუნიკაციის გაუმჯობესება და სხვადასხვა ქვეყნების სამედიცინო ღისციპლინების, სერვისების და დროის შედარების წარმოება. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და მისი საერთაშორისო კლასიფიკაციების ქსელი ცდილობს შექმნას კლასიფიკაციითა ისეთი ოჯახი, რომელიც სამედიცინო და ტექსონომიურ (საკლასიფიკაციო) პრინციპებს ეფუძნება და საერთაშორისოდ გამოყენებადი, ამავე დროს, ფოკუსირდება ჯანმრთელობის მრავალანზომილებიან ასპექტებზე და სხვადასხვა მომხმარებლის მოთხოვნილებებს პასუხობს. ჯანმო-ს საერთაშორისო კლასიფიკაციების ოჯახი (WHO-FIC) ქმნის საერთაშორისო სტანდარტების ჩარჩოს, რომელთა ბლოკებით ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემის მშენებლობა ხდება.

არსებობს კლასიფიკაციები, რომლებიც მოიცავს ჯანდაცვის სისტემის ძირითად პარამეტრებს, როგორცაა: სიკვდილიანობა, დაავადება, ფუნქციონირება, ინვალიდობა, ჯანმრთელობა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ჩარევები. ჯანმო-ს საცნობარო კლასიფიკაციები საერთაშორისო შეთანხმების შედეგს წარმოადგენს. ისინი ფართოდ არის მიღებული და არსებობს ოფიციალური შეთანხმება და რეკომენდაცია მათ გამოყენებაზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ანგარიშგებისთვის. შესაძლებელია მათი, როგორც მოდულების, გამოყენება სხვა კლასიფიკატორების შემუშავების ან გადახედვისთვის სტრუქტურისა და კლასების დეფინიციებისა და განსაზღვრებების თვალსაზრისით. ამჟამად ჯანმო-ს კლასიფიკაციითაა ოჯახში არსებობს ორი საცნობარო კლასიფიკაცია: ასკ - საცნობარო კლასიფიკაცია ავადობისა და სიკვდილიანობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად და ფუნქციონირების, შესაძლებლობის შეზღუდვის და ჯანმრთელობის საერთაშორისო კლასიფიკაცია, რომელიც განკუთვნილია ფუნქციონირებისა და ინვალიდობის შესახებ ინფორმაციის შესაგროვებლად. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია სამედიცინო პროცედურების საერთაშორისო კლასიფიკაციის (ICPM) სამედიცინო ჩარევების საერთაშორისო კლასიფიკაციით (ICHI) ჩანაცვლების შესაძლებლობას სწავლობს. ეს პროცესი კონსულტაციების, საველე ტესტირებისა და ჯანმო-ს მმართველი ორგანოების მიერ დამტკიცების რამდენიმე ეტაპს მოიცავს.

ICD 10 კლასიფიკაცია დაყოფილია 21 კლასად. ასკ-ის კოდის პირველ ნიშანს წარმოადგენს ასო-ბგერა, თითოეული ასო-ბგერა შეესაბამება განსაზღვრულ კლასს, D ასო-ბგერას გამოკლებით, რომელიც გამოიყენება როგორც II კლასში „სიმსივნეები“, ასევე III კლასში „სისხლისა და სისხლძმადი ორგანოების ავადმყოფობა და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები“ და H ასო-ბგერა, რომელიც გამოიყენება როგორც VII კლასში „თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები“, ასევე VIII კლასში „ყურისა და დერილისებრი მორჩის ავადმყოფობები“. ოთხ კლასში (I, II, XIX და XX კლასები) კოდის პირველ ნიშნად ერთ ასო-ბგერაზე მეტი გამოიყენება. თითოეული კლასი შეიცავს სამნიშნა რუბრიკათა საკმარის რაოდენობას, რათა მოიცვას მასში შესული მთელი მასალა; კოდების ყველა შესაძლებლობა არ არის გამოყენებული, რაც შემდგომი გადახედვებისა და მეტი დეტალიზაციის საშუალებას იძლევა. I-XVII კლასები მოიცავს ავადმყოფობებს და სხვა პათოლოგიურ მდგომარეობებს, XIX კლასი - ტრავმებს, მოწამვლებს და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების ზოგიერთ სხვა შედეგებს. დანარჩენი კლასები მოიცავს მთელ რიგ თანამედროვე წარმოადგენებს, რომლებიც ეხება დიაგნოსტიკურ მონაცემებს, XVIII კლასი მოიცავს „სიმპტომებს, ნიშნებს და ნორმიდან გადახრილ კლინიკურ და ლაბორატორიულ მონაცემებს, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული სხვა რუბრიკებში“. XX კლასი „ავადობისა და სიკვდილიანობის გარეგანი მიზეზები“ ტრადიციულად გამოიყენება დანიშნულებისა და მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების კლასიფიკაციისათვის, მაგრამ მე-9 გადახედვიდან დაწყებული, ის ასევე განკუთვნილია ავადმყოფობათა და სხვა პათოლოგიურ მდგომარეობათა ნებისმიერი გარეგანი მიზეზის რეგისტრაციისთვის. დაბოლოს, XXI კლასი - „ფაქტორები, რომლებიც მოქმედებს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე და დაკავშირებულია სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობასთან“ განკუთვნილია იმ მონაცემთა კლასიფიცირებისთვის, რომლებიც აღწერს ჯანდაცვის დაწესებულებაში იმ ადამიანის მიმართვიანობის მიზეზს, რომელიც ამჟამად არ არის ავად, ან გარემოებებს, რა პირობებშიც პაციენტი იღებს სამედიცინო დახმარებას მოცემულ პერიოდში, ან სხვაგვარადაა დამოკიდებული ამ დახმარებაზე.



### ჯანდაცვის სტატისტიკის ძირითადი ინდიკატორები:

- **ჯანდაცვის სტატისტიკის მონაცემთა წყაროები** - სახელმწიფო მართვის ორგანოები (მაგ., საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომელიც განსაზღვრულ მონაცემებს იღებს სამედიცინო დაწესებულებებიდან); მოსახლეობის აღწერის მონაცემები; შინამეურნეობების და სხვა შერჩევითი კვლევები.
  - **სამედიცინო სტატისტიკა** შეისწავლის მედიცინასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. ის ორ ნაწილად იყოფა: მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატისტიკა და ჯანდაცვის სტატისტიკა.
  - **ჯანმრთელობა** - წარმოადგენს სრულფასოვან ფიზიკურ, სულიერ და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობას და არ განისაზღვრება ავადმყოფობის ან ფიზიკური დეფექტის არარსებობით. ცალკეული ადამიანის ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, ძირითადად, გამოიხატება შემგუებლობით და მემკვიდრეობითი ბიოლოგიური კრიტერიუმებით. ამასთან, ადამიანის საერთო ბიოლოგიური მახასიათებლები გასაშუალოდება ცხოვრების სოციალური პირობებით. ამიტომ ადამიანთა ჯანმრთელობის და ავადმყოფობის შეფასების დროს ადამიანი განხილული უნდა იქნეს არა მარტო როგორც ბიოლოგიური ორგანიზმი, არამედ როგორც სოციალური პიროვნება, ე.ი. „ჯანმრთელობა“ და „ავადმყოფობა“ განიხილება, როგორც ბიოსოციალური კატეგორიები.
  - **ჯანმრთელობის მდგომარეობა** – მაჩვენებელი, რომელიც სპეციალურად აღრიცხული ნიშნების ერთობლიობის (ავადმყოფობის არსებობა ან არარსებობა, სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვა, დისპანსერული დაკვირვების საჭიროება და ა.შ.) საშუალებით სამედიცინო შეფასებას აძლევს მოსახლეობის ჯანმრთელობას. ჯანმრთელობის მდგომარეობის მახასიათებელი ნიშნები აღირიცხება სამედიცინო გასინჯვების, დისპანსერული ზაციის და სამედიცინო დახმარებისთვის მიმართვების დროს. ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით, გასინჯვების მონაცემებზე დაყრდნობით, პიროვნებები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად:
    - ✓ ჯანმრთელები, რომლებიც არაფერს უჩივიან, ანამნეზში არ აქვთ ქრონიკული დაავადებები და ცალკეული ორგანოს ან სისტემის ფუნქციის დარღვევა; გამოკვლევის დროს განსაზღვრული ნორმებიდან გადახრები არ აღმოაჩნდათ.
    - ✓ პრაქტიკულად ჯანმრთელები, რომლებსაც ანამნეზში აქვთ მწვავე ან ქრონიკული დაავადება, რომელთაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანოების ფუნქციებზე და შრომისუნარიანობაზე გავლენა ვერ მოახდინეს.
    - ✓ ქრონიკული დაავადებებით დაავადებულები, რომლებსთვისაც აუცილებელია სისტემატური საექიმო დაკვირვება; ავადმყოფობის კომპენსირებული მიმდინარეობით, იშვიათი და არასანგრძლივი შრომისუნარიანობის დაკარგვით; ავადმყოფობის სუბკომპენსირებული მიმდინარეობით, ხშირი გამწვაკვებებით და შრომისუნარიანობის ხანგრძლივი დაკარგვით; ავადმყოფობის ლეკომპენსირებული მიმდინარეობით, მდგრადი პათოლოგიური ცვლილებებით, რომლებიც იწვევენ შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვას.
  - **პირველადი დახმარების დაწესებულებები** - ყველა დაწესებულებების რაოდენობა, რომლებიც აწარმოებენ ამბულატორიულ დახმარებას (სავადმყოფოების ამბულატორიული განყოფილებები, დღის სტაციონარი, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, სამედიცინო ცენტრები, სამედიცინო დახმარების პუნქტები და ა.შ.). დაწესებულებები, რომლებიც აწარმოებენ მხოლოდ სტომატოლოგიურ დახმარებას (სტომატოლოგიური კაბინეტები), არასტაციონარული დახმარების დაწესებულებების საერთო რაოდენობაში არ ჩაითვლება.
- პირველადი დახმარების დაწესებულებებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე გათანაბრებულია:

პირველადი დახმარების დაწესებულებების საერთო რაოდენობა \* 100 000

მოსახლეობის რიცხვონობა

- **ავადობა არის (Morbidity)** – დროის გარკვეულ პერიოდში, მოსახლეობაში დაავადებათა გავრცელების მასასათბებელი; დაავადებები, ტრავმები და მიზეზები, რის გამოც ხდება სამედიცინო სამსახურებთან კონტაქტი და სერვისების მიღება.
- **ექიმთან მიმართვა** – ექიმთან პირადი კონტაქტი გასინჯვის, დიაგნოსტიკის, კონსულტაციის ან მკურნალობისათვის. კონტაქტების ადგილები და ტიპებია: ექიმის კაბინეტები (ოფისები), ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულებები, საავადმყოფოს მიმღები განყოფილებები (სასწრაფო დახმარების განყოფილება), სახლები/ბინები (ნებისმიერი ადგილი, სადაც იმყოფებოდა პაციენტი, რომელთანაც გამოიძახეს ექიმი), კლინიკები, ჯანმრთელობის შესანარჩუნებელი ნებისმიერი ორგანიზაცია, სტაციონარების გარდა. მიმართვების რაოდენობა წელიწადში 1 სულ მოსახლეზე:

მიმართვების რაოდენობა წელიწადში, სულ

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **ინციდენტობა, პირველადი ავადობა (Incidence)** – ადამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული (ყველა მწვავე დაავადება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი შეიძლება წელიწადში რამდენჯერმე განმეორდეს, ქრონიკული დაავადებები, რომლებიც შეიძლება შემთხვევით (მაგ., ექიმთან ვიზიტის დროს) პირველად გამოვლინდეს.

დაავადების ახლად დიაგნოსტირებული შემთხვევის რაოდენობა \* 100 000

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **პრევალენტობა, საერთო ავადობა (Prevalence)** – წლის განმავლობაში რეგისტრირებული ყველა დაავადება (როგორც პირველადი, ასევე წინა წლებში გამოვლენილი ქრონიკული დაავადების შემთხვევები, რომელთა გამოც მოცემულ წელს პაციენტმა მიმართა ექიმს).

დაავადების ყველა დიაგნოსტირებული შემთხვევის რაოდენობა \* 100 000

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **სტაციონარული საწოლი** – საავადმყოფოს პალატაში განთავსებული საწოლი, რომელიც განკუთვნილია პაციენტის მისაღებად და მისი სადღეღამისო დახმარებისთვის, რომელსაც რეგულარულად ემსახურება მიმაგრებული პერსონალი და უზრუნველყოფილია უწყვეტი სამედიცინო დახმარება. საავადმყოფოში საწოლთა რაოდენობა ასახავს საავადმყოფოს ტევადობას და სიმძლავრეს. საწოლთა საერთო რაოდენობაში არ ითვლება ახალშობილთა და დღის არასტაციონარული დახმარების დაწესებულებების საწოლები. სტაციონარული საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი:

სტაციონარული საწოლების საერთო რაოდენობა \* 100 000

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები**

ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა \* 100 000

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **საწოლზე დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა (Average length of stay)**

გატარებული საწოლ-დღეების საერთო რიცხოვნობა

---

ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რიცხოვნობა

➤ **საწოლის ბრუნვის მაჩვენებლები (Hospital bed rotation rate)**

ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა

---

სტაციონარული საწოლების რაოდენობა

➤ **საწოლის დატვირთვის მაჩვენებლები (Bed occupancy rate)**

გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა

---

სტაციონარული საწოლების რაოდენობა

- **ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლები (Disability-adjusted life years)** - მოსახლეობის ღონეზე ნაადრევი სიკვდილის მიზეზით და კონკრეტული დაავადების შედეგად დაინვალიდების გამო დაკარგული სიცოცხლის წლების საერთო რაოდენობა. ეფუძნება ინფორმაციას სიკვდილის გამოწვევი მიზეზების შესახებ და ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების ეპიდემიოლოგიურ შეფასებებს.

➤ **კონტრაცეფციის გამოყენების მაჩვენებლები (Contraceptive prevalence rate)**

15-49 წლის ასაკის ქალთა რაოდენობა, რომელიც იყენებს კონტრაცეფციის ნებისმიერ (თანამედროვე ან ტრადიციულ) მეთოდს \* 100 000

---

ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობა

➤ **ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე**

ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა \* 100 000

---

მოსახლეობის რიცხოვნობა

- **მონიტორინგი** - სტანდარტიზებული ინფორმაციის მოპოვების და გამოყენების სისტემური პროცესი მიზნების მიღწევის პროგრესში რესურსების გამოყენების, ქმედებათა საბოლოო შედეგების მიღწევის და მოსალოდნელი სასარგებლო ეფექტის შეფასებისთვის. მოიცავს შეთანხმებული ინდიკატორების და მიზნობრივი მაჩვენებლების შეფასებას.

#### 8.4. ჯანდაცვის სტატისტიკური ანალიზი რეგიონულ ტერიტორიაში

საქართველოს მოსახლეობის ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით პირველად დადგენილი დიაგნოზით 2018 წლის ბოლოსათვის რეგისტრირებულია 2000.7 ათასი ავადმყოფი, ნაცვლად 2010 წლის 1170.1 ათასისა და 2005 წლის – 695.2 ათასისა. 2018 წელს ყველაზე მაღალი წილი მოდის სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობებზე - 32.1 % (2010 წელს - 37.5 %), საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები – 17.5% (13.0%), სისხლის მიმოქცევის სისტემის


ავადმყოფობები – 7.5% (8.4%), ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები – 5.1% (6.1%), შარდ-სასქესო სისტემის ავადმყოფობები – 6.5% (6.1%), თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები - 5.7% (4.2), ყურისა და ღვრი-  
ლისებრი მორჩის ავადმყოფობები - 2.8% (2.4), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გა-  
მოწვეული ავადმყოფობები - 4.2% (3.7), კანისა და კანქვეშა ქსოვილის ავადმყოფობები - 3.3% (3.3), ნერვული სისტემის  
ავადმყოფობები - 2.9% (4.1), სიმსივნეები - 0.5% (1.0), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების ავადმყოფობები და იმუნუ-  
რი მექანიზმების ჩართვით მიმდინარე დარღვევები - 0.9% (1.5%), ტრავმები, მოწამვლები და გარეშე მიზეზების ზემოქმე-  
დების ზოგიერთი სხვა შედეგები - 5.7% (4.0%), ძვალ-სასხართა სისტემის და შემაერთებელი ქსოვილების ავადმყოფობები  
- 3.6% (2.6%), ორსულობა, მშობიარობა და ლოგინობის ხანა - 0.7% (0.6%), ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები - 0.7%  
(0.3%), პერინატალურ პერიოდში წარმოშობილი ცალკეული მდგომარეობა და თანდაყოლილი ანომალიები -0.1-0.1%  
(0.1%, 0.1%).

საყურადღებო ფაქტია, რომ რეგისტრირებული ავადმყოფებიდან ყოველი მეოთხე, ანუ 26.2 % (525.0 ათასი), 14 წლამდე ასაკის ბავშვია.

2018 წელს ყველაზე მაღალი წილი მოდის სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობებზე - 55.0%, ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული ავადმყოფობები - 10.1% საჭმლის მომხელებელი სისტემის ავადმყოფობები - 9.0%, თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები - 4.7% და სხვ.

**გრაფიკი 1**

**0-14 წლის ასაკის ბავშვთა ავადობა დაავადებათა ძირითადი ჯგუფების მიხედვით, პირველად დადგენილი დიაგნოზით (ათასი)**



წყარო: საქსტატი

2018 წელს სტაციონარიდან გავიდა 502,8 ათასი ავადმყოფი (1999 წელს - 240,5 ათასი), რომელთა 2.5 პროცენტი გარდაიცვალა. ერთი საწოლის საშუალო დატვირთვამ შეადგინა – 187.2, საავადმყოფოში ყოფნის ხანგრძლივობამ – 4.9, ბრუნვა - 37.8.

2018 წელს აღირიცხა 31.0 ათასი ექიმი (2010 წელს - 21.2 ათასი) და 18.0 ათასი საექთნო პერსონალი (2010 წელს - 19.3 ათასი). მოსახლეობის 100 000 კაცზე გაანგარიშებით, 832 ექიმი და 483 საექთნო პერსონალი მოდის (2010 წელს, შესაბამისად, 474 და 432).

ექიმთან ვიზიტების წლიური რიცხვი (პროფილაქტიკის ჩათვლით) 12.1 მლნ კაცია (2010 წელს იყო 7.6 მლნ).

სახელმწიფო სასწრაფო სამედიცინო დახმარების საღებურების ბრიგადების მიერ 1463.1 ათას კაცს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება, მ. შ. 23.5 ათას კაცს - უბელური შემთხვევის დროს, 1429.3 ათას კაცს - უცაბედი ავად გახდომის დროს, 7.3 ათასს - მშობიარობის და პათოლოგიური ფუნქციონირების დროს და 3.0 ათასი ძალადობასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანი მაკრომაჩვენებლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ვნახავთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების საქმიანობების წილი მშპ-ში 4.0 პროცენტის ფარგლებში მერყეობს (იხ. ცხრილი 1).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები, ამავე პერიოდში, 10.0 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

**ცხრილი 1**

**მოლიანი შიგა პროექტი მიმდინარე ფასებში  
(მლნ ლარი)**


	2010	2015	2018
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	594.0	1286.0	1800.0
მშპ საბაზისო ფასებში	19,286.4	30197.1	38778.5
მშპ საბაზრო ფასებში	21,821.6	33935.0	44599.3
მშპ ერთ სულზე, ლარი	5762.7	9109.4	11968.0
მშპ ერთ სულზე, აშშ დოლარი	3232.7	4012.6	4722.0
მშპ, მლნ აშშ დოლარი	12241.4	14948.2	17596.6
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობების წილი მშპ-ში, %	3.1	4.3	4.2

წყარო: საქსტატი.

მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული მონაცემების გაანალიზება შინამეურნეობების კვლევის საფუძველზე. საშუალოთვით ხარჯების მიხედვით, ერთი შინამეურნეობის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯების წილი მოლიან ხარჯებში 2018 წელს 8.1 %-ია, ნაცვლად 2010 წლის 10.0 %-ისა.

საშუალოთვიური ხარჯების განაწილება მოსახლეობის ერთ სულზე

(ქალაქისა და სოფლის ჭრილში, %)



წყარო: საქსტატი

ზემოთ მოყვანილი ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვის რეფორმის მიზანია ხელი შეუწყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების გაწვევის გაუმჯობესებას. იგი რეალურ შედეგებზეა ორიენტირებული. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვიანობის ასეთი ზრდა, სწორედ ამის დამადასტურებელია.

ამასთან, ცნობილია, რომ პრევენციის მიმართვიანობის ზრდა კიდევ უფრო აუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას და არა მიმართვიანობა მხოლოდ ამა თუ იმ დაავადების გამოვლენის შემდეგ. თუმცა, გარკვეული ხარვეზებია მომსახურების მიწოდების თვალსაზრისით, მაგრამ ეს გამოსწორებადია და მენეჯმენტის აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოფხვრა შესაძლებელია.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს სამედიცინო საინფორმაციო სისტემების და სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების მუშაობის ხარისხის ამაღლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას. საყოველთაო დაზღვევის ხუთწლიანი გამოცდილების პრაქტიკა, რა თქმა უნდა, კონკრეტულ რეკომენდაციებს იძლევა ზემოაღნიშნული პრობლემების მოგვარების სფეროში.

**8.5. საქართველოს გამოწვევა COVID-19 პანდემიის პირობებში**

2019 წლის 31 დეკემბრიდან, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული დაავადება (COVID-19) სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში მას შემდეგ, რაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში (შემდეგში - ჩინეთი), ჰუბეის პროვინციის ქალაქ ვუჰანში ვირუსის პირველი შემთხვევები დაფიქსირდა. 2020 წლის მეორე ნახევარში, ახალი კორონავირუსით დაზარალებული ქვეყნების რაოდენობამ 200-ს გადააჭარბა. ჯანმო-მ 2020 წლის 30 იანვარს ვითარება საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საგანგებო მდგომარეობად გამოაცხადა, ხოლო 11 მარტს პანდემიად შეაფასა. ვირუსის დაწყებიდან დღემდე (2021 წლის 1 მარტი), მსოფლიოში 215 ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულია 150 მილიონზე მეტი ინფიცირებული.

რების და 2.5 მილიონზე მეტი გარდაცვალების შემთხვევა, ხოლო გამოჯანმრთელებულია 6 მილიონზე მეტი პირი. მიუხედავად იმისა, რომ COVID-19-ს ახასიათებს გადაცემის მაღალი სისწრავე, გამოვლენილ შემთხვევებში დაავადების მიმდინარეობა სიმძიმის მიხედვით საკმაოდ განსხვავებულია - უსიმპტომოდ ან ფატალურ შედეგამდე. საქართველოს მთავრობას 2020 წლის 6 იანვარს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ წარედგინა ჯერ კიდევ უცნობი ვირუსის ჩინეთში მიმდინარე ეპიდემიის შესახებ ინფორმაცია, რასაც საქართველოს მთავრობის მხრიდან მოჰყვა მყისიერი და კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება, აგრეთვე, სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლის დაწყება და მათ გამოცდილებაზე უწყვეტი დაკვირვება. მსოფლიოში COVID-19-ის ფართოდ გავრცელების პირველივე დღეებიდან, საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ბრძოლა ორი მიმართულებით - მოქალაქეების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ეკონომიკის გადარჩენად. ამიტომ, ყველა ის ნაბიჯი, რომელიც მთავრობამ გადადგა, განპირობებულია, უპირველესად, ადამიანების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის მიმართულებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების შესრულებისა და ეკონომიკის გადარჩენის მოტივაციით.

შესაბამისად, საქართველოს მთავრობა ვირუსის გავრცელების პრევენციის პარალელურად, პანდემიის შედეგების შემსუბუქების მიზნით, უზრუნველყოფს მოქალაქეების სოციალურ მხარდაჭერას, მეწარმეების დახმარებას, ეკონომიკის ხელშეწყობას და ამასთან, საერთაშორისო პარტნიორობთან ინტენსიურ მუშაობას, კრიზისის შედეგების მაქსიმალური შემცირების მიზნით აუცილებელი ფინანსური ნაკადების მოზიდვისთვის.

საქართველოში ინფიცირების პირველი შემთხვევის დადასტურების მომენტიდან მიმდინარეობს ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებლისა და სხვა ეპიდემიოლოგიური პარამეტრების მუდმივი კონტროლი. სულ, ჯამში, 30.01.2020-დან 03.06.2020-მდე დადასტურებულია 800 შემთხვევა, აქედან აქტიური შემთხვევა - 147, გამოჯანმრთელდა - 640, გარდაიცვალა - 13, ლეტალობის მაჩვენებელი - 1.63%, პსრ/RT-PCR-ით გამოკვლეულია 60 273 შესაძლო შემთხვევის პირველადი ნიმუში. ამ დროისთვის არსებული მონაცემებით, COVID-19-ის რეპროდუქციის მაჩვენებელი საქართველოში 1-ზე ნაკლებია, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაცემის ინტენსივობა შემცირებულია.

საქართველოში პანდემიასთან ბრძოლის პირველი ეტაპი ქვეყანაში ვირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებამდე 1 თვით ადრე დაიწყო. აღნიშნული ფაზა ვირუსის შემოსვლისა და გავრცელების მაქსიმალური პრევენციისთვის, მულტისექტორული თანამშრომლობით შესაბამისი კოორდინირებული ღონისძიებების გატარებას გულისხმობდა. კერძოდ, ახალ კორონავირუსთან ეფექტიანი და კოორდინირებული ბრძოლის მიზნით, 28 იანვარს შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო (შემდეგში - საბჭო). საბჭო ჩამოყალიბდა როგორც კორონავირუსთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილების მიმღები ძირითადი პლატფორმა, რომელიც შედგება მთავრობის წევრების, პარლამენტის წევრების, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლებისგან. საბჭოს პირველივე სხდომის შემდეგ, მთავრობამ საზოგადოებას COVID-19-თან ბრძოლის პროცესში 4 პრიორიტეტული მიმართულება წარუდგინა: 1. ჯანდაცვა - მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა; 2. ეკონომიკა - გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე საქართველოს ეკონომიკის მართვა და აღდგენა; 3. უსაფრთხოება - მოქალაქეთა დაცვა; 4. მარაგები და ლოგისტიკა - მოსახლეობის სურსათით უწყვეტი უზრუნველყოფის მართვა.

**მეორე ეტაპი** იყო ვირუსის გავრცელების „შენელება“. 2020 წლის 26 თებერვალს საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა. საქართველოს მოქალაქე ქვეყნის ტერიტორიაზე შემოვიდა ირანიდან აზერბაიჯანის გავლით, წითელი ხიდის სასაზღვრო-გამშვები პუნქტიდან. ოპერატიული და კოორდინირებული რეაგირების შედეგად, აღნიშნული მოქალაქე საზღვრიდანვე გადაყვანილი იქნა „სს - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკულ ცენტრში“ (შემდეგში - ინფექციური საავადმყოფო). ამ დროისთვის ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას უკვე გამოცხადებული ჰქონდა საერთაშორისო საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხე მდგომარეობა. ვირუსის გავრცელების კუთხით ვითარება რთულდებოდა მსოფლიოში, მათ შორის, უმუალოდ საქართველოს მეზობელ ქვეყნებსა და ევროპის ქვეყნებში. დაზიანებით მსოფლიოში ყველაზე მაღალი ციფრებითა და სიკვდილიანობით გამოირჩეოდა ევროპის

რეგიონი (იტალია, ესპანეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ნიდერლანდები, ბელგია და სხვ.). აღნიშნულ პერიოდში ჯანმო-ს, CDC-ის, ECDC-ისა და სხვა საერთაშორისო წამყვანი ორგანიზაციების მიერ შემუშავდა რეკომენდაციების ნაკრები, რომლის მიხედვითაც სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება მიჩნეული იქნა, როგორც ჯერ ბოლომდე შეუსწავლელი ვირუსის შეკავებისა და მართვის ეფექტიანი საშუალება. წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და ამ დროისთვის არსებული გამოცდილების საფუძველზე, COVID-19-ის გავრცელების საპასუხოდ, ქვეყნებმა დაიწყეს მთელი რიგი არაფარმაცევტული ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა: სასწავლო დაწესებულებების დახურვა და დისტანციურ რეჟიმზე გადაყვანა, მასობრივი და საჯარო თავყრილობების აკრძალვა, ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების შეზღუდვა, ფიზიკური დისტანცირება და ქვეყნების ღონეზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება, მათ შორის, მკაცრი კარანტინი და კომენდანტის საათი. საქართველოში პირველი შემთხვევის დაფიქსირების შემდეგ, მიმდინარეობდა ახალი შემთხვევების, კლასტერებისა და მათთან ასოცირებული კონტაქტების მოძიება, ეპიდზედამხედველობა, იზოლირება, კარანტინი, დიაგნოსტიკა და მკურნალობა. პარალელურად, მოსახლეობას სისტემატურად მიეწოდებოდა ინფორმაცია საერთაშორისო ღონეზე შემუშავებული რეკომენდაციების შესახებ. თუმცა, აღნიშნული ღონისძიებების მიუხედავად, ქვეყანაში ვირუსის გავრცელების ინტენსივობა მზარდი ტემპით პროგრესირებდა.

**მესამე ეტაპი** იყო ვირუსის გავრცელების „მართვა“. საქართველოში ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევის დადასტურებიდან თითქმის 1 თვის შემდეგ ქვეყანა ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. ინტენსიურად დაწყებული ინფექციის კლასტერული გავრცელების პარალელურად წარმოიშვა ახალი საშიშროება - ვირუსის უკონტროლო შიდა გავრცელების საფრთხე, რომლის დროსაც შეუძლებელია ინფიცირების პირველწყაროს მიკვლევა და, შესაბამისად, საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება იზოლირების, არსებული და პოტენციური კონტაქტების მაქსიმალურად მოძიებისა და მიღვევების მიზნით. ვირუსის უკვე შესწავლილი ბუნებიდან გამომდინარე, შიდა გავრცელების შემთხვევებში, ვირუსის რეპროდუქციის ინდექსი საშუალოდ 2.5-3-ის ფარგლებში მერყეობს, ხოლო არსებული შემთხვევების გაორმაგება ხდება მე-4, მე-5 დღეს, რაც 30 დღეში ნიშნავს დაახლოებით ინფიცირების 400 შემთხვევას. ამ პერიოდისათვის, სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაკვირვებით და შესაბამისი გათვლების მიხედვით, საქართველო სერიოზული რისკის წინაშე იდგა. ამაზე მიუთითებდა ოკუპირებული ტერიტორიებიდან ღვენილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, NCDC-ის, ასევე, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ ამ დროისთვის განხორციელებული სხვადასხვა მოდელირება/სცენარი, რომლებიც მომზადდა წამყვანი საერთაშორისო უნივერსიტეტების მათემატიკური მიდგომების ანალიზის საფუძველზე (დეტალური ინფორმაცია იხ. თავი 1.5-ში). ანალოგიურ მაჩვენებლებს მოიცავდა, ასევე, სხვადასხვა დამოუკიდებელი კვლევა. სამეცნიერო თვალსაზრისით, COVID-19-ის პანდემიის ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე შესწავლილი, ასევე, იმ მასშტაბური ზიანის გათვალისწინებით, რაც მრავალ სახელმწიფოს მიაღწა, მთავრობამ დაიწყო მზადყოფნა მაქსიმალური გავრცელებისა და ფართომასშტაბიანი ეპიდემიის სცენარისთვის.


**მეოთხე ეტაპი** - ეტაპობრივი შემსუბუქება და ადაპტაცია. როგორც კი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა კონტროლს დაექვემდებარა და დაიწყო ყოველდღიური შემთხვევების კლება, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შეზღუდვების ეტაპობრივად მოხსნისა და ცალკეული ეკონომიკური საქმიანობების დაშვების შესახებ. 20-26 აპრილს, ინფიცირების დღიური მაჩვენებელი 30-ს, ხოლო კვირის ჯამური მაჩვენებელი 100-ს ჩამოსცდა. ასევე, მაისის პირველი ნახევრიდან ვირუსის რეპროდუქციის მაჩვენებელი 1-ს ქვემოთ ჩამოვიდა და დინამიკაში უკვე აღინიშნებოდა დასტაბილურების ტენდენცია. დაავადებათა კონტროლის ეპიდემიოლოგიური ანალიზი, შეჯერებული სხვა მონაცემებთან, ერთმნიშვნელოვნად აჩვენებდა გატარებული ღონისძიებების ეფექტიანობას, რომლის შედეგად შემცირდა მობილობა და გაიზარდა სოციალური დისტანცირება. ამაზე მიუთითებს კომპანია Google-ის გეოლოკაციაზე დაყრდნობით შედგენილი სოციალური დისტანცირების შეფასებაც.



## ჯანდაცვის სისტემის შეფასება

მსოფლიოში მიმდინარე მოვლენების ანალიზმა ნათლად აჩვენა, რომ პანდემიის პირობებში განვითარებული ქვეყნების ჯანდაცვის სისტემებიც კი უდიდესი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. შესაბამისად, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მომზადება და მისი გადატვირთვით გამოწვეული შესაძლო კოლაფსის თავიდან აცილება ადრეულ ეტაპზე მთავრობის კრიტიკული მნიშვნელობის პრიორიტეტად განისაზღვრა. აღნიშნულის მისაღწევად კი აუცილებელი იყო ჯანდაცვის სისტემის პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ რეჟიმზე გადაყვანა. აღნიშნული ამოცანის შესრულება მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა მთელი მსოფლიოსათვის. მისი მიღწევის პროცესში დაბრკოლებებს გადააწყდნენ ეკონომიკურად და რესურსებით კარგად უზრუნველყოფილი სახელმწიფოებიც. საყოველთაო გამოწვევას წარმოადგენდა შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების დროული და სწორი მობილიზება. COVID-19-ის საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას საფუძვლად დაედო ჯანდაცვის სისტემის არსებული სიმძლავრეებისა და ეპიდემიის გავრცელების მოდელირების ინსტრუმენტით მომზადებული სცენარების ანალიზი. ზემოხსენებული სცენარები ცალსახად მიუთითებდა, რომ სოციალური დისტანცირების ზომების გარეშე საქართველოს ჯანდაცვის სისტემა ვერ გაუმკლავდებოდა ერთდროულად სისტემაში 3000 ინფიცირებულის დღიურ ნაკადს, ისევე, როგორც ეს ვერ შეძლეს ევროპის მაღალგანვითარებულმა ქვეყნებმა.

### COVID-19 დადასტურებული და გამოჯანმრთელებული შემთხვევები დღიურად, 09/06/2020




რაც შეეხება ჯანდაცვის სისტემას, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის ანალიზის მიხედვით, ქვეყანაში სულ ფუნქციონირებს 297 სტაციონარული დაწესებულება (86% კერძო) 17 514 საწოლით. ამასთან, ონკოლოგიის, ფსიქიატრიული, სამშობიარო და სხვა ვიწროსპეციალიზირებული კლინიკების საწოლების გამოკლებით, რჩება 10 000-ზე ოდნავ მეტი საწოლი. აქედან, ინტენსიური თერაპიისა და გადაუდებელი სერვისებისთვის განკუთვნილია 2 290 საწოლი, ხოლო რესპირატორული დისტრეს-სინდრომის მართვისთვის შესაფერისია 1 749 სასუნთქი აპარატი. საწოლები და აპარატები განკუთვნილია ყველა დიაგნოზით საავადმყოფოში მოთავსებული პაციენტებისთვის, შესაბამისად, მათი ნახევარი მუდმივად დაკავებულია. გარდა ამისა, საქართველოს კლინიკებში სულ დასაქმებულია 488 რეანიმატოლოგი და 256 ინფექციონისტი. აღნიშნულ პერსონალს ერთდროულად

დღეში მხოლოდ 1200 და 853 პაციენტის მომსახურება შეუძლია და, ამასთან, აღნიშნულ რაოდენობაში შედის ყველა ტიპის პაციენტი. ყოველივე ზემოაღნიშნული გათვალისწინებით, მაქსიმალური სოციალური დისტანცირება და მობილობის შეზღუდვა განისაზღვრა, როგორც ერთადერთი ქმედითი გამოსავალი კოვიდ-19-ზე სათანადო რეაგირებისთვის.

## COVID-19 10.06.2020



სულ დადასტურებული	აქტიური შემთხვევა*	გამოჯანმრთლებული	სიკვდილი	პირველად ტესტირებული (PCR ტესტი)
822	119	690	13	69 122



### კოვიდ-19-ის გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის ფარგლებში ნებადართული ეკონომიკური საქმიანობების ფუნქციონირების და შეზღუდული ეკონომიკური აქტივობების სწრაფად და უსაფრთხოდ განახლების მიზნით, შეიქმნა სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) პრევენციის თაობაზე ლეტალური რეკომენდაციები სხვადასხვა სექტორის მიხედვით, რომელთა აღსრულებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის ინსპექტირების დეპარტამენტი. ინსპექტირების მიზანია ეკონომიკური საქმიანობის უსაფრთხოდ აღდგენა, ასევე, ბიზნესის ინფორმირება შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ. ამ მიზნით, ინტენსიურად მიმდინარეობს კონსულტაციები ბიზნესსოციაციებსა და დაინტერესებულ ჯგუფებთან. სარეკომენდაციო ხასიათის ინსპექტირებები გულისხმობს წინსწრებით იმ კომპანიების შემოწმებას, რომლებმაც რეგისტრაცია გაიარეს ჯანდაცვის სამინისტროს საიტზე. 2020 წლის პირველი მაისიდან 22 მაისამდე სულ განხორციელდა 10 479 ობიექტის შემოწმება. 2020 წლის 22 მაისის მონაცემებით, ეკონომიკური საქმიანობის აღდგენის მოთხოვნით, ჯანდაცვის სამინისტროს ელექტრონულ ბაზაში დარეგისტრირებულია 19 977 ეკონომიკური საქმიანობის განმასრულებელი ობიექტი/მეწარმე სუბიექტი.

### ზრუნვა მოქალაქეებზე

პირველი ეტაპით გათვალისწინებული ღონისძიებები წარმოადგენდა ერთგვარ გადაუდებელ დახმარებას, რომლის მიზანი პანდემიით გამოწვეული პირველადი უარყოფითი ეფექტების მინიმიზაცია იყო. აღნიშნული მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს:

- ✓ მოქალაქეებს დაუფინანსდათ 3 თვის კომუნალური გადასახადი - დახმარება შეეხო იმ აბონენტებს, რომელთა მიერ ელექტროენერჯის ყოველთვიური მოხმარება 200 კილოვატზე ნაკლებია, ხოლო ბუნებრივი აირის ყოველთვიური მოხმარება - 200 მ<sup>3</sup>-ზე ნაკლები. დაფინანსება, აგრეთვე, მოიცავს დასუფთავების და წყლის გადასახადსაც. სუბსიდირების აღნიშნული მექანიზმი, სხვა ალტერნატივებთან შედარებით, ყველაზე სამართლიანი და მიზნობრივია. ელექტროენერჯის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ, საშუალოდ, 3 თვის განმავლობაში, 1.2 მილიონზე მეტი აბონენტი შეადგინა, ხოლო ბუნებრივი აირის გადასახადის შეღავათის ბენეფიციართა რაოდენობამ, საშუალოდ, 3 თვის განმავლობაში - 670 ათასზე მეტი აბონენტი. პროგრამის ბიუჯეტი 170 მლნ ლარია;
- ✓ სახელმწიფომ დააზღვია, რომ არ მომხდარიყო გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ფასების მნიშვნელოვანი ზრდა 9 ძირითად სასურსათო პროდუქტზე - გაცვლითი კურსის გაუფასურებით გამოწვეული უარყოფითი ეფექტების შერბილების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო პროგრამა, რომელმაც კრიზისის საწყის ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად გაიზარდა ინფლაციური რისკები, ხელი შეუწყო პირველადი მოხმარების სასურსათო პროდუქტებზე ფასების მერყეობის შემცირებას. ყველა იმ იმპორტიორი კომპანიისთვის, რომელმაც 15 მარტიდან 15 მაისის ჩათვლით, მოახდინა 9 ძირითადი პროდუქტის შესყიდვა, სახელმწიფოს მიერ მოხდა სავალუტო კურსის სხვაობის სუბსიდირება განსაზღვრული პირობებით. პროგრამის ბიუჯეტი 14 მლნ ლარია;
- ✓ სახელმწიფოს დახმარებით მოქალაქეებს სესხის გადახდის 3 თვით გადავადების შესაძლებლობა მიეცათ - გადახდასთან დაკავშირებული პრობლემებისა და შესაბამისი ჯარიმების თავიდან აცილების მიზნით, ყველა ფიზიკურ პირს მიეცა სესხის მომსახურების 3 თვით გადავადების შესაძლებლობა, რითაც ისარგებლა 600 000-მდე მსესხებელმა.

## 8.6. ტესტები

- 1. მღვრადი განვითარების რომელი მიზანი ეხება ჯანმრთელობის დაცვის სფეროს?**  
ა) პირველი მიზანი; ბ) მეხუთე მიზანი; გ) მეცხრე მიზანი; დ) მესამე მიზანი.
- 2. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული სტანდარტები გამოიყენება მსოფლიოში ჯანდაცვის მიმართულებით?**  
ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი; ბ) ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია;  
გ) იუნესკო; დ) ევროსტატი.
- 3. ჯანდაცვის სტატისტიკას ძირითადად აწარმოებს:**  
ა) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;  
ბ) საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;  
გ) ა) და ბ); დ) არცერთი.
- 4. ჯანდაცვის სტატისტიკის ძირითად ინფორმაციულ წყაროს წარმოადგენს:**  
ა) მოსახლეობის აღწერა; ბ) შინამეურნეობების გამოკვლევა;  
გ) ა) და ბ); დ) არცერთი.
- 5. რამდენ საფეხურს მოიცავს ავადმყოფობათა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების საერთაშორისო სტატისტიკური კლასიფიკაცია - ICD 10?**  
ა) 20 საფეხური; ბ) 21 საფეხური; გ) 22 საფეხური; დ) 23 საფეხური.
- 6. მოსახლეობის ჯანდაცვის მდგომარეობას ახასიათებს:**  
ა) ავადობის მაჩვენებლები;  
ბ) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ავადობის მაჩვენებლები;  
გ) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა და ავადობის მაჩვენებლები;  
დ) დემოგრაფიული მაჩვენებლები, ავადობის მაჩვენებლები.
- 7. ჯანდაცვის დაწესებულებებში ავადმყოფთა მოვლა და მკურნალობა წარმოადგენს:**  
ა) ჯანდაცვის სტატისტიკის შესწავლის საგანს;  
ბ) ჯანდაცვის სტატისტიკის შესწავლის მიზანს;  
გ) ჯანდაცვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას;  
დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**8. ჯანდაცვის სტატისტიკა წარმოებაში პროფესიულ დაავადებათა რაოდენობას მიზეზების მიხედვით სწავლობს:**

- ა) მომუშავეთა 1000 სულზე;                      ბ) მომუშავეთა 10 000 სულზე;
- გ) მომუშავეთა 100 000 სულზე;                      დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**9. მოსახლეობის ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი განისაზღვრება:**

- ა) ექიმების რაოდენობა გამრავლებული მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;
- ბ) ექიმების რაოდენობა გაყოფილი მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;
- გ) ექიმების რაოდენობას და მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობას შორის სხვაობით;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**10. ჯანდაცვის სტატისტიკის მონაცემთა ძირითადი წყაროა:**

- ა) ადმინისტრაციული მონაცემები;
- ბ) საქსტატის მიერ განხორციელებული კვლევა;
- გ) არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**11. სამედიცინო სტატისტიკა შეისწავლის:**

- ა) მხოლოდ მოსახლეობის ჯანმრთელობას;
- ბ) მედიცინასთან და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს; მოსახლეობის ჯანმრთელობის სტატისტიკას და ჯანდაცვის სტატისტიკას;
- გ) მხოლოდ დემოგრაფიულ პროცესებს;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**12. ჯანდაცვის პირველადი დახმარების დაწესებულებებია:**

- ა) საავადმყოფოების ამბულატორიული განყოფილებები, დღის სტაციონარი, პოლიკლინიკები, ამბულატორიები, სამედიცინო ცენტრები, სამედიცინო დახმარების პუნქტები;
- ბ) მხოლოდ დღის სტაციონარები;
- გ) მხოლოდ პოლიკლინიკები;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**13. ავადობა არის:**

- ა) ღრის გარკვეულ პერიოდში, მოსახლეობაში დაავადებათა გავრცელების მასსიათებელი; დაავადებები, ტრავმები და მიზეზები, რომელთა გამოც არ ხდება სამედიცინო სამსახურებთან კონტაქტი, სერვისების მიღება;
- ბ) ღრის გარკვეულ პერიოდში, მოსახლეობაში დაავადებათა გავრცელების მასსიათებელი; დაავადებები, ტრავმები და მიზეზები, რომელთა გამოც არ ხდება სამედიცინო სამსახურებთან კონტაქტი, სერვისების მიღება;
- გ) მხოლოდ ტრავმების გამო ხდება სამედიცინო სამსახურებთან კონტაქტი;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**14. ექიმთან მიმართების რაოდენობა წელიწადში მოსახლეობის 1 სულზე არის:**

- ა) ექიმების რაოდენობა გამრავლებული მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;
- ბ) ექიმების რაოდენობა გაყოფილი მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობაზე;

- გ) ექიმების რაოდენობასა და მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობას შორის სხვაობა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**15. ინციდენტობა არის:**

- ა) აღამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული;
- ბ) წლის განმავლობაში რეგისტრირებული ყველა დაავადება;
- გ) აღამიანის სიცოცხლის ბოლოს გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული;
- დ) არცერთი.

**16. პრევალენტობა არის:**

- ა) აღამიანის სიცოცხლეში პირველად გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული;
- ბ) წლის განმავლობაში რეგისტრირებული ყველა დაავადება;
- გ) აღამიანის სიცოცხლის ბოლოს გამოვლენილი დაავადება, რომელიც ადრე არ იყო რეგისტრირებული;
- დ) არცერთი.

**17. ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი გაიანგარიშება:**

- ა) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა \* 100 000/მოსახლეობის რაოდენობასთან;
- ბ) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა \* 10 000/მოსახლეობის რაოდენობასთან;
- გ) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა \* 100 000/15 + ასაკის მოსახლეობის რაოდენობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**18. სტაციონარული საწოლით უზრუნველყოფის მაჩვენებელი გაიანგარიშება:**

- ა) სტაციონარული საწოლების საერთო რაოდენობა \* 100 000/მოსახლეობის რაოდენობასთან;
- ბ) საწოლთა ფონდის/ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა;
- გ) სტაციონარული საწოლების საერთო რაოდენობა \* 10 000/მოსახლეობის რაოდენობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**19. ჯანდაცვის სტატისტიკის საწოლზე დაყოვნების საშუალო ხანგრძლივობა გაიანგარიშება:**

- ა) გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა/ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა;
- ბ) საწოლთა ფონდის/ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა;
- გ) გატარებული საწოლ-დღეების საერთო რაოდენობა/365 კალენდარულ დღესთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**20. საწოლის ბრუნვის მაჩვენებელი გაიანგარიშება:**

- ა) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა/ სტაციონარული საწოლების რაოდენობა;
- ბ) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა/365 კალენდარულ დღესთან;
- გ) ჰოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა \* 10000/მოსახლეობის რაოდენობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**21. საწოლის დატვირთვის მაჩვენებელი გაიანგარიშება**

- ა) გატარებული დღეების საერთო რაოდენობა\* 100 000 / მოსახლეობის რაოდენობასთან;

- ბ) გატარებული საწოლ-ძღვების საერთო რაოდენობა/ სტაციონარული საწოლების რაოდენობასთან;
- გ) პოსპიტალიზაციის ყველა შემთხვევის რაოდენობა/ სტაციონარული საწოლების რაოდენობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**22. ინვალიდობის შედეგად დაკარგული წლები არის**

- ა) ნებისმიერი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევების რაოდენობა;
- ბ) მოსახლეობის ღონეზე დაბადებისას კონკრეტული დაავადების შედეგად დაინვალიდების მოლოდინით დაკარგული სიცოცხლის წლების საერთო რაოდენობა;
- გ) მოსახლეობის ღონეზე ნაადრევი სიკვდილის მიზეზით და კონკრეტული დაავადების შედეგად დაინვალიდების გამო დაკარგული სიცოცხლის წლების საერთო რაოდენობა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**23. კონტრაცეფციის გამოყენების მაჩვენებელი იანგარიშება**

- ა) 15-49 წლის ასაკის ქალთა რაოდენობა, რომელიც იყენებს კონტრაცეფციის ნებისმიერ (თანამედროვე ან ტრადიციულ) მეთოდს \* 100 000/ფერტილური ასაკის ქალების რაოდენობასთან;
- ბ) 15-49 წლის ასაკის ქალთა რაოდენობა, რომელიც იყენებს კონტრაცეფციის ნებისმიერ (თანამედროვე ან ტრადიციულ) მეთოდს \* 100 000/ მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან;
- გ) ქალთა რაოდენობა, რომელიც იყენებს კონტრაცეფციის ნებისმიერ (თანამედროვე ან ტრადიციულ) მეთოდს \* 100 000/ მოსახლეობის საშუალო რიცხოვნობასთან;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**24. ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი იანგარიშება**

- ა) ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა \* 100 000/ მოსახლეობის რაოდენობასთან;
- ბ) გეგმიურად ჩასატარებელი ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა \* 100 000/ მოსახლეობის რაოდენობასთან;
- გ) ჩატარებული ქირურგიული ოპერაციების რაოდენობა \* 100 000/ საწოლთა ფონდზე;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

**25. მონიტორინგი არის**

- ა) სტანდარტიზებული ინფორმაციის მოპოვების და გამოყენების სისტემური პროცესი მიზნების მიღწევის პროგრესში რესურსების გამოყენების, ქმედებათა საბოლოო შედეგების მიღწევის და მოსალოდნელი სასარგებლო ეფექტის შეფასებისთვის. მოიცავს შეთანხმებული ინდიკატორების და მიზნობრივი მაჩვენებლების შეფასებას;
- ბ) სტანდარტიზებული ინფორმაციის მოპოვების და გამოყენების სისტემური პროცესი მიზნების მიღწევის პროგრესში რესურსების გამოყენების, ქმედებათა საბოლოო შედეგების მიღწევის და მოსალოდნელი სასარგებლო ეფექტის შეფასებისთვის. არ მოიცავს შეთანხმებული ინდიკატორების და მიზნობრივი მაჩვენებლების შეფასებას;
- გ) იგივე შერჩევითი დაკვირვებაა;
- დ) არცერთი პასუხი არ არის სწორი.

## თემა 9. დემოსოციალურ და ეკონომიკურ პროცესებს შორის კავშირის სტატისტიკური ანალიზი

### საღიჯიო საკითხები

- 9.1. დემოსოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის თავისებურებები
- 9.2. მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები
- 9.3. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები
- 9.4. ტესტები

### 9.1. დემოსოციალური და ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ურთიერთკავშირის თავისებურებები

მოსახლეობა, როგორც საზოგადოების მწარმოებლურობის მთავარი ძალა, წარმოადგენს ეკონომიკის ერთ-ერთ ელემენტს. ქვეყნის მდგრადი დემოსოციალური და ეკონომიკური განვითარება დამოკიდებულია მოსახლეობის რიცხოვნობაზე, სტრუქტურასა და განსახლებაზე, ცალკეული რეგიონის წარმატებაზე, რეგიონებში მდგრადი განვითარების პროგრამის პრიორიტეტული მიმართულებების ეფექტიან რეალიზებასა და მათი სპეციფიკის ყოველმხრივ ასახვაზე. მაგრამ ტენდენციებს, რომელიც საქართველოს დემოგრაფიულ განვითარებაში ფორმირდება, ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების სერიოზულ სოციალ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სტრუქტურულ შედეგებს ასახავს. ასეთ პირობებში, რეგიონული თავისებურებების სტატისტიკური შეფასებები საშუალებას იძლევა განხორციელდეს რეგიონის ეფექტიანი საქმიანობის მონიტორინგი დასმული მიზნის მიღწევის მიმართულებით.

დემოსოციალური სისტემის დინამიკის ანალიზი მოწმობს სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის რიგი პრობლემების არსებობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, ისტორიულ როგორც წარსული, ისე ახლანდელი დროის ასპექტებთან.

ქვეყანაში ან რეგიონში დემოგრაფიულ ვითარებას ახასიათებს მთელი რიგი პროცესები, რომელთა თანაფარდობა განსაზღვრავს მოსახლეობის რიცხოვნობას. მასზე გავლენას ახდენს მოსახლეობის ბუნებრივი და მექანიკური (მიგრაციული) ზრდის მაჩვენებლები.

მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოება გულისხმობს შობადობას, სიკვდილიანობას და ბუნებრივ მატებას, რომელიც ადამიანთა თაობის განახლებასა და ცვლას უზრუნველყოფს.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა ეკონომიკაზე შემდეგი სახის გავლენას ახდენს:

1. რიცხოვნობის ზრდა იწვევს შიდა ბაზრის გადიდებას. ეს ფაქტორი, ძირითადად, ეფექტურია განვითარებად ქვეყნებში ან მცირედ დასახლებულ სახელმწიფოებში, სადაც ბუნებრივი რესურსების მოცულობა ერთ მოსახლეზე დიდია, რადგან ეს ქმნის ეროვნული წარმოების განმტკიცების ბაზის შექმნას;
2. მოსახლეობის ზრდა იწვევს ეკონომიკის მასშტაბის გაფართოებას, რაც „ადამიანში“ ინვესტიციების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმის განხორციელების საშუალებას იძლევა;



3. მოსახლეობის რიცხოვნობის გაზრდა ავტომატურად იწვევს მოთხოვნილების ზრდას, ასევე, კაპიტალის ექსპანსიას;
4. შობადობის ზრდის საფუძველზე მოსახლეობის აღწარმოების ზრდა განაპირობებს დასაქმებულთა შორის ახალგაზრდა ასაკის დასაქმებულების მატებას;
5. მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდება სიკვდილიანობის შემცირების ხარჯზე, კერძოდ, ბავშვების შრომისუნარიან ასაკამდე მიღწევასა და მათი შემდგომი შრომითი ანაზღაურების იმ ხარჯებს, რაც გაწეულ იქნა მათ გაზრდაზე, აღზრდაზე, განათლებაზე და ა. შ., გულისხმობს ეკონომიკური სარგებლის მიღებას;
6. მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა იწვევს დამოგრაფიული ვითარების სტაბილურობას.

დემოგრაფიული განვითარების ზემოთ მოყვანილი გავლენა ეკონომიკაზე დადებითი ხასიათისაა, თუმცა არსებობს ნეგატიური ასპექტებიც, კერძოდ: გადაუწყვეტელი ამოცანა მოსახლეობის შეუზღუდავ ზრდასა და რესურსების, მათ შორის ეკონომიკური რესურსების სიმწირეს შორის.

ამრიგად, მოსახლეობის აღწარმოების დემოგრაფიულმა პროცესებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს ეკონომიკის განვითარებაზე. თავის მხრივ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღწარმოებაზე ისეთი დემოგრაფიული ფაქტორები, როგორცაა მოსახლეობის სტრუქტურა, ქორწინება, დემოგრაფიული პოლიტიკა.

რთული და მრავალმხრივი დემოგრაფიული პროცესების განვითარება მრავალრიცხოვანი ფაქტორებით (ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალ-ეკონომიკური, სამედიცინო და სხვ.) განისაზღვრება და მათი შეფასება წარმოებს მრავალი სტატისტიკური მაჩვენებლით, კერძოდ:

- მოსახლეობის რიცხოვნობა, მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობისა და დატვირთვის (დაბერება და ჩანაცვლება) მაჩვენებლები, ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის მასსიათებლები (შობადობის და სიკვდილიანობის, იმიგრაციის და ემიგრაციის, ქორწინებისა და განქორწინების აბსოლუტური და ქვეყნის 1000 მცხოვრებზე გაანგარიშებული მაჩვენებლები);
- მოსახლეობის აღწარმოების და 0, 5, 10, 15 წლის ასაკის პირების ცხოვრების მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლები;
- სამედიცინო სტატისტიკის მაჩვენებლები;
- დემოგრაფიული განვითარების, მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ჯანმრთელობის დაცვის განზოგადებული მაჩვენებლები/ინდიკატორები;
- დემოგრაფიის პოტენციური გაანგარიშებითი მაჩვენებლები და სხვ.

ქვეყნის რეგიონულ განვითარებაზე მოქმედი ზემოთ მოტანილი მაჩვენებლების ჩამონათვალი შეიძლება კორექტირებულ იქნას სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის, ანალიზის მიმართულებისა და გაანგარიშებების მიზნის გათვალისწინებით. რეგიონული განვითარების დემოსოციალური და ეკონომიკური პროცესების თავისებურებების დადგენისა და გამოვლენისთვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სტატისტიკური მეთოდების სისტემის შემუშავება დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა აქტუალურ და მნიშვნელოვან ამოცანას. ასევე, რეგიონულ დონეზე მეთოდოლოგიურად შესაღარი მაჩვენებლების შემუშავება სახელმწიფო ეროვნული სტატისტიკური სამსახურების პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება.

რეგიონული დიფერენციაციის შეფასებისა და ანალიზის ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა დამოკიდებულია შემდეგ საკანდო მომენტებზე, როგორცაა:

- სტატისტიკური კვლევის ეტაპების შედეგები (პრობლემის დასმა; კვლევის მიდგომებისა და საერთო გეგმის შემუშავება; სტატისტიკური დაკვირვება და აუცილებელი სტატისტიკური ინფორმაციული ბაზის ფორმირება; ინფორმაციის თავმოყრა და საწყისი მონაცემების დაჯგუფება);
- რეგიონულ დონეზე მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის შინაარსობრივი დახასიათება, მისი სრულყოფა, ხარისხი, გაზომვის სკალების გამოყენება და განზოგადება;
- ცალკეული სტატისტიკური მეთოდების თავისებურება და შინაარსი (ნიშნებს შორის კავშირის კვლევაზე მიმართული მეთოდები, პროგნოზირების მეთოდები, სტრუქტურული ძვრების მეთოდები და სხვ.);
- მკვლევარის გამოცდილება და მის მიერ შერჩეული მეთოდოლოგია და სხვა.

დემოგრაფიული განვითარების რეგიონული დიფერენციაციის შეფასებისთვის აუცილებელია გამოყენებულ იქნას სოციალ-ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზის სტატისტიკის თეორიის ფარგლებში შემუშავებული როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე მრავალგანზომილებიანი და ეკონომეტრიკული მეთოდები, რომლებიც მნიშვნელოვანი როლენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების მიღების, მათ შორის დემოსოციალური პროცესებისა და მოვლენების პროგნოზირების საშუალებას იძლევა. ამასთან, სტატისტიკური მეთოდების ერთობლიობა შეიძლება პირობითად ორ ჯგუფად დავყოთ: ერთგანზომილებიან და მრავალგანზომილებიან მეთოდებად.

რეგიონული დემოგრაფიული ანალიზის დროს გამოყენებული მეთოდები მოცემულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში (იხ. ცხრილი 1), რომელიც ასახავს კვლევის ძირითადი ეტაპების ურთიერთკავშირსა და მიმართულებებს, სტატისტიკურ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს.

**ცხრილი 1**

**რეგიონის დემოგრაფიული ანალიზის სტატისტიკური მეთოდები<sup>1</sup>**

კვლევის ეტაპი, მიმართულება	კვლევის სტატისტიკური ინსტრუმენტები და მეთოდები	ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხდება კვლევის მოცემულ ეტაპზე სტატისტიკური ინსტრუმენტების დახმარებით
სტატისტიკური დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების პირველადი დამუშავება	სტატისტიკური თავმოყრა; სტატისტიკური ცხრილები; გრაფიკული მეთოდი	დემოგრაფიული მონაცემების სისტემატიზაცია და განზოგადება, განაწილების მწკრივების აგება; რეგიონული განსხვავებების/მსგავსების ვიზუალური წარმონაჩენი, რეგიონების ჯგუფების შექმნა, რეგიონების ურთიერთშემოქმედების ტიპებისა და მიმართულებების გამოვლენა
განზოგადებული მახასიათებლების სტატისტიკური შეფასება და ნიშნებს შორის კავშირის გაზომვა	განზოგადებული მაჩვენებლების (აბსოლუტური, შეფარდებითი სიდიდეები) გაანგარიშებისა და ანალიზის მეთოდი; საშუალოები სიდიდეების (საშუალო სიდიდის, სტრუქტურული საშუალოების - მოდა, მედიანა, კვარტილი) ტერიტორიული ინდიკატორების წყვილად შედარების მეთოდი; ვარიაციის მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი ერთგანზომილებიანი დისპერსიული ანალიზის ჩატარება სტრუქტურის, კოორდინაციის შეფარდებითი	დემოგრაფიული განზოგადებული მაჩვენებლების კომპარატიული ანალიზი; რეგიონების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების და, მთლიანად, ქვეყნის მიხედვით პარამეტრების მნიშვნელობათა შედარებითი დახასიათება; გამოკვლევული დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით შესწავლილი ერთობლიობის ერთგვაროვნობის კვლევა; სხვადასხვა რეგიონების მიხედვით შესწავლილი დემოგრაფიული ნიშნების ცვალებადობის (არასტაბილურობის) შედარება; შედეგობრივ და ფაქტორულ ნიშნებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენა

<sup>1</sup> A. K. Кулак. Теоретический обзор статистических методов: оценка региональных различий демографического развития. www.edoc.bseu.by.

<p>სტრუქტურული ძვრების (სტრუქტურულ განხვავებათა) შეფასება</p>	<p>მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი; სტრუქტურული ძვრების შეფასების (სტრუქტურული ძვრების კოეფიციენტი, გატევის, საღაის და სხვ. ინტეგრალური კოეფიციენტები, სტრუქტურული ძვრების სისწრაფე); განაწილების არაერთგვაროვნების კოეფიციენტის გაანგარიშება</p>	<p>ორი ან მეტი სტრუქტურის შედარება (დროსა და სივრცეში); სხვადასხვა რეგიონული დემოგრაფიული სტრუქტურის შესწავლა: 1. ცალკეული რეგიონის ფარგლებში შიდა სტრუქტურული განხვავებების შეფასება; 2. რეგიონთაშორისი განხვავებების არსებობის შეფასება; 3. ცალკეული რეგიონისა და ქვეყნის სტრუქტურის შედარება; რეგიონული სიტუაციის ანალიზი, სტრუქტურული ძვრების დინამიკაში შესწავლა; არათანაბარზომიერი და არაერთგვაროვანი სტრუქტურების გამოკვლევა; კარტოგრამებისა და კარტოლიაგრამების აგება და სხვა.</p>
<p>დემოგრაფიული მაჩვენებლების დინამიკის შეფასება</p>	<p>დინამიკური მწკრივის ანალიზური და საშუალო მაჩვენებლების გაანგარიშება და ანალიზი; სეზონური დეკომპოზიცია; ტრენდის განტოლების ანალიზური წესით აგება; საინდექსო მეთოდი</p>	<p>დემოგრაფიული განვითარების დინამიკის მაჩვენებლების გამოკვლევა და რეგიონის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა; დემოგრაფიული მოვლენების სეზონურობის და ციკლურობის შეფასება, სეზონურობის კოეფიციენტების დროსა და სივრცეში (რეგიონთაშორისი) შედარება; რეგიონებში ტერიტორიული ინდექსების საფუძველზე დინამიკური მაჩვენებლების შეფასება. მრავალფაქტორული ინდექსების მიხედვით შედეგობრივი მაჩვენებლების დინამიკაზე ცალკეული ფაქტორების გავლენის შეფასება. სტრუქტურული ძვრების ინდექსების მიხედვით საშუალო მაჩვენებლების (შობადობა, სიკვდილიანობა და ა.შ.) დინამიკაზე სტრუქტურული ფაქტორების გავლენის გამოკვლევა</p>
<p>ცალკეულ დემოგრაფიულ ნიშნებს შორის ურთიერთკავშირის შესწავლა, ერთობლობის ერთგვაროვნების შეფასება</p>	<p>კორელაციური ცხრილებისა და ანალიტიკური დაჯგუფების აგება, პარალელურ მწკრივთა მეთოდი. კორელაციური ანალიზი, რეგრესიის განტოლების აგება. არაპარამეტრული მეთოდები (რანგების სპირმენის, კენდალის კოეფიციენტები, მან-უიტნის, კოლმოგოროვ-სმირნოვის, მაკ-ნემარის კრიტერიუმები და სხვ.) პირსინის, ფიშერის და სხვ. კრიტერიუმების გამოყენება</p>	<p>გამოსაკვლევ მაჩვენებლებს შორის კავშირის არსებობის/არარსებობის დადგენა; კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის, მიმართულებისა და მნიშვნელობის სტატისტიკური შეფასება; ფაქტორულ და შედეგობრივ ნიშნებს შორის რეგრესიული განტოლების ტიპის დასაბუთება; დემოგრაფიული განვითარების შედეგობრივი მაჩვენებლების დინამიკაში ძირითადი ტენდენციის ფორმირების ფაქტორების შეფასება; რეგიონების დემოგრაფიული მაჩვენებლების სტრუქტურაში განხვავებათა (მსგავსებათა) გამოკვლევა და სხვ.</p>
<p>დემოგრაფიული განვითარების ინდიკატორების პროგნოზირება</p>	<p>ექსტრაპოლაციის მეთოდები; კორელაციურ-რეგრესიული მოდელის აგება და სხვ.</p>	<p>შესასწავლი დემოგრაფიული მაჩვენებლების საპროგნოზო მნიშვნელობების სტატისტიკური შეფასება; მიღებული შედეგების სანდობის შეფასება, ნდობის ინტერვალის გაანგარიშება და სხვ.</p>

რეგიონის განვითარების ამსახველი ყველა დემოსოციალური და ეკონომიკური მოვლენა და პროცესი ერთმანეთთან მრავალმხრივ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებულია. ამიტომ რეგიონული კვლევების მნიშვნელოვან მიმართულებას შედეგობრივი მაჩვენებლების ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორების სტატისტიკური შესწავლა წარმოადგენს. იმის გათვალისწინებით, რომ დემოგრაფიული განვითარება განპირობებულია განსაზღვრული რაოდენობის ფაქტორებით და

სასიათღება მრავალი მაჩვენებლით, მიზანშეწონილია ტერიტორიულ-რეგიონული დიფერენციაციის ანალიზის სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდის (ერთგანზომილებიანი, მრავალგანზომილებიანი) გამოყენება.

როგორც ცნობილია, საზოგადოებრივი მოვლენები, მათ შორის, დემოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური, ყველაზე რთულია ადამიანისათვის ცნობილი მოვლენებიდან, რადგან ისინი ფორმირდება მრავალრიცხოვანი, სხვადასხვაგვარი და ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების ზემოქმედების საფუძველზე. მათი ფილოსოფიური ბუნების სწორი გაგებისათვის აუცილებელია დავყვარდნით მათი ურთიერთკავშირისა და განვითარების დიალექტიკურ პრინციპებს. ამ პრინციპების შესაბამისად, საზოგადოებრივი მოვლენები ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული, გამომდინარეობს ერთმანეთისაგან, განპირობებულია ერთმანეთით და იმყოფება მუდმივ მოძრაობასა და განვითარებაში. ამიტომ ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის არსის ობიექტური გაგება და შესწავლა შეიძლება მხოლოდ მათ გარშემო მყოფ მოვლენებთან ურთიერთკავშირის გამოკვლევის საფუძველზე.

ნებისმიერი სფეროს (ბუნების, საზოგადოების, ეკონომიკის) კვლევისას აუცილებელია მხედველობაში მივიღოთ შესასწავლ მოვლენათა და პროცესთა ურთიერთკავშირი, ამასთან, აღწერილობის სისრულე ყველა შემთხვევაში განპირობებულია მათ შორის მიზეზშედეგობრივი ურთიერთობების რაოდენობრივი მასსიათებლებით. მათგან ყველაზე არსებითი შერჩევა და შეფასება, ასევე, ზოგიერთი ფაქტორის გავლენა სხვა მოვლენებზე, სტატისტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

სტატისტიკა შეისწავლის რა საზოგადოებრივ მოვლენებს, არ შეიძლება შემოიფარგლოს ცალკე აღებული მოვლენის ანალიზით, იზოლირებულად იმ კავშირებისაგან, რომელიც მას აქვს სხვა მოვლენებთან. პირიქით, ის ისწავლის შესაძლებლობების მიხედვით მოიცვას ურთიერთდაკავშირებულ მოვლენათა მთელი კომპლექსი, რათა მათი სტატისტიკური შესწავლით მოგვცეს ამ კავშირების რიცხვითი გამოსახვა. ამას მოითხოვს დიალექტიკური მეთოდიც, რომლის საფუძველზეც შექმნილია სტატისტიკური მეთოდოლოგია. ამიტომ სტატისტიკის თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა მოვლენებს შორის არსებული კავშირების დადგენაცაა.

მოვლენათა შორის არსებული მიზეზშედეგობრივი ურთიერთობები იმ ნიშნების (ფაქტორების) გამოვლენის საშუალებას იძლევა, რომლებიც, ძირითადად, გავლენას ახდენენ შესასწავლი მოვლენებისა და პროცესების ვარიაციაზე. მიზეზშედეგობრივი ურთიერთობები მოვლენებსა და პროცესებს შორის არსებული ისეთი კავშირია, როდესაც ერთ-ერთი მათგანის ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას.

მიზეზი - პირობების, გარემოებების ერთობლიობაა, რომლის ქმედებას მოჰყვება შედეგი. თუ მოვლენებს შორის ნამდვილად არსებობს მიზეზშედეგობრივი ურთიერთობა, მაშინ ეს პირობები უნდა განხორციელდეს მიზეზების მოქმედებასთან ერთად. მიზეზობრივი კავშირი საყოველთაო და მრავალმხრივი სასიათისა და მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენისთვის აუცილებელია შეირჩეს ცალკეული მოვლენები და იზოლირებულად იქნას შესწავლილი.

საზოგადოებრივი მოვლენები წარმოადგენს მიზეზების დიდ რიცხვთა ერთდროული ზემოქმედების შედეგს. ამიტომ მათი შესწავლისას აუცილებელია მოქმედ მიზეზთა დადგენა და მათგან მთავარი, არსებითი და ძირითადი მიზეზების გამოვლენა.

კავშირი საზოგადოებრივ მოვლენებს, მის ცალკეულ ნიშნებს შორის მრავალმხრივი და რთულია. თუმცა, ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში ერთნაირი ნიშნები ზემოქმედებენ მეორეზე და განაპირობებენ მათ ცვლილებას. მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის განხილვისას გამოიყოფა ორი ნიშანი:

1. ფაქტორული (ნიშან-ფაქტორული, მიზეზობრივი);
2. შედეგობრივი.

ფაქტორულია მოვლენები (ნიშნები), რომლებიც, მოცემულ შემთხვევაში, მოქმედებენ სხვა მოვლენების განვითარებაზე. მაგალითად, შემოსავლების მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე განგარიშებით და მოსახლეობის რიცხოვნობა. მათი სიდიდე, თავის მხრივ, დამოკიდებულია დასაქმებაზე, უმუშევრობაზე, შრომის ანაზღაურების და სხვა შემოსავლების მოცულობაზე და სხვ.

საშედეგოა მოვლენები, რომელთა განვითარება მოცემულ შემთხვევაში განპირობებულია სხვა, მათზე მოქმედი მოვლენებისა და პროცესების განვითარებით, ე. ი. გამოიდან, როგორც ფაქტორების მოქმედების შედეგი.

სოციალურ-ეკონომიკურ რეალობაში მიზეზი და შედეგი უნდა განიხილებოდეს, როგორც დაკავშირებული მოვლენები, რომელთა არსებობა განპირობებულია მარტივი მიზეზების და შედეგების კომპლექსით. მიზეზისა და შედეგის რთულ ჯგუფებს შორის შეიძლება არსებობდეს მრავალმნიშვნელოვანი კავშირები, რომელშიც ერთ მიზეზს შეიძლება მოჰყვეს ერთი ან სხვა ქმედება, ან ერთ ქმედებას შეიძლება რამდენიმე მიზეზი იწვევდეს. მოვლენებს შორის ერთმნიშვნელოვანი მიზეზობრივი კავშირის დადგენისთვის, ან კონკრეტული მიზეზის შესაძლო შედეგის წინასწარ განსაზღვრისთვის აუცილებელია დროსა და სივრცეში ყველა სხვა მოვლენისაგან სრული აბსტრაქცია. თეორიულად ასეთი აბსტრაქცია კვლავ განმეორებადი. აბსტრაქციის ხერხებს ხშირად გამოიყენებენ ორ ნიშანს შორის ურთიერთკავშირის შესწავლისას. მაგრამ რაც უფრო რთულია შესასწავლი მოვლენა, მით უფრო ძნელია მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირის გამოვლენა. სხვადასხვა შიგა და გარე ფაქტორების ურთიერთშერწყმის შედეგად, შესაძლებელია რაიმე შეცდომა იქნას დაშვებული მიზეზისა და შედეგის განსაზღვრაში.

სოციალ-ეკონომიკურ მოვლენებში მიზეზშედეგობრივი კავშირის თავისებურებას წარმოადგენს მათი ტრანზიტულობა, ანუ  $X$  მიზეზი და  $Y$  შედეგი დაკავშირებულია დამოკიდებულებით  $X \rightarrow X' \rightarrow X'' \rightarrow Y$  და არა უშუალოდ  $X \rightarrow Y$ . თუმცა, შუალედული ფაქტორები, როგორც წესი, ანალიზიდან გამოირიცხება.

დემოსტრაციული და ეკონომიკური მოვლენები განიცდიან მრავალი მიზეზის ერთდროულ ზემოქმედებას. შესაბამისად, ამ მოვლენების შესწავლისას აუცილებელია მეორეხარისხოვანი მიზეზების აბსტრაგირება და მთავარი, ძირითადი ნიშნების გამოვლენა.

მოვლენათა შორის კავშირის შეიძლება სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. განასხვავებენ ურთიერთკავშირის ორ ფორმას:

- ფუნქციურს (ანუ სრულს);
- სტოქასტურს (ანუ სტატისტიკურს).

ფუნქციური კავშირის დროს ფაქტორული ნიშნების თითოეული განსაზღვრული სისტემის მნიშვნელობას (ვარიანტებს) საშედეგო ნიშნის მხოლოდ ერთი (ან რამდენიმე) მკაცრად განსაზღვრული მნიშვნელობა შეესაბამება, ე. ი. ნიშნის შედეგობრივი მნიშვნელობა მთლიანად და სრულად განისაზღვრება ფაქტორული ნიშნის მნიშვნელობით. ფუნქციური კავშირის დროს მიზეზობრივი ფაქტორის ცვლილება ყოველთვის, ყველგან და ყველა პირობებში სრულიად ცალსახად შესაბამისი პარამეტრული განზომილებით იწვევს საშედეგო მოვლენის ცვლილებას.

ფუნქციური კავშირი, ჩვეულებრივ, გამოისახება ფორმულებით. ყველაზე ხშირად ასეთი სახის კავშირები გვხვდება ზუსტ მეცნიერებებში, ძირითადად, მათემატიკასა და ფიზიკაში (შედარებით ნაკლებად საზოგადოებრივ მოვლენებში). ამასთან, იგი არის ერთეულოვანი (ანუ გამოვლინდება დაკვირვების თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, მოცემული ერთობლიობის თითოეული ერთეულისათვის), რთული საზოგადოებრივი მოვლენის მხოლოდ ცალკეულ მხარეთა ურთიერთკავშირის გამომსახველი. მაგალითად, სამკუთხედის ფართობი განისაზღვრება მისი გვერდების სიგრძით; შინამეურნეობის შემოსავლები მთლიანად დამოკიდებულია განსაზღვრული სახის საქმიანობისა და მათი ანაზღაურების მოცულობაზე.

ფუნქციური კავშირი ზუსტი და სრული კავშირია, რადგან ცნობილია ყველა ფაქტორის სრული ჩამონათვალი, რომელზეც დამოკიდებულია შედეგობრივი ნიშანი და ურთიერთკავშირის მექანიზმი ამა თუ იმ ფუნქციის (ტოლობის) -  $y = f(X)$  სახით. ამასთან, საჭიროა აღინიშნოს, რომ ფუნქციური დამოკიდებულება ერთნაირი ძალით ვლინდება დაკვირვების თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში ერთობლიობის თითოეული ერთეულისათვის მოცემული მოვლენის სხვა ნიშანთა ცვლილებიდან გამომდინარე.

სტოქასტური ეწოდება დამოკიდებულებას, როცა მიზეზობრივი კავშირი ვლინდება არა ერთობლიობის ყველა კონკრეტული ერთეულისთვის, არამედ საერთოდ, საშუალოდ, დაკვირვების საკმარისად დიდი რიცხვის პირობებში. მის კერძო შემთხვევას კორელაციური კავშირი წარმოადგენს, რომლის დროსაც ფაქტორული ნიშნის მნიშვნელობას, ცალკეულ შემთხვევებში, შეიძლება შეესაბამებოდეს შედეგობრივი ნიშნის სულ სხვადასხვა მნიშვნელობა და ფაქტორული ნიშნის შეცვლასთან ერთად იცვლებოდეს შედეგობრივი ნიშნის საშუალო სიდიდე. ასეთი კავშირის დროს, თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში, არ

არის მკაცრი და ზუსტი შესაბამისობა ნიშნების მნიშვნელობებს შორის. უფრო მეტიც, ერთობლიობის თითოეულ ერთეულთან შეინიშნება მხოლოდ გარკვეული თანაფარდობა, კორელაცია.

კორელაციური კავშირი (რომელსაც ასევე სტატისტიკურ კავშირსაც უწოდებენ) ვლინდება საშუალოდ, მასობრივი დაკვირვებისთვის, როდესაც დამოკიდებული ცვლადის მოცემულ მნიშვნელობას დამოუკიდებელი ცვლადის ზოგიერთი ალბათური მნიშვნელობა შეესაბამება. საანალიზო ფაქტორებს შორის ურთიერთკავშირის სირთულე იმით აიხსნება, რომ მათზე გავლენას ახდენს გაუთვალისწინებელი შემთხვევითი ფაქტორები. ამიტომ ნიშნებს შორის კავშირი საშუალოდ, მასობრივ შემთხვევებში ვლინდება. კორელაციური კავშირის დროს არგუმენტის თითოეულ მნიშვნელობას შეესაბამება გარკვეულ ინტერვალში შემთხვევით განაწილებული ფუნქციის მნიშვნელობა. ასეთი კავშირის შემთხვევაში მიზეზობრივი მოვლენის ცვალებადობა განაპირობებს საშუალოდ მოვლენის ცვალებადობას არა ყოველთვის, არა დაკვირვების ყველა ცალკეულ შემთხვევაში, არამედ საშუალოდ, დაკვირვების დიდი (საკმარისი) რიცხვის პირობებში.

ამრიგად, კორელაციური კავშირის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი ერთეულოვან შემთხვევებში კი არ ვლინდება, არამედ მასობრივში. ამიტომ კორელაციური კავშირების შესწავლა სტატისტიკურ დაკვირვების შედეგად მიღებული ე. წ. ემპირიული მონაცემების მიხედვით წარმოებს. კორელაციური დამოკიდებულების გამოვლენა ექვემდებარება დიდ რიცხვთა კანონის გავლენას: ფაქტების მხოლოდ საკმარისად დიდი რიცხვის პირობებში ინდივიდუალური თავისებურებები და მეორეხარისხოვანი ფაქტორების მოსწორება და დამოკიდებულება, თუ მას გააჩნია არსებითი ძალა, გამოვლინდება საკმარისად ნათლად (აშკარად).

კორელაციური კავშირის მეორე თავისებურება ისაა, რომ ის არასრული კავშირია, რადგან საშუალოდ მოვლენაზე მოქმედებს არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი ფაქტორი ერთიანობაში. ამიტომ მასობრივ მოვლენებშიც კი, სადაც შემთხვევითი ფაქტორები ნიველირდება (ბათილდება), გამოვლენილი დამოკიდებულება არ იქნება სრული, ე. ი. ფუნქციური სასიათის.

და მესამე, კორელაციური კავშირის დროს, ფუნქციურიდან განსხვავებით, ჩვეულებრივ, ცნობილი არ არის შედეგობრივ ნიშანზე მოქმედი ფაქტორულ ნიშანთა სრული ჩამონათვალი და მათი ურთიერთმოქმედების ზუსტი მექანიზმი გამოსატყუელი ამა თუ იმ მათემატიკური ფორმულების ან ფუნქციის სახით. კავშირის ეს ფორმა არის „არასრული“, „არამკაცრი“ კავშირი.

სტატისტიკაში განიხილება კავშირის სხვადასხვა სახე, რომელთა კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნის მიხედვით წარმოებს (იხ. ცხრილი 2).

## ცხრილი 2

### მოვლენათა შორის კავშირის კლასიფიკაცია

№	საკლასიფიკაციო ნიშანი	კავშირის სახე
1	მიმართულების მიხედვით	პირდაპირი კავშირი არაპირდაპირი (უკუ) კავშირი
2	ფაქტორების მიხედვით	ერთფაქტორიანი კავშირი მრავალფაქტორიანი კავშირი
3	ანალიტიკური გამოსახვის მიხედვით	წრფივი კავშირი არაწრფივი, ანუ მრუდხაზოვანი კავშირი
4	კავშირის სიძლიერის მიხედვით	ძლიერი კავშირი სუსტი კავშირი

მიმართულების მიხედვით კავშირი არის პირდაპირი და უკუ (არაპირდაპირი). თუ შედეგობრივი ნიშნის ცვლილების მიმართულება ემთხვევა ფაქტორული ნიშნის ცვლილების მიმართულებას, მაშინ ასეთი კავშირს პირდაპირი ეწოდება. ე.ი. პირდაპირი კავშირის დროს ფაქტორის ზრდასთან ერთად იზრდება შედეგობრივი ნიშანი და პირიქით, ფაქტორის შემცირება იწვევს შედეგობრივის შემცირებას. მაგალითად, შობადობის ზრდა იწვევს მოსახლეობის ზრდას; ფასების ზრდა იწვევს პროდუქციის შექმნაზე შინამეურნეობის ხარჯების ზრდას.

თუ ფაქტორული და შედეგობრივი ნიშნების მიმართულებები ერთმანეთს არ ემთხვევა, მაშინ საქმე გვაქვს უკუკავშირთან. ანუ როდესაც ფაქტორის შემცირების გამო შედეგობრივი ნიშანი იზრდება და პირიქით, გადიდება იწვევს მის შემცირებას. მაგალითად, ფასების ზრდა იწვევს შინამეურნეობის დაგროვების შემცირებას, სიკვდილიანობის გაზრდა იწვევს მოსახლეობის შემცირებას.

ფაქტორების მიხედვით კავშირი არის ერთფაქტორიანი ან მრავალფაქტორიანი. *კავშირი ერთფაქტორიანია*, თუ გამოკვლევა ითვალისწინებს კავშირს შედეგობრივ ნიშანსა და მხოლოდ ერთ ფაქტორს შორის. ამასთან, კორელაციური კავშირის დროს ერთი ფაქტორის ჩართვა ნიშნავს, რომ სხვა, დანარჩენი ფაქტორების გავლენისაგან ვახდენთ აბსტრაგირებას, ელიმინირებას, მათი მოქმედების თავიდან აცილებას. ასეთ კორელაციას ეწოდება *წყვილადი*, რადგან განიხილება მხოლოდ ნიშნათა ერთი წყვილი (ორი ნიშანი) - შედეგობრივი და ფაქტორული ნიშანი.

თუ შედეგობრივი ნიშნის კორელაციური დამოკიდებულება ერთდროულად რამდენიმე ფაქტორულ ნიშანთან მიმართებაში განიხილება, მაშინ *კავშირი მრავალფაქტორულია*, ხოლო კორელაცია მრავლობითი.

ანალიტიკური გამოსახულების მიხედვით განასხვავებენ წრფივი და არაწრფივი (მრუდსაზოვანი) სახის კავშირებს. კავშირს ეწოდება *წრფივი*, როდესაც შედეგობრივი ნიშნის დამოკიდებულება მოცემული ფაქტორული ნიშნისაგან შეიძლება გამოისახოს წრფივი განტოლებით, ხოლო თუ დამოკიდებულება გამოიხატება რომელიმე არაწრფივი (პარაბოლა, ჰიპერბოლა, მაჩვენებლიანი) განტოლებით, მაშინ კავშირს ეწოდება არაწრფივი, ანუ მრუდსაზოვანი.

ზემოთ მოყვანილი საკლასიფიკაციო ნიშნები ხშირად გვხვდება სტატისტიკურ ანალიზში. თუმცა, მათ გარდა განასხვავებენ ასევე უშუალო, ირიბ და ყალბ (ცრუ) კავშირებს. პირველ შემთხვევაში ფაქტორები უშუალოდ ზემოქმედებენ ერთმანეთზე, ირიბი კავშირისთვის დამახასიათებელია რომელიმე მესამე ცვლადის მონაწილეობა, რომელიც ასაშუალოებს შესასწავლ ნიშნათა კავშირს. ყალბი კავშირი - ეს არის ფორმალურად დამყარებული კავშირი, რომელიც, როგორც წესი, მხოლოდ რაოდენობრივი შეფასებებითაა დადასტურებული და არ გააჩნია თვისებრივი საფუძველი ან ყოველგვარ აზრსა მოკლებული.

კავშირის სიძლიერის მიხედვით განასხვავებენ - ძლიერ და სუსტ კავშირებს. ეს ფორმალური მახასიათებელი გამოისახება კონკრეტული მნიშვნელობებით და ინტერპრეტირებულია კონკრეტული ინდიკატორებისთვის კავშირის ზოგადად მიღებული კრიტერიუმების შესაბამისობაში.

## 9.2. მოვლენათა ურთიერთკავშირის შესწავლის სტატისტიკური მეთოდები

მაჩვენებელთა კორელაციური კავშირების შესწავლისას სტატისტიკის წინაშე დგება შემდეგი ძირითადი ამოცანები:

- ეკონომიკური თეორიის დებულებების შემოწმება შესწავლილ ინდიკატორებს შორის კავშირის შესაძლებლობისა და გამოვლენილი კავშირის დამოკიდებულების ანალიტიკური ფორმის მიწოდების შესახებ;
- კავშირის სიმჭიდროვის რაოდენობრივი შეფასების დადგენა, რომელიც ახასიათებს ფაქტორული ნიშნის შედეგობრივზე ზემოქმედების სიძლიერეს.

უფრო ზოგადი სახით ურთიერთკავშირის შესწავლისას სტატისტიკის წინაშე დგას ამოცანები, რომელიც მდგომარეობს კავშირის რაოდენობრივი შეფასებისა და მიმართულების, ასევე, ერთი ფაქტორის მეორეზე ზემოქმედების სიმჭიდროვის ხარისხისა და ფორმის დახასიათება. მათი გადაწყვეტისთვის გამოიყენება მეთოდთა ორი ჯგუფი, რომელთაგან ერთი მოიცავს კორელაციური ანალიზის და მეორე - რეგრესიული ანალიზის მეთოდებს. ამასთან, რიგი გამოკვლევების დროს ხდება მათი გაერთიანება კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზში.

ამიტომ მოცემულ კონტექსტში შეიძლება ვისაუბროთ კორელაციური ანალიზის ფართო და ვიწრო გაგებაზე. კორელაციური ანალიზი ფართო გაგებით - როცა ყოველმხრივად ხდება ურთიერთკავშირის დახასიათება, ვიწრო გაგებით - კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის შესწავლა. რაც შეეხება რეგრესიულ ანალიზს, ნიშნავს კავშირის ფორმის და ერთი ფაქტორის მეორეზე გავლენის შეფასებას.

უშუალოდ კორელაციური ანალიზის ამოცანა მდგომარეობს ვარიუბად ნიშნებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გაზომვაში, კავშირის უცნობი მიზეზების განსაზღვრასა და იმ ფაქტორების შეფასებაში, რომელთაც შედეგობრივ ნიშანზე უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ. რეგრესიული ანალიზის ამოცანას, დამოკიდებულების ფორმის დადგენის სფეროში, წარმოადგენს რეგრესიის ფუნქციის განსაზღვრა, განტოლების გამოყენება დამოკიდებული ცვლადების უცნობი პარამეტრების გაანგარიშებისთვის.

აღნიშნულ ამოცანათა გადაჭრა ეყრდნობა შესაბამის მეთოდებს, ხერხებს, ალგორითმებს, მაჩვენებლებს, რომელთა გამოყენება საფუძველს იძლევა ვისაუბროთ ურთიერთკავშირის სტატისტიკური შესწავლის შესახებ.

საზოგადოებრივ მოვლენებს შორის სხვადასხვა ურთიერთკავშირების გამოკვლევის დროს სტატისტიკა ეყრდნობა მათ თეორიულ და თვისებრივ ანალიზს. მისი დასკვნების დამტკიცებისათვის, ურთიერთკავშირების გამოვლენისა და რაოდენობრივი დახასიათებისათვის იყენებს თავის სფეროში სპეციფიკურ ხერხებსა და მეთოდებს.

ფუნქციური კავშირების გამოკვლევისათვის გამოიყენება საბალანსო და საინდექსო მეთოდი, ხოლო კორელაციური კავშირების შესწავლისათვის - პარალელურ მწკრივთა, ანალიზური დაჯგუფების, გრაფიკული, დისპერსიული და კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდები.

საბალანსო მეთოდი წარმოადგენს რესურსების მოძრაობის აბსოლუტურ მაჩვენებელთა ურთიერთდაკავშირებული სისტემის შედგენას. იგი გვიჩვენებს ამ რესურსთა მოძრაობის ერთიან პროცესს, დახასიათებს ამ პროცესის ცალკეულ ელემენტებს შორის კავშირებსა და პროპორციებს. მაგ., მატერიალური, შრომითი, ძირითადი ფონდების ბალანსები. იგი ფუნქციური ხასიათისა და გამოისახება უმარტივესი ფორმულით:

$$Q_1 + N = P + Q_2 \tag{9.1}$$

სადაც,  $Q_1$  და  $Q_2$  - არის რესურსების ნაშთები (საღლი) საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და დასასრულში;  
 $N$  - რესურსების მიღება;  
 $P$  - რესურსების განაწილება და გამოყენება.

შრომითი რესურსები, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის ნაწილია, უშუალო კავშირშია ქვეყნის დემოსოციალურ მდგომარეობასთან. მისი შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია შრომითი რესურსების ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ინდიკატორები. შრომითი რესურსების გამოყენების ორი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტის რაოდენობრივ მახასიათებლებს: ფორმირებას (ხელმისაწვდომობას და რეპროდუქციის წყაროებს) და შრომითი რესურსების განაწილებას, სფეროების და ეკონომიკური საქმიანობის სფეროების მიხედვით, ასახავს სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემა - შრომითი რესურსების ბალანსი.

შრომითი რესურსების ბალანსის დროს /9.1/ ფორმულის ტოლობის მარცხენა ნაწილში მოცემულია პერიოდის დასაწყისში შრომითი რესურსების რაოდენობისა და წლის განმავლობაში ამ ასაკში გადასული მოსახლეობის რიცხვნობის ჯა-



მი, ხოლო მარჯვენა ნაწილში ამ ასაკიდან გასული მოსახლეობისა და პერიოდის დასასრულს შრომითი რესურსების რიცხოვნობას შორის.

ურთიერთდაკავშირებული მოვლენების ანალიზის ყველაზე უფრო მარტივი და გავრცელებული მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება პარალელური მწკრივების შედარების მეთოდი. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ თავმოყრისა და დაჯგუფების შედეგად მიღებული მასალები უნდა დავალაგოთ პარალელურ მწკრივებში გავრცელების (სივრცის) ნიშნის ან დროის ნიშნის მიხედვით. ასეთი სახის მწკრივების ერთობლივი შესწავლა იძლევა შესაძლებლობას თვალყურით ვადევნოთ შესადარებელი ნიშნების თანაფარდობას და მათი ცვლილების მიმართულებას. ამ მეთოდის გამოყენებისათვის საჭიროა შესადარებელი მოვლენების ანალიზი, მათ შორის არსებული მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა და არა უბრალო თანხვედრა. მონაცემების პარალელურად, წარმოდგენის მეთოდის საფუძველზე ორი ან რამდენიმე სტატისტიკური სიდიდის მწკრივთა შედარება კავშირის არსებობის დადგენის და მისი ხასიათის შესახებ წარმოდგენის მიღების საშუალებას იძლევა. ორი X და Y სიდიდის ცვლილების შედარებისას, თუ X-ის გაზრდა იწვევს Y-ის გაზრდას, მაშინ საქმე გვაქვს პირდაპირ კავშირთან და მისი ასახვა შესაძლებელია წრფივი ან მეორე რიგის პარაბოლის განტოლებით. მაგ., გარდაცვლილი მოსახლეობის რიცხოვნობასა და მოსახლეობის რიცხოვნობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობის შესაბამისად, შესაძლებელი ხდება ამ მაჩვენებელთა პარალელური მწკრივების აგება და შემდეგ შედარება. მათი შედარების შედეგად შეიძლება გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნა - ამ მოვლენებს შორის არსებობს არაპირდაპირი კავშირი, რადგან გარდაცვალების შემთხვევათა გადიდება იწვევს მოსახლეობის შემცირებას.

### ცხრილი 3

#### მოსახლეობის ეკონომიკური აქტიურობა რეგიონულ კრილში (ათასი კაცი, 2019 წელი)

რეგიონი	15 და მეტი ასაკის მოსახლეობა	სულ აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა)
თბილისი	933.0	489.9
აჭარის ა. რ.	268.5	179.1
შიდა ქართლი	217.3	134.5
ქვემო ქართლი	337.5	227.7
სამეგრელო-ზემო სვანეთი	265.3	176.9
იმერეთი	426.8	284.9
სამცხე-ჯავახეთი	136.4	99.0
გურია	95.5	67.9
მცხეთა-მთიანეთი	80.9	57.1
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	27.1	20.1

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

მოვლენათა ურთიერთკავშირის დადგენის უმნიშვნელოვანესი ხერხების რიცხვს მიეკუთვნება ანალიზური დაჯგუფების მეთოდი (დაჯგუფების მეთოდის შეთანაწყობა განზოგადებული მაჩვენებლების მეთოდებთან). ამ მეთოდის საფუძველზე უნდა ვაწარმოოთ ერთობლიობის ერთეულთა დაჯგუფება ფაქტორული ნიშნის მიხედვით და თითოეული ჯგუფისათვის გამოვავლინოთ შედეგობრივი ნიშნის საშუალო ან შეფარდებითი სიდიდე. შედეგობრივი ნიშნის ცვლილების ფაქტორული ნიშნის ცვლილების ზომასთან შედარებით, შეიძლება გამოვავლინოთ მათ შორის კავშირის მიმართულება და ხასიათი.

ორ ნიშანს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევის ერთ-ერთი მეთოდია გრაფიკული გამოსახვის მეთოდი. ამ მეთოდის მიხედვით შედეგობრივი და ფაქტორული ნიშნები გამოისახება კორელაციური ველის საშუალებით. კერძოდ, კოორდინატთა სისტემაზე აბსცისათა ღერძზე განლაგდება ფაქტორული ნიშნის მნიშვნელობები, ხოლო ორდინატთა ღერძზე - საშუალო ნიშანი. მათი მნიშვნელობების გადაკვეთი წერტილები განლაგდება განსაზღვრული ხაზის (რომელიც გამოსახავს კავშირის ფორმას) გარშემო.

თუ წერტილები განლაგებული იქნება წრფეზე, მაშინ გვექნება ფუნქციონალური კავშირი, თუ მის გარშემო - კორელაციური. ამასთან, უფრო მჭიდროდ დაჯგუფებული წერტილები ამ ხაზის გარშემო, გამოსახავს მოცემულ მოვლენებს შორის ძლიერ კავშირს, და პირიქით, გრაფიკზე წერტილების ქაოსური განლაგება მათ შორის კავშირის არარსებობას ან ნაკლებად მჭიდრო კავშირს გამოსახავს.

მოვლენათა შორის არსებული კავშირის შესწავლის ზემოთ განხილული მეთოდები ვერ იძლევა კავშირის ანალიზურ გამოსახულებას ამა თუ იმ მათემატიკური ფორმულების სახით, რომელიც მიასწავლებს მანც დახასიათებდა და გამოსახავდა შედეგობრივი ნიშნის (Y) და ფაქტორული ნიშნის ან რამდენიმე ნიშნის (X) ურთიერთქმედების მექანიზმს:

$$\hat{y} = f(x) \tag{9.2}$$

კავშირის მსგავსი სახის ანალიზური გამოსახვა შეიძლება მივიღოთ კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდის გამოყენების დროს. იგი წარმოადგენს ანალიზური დაჯგუფების მეთოდის გაგრძელებას და გაღრმავებას. კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი დაფუძნებულია შესასწავლი მოვლენის არსის თვისებრივი, თეორიული ანალიზის მჭიდრო, განუყოფელ შერწყმასთან, მათემატიკური სტატისტიკის ხერხებისა და მეთოდების გამოყენებასთან.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი მდგომარეობს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების აგებასა და ანალიზში - შედეგობრივი ნიშნის საშუალო მნიშვნელობის ფაქტორულ ნიშანთან დამოკიდებულების გამომსახველი რეგრესიის (კორელაციური კავშირის) განტოლების, ამა თუ იმ ფუნქციის სახით შემოტანა.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან (სტადიებისაგან):

1. წინასწარი ანალიზი;
2. ინფორმაციის შეგროვება და პირველადი დამუშავება;
3. მოდელის აგება (რეგრესიის განტოლება);
4. მოდელის შეფასება და ანალიზი.

ეს ეტაპები დაკავშირებულია ერთმანეთთან და ატარებენ პირობით ხასიათს.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის მეთოდი გულისხმობს კავშირის ადეკვატური ამსახველი მოდელის აგებას შესაბამისი განტოლების შერჩევით და მისი მეშვეობით მიზეზშედეგობრივი კავშირის რაოდენობრივი თანაფარდობის გაანგარიშებას. კავშირის ფორმის შერჩევა დაფუძნებული უნდა იყოს შესასწავლი მოვლენების, მათი სოციალურ-ეკონომიკური არსის თვისებრივ, თეორიულ და ლოგიკურ ანალიზზე. ამიტომ პირველ რიგში, უნდა შევეცადოთ კავშირის ფორმის დადგენას ეკონომიკური და ლოგიკური ანალიზის გზით.

კორელაცია - ეს არის შემთხვევით სიდიდეთა შორის სტატისტიკური დამოკიდებულება, რომელსაც მკვეთრად ფუნქციონალური ხასიათი არ გააჩნია და რომლის დროსაც შემთხვევითი სიდიდიდან ერთის ცვლილება იწვევს მეორის საშუალო ცვლილებას.

სტატისტიკაში განასხვავებენ დამოკიდებულების შემდეგ ვარიანტებს:

- წყვილადი კორელაცია - ორ ნიშანს (შედეგობრივი და ფაქტორული ან ორი ფაქტორული) შორის;
- კერძო კორელაცია - შედეგობრივ და ერთ ფაქტორულ ნიშანს შორის დამოკიდებულება, სხვა ფაქტორული ნიშნის ფიქსირებული მნიშვნელობის პირობებში;

- მრავლობითი კორელაცია - შედეგობრივ და კვლევაში ჩართულ ორ ან მეტ ფაქტორულ ნიშანს შორის დამოკიდებულება.

კავშირის სიმჭიდროვის რაოდენობრივად გამოსახვა კორელაციის კოეფიციენტით ხდება. კორელაციის კოეფიციენტები, გამოსახავს რა ნიშნებს შორის კავშირის სიმჭიდროვის რაოდენობრივ დასასათბებს, იძლევა მრავლობითი რეგრესიის განტოლების აგებისას ფაქტორული ნიშნების განსაზღვრის საშუალებას. კორელაციის კოეფიციენტების სიდილე ასევე ემსახურება რეგრესიის განტოლების შესაბამისი მიზეზშედეგობრივი კავშირის შეფასებას.

თავდაპირველად, კორელაციის გამოკვლევა ბიოლოგიაში მიმდინარეობდა, მოგვიანებით კი გავრცელდა სხვა სფეროებშიც, მათ შორის სოციალ-ეკონომიკურში. იმავდროულად, კორელაციასთან ერთად დაიწყო რეგრესიის გამოყენებაც. კორელაცია და რეგრესია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია: კორელაცია სტატისტიკური კავშირის სიმჭიდროვის შეფასება, ხოლო რეგრესია - მათი ფორმის გამოკვლევა. ორივე ემსახურება მოვლენებს შორის დამოკიდებულების დადგენას, კავშირის არსებობის ან არარსებობის განსაზღვრისათვის.

კორელაციური და რეგრესიური ანალიზი წარმოადგენს სიმჭიდროვის განსაზღვრის, კავშირის მიმართულების და ანალიზური (რეგრესიული ანალიზი) გამოსახულების (ფორმის) დადგენის ზოგად ცნებას.

რეგრესიული მეთოდი მდგომარეობს კავშირის ანალიზური გამოსახულების განსაზღვრაში, რომელშიც ერთი სიდიდის ცვლილება (დამოკიდებული, ანუ შედეგობრივი ნიშანი) გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე დამოუკიდებელი (ფაქტორების) ზეგავლენით, ხოლო დამოკიდებულ სიდილეზე მოქმედი სხვა მრავალი ფაქტორი განიხილება, როგორც მულტიპლი და საშუალო მნიშვნელობა. რეგრესია შეიძლება იყოს ერთფაქტორიანი (წყვილადი) და მრავალფაქტორიანი (მრავლობითი).

დამოკიდებულების ფორმის მიხედვით განასხვავებენ: წრფივ რეგრესიას, რომელიც გამოისახება წრფივი ფუნქციით და არაწრფივი კავშირის მიმართულების მიხედვით გამოყოფენ:

- პირდაპირ (დადებითი) რეგრესიას - როცა დამოუკიდებელი სიდიდის გადიდება ან შემცირება იწვევს, შესაბამისად, დამოკიდებული მნიშვნელობის სიდიდის გადიდებას ან შემცირებას;
- არაპირდაპირ (უარყოფითი) რეგრესიას - დამოუკიდებელი სიდიდის გადიდება ან შემცირება იწვევს, შესაბამისად, დამოკიდებული სიდიდის შემცირებას ან გადიდებას.

მარტივი (წყვილადი) რეგრესიის დროს (ერთი შედეგი და ფაქტორი), საკმარისად სრულადაა დადგენილი მიზეზშედეგობრივი კავშირები, ხოლო მრავლობითი რეგრესიის დროს შუძლებელია ერთი მიზეზობრივი მოვლენის მეორისაგან მკაცრად გამიჯვნა.

როგორც უკვე აღინიშნა, კორელაციური დამოკიდებულება სტოქასტიკური დამოკიდებულების კერძო შემთხვევაა, რომლის დროს ფაქტორული ნიშნების ( $X_1, X_2, \dots, X_n$ ) ცვლილება იწვევს შედეგობრივი ნიშნის საშუალო მნიშვნელობის ცვლილებას.

კორელაციური დამოკიდებულების გამოკვლევისთვის გამოიყენება კორელაციური და რეგრესიული ანალიზი.

კორელაციური ანალიზი შეისწავლის მარკენებელთა ურთიერთკავშირს და საშუალებას იძლევა შეფასდეს:

- კორელაციის წყვილადი, კერძო და მრავლობითი კოეფიციენტებით კავშირის სიმჭიდროვე;
- რეგრესიის განტოლება.

კორელაციური ანალიზის გამოყენების ძირითადი წინაპირობაა ყველა ფაქტორული ( $X_1, X_2, \dots, X_n$ ) და შედეგობრივი ( $Y$ ) ნიშნების ერთობლიობის მნიშვნელობები ექვემდებარებოდეს ნორმალურ ან მასთან გათანაბრებულ განაწილებას. თუ გამოსაკვლევი ერთობლიობა საკმარისად დიდია ( $n > 50$ ), მაშინ ნორმალური თუ არა განაწილება ექვემდებარება პირსონის, კოლმოგოროვის და ა.შ. კრიტერიუმების გაანგარიშებასა და ანალიზს. თუ  $n < 50$ , მაშინ საწყისი (ემპირიული) მონაცემების განაწილების კანონი განისაზღვრება კორელაციური ველის აგებისა და ვიზუალური ანალიზის საფუძველზე. ამასთან, თუ გან-

ბნევის წერტილები წრფივი ტენდენციის გამოძახებელია, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ემპირიული მონაცემების ერთობლიობა  $(Y, X_1, X_2, \dots, X_n)$  ექვემდებარება ნორმალურ განაწილებას.

რეგრესიული ანალიზის ძირითად წინაპირობას წარმოადგენს ის, რომ მხოლოდ შედეგობრივი ნიშანი (Y) ექვემდებარება ნორმალური განაწილების კანონს, ხოლო ფაქტორულ ნიშნებს  $(X_1, X_2, \dots, X_n)$  შეიძლება ჰქონდეთ განაწილების თეორიული სასაითი. დინამიკური მწკრივების ანალიზში ფაქტორულ ნიშანს წარმოადგენს დრო (t). ამასთან, რეგრესიულ ანალიზში წინასწარ იგულისხმება შედეგობრივ და ფაქტორულ ნიშნებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი.

დემოსტრაციული და ეკონომიკური მოვლენების კავშირის ამსახველი რეგრესიის განტოლების სტატისტიკური მოდელი გამოისახება ფუნქციით:

$$\bar{Y}_x = f(X_1, X_2, \dots, X_n)$$

მიღებული მოდელი რეალური სიტუაციის ადეკვატური იქნება, თუ შესრულებდა მისი აგების შემდეგი მოთხოვნები:

- გამოკვლეული ემპირიული მონაცემების ერთობლიობა უნდა იყოს ერთგვაროვანი და მათემატიკურად უპირობოს ფუნქციებით გამოსახული;
- მოდელირებული მოვლენები უნდა გამოისახოს ერთი ან რამდენიმე მიზეზშედეგობრივი კავშირის განტოლებით;
- ყველა ფაქტორულ ნიშანს უნდა გააჩნდეს რაოდენობრივი (რიცხვითი) გამოსახულება;
- შერჩეული გამოკვლეული ერთობლიობის მოცულობა საკმარისად დიდი უნდა იყოს;
- მოვლენებსა და პროცესებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი უნდა გამოვსახოთ წრფივი ან წრფივთან მიახლოებული ფორმის დამოკიდებულებით;
- კავშირის მოდელის პარამეტრებს არ უნდა ჰქონდეს რაოდენობრივი შეზღუდვები;
- შესასწავლი ერთობლიობის ტერიტორიული და დროითი სტრუქტურა მუდმივი უნდა იყოს.

მოცემული მოთხოვნების დაცვა საშუალებას აძლევს მკვლევარს ააგოს კავშირის სტატისტიკური მოდელი, რომელიც უკეთესად აპროქსიმირებული იქნება.

კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის საფუძველზე აგებული ურთიერთკავშირის მოდელის თეორიული დასაბუთების უზრუნველყოფა ხდება შემდეგი ძირითადი პირობების დაცვით:

- ყველა ნიშანი და მათი ერთობლივი განაწილება ნორმალური განაწილების კანონს უნდა ექვემდებარებოდეს;
- მოდელირებული ნიშნის (Y) დისპერსია მუდმივი უნდა იყოს (Y) სიდიდის და ფაქტორული ნიშნების მნიშვნელობათა ცვლილების დროს;
- ცალკეული დაკვირვება უნდა იყოს დამოუკიდებელი, ანუ შედეგები, რომელიც i-ური დაკვირვებიდან მიიღება არ უნდა იყოს დაკავშირებული წინასთან და არ უნდა მოიცავდეს შემდგომი დაკვირვების ინფორმაციას, და ასევე არ უნდა ზემოქმედებდეს მასზე.

ამ პირობებისა და წინაპირობების შეუსრულებლობა იწვევს იმას, რომ რეგრესიის მოდელი იქნება გასაანალიზებელ ნიშნებს შორის რეალურად არსებული კავშირის არაადეკვატური.

რეგრესიის განტოლების აგების ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს მისი განზომილება, ანუ მოდელში ჩართული ფაქტორული ნიშნების რიცხვის განსაზღვრა. ამიტომ საჭიროა მათი ოპტიმალური რიცხვის განსაზღვრა.

მოდელში ჩასართავი ფაქტორული ნიშნების შემცირება, მეორეხარისხოვანი არაარსებითი ფაქტორების ამოღებით, შესაძლებელია სწრაფად და ხარისხიანად მოხდეს რეგრესიული მოდელის აგება. ამასთან, მცირე ფაქტორებით აგებულმა მოდელმა შეიძლება სრულად ვერ ასახოს გამოკვლეული მოვლენა ან პროცესი.

პრაქტიკაში შემუშავებულია გარკვეული კრიტერიუმები, რომელიც მოდელში ჩართული ფაქტორული ნიშნის ოპტიმალურ რიცხვსა და გამოკვლეული ერთობლიობის მოცულობას შორის დამოკიდებულების დადგენის საშუალებას იძლევა. მო-

ცემული კრიტერიუმის თანახმად, ფაქტორული ნიშნების რიცხვი შესასწავლი ერთობლიობის მოცულობაზე 5-6-ჯერ ნაკლები უნდა იყოს.

საშედეგო და ფაქტორულ ნიშნებს შორის კავშირი შეიძლება გამოვსახოთ სხვადასხვა განტოლებებით. განტოლების ტიპი კი შეიძლება შევარჩიოთ გრაფიკული დამოკიდებულების საფუძველზე, თუმცა არსებობს სხვა საშუალებებიც.

თუ საშედეგო მოვლენა (ნიშანი) იცვლება ფაქტორული ნიშნების ცვლილების პროპორციულად, მაშინ მათ შორის კავშირი წრფივია და კავშირის გამოსახვისათვის გამოიყენება წრფივი განტოლება:

$$\overline{y}_x = a_0 + a_1x \quad (9.3)$$

წრფივი განტოლება ფუნქციონალური დამოკიდებულების მსგავსია და განსხვავდება კიდევ. იგი მას ჰგავს თავისი ფორმით, მაგრამ განსხვავდება შინაარსით, რაც იმით აიხსნება, რომ რეგრესიის განტოლება გამასაშუალებელი კოეფიციენტებით ასახავს ნიშანთა შეფარდებას შესასწავლი ერთობლიობის მიხედვით მხოლოდ საერთო ჯამში. თითოეული ცალკეული ერთეული სთვის ეს შეფარდება იღებს ინდივიდუალურ ხასიათს.

მაშასადამე, რეგრესიის განტოლება გვიჩვენებს ფაქტორულ და შედეგობრივ ნიშნებს მოცემულ კონკრეტულ პირობებში, იმ დროს, როცა ფუნქციონალური დამოკიდებულების განტოლება სამართლიანია თითოეული ცალკეული შემთხვევისათვის.

რეგრესიის განტოლება განსხვავდება ფუნქციონალური საგან იმითაც, რომ მის მიერ გამოვლენილი ტიპური თანაფარდება იცვლება ერთობლიობის მოცულობასთან დამოკიდებულებაში. შესასწავლი ერთობლიობის მოცულობის ზრდასთან ერთად, მაღლდება რეგრესიის და კორელაციის მაჩვენებელთა ტიპურობა, ამაში ვლინდება დიდ რიცხვთა კანონის მოქმედება.

რიგ შემთხვევებში, თეორიულ ანალიზს მივყავართ რეგრესიის მრუდსაზოვანი განტოლების გამოყენების აუცილებლობამდე. კერძოდ, ისეთი მოვლენები, როდესაც ფაქტორული ნიშნის შემცირება იწვევს შედეგობრივის ზრდას და პირიქით, ზრდა - შემცირებას საჭიროა გამოვიყენოთ ჰიპერბოლური რეგრესიის შემდეგი განტოლება:

$$\overline{y}_x = a_0 + a_1 \frac{1}{x} \quad (9.4)$$

თუ ფაქტორული ნიშნის გადიდება იწვევს შედეგობრივი ნიშნის არათანაბარ ცვლილებას (მაგ., შრომის ნაყოფიერების ღონის დამოკიდებულებ მუშაკის ასაკისაგან), ასაკის და სამუშაო სტაჟის გადიდებასთან ერთად, გროვდება მისი გამოცდილება, სრულყოფილი ხდება ჩვევები, მაღლდება კვალიფიკაცია და შრომის ნაყოფიერება. მაგრამ თითოეული სახის სამუშაოსათვის არსებობს ასაკის განსაზღვრული ზღვარი, რომლის დროსაც გამომუშავება იქნება მაღალი, შემდეგ კი საწარმოო გამოცდილება და ჩვევების დადებითი გავლენა გადაიფარება ხანშიშესული ადამიანის ასაკობრივი თავისებურებით გამოწვეული უარყოფითი გავლენით, რის შედეგადაც გამომუშავება შემცირდება. თავიდან მოხდება სწრაფი ზრდა, შემდეგ კი თანდათან შემცირება და ბოლოს, სრულებით შეწყდება. ასეთ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ პარაბოლური რეგრესიის განტოლება:

$$\overline{y}_x = a_0 + a_1x + a_2x^2 \quad (9.5)$$

თუ შედეგობრივი ნიშნის შეფარდებითი ცვლილება ფაქტორული ნიშნის შეფარდებითი ზრდის პროპორციულია, მაშინ მიმართავენ მაჩვენებლიანი რეგრესიის განტოლებას:

$$\overline{y}_x = a_0 a_1^x \quad (9.6)$$

რეგრესიის განტოლების ტიპის შერჩევის შემდეგ საჭიროა ვიპოვოთ მისი პარამეტრების  $a_1, a_2, a_3$  და ა.შ., რიცხვითი მნიშვნელობა. მათი დადგენა წარმოებს უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე, რომლის თანახმადაც, მოცემულ განტოლებაში ერთობლიობის თითოეული  $X$  ერთეულის ფაქტობრივი (ემპირიული) მნიშვნელობების ჩასმით, მივიღებთ საშუალო ნიშნის გაანგარიშებულ (თეორიულ) მნიშვნელობებს და ემპირიული მნიშვნელობების თეორიულიდან გადახრების კვადრატების ჯამი მინიმუმი უნდა იყოს:

$$\sum (y - \hat{y}_x)^2 \rightarrow \min \quad (9.7)$$

სადაც,  $y$  არის საშუალო ნიშნის ემპირიული, ფაქტობრივი მნიშვნელობები, ხოლო  $\hat{y}_x$  თეორიული მნიშვნელობები.

უმცირეს კვადრატთა მეთოდი გვაძლევს ნორმალურ განტოლებათა სისტემას, რომლის ამოხნის შედეგად ვღებულობთ რეგრესიის განტოლების საძიებო პარამეტრებს.

თუ მოვლენებს შორის კავშირი წრფივი ფორმისა და გამოისახება წრფივი რეგრესიის განტოლებით, მაშინ ნორმალურ განტოლებათა სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum xy \end{cases} \quad (9.8)$$

სადაც,  $n$  არის დაკვირვების ერთეულთა რიცხვი.

სისტემის ორივე განტოლება წევ-წევრად გავყოთ  $n$  -ზე, რის შემდეგაც მივიღებთ

$$\begin{aligned} a_0 + a_1 \bar{x} &= \bar{y} \\ a_0 \bar{x} + a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} \end{aligned}$$

პირველი განტოლებიდან გავიანგარიშოთ  $a_0$  -ის მნიშვნელობა და ჩავსვათ მეორეში გვექნება:

$$\begin{aligned} a_0 &= \bar{y} - a_1 \bar{x} \\ (\bar{y} - a_1 \bar{x}) \bar{x} + a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} \\ \bar{x} \cdot \bar{y} - a_1 (\bar{x})^2 + a_1 \bar{x}^2 &= \overline{xy} \end{aligned}$$

ამ განტოლებიდან განვსაზღვრავთ  $a_1$  -ის მნიშვნელობას:

$$\begin{aligned} a_1 \left( \bar{x}^2 - (\bar{x})^2 \right) &= \overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y} \\ a_1 &= \frac{\overline{xy} - \bar{x} \cdot \bar{y}}{\bar{x}^2 - (\bar{x})^2} \end{aligned}$$

ამ სისტემის ამოხსნა ზოგადი სახით იძლევა პარამეტრების შემდეგ მნიშვნელობებს:

$$\begin{cases} a_0 = \frac{\sum y \sum x^2 - \sum yx \sum x}{n \sum x^2 - (\sum x)^2} \\ a_1 = \frac{n \sum yx - \sum y \sum x}{n \sum x^2 - (\sum x)^2} \end{cases} \quad (9.9)$$

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი. საქართველოში 2018 წელს დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით და რეგიონის მთლიანი პროდუქტის მოცულობა სასიათლება შემდეგი მონაცემებით (იხ. ცხრ.4).

**ცხრილი 4**

**ცოცხლდაბადებულთა რიცხოვნობა და მთლიანი რეგიონული პროდუქტის მოცულობა საქართველოს რეგიონულ ჯრილში (2018 წელი)**

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი (კაცი) y	მრპ (მლნ ლარი) x	Xy	x <sup>2</sup>	y
თბილისის მუნიციპალიტეტი	16,161.0	23075.3	372919923.3	532469470.1	16955.01
აჭარის ა. რ.	5,800	4,015.6	23290480	16125043.36	4623.783
გურია	1,272	749.1	952855.2	561150.81	2510.426
იმერეთი	6,757	4125.6	27876679.2	17020575.36	4694.95
კახეთი	4,159	2320.4	9650543.6	5384256.16	3527.024
მცხეთა-მთიანეთი	1,067	1072.3	1144144.1	1149827.29	2719.53
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	328	246.1	80720.8	60565.21	2184.996
სამეგრელო-ზემო სვანეთი	3,972	2378	9445416	5654884	3564.29
სამცხე-ჯავახეთი	2,107	1380.3	2908292.1	1905228.09	2918.799
ქვემო ქართლი	6,179	3495.3	21597458.7	12217122.09	4287.16
შიდა ქართლი	3,336	1740.8	5807308.8	3030384.64	3152.035
სულ	51,138.0	44598.8	475673821.8	595578507.1	51138

რადგან მონაცემები არითმეტიკული პროგრესიით სასიათლება მოდელის ასაგებად გამოვიყენოთ რეგრესიის წრფივი განტოლება:

$$\bar{y}_x = a_0 + a_1 x$$

ამ განტოლების პარამეტრების გასაანგარიშებლად ნორმალურ განტოლებათა სისტემას აქვს შემდეგი სახე:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum x^2 = \sum xy \end{cases}$$

ჩვენს შემთხვევაში კი გვექნება  $11a_0 + 44598.8a_1 = 51138.0$

$$44598.8a_0 + 475673821.8a_1 = 595578507.1$$

სისტემის ორივე განტოლება წევრ-წევრად გავყოთ n-ზე, ანუ 11-ზე, რის შემდეგაც მივიღებთ:

$$a_0 + 4054.4a_1 = 4648.9$$

$$4054.4a_0 + 43243074.7a_1 = 54143500.7$$

პირველი განტოლებიდან გავიანგარიშოთ  $a_0$  -ის მნიშვნელობა და ჩავსვათ მეორეში, განვსაზღვროთ  $a_1$  -ის მნიშვნელობა:

$$a_1 = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\overline{x^2} - (\bar{x})^2} = 0.65 \quad \text{ხოლო } a_0 = \bar{y} - a_1\bar{x} = 2025.8$$

რეგრესიის წრფივ განტოლებას ექნება შემდეგი სახე:

$$\overline{y_x} = a_0 + a_1x = 2025,8 + 0,65x$$

მასში X ფაქტორის მნიშვნელობათა შეტანით გაანგარიშებულ იქნება y-ის თეორიული ღირებები (მონაცემები შეტანილია ცხრილში). რადგან უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე ემპირიული და თეორიული ღირებების ჯამები ერთმანეთის ტოლია, ჩვენ მიერ აგებული მოდელი არსებული ურთიერთკავშირის ადეკვატურია.

მიღებული შედეგებიდან შეიძლება შემდეგი დასკვნის გაკეთება: მთლიანი რეგიონული პროექტის ერთი ერთეულით გადიდებით საშუალოდ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა 0.65-ით გაიზრდება, ანუ მთლიანი რეგიონული პროექტის მღწევი გადიდება საშუალოდ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობას 65-ით გაზრდის.

ჰიპერბოლური რეგრესიის განტოლების დროს ნორმალურ განტოლებათა სისტემა შემდეგი სახისაა:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum \frac{1}{x} = \sum y \\ a_0 \sum x + a_1 \sum \frac{1}{x^2} = \sum \frac{y}{x} \end{cases} \quad (9.10)$$

პარამეტრების მნიშვნელობები კი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\begin{cases} a_0 = \frac{\sum y \sum \frac{1}{x^2} - \sum y \frac{1}{x} \sum \frac{1}{x}}{n \sum \frac{1}{x^2} - (\sum \frac{1}{x})^2} \\ a_1 = \frac{n \sum y \frac{1}{x} - \sum y \sum \frac{1}{x}}{n \sum \frac{1}{x^2} - (\sum \frac{1}{x})^2} \end{cases} \quad (9.11)$$



პარაბოლის რეგრესიის განტოლების პარამეტრების გასაანგარიშებლად გამოყენებულ იქნას ნორმალურ განტოლებათა შემდეგი სახის სისტემა:

$$\begin{cases} na_0 + a_1 \sum x + a_2 \sum x^2 = \sum y \\ a_0 x + a_1 \sum x^2 + a_2 \sum x^3 = \sum xy \\ a_0 x^2 + a_1 \sum x^3 + a_2 \sum x^4 = \sum x^2 y \end{cases} \quad (9.12)$$

მაჩვენებლიანი რეგრესიის განტოლების პარამეტრების გასაანგარიშებლად ჯერ საჭიროა მისი გალოგარიტიმება, რომლის შედეგადაც განტოლება მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\log \bar{y} = \log a_0 + x \log a_1 \quad (9.13)$$

მაჩვენებლიანი ფუნქციის ნორმალურ განტოლებათა სისტემას ექნება შემდეგი სახე:

$$\begin{cases} n \log a_0 + \log a_1 \sum x = \sum \log y \\ \log a_0 \sum x + \log a_1 \sum x^2 = \sum \log yx \end{cases} \quad (9.14)$$

ხოლო პარამეტრების მნიშვნელობები გაიანგარიშება შემდეგნაირად:

$$\begin{cases} a_0 = \frac{\sum \lg y \sum (\lg x)^2 - \sum \lg y \lg x \sum \lg x}{n \sum (\lg x)^2 - (\sum \lg x)^2} \\ a_1 = \frac{n \sum \lg y \lg x - \sum \lg y \sum \lg x}{n \sum (\lg x)^2 - (\sum \lg x)^2} \end{cases} \quad (9.15)$$

საზოგადოებრივი მოვლენები გამოირჩევა დიდი სირთულით. მათი ფორმირება ურთიერთგადაჯაჭვული და ურთიერთმიქმედი ფაქტორების მთელი კომპლექსის გაგუნით წარმოებს, თუ საშედეგო მოვლენაზე გაგუნას ახდენს არა ერთი, არამედ რამდენიმე ფაქტორი, ადგილი აქვს მრავლობით კორელაციას. იგი გამოისახება შემდეგი ფუნქციით:

$$y_{1,2,3...n} = f(x_1, x_2, \dots, x_n) \quad (9.15)$$

მრავლობითი რეგრესიის მოდელის აგება შედეგა შემდეგი ეტაპებისგან :

- კავშირის ფორმის (რეგრესიის განტოლების) დადგენა;
- ფაქტორული ნიშნების შერჩევა;
- ერთობლიობის საკმარისი მოცულობის უზრუნველყოფა.

საშედეგო მოვლენაზე ფაქტორები მოქმედებენ სხვადასხვა ძალითა და მიმართულებით, ამიტომ აუცილებელია მათგან არჩეულ იქნას მნიშვნელოვანი და არსებითი ნიშნები, რომელიც ექვემდებარება წინასწარ თვისებრივ, თეორიულ ანალიზს.

რეგრესიული განტოლების ხარისხი დამოკიდებულია პირველადი მონაცემების უტყუარობაზე და ერთობლიობის მოცულობაზე.



- კორელაციური შეფარდება -  $r$ ;
- კორელაციის კერძო კოეფიციენტები, მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი და სხვ.

**არაპარამეტრული კოეფიციენტები:**

- კორელაციის რანგების სპირმენისა ( $\rho$ ) და კენდელის ( $\tau$ ) კოეფიციენტები;
- ასოციაციისა ( $Q$ ) და კონტინგენციის ( $\Phi$ ) კოეფიციენტები;
- ურთიერთკავშირის მაჩვენებლები - პირსონის ( $P$ ), ჩუპროვის ( $T$ ), კრამერის ( $K$ ) კოეფიციენტები და სხვა.

კოეფიციენტთა ასეთი სიმრავლე სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი არიან. პირიქით, აგების თვალსაზრისით, ისინი ეყრდნობიან გარკვეულ საერთო პრინციპებს და შესაძლებელია ერთი მათგანის მეორეთი შეცვლა.

კავშირის ზოგიერთ მაჩვენებელს გარკვეული ფუნქციონალური მსგავსებაც გააჩნია, ზოგიერთს კი ფორმულის ასაგებად ერთნაირი ელემენტები. როგორც წესი, კავშირის გაზომვის მეთოდების უმეტესობა ეყრდნობა ურთიერთშერწყმის, ანუ კოვარიაციის პრინციპს. აღნიშნულის შესაბამისად, გვაქვს სწორედ რაოდენობრივი და თვისობრივი გამოსახულების მქონე ნიშნებს შორის კავშირის გაერთიანებული სახეები. ამასთან, თითოეული მათგანი ახორციელებს სრულიად განსხვავებული ბუნების მქონე მონაცემების დამუშავებას. ისინი სხვადასხვანაირად განსაზღვრავენ კავშირის სიმჭიდროვის ხარისხს და შემდეგ იყენებენ კავშირის გაზომვის კონკრეტული შემთხვევებისათვის. იმის მიხედვით, მონაცემები დაჯგუფებულია თუ არა, კოეფიციენტთა გასაანგარიშებელი ფორმულები შეიძლება შეიცვალოს.

კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ფორმულათა გამოყენების შერჩევა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

1. მონაცემთა ბუნება (თვისობრივი თუ რაოდენობრივი);
2. ურთიერთდამოკიდებულების ფორმა და ტიპი (წრფივი თუ მრუდსაზოვანი, დადებითი თუ უარყოფითი);
3. საჭირო გაანგარიშების სიზუსტე (მაგ., სპირმენისა და კენდელის რანგების კოეფიციენტები ზოგჯერ შეიძლება გამოვიყენოთ კავშირის უფრო ზუსტი საზომის პირსონის წრფივი კორელაციისა და კორელაციური შეფარდების კოეფიციენტთა ნაცვლად);
4. გაანგარიშებათა ტექნიკური საშუალებები (ხელით გასაანგარიშებელი თუ კომპიუტერული პროგრამით);
5. გამოყენებული კოეფიციენტის გავრცელება.

გარდა ამისა, კოეფიციენტის შერჩევა ხდება კვლევის მიზნებისა და ამოცანებიდან გამომდინარე.

კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის მაჩვენებლები, ზოგადად, იღებენ (იცვლებიან) შემდეგ მნიშვნელობებს, რომლებიც შეიძლება ავსახოთ ცხრილი 3-ით:

**კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობები**

**ცხრილი 5**

კორელაციის კოეფიციენტის სიდიდე	კავშირის სახაითი
0	კავშირი არ არის
$\pm 0,3$ -მდე	ძალიან სუსტი, პრაქტიკულად არ არის
$\pm 0,3 - \pm 0,5$	სუსტია
$\pm 0,5 - \pm 0,7$	ზომიერია
$\pm 0,7 - \pm 1$	ძლიერია
$\pm 1$	სრული, ფუნქციონალური

უარყოფითი მნიშვნელობა მიუთითებს არაპირდაპირ კავშირზე, დადებითი კი - პირდაპირ კავშირზე.

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი ახასიათებს საშუალო და ფაქტორულ ნიშნებს შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხს და მიმართულებას, იმ შემთხვევაში, თუ მათ შორის წრფივი დამოკიდებულებაა. კორელაციის წრფივი კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$r = \frac{\sum (x - \bar{x})(y - \bar{y})}{\sqrt{\sum (x - \bar{x})^2 \sum (y - \bar{y})^2}} \quad (9.18)$$

ეს ფორმულა სხვაგვარად შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\sigma_x \sigma_y} \quad (9.19)$$

სადაც,  $\overline{xy} = \frac{\sum xy}{n}$ ;  $\bar{x} = \frac{\sum x}{n}$ ;  $\bar{y} = \frac{\sum y}{n}$ . (9.20)

ამასთან  $\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}}$ ;  $\sigma_y = \sqrt{\frac{\sum (y - \bar{y})^2}{n}}$ , ან

$$\sigma_x = \sqrt{\overline{x^2} - (\bar{x})^2}; \quad \sigma_y = \sqrt{\overline{y^2} - (\bar{y})^2} \quad (9.21)$$

კორელაციის წრფივობა კოეფიციენტმა შეიძლება მიიღოს მნიშვნელობა -1-დან +1-მდე.

მოვლენათა შორის კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრა შესაძლებელია, ასევე, ფიშერის კორელაციის კოეფიციენტის საშუალებითაც:

$$R_{xy} = a_1 \frac{\sigma_x}{\sigma_y} \quad (9.22)$$

სადაც,  $a_1$  არის რეგრესიის განტოლების ერთ-ერთი პარამეტრი.

## ცხრილი 6

### ცოცხლად დაბადებულთა და ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდის ტემპები საქართველოს რეგიონების მიხედვით (2018 წელი)

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	ცოცხლად დაბადებულთა რიცხვის ზრდის ტემპი (%)	ქალაქის მოსახლეობის ზრდის ტემპი (%)
1	2	3
აჭარის ა. რ.	0.983	1.064
გურია	0.923	0.911

იმერეთი	0.894	0.911
კახეთი	0.931	0.965
მცხეთა-მთიანეთი	0.887	0.859
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0.866	1.041
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.874	0.909
სამცხე-ჯავახეთი	0.904	0.973
ქვემო ქართლი	0.946	0.903
შიდა ქართლი	0.909	0.941
სულ	9.117	9.477

წყარო: [www.geostet.ge](http://www.geostet.ge) (გაანგარიშება ჩატარებულია ჩვენ მიერ)

კორელაციის წრფივი კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$r = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\sigma_x \sigma_y}, \text{ ხოლო მისი შემადგენელი კომპონენტები კი იქნება:}$$

$$\overline{xy} = \frac{\sum xy}{n} = 0.86 \quad \bar{x} = \frac{\sum x}{n} = 0.912 \quad \bar{y} = \frac{\sum y}{n} = 0.95$$

$$\sigma_x = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2}{n}} = 0.034; \quad \sigma_y = \sqrt{\frac{\sum (y - \bar{y})^2}{n}} = 0.061. \quad r = \frac{\overline{xy} - \bar{x}\bar{y}}{\sigma_x \sigma_y} = 0.32$$

ამრიგად, საქართველოს რეგიონების მიხედვით, ცოცხლად დაბადებულია და ქალაქის მოსახლეობის რიცხვის ზრდის ტემპებს შორის არის საშუალო ხარისხის კავშირი.

ცხრილი 2-ის მონაცემებით, საქართველოს რეგიონების მიხედვით ცოცხლად დაბადებულია და მრპ-ის მოცულობას შორის კავშირის ხარისხის განსაზღვრისათვის ფიშერის კორელაციის კოეფიციენტის /8.22/ გამოყენებით მივიღებთ:

$$R_{xy} = a_1 \frac{\sigma_x}{\sigma_y}$$

სადაც,  $\sigma_x = 6140,44$   $\sigma_y = 4182,49$   $a_1 = 0,65$ .

მივიღებთ, რომ  $R_{xy} = a_1 \frac{\sigma_x}{\sigma_y} = 0,65 \frac{6140,44}{4182,49} = 0,95$ , რაც მათ შორის მჭიდრო დადებით კავშირზე მიუთითებს.

თუ ურთიერთდამოკიდებულება არაწრფივი სახისაა, მაშინ მიზანშეწონილია კორელაციური დამოკიდებულების (შეფარდების) კოეფიციენტის გამოყენება, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\eta = \sqrt{\frac{\delta^2}{\sigma^2}} \quad (9.23)$$

სადაც  $\delta^2$  არის ჯგუფთაშორისი დისპერსია.

$\sigma^2$  - საერთო დისპერსია, რომელიც ეყრდნობა დისპერსიის შეკრების კანონს:

$$\sigma^2 = \overline{\sigma^2} + \delta^2 \quad (9.24)$$

ჯგუფური დისპერსიების საშუალო ახასიათებს ნიშნის შიგაჯგუფურ ვარიაციას:

$$\sigma_i^2 = \frac{\sum (x_i - \bar{x}_i)^2 f_i}{\sum f_i} \quad (9.25)$$

სადაც,  $\bar{x}_i$  არის შიგაჯგუფური საშუალო. მათი დისპერსიების საშუალო იქნება:

$$\overline{\sigma^2} = \frac{\sum \sigma_i^2 f_i}{\sum f_i} \quad (9.26)$$

ჯგუფური საშუალოების ვარიაციას, ანუ რხევადობას საერთო დისპერსიის გარშემო ახასიათებს ჯგუფთაშორისი დისპერსია (აღინიშნება დელტა კვედრატით ( $\delta^2$ )), რომლის გასაანგარიშებელი ფორმულა შემდეგი სახისაა:

$$\delta^2 = \frac{\sum (\bar{x}_i - \bar{x})^2 f_i}{\sum f_i} \quad (9.27)$$

სადაც,  $\bar{x}$  არის საერთო საშუალო.

კორელაციური დამოკიდებულების კოეფიციენტი იცვლება 0-დან +1-მდე და კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის ანალიზი მთლიანად შეესაბამება კორელაციის წრფივ კოეფიციენტს.

კორელაციური დამოკიდებულების კოეფიციენტის გასაანგარიშებლად გამოვიყენოთ 2019 წელს რეგიონების და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა (იხ. ცხრილი 7).

## ცხრილი 7

### 2019 წელს საქართველოს რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა
<b>აჭარის ა. რ.</b>	<b>5,703</b>
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	3,137
ქედის მუნიციპალიტეტი	223
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,019

შუახევის მუნიციპალიტეტი	198
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	832
ხულოს მუნიციპალიტეტი	294
<b>გურია</b>	<b>1,174</b>
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი	298
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	679
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი	197
<b>იმერეთი</b>	<b>6,040</b>
ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი	2,021
ბაღდათის მუნიციპალიტეტი	211
ვანის მუნიციპალიტეტი	244
ზესტაფონის მუნიციპალიტეტი	664
თერჯოლის მუნიციპალიტეტი	357
სამტრედიის მუნიციპალიტეტი	472
საჩხერის მუნიციპალიტეტი	451
ტყიბულის მუნიციპალიტეტი	181
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი	528
ჭიათურის მუნიციპალიტეტი	446
ხარაგაულის მუნიციპალიტეტი	211
ხონის მუნიციპალიტეტი	254
<b>რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი</b>	<b>284</b>
ამბროლაურის მუნიციპალიტეტი	93
ლენტეხის მუნიციპალიტეტი	50
ონის მუნიციპალიტეტი	47
ცაგერის მუნიციპალიტეტი	94
<b>სამეგრელო-ზემო სვანეთი</b>	<b>3,473</b>
ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი	418
აბაშის მუნიციპალიტეტი	183
ზეგდიდის მუნიციპალიტეტი	1,244
მარტვილის მუნიციპალიტეტი	326
მესტიის მუნიციპალიტეტი	139
სენაკის მუნიციპალიტეტი	405
ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი	214
წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	249
ხობის მუნიციპალიტეტი	295

წყარო: [www.geostat.ge](http://www.geostat.ge)

ჯგუფური და ჯგუფთაშორისი დისპერსიების გასაანგარიშებლად, თავდაპირველად, მოვასწინოთ ცალკეული რეგიონის მიხედვით საშუალო რიცხოვნობის, დისპერსიის მნიშვნელობათა დადგენა (იხ. ცხრილი 8).

გაანგარიშებულია ცხრილი 4-ის მონაცემების საფუძველზე

რეგიონი, თვითმმართველი ერთეული	ცოცხლად დაბადებულია საშუალო რიცხოვნობა	ჯგუფური ლისპერსიები	$x_i - \bar{x}$	$(x_i - \bar{x})^2$
1	2	3	4	5
აჭარის ა. რ.	950.5	1054336.917	490.089	240187.1
გურია	391.3333333	43076.22222	-69.078	4771.739
იმერეთი	503.3333333	230199.3889	42.9222	1842.317
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	71	507.5	-389.41	151641
სამეგრელო-ზემო სვანეთი	385.8888889	100000.0988	-74.522	5553.562

ჯგუფური ლისპერსიების საშუალო, რომელიც ახასიათებს ნიშნის შიგაჯგუფურ (რეგიონულ) ვარიაციას, ასე გაიანგარიშება:

$$\sigma_i^2 = \frac{\sum (x_i - \bar{x}_i)^2 f_i}{\sum f_i}$$

სადაც  $\bar{x}_i$  არის შიდაჯგუფური (რეგიონული) საშუალო (ცხრილი 6-ის მე-3 სვეტი).

მათი ლისპერსიების საშუალო იქნება:

$$\overline{\sigma^2} = \frac{\sum \sigma_i^2 f_i}{\sum f_i} = 285624.03$$

ჯგუფთაშორისი ლისპერსიის (/8.27/ ფორმულა) კონკრეტული მნიშვნელობა იქნება:

$$\delta^2 = \frac{\sum (\bar{x}_i - \bar{x})^2 f_i}{\sum f_i} = 80799.15$$

სადაც,  $\bar{x} = 460.41$

მიღებული მონაცემებით, საერთო ლისპერსია ტოლი იქნება:

$$\sigma^2 = \overline{\sigma^2} + \delta^2 = 285624.03 + 80799.15 = 366423.1754$$

თუ /9.23/ ფორმულაში შევიტანთ ზემოთ მოცემულ კონკრეტულ მნიშვნელობებს, მაშინ კორელაციური დამოკიდებულება ტოლი იქნება:



$$\eta = \sqrt{\frac{\delta^2}{\sigma^2}} = 0,47.$$

რაც იმაზე მიუთითებს, რომ ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით 47%-ით განპირობებულია რეგიონების თავისებურებით.

კორელაციური დამოკიდებულების კოეფიციენტის კვადრატში აყვანით, მივიღებთ დეტერმინაციის კოეფიციენტს ( $\eta^2$ ), ხოლო გაანგარიშებისთვის ფორმულა მიიღებს შემდეგ სახეს:

$$\eta = \frac{\delta^2}{\sigma^2} \quad (9.28)$$

დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს კავშირს ფაქტორული სიდიდის დისპერსიასა და შედეგობრივი სიდიდის დისპერსიას შორის, მათი ურთიერთშეფარდების გზით (ანუ მთლიანი ვარიაციის რამდენი პროცენტია განსაზღვრული ფაქტორის ზემოქმედებით). მას აღნიშნავენ  $\delta^2$  (ეტა-კვადრატი) ასოთი.

ჩვენ შემთხვევაში დეტერმინაციის კოეფიციენტი იქნება:  $\eta = 0,22$ .

წრფივი დამოკიდებულების დროს კორელაციის კოეფიციენტი ზომავს სიმჭიდროვესაც. თუმცა უმჯობესია დეტერმინაციის კოეფიციენტის გამოყენება, რადგან იგი სიმჭიდროვის ხარისხის განსაზღვრასთან ერთად, ფაქტორის ცვლილების შედეგად, საშუალო ცვლილების ხარისხსაც გვიჩვენებს, ე.ი. დეტერმინაციის კოეფიციენტი გვიჩვენებს საშუალო მოვლენის საერთო ცვლილებაზე ფაქტორული მოვლენის ცვლილებასთან რა ნაწილია დაკავშირებული. იგი იძლევა კავშირის არსებობის უფრო მკაცრ და ფრთხილ შეფასებებს.

კორელაციური შეფასების კოეფიციენტით შესაძლებელია გაეზომოთ მოვლენებს შორის არსებული კავშირის სიმჭიდროვის ხარისხი არამარტო წრფივი, არამედ არაწრფივი კავშირების შემთხვევაში. მისი გამოყენებისას არ არის საჭირო რაიმე განსაკუთრებული პირობები, გარდა ერთისა - დაკვირვების რიცხვი საკმარისად დიდი უნდა იყოს მაშინ, როცა კორელაციის კოეფიციენტი მხოლოდ წრფივი კორელაციის დროს გამოიყენება და სინშირეთა ორგანოზომილებიან განაწილებას უნდა ჰქონდეს პირობითი მუდმივი დისპერსია. ამიტომ კავშირის გაზომვის ფუნქციას იგი უფრო კარგად ასრულებს, ვიდრე დეტერმინაციის ან წრფივი კოეფიციენტი, რადგან ავტომატურად ერგება მონაცემთა ნებისმიერი კონფიგურაციის განაწილებას. ეს კი იმის შედეგია, რომ კავშირის გაზომვის მოცემული მეთოდის გამოყენებისას რეგრესიის მრუდი იყოფა რამდენიმე ნაწილად, რომელიც ყოველთვის უკეთესად გამოსახავს კორელაციურ ველზე წერტილთა განაწილების ტენდენციას. ამიტომ

$\eta - \eta^2 > 0$ , ე. ი. პრაქტიკაში თითქმის ყოველთვის არსებობს სწორხაზოვანი და გადახრის შეფარდება, კერძოდ:

თუ  $\eta - \eta^2 < 0$ , მაშინ დამოკიდებულება არაწრფივი სახისაა;

თუ  $\eta - \eta^2 = 0$ , მაშინ მკაცრად სწორხაზოვანია.

ამასთან, ალბათობა იმისა, რომ ეს ტოლობა არსებობს, ძალიან მცირეა.

$\eta$  კოეფიციენტი მიჩნეულია კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის უნივერსალურ მაჩვენებლად, რომელიც, ასევე, შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ როგორც წყვილად, ისე მრავლობითი კორელაციური ურთიერთკავშირის კორელაციურ-რეგრესიულ ანალიზსა და პროგნოზირებაში. მას ზოგჯერ კორელაციის ინდექსსაც უწოდებენ:

$$R_{xy} = \sqrt{\frac{\sum(\hat{y} - \bar{y})^2}{\sum(y - \bar{y})^2}} \quad (9.29)$$

მისი მნიშვნელობა იცვლება 0-დან 1-მდე.

თუ  $\eta < 0,3$  - კორელაციური კავშირი სუსტია;

თუ  $0,3 - 0,6$  ფარგლებშია - საშუალოა;

თუ ( $\eta > 0,6$ ) - კავშირი ძლიერია.

0-თან ტოლობის შემთხვევაში საშუალო და ფაქტორულ მოვლენებს შორის კავშირი არ არსებობს.  $\eta = 1$  შემთხვევაში საშუალო მოვლენის ვარიაცია მთლიანად მიზეზობრივი ფაქტორითაა განპირობებული.

კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გასაზომად კოეფიციენტთა შერჩევას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, რომ ისინი ცვლადების სტატისტიკური ურთიერთკავშირის სხვადასხვა ასპექტებს ასახავენ. ამიტომ მათი შერჩევა უნდა შეესაბამებოდეს კვლევის ამოცანებს. გაზომვის უნივერსალობის თვალსაზრისით, ყველაზე მისაღებია კორელაციური შეფარდების კოეფიციენტი ( $\eta$ ), განგარიშების სიმარტივის მიხედვით კი კორელაციის წრფივი ( $r$ ) ან ლეტერმინაციის კოეფიციენტი ( $\eta^2$ ).

### ცხრილი 9

#### საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა და რეგისტრირებული აბორტების რაოდენობა 2002-2018 წლებში

წლები	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი კაცი)	აბორტების რიცხვი (ათასი)	$x^2$	Xy	$\hat{y}$	$\sum(\hat{y} - \bar{y})^2$	$\sum(y - \bar{y})^2$
2002	3991	13.9	193.21	55474.9	3934.2	13528.8	29969.7
2003	3966	13.8	190.44	54730.8	3935.2	13768.2	21938.8
2004	3938	17.2	295.84	67733.6	3900.4	6806.9	14428.3
2005	3917	19.7	388.09	77164.9	3874.8	3236.6	9824.3
2006	3888	21.2	449.44	82425.6	3859.4	1724.2	4916.5
2007	3872	20.6	424.36	79763.2	3865.6	2272.5	2928.7
2008	3848	22.1	488.41	85040.8	3850.2	1043.5	907.1
2009	3829	24.3	590.49	93044.7	3827.7	95.3	123.6
2010	3800	25.6	655.36	97280	3814.3	12.6	319.8
2011	3774	30.6	936.36	115484.4	3763.1	3001.1	1925.7
2012	3739	39.2	1536.64	146568.8	3674.9	20417.8	6222.4
2013	3718	37	1369	137566	3697.6	14484.5	9976.5
2014	3717	33.5	1122.25	124519.5	3733.4	7139.1	10177.3
2015	3722	33.4	1115.56	124314.8	3734.4	6966.9	9193.4
2016	3729	29.6	876.16	110378.4	3773.4	1983.5	7900.1
2017	3726	24.9	620.01	92777.4	3821.5	13.1	8442.4
2018	3730	22.7	515.29	84671	3844.1	684.1	7723.3

წყარო: www.geostat.ge

კორელაციის ინდექსის (ფორმულა /9.29/) განგარიშებით ვლდებულბთ, რომ კორელაციის კოეფიციენტის მნიშვნელობა 0.81 ტოლია, რაც იმას ნიშნავს რომ მათ შორის მჭიდრო კავშირია.

მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი გაიანგარიშება საშუალო და რამდენიმე ფაქტორულ ნიშანს შორის წრფივი კავშირის შემთხვევაში და, აგრეთვე, ყველა წყვილფაქტორულ ნიშნებს შორის.

ორი ფაქტორული ნიშნისათვის მრავლობითი კორელაციის წრფივი კოეფიციენტი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$R_{y/x_1x_2} = \sqrt{\frac{r_{yx_1}^2 + r_{yx_2}^2 - 2r_{yx_1}r_{yx_2}r_{x_1x_2}}{1 - r_{x_1x_2}^2}} \quad (9.30)$$

სადაც,  $y$ ,  $x_1$  და  $x_2$  არის საშუალო მოვლენაზე მოქმედი ფაქტორები,  $r_{yx_1}$ ,  $r_{yx_2}$ ,  $r_{x_1x_2}$  – წყვილადი კორელაციის კოეფიციენტები შესაბამისად  $y$  და  $x_1$ ,  $y$  და  $x_2$ ,  $x_1$  და  $x_2$  მოვლენებს შორის.

კორელაციის მრავლობითი კოეფიციენტი იცვლება 0-დან +1-მდე.

მრავლობითი რეგრესიის მოდელის აგება შემდეგი ეტაპებისაგან შედგება:

1. კავშირის ფორმის შერჩევა (რეგრესიის განტოლება);
2. ფაქტორული ნიშნების შერჩევა;
3. შეფასების მიღებისათვის ერთობლიობის საკმარისი მოცულობის უზრუნველყოფა.

განტოლების ტიპის შერჩევა იმითაა გართულებული, რომ ნებისმიერი ფორმის დამოკიდებულებისთვის შეიძლება შერჩეულ იქნას მთელი რიგი განტოლებებისა, რომელიც გარკვეული ხარისხით ასახავს ამ კავშირებს. რადგანაც რეგრესიის განტოლების აგება, ძირითადად, ხდება ურთიერთკავშირის ასახვას და რაოდენობრივი გამოსახვისთვის, მან კარგად უნდა გამოსახოს გამოსაკვლევი ფაქტორებს შორის შექმნილი ფაქტობრივი კავშირი.

მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტის გაანგარიშება მოვახდინოთ საქართველოს ერთ-ერთი რეგიონის, აჭარის ა.რ. მიხედვით:

აჭარის ა. რ.	ცოცხლად დაბადებულთა რიცხვი	ქორწინების რიცხვი	განქორწინების რიცხვი
ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი	3,137	1,106	480
ქელის მუნიციპალიტეტი	223	120	28
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	1,019	472	177
შუახევის მუნიციპალიტეტი	198	119	33
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	832	370	105
ხულოს მუნიციპალიტეტი	294	195	50
ჯამი	5,703	2,382	873

$$\bar{y} = \frac{\sum y}{n} = 950.5$$

$$\overline{X_1 Y} = \frac{\sum x_1 y}{n} = 4\,365\,982$$

$$\overline{Y^2} = \frac{\sum y^2}{n} = 1\,957\,787$$

$$\bar{x}_1 = \frac{\sum x_1}{n} = 397 \quad \overline{X_2 Y} = \frac{\sum x_2 Y}{n} = 300160.2 \quad \overline{X_1^2} = \frac{\sum X_1^2}{n} = 274917.7$$

$$\bar{x}_2 = \frac{\sum x_2}{n} = 145.5 \quad \overline{X_1 X_2} = \frac{\sum X_1 X_2}{b} = 111718.5 \quad \overline{X_2^2} = \frac{\sum X_2^2}{n} = 46187.83$$

$$\sigma_y = \sqrt{y^2 - (\bar{y})^2} = \sqrt{1957787 - (950.5)^2} = 1026.8$$

$$\sigma_{X_1} = \sqrt{X_1^2 - (\bar{X}_1)^2} = \sqrt{274917.7 - ( )397^2} = 342.5$$

$$\sigma_{X_2} = \sqrt{X_2^2 - (\bar{X}_2)^2} = \sqrt{46187.8 - (145.5)^2} = 158.2$$

$$r_{x_1 y} = \frac{\overline{X_1 y} - \bar{X}_1 * \bar{y}}{\sigma_{x_1} \sigma_y} = 0.99$$

$$r_{x_2 y} = \frac{\overline{X_2 y} - \bar{X}_2 * \bar{y}}{\sigma_{x_2} \sigma_y} = 0.99$$

$$r_{x_1 x_2} = \frac{\overline{X_1 X_2} - \bar{X}_1 * \bar{X}_2}{\sigma_{x_1} \sigma_{x_2}} = 0.99$$

$$R = \sqrt{\frac{r_{x_1 y}^2 + r_{x_2 y}^2 - 2r_{x_1 y} r_{x_2 y} r_{x_1 x_2}}{1 - r_{x_1 x_2}^2}} = 0.99$$

ამრიგად, აჭარაში ცოცხლად დადებულია რიცხვს, ქორწინებასა და განქორწინებათა რაოდენობას შორის მჭიდრო კავშირია.

## 9.4. ტესტები

- 1. ჩამოთვლილთაგან რომელია სწორი მოსაზრება:**
  - ა) მოსახლეობის ზრდა იწვევს შიდა ბაზრის კლებას;
  - ბ) მოსახლეობა ეკონომიკის ერთ-ერთი ელემენტია;
  - გ) ქვეყნის დემოსოციალური მდგომარეობის დახასიათება მხოლოდ მოსახლეობის რიცხოვნობით ხორციელდება;
  - დ) სამივე სწორია.
- 2. სტატიკური დაკვირვების შედეგად მიღებული მონაცემების პირველადი დამუშავების ინსტრუმენტებს არ მიეკუთვნება:**
  - ა) სტატიკური თავმოყრა;
  - ბ) სტატიკური დაჯგუფება;
  - გ) განზოგადებული სიდიდეების გაანგარიშება;
  - დ) შეფარდებითი სიდიდეები.
- 3. რეგიონების მიხედვით გაანგარიშებული მაჩვენებლების და მთლიანად ქვეყნის მიხედვით პარამეტრების მნიშვნელობათა შედარებითი დახასიათებისთვის გამოიყენება:**
  - ა) გრაფიკული მეთოდები;
  - ბ) ტერიტორიული ინდიკატორების წყვილად შედარების მეთოდი;
  - გ) დაჯგუფების მეთოდი;
  - დ) ვარიაციის დიაპაზონი.
- 4. სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებში მიზეზშედეგობრივი კავშირის თავისებურებას წარმოადგენს:**
  - ა) მათი ტრანსფორმაციულობა;
  - ბ) მათი ტრანზიტულობა;
  - გ) მათი ტრანსფორმირება;
  - დ) არცერთი.
- 5. ფაქტორების მიხედვით კავშირის სახეებია:**
  - ა) ერთფაქტორიანი და ორფაქტორიანი;
  - ბ) ერთფაქტორიანი და სამფაქტორიანი;
  - გ) ერთფაქტორიანი და მრავალფაქტორიანი;
  - დ) სამივე პასუხი სწორია.
- 6. ფასების ზრდა იწვევს შინამეურნეობის დაგროვების შემცირებას; ამ შემთხვევაში კავშირი არის:**
  - ა) პირდაპირი;
  - ბ) არაპირდაპირი;
  - გ) ორმხრივი;
  - დ) კავშირი არ არსებობს.
- 7. ორ ნიშანს შორის ურთიერთკავშირის გამოკვლევა ხდება:**
  - ა) პარაგრაფული მეთოდით;
  - ბ) გრაფიკული მეთოდით;
  - გ) თავმოყრის მეთოდით;
  - დ) სამივე პასუხი სწორია.
- 8. კერძო კორელაცია არის:**
  - ა) ორ ნიშანს (შედეგობრივი და ფაქტორული, ან ორი ფაქტორული) შორის დამოკიდებულება;

- ბ) შედეგობრივ და ერთფაქტორულ ნიშანს შორის დამოკიდებულება სხვა ფაქტორული ნიშნის ფიქსირებული მნიშვნელობის პირობებში;
- გ) შედეგობრივ და კვლევაში ჩართულ ორ ან მეტ ფაქტორულ ნიშანს შორის დამოკიდებულება;
- დ) სამივე პასუხი სწორია.

**9. თუ საშუალო მოვლენა (ნიშანი) იცვლება ფაქტორული ნიშნების ცვლილების პროპორციულად, მაშინ მათ შორის კავშირი:**

- ა) წრფივია და კავშირის გამოსახვისათვის გამოიყენება წრფივი განტოლება;
- ბ) არაწრფივია და კავშირის გამოსახვისათვის გამოიყენება ჰიპერბოლური განტოლება;
- გ) არაწრფივია და კავშირის გამოსახვისათვის გამოიყენება პარაბოლური განტოლება;
- დ) წრფივია და კავშირის გამოსახვისათვის გამოიყენება ლოგარითმული ფუნქცია.

**10. რეგრესიის განტოლების ტიპის შერჩევის შემდეგ საჭირო პარამეტრების გაანგარიშება ხდება:**

- ა) ნორმირებული განტოლებათა სისტემის საფუძველზე;
- ბ) უმცირეს კვადრატთა მეთოდის საფუძველზე;
- გ) ნორმალურ განტოლებათა სისტემის საფუძველზე;
- დ) კოლმოგოროვის კრიტერიუმით.

**11. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის პარამეტრული მაჩვენებლებია:**

- ა) დეტერმინაციის და კორელაციის რანგების კოეფიციენტები;
- ბ) მრავლობითი კორელაციის და კონტინგენციის კოეფიციენტები;
- გ) კორელაციური შეფარდების და დეტერმინაციის კოეფიციენტები;
- დ) ირიბი კოვარიაციის კოეფიციენტი.

**12. საშუალო მოვლენის საერთო ცვლილებაზე ფაქტორული მოვლენის ცვლილების რა ნაწილია დაკავშირებული, გვიჩვენებს:**

- ა) კორელაციის წრფივი კოეფიციენტი;
- ბ) დეტერმინაციის კოეფიციენტი;
- გ) მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი;
- დ) წყვილადი კონტეგრაციის კოეფიციენტი.

**13. მოვლენებს შორის არსებული როგორც წრფივი, ისე არაწრფივი კავშირის სიმჭიდროვის ხარისხის გაზომვა შეიძლება:**

- ა) კორელაციის წრფივი კოეფიციენტით;
- ბ) დეტერმინაციის კოეფიციენტით;
- გ) კორელაციური შეფასების კოეფიციენტით;
- დ) სპირმენის კოეფიციენტით.

**14. როგორც წყვილადი, ისე მრავლობითი კორელაციური ურთიერთკავშირის კორელაციურ-რეგრესიული ანალიზის დროს გამოიყენება:**

- ა) კორელაციის ინდექსი;
- ბ) დეტერმინაციის კოეფიციენტი;

- გ) კორელაციური შეფასების კოეფიციენტი;
- დ) ფიშერის F-კრიტერიუმი.

15. მოცემული ფორმულა  $R = \sqrt{\frac{r_{x_1y}^2 + r_{x_2y}^2 - 2r_{x_1y}r_{x_2y}r_{x_1x_2}}{1 - r_{x_1x_2}^2}}$  არის:

- ა) კორელაციის ინდექსი;
- ბ) დეტერმინაციის კოეფიციენტი;
- გ) მრავლობითი კორელაციის კოეფიციენტი;
- დ) ორმაგი წყვილადი კორელაცია.

## ლიტერატურა

1. ანთაძე კ. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973.
2. ახალაია ნ. გორის მოსახლეობა. სტატისტიკურ-დემოგრაფიული კვლევა. თბ., 2002.
3. ახალაია ნ. გორის მოსახლეობა. თბ., 2009.
4. ბაკურაძე ა. იმერეთის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის, შემადგენლობისა და ბუნებრივი მოძრაობის დინამიკა XIX და XX საუკუნეებში (ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი), თბ., 2004.
5. ბრეგვაძე თ. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სტრატეგიული განვითარება საქართველოში. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი, თბ., 2013.
6. გაბიაშვილი ბ. სტატისტიკა ეკონომიკაში, ბიზნესსა და მენეჯმენტში, თბ., 2011.
7. გამახურდია ვ. ქართველთა ეთნიკური იდენტობის ასპექტებისა და სტრუქტურის კვლევა მოღერულ კონტექსტში, თბ., 2016.
8. გელაშვილი ს. საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკა. „მერიდიანი“, თბ., 2015.
9. გელაშვილი ს., შინაი ზ., ქინქლაძე რ. სოციალური სტატისტიკა. „უნივერსალი“, თბ., 2020.
10. გელაშვილი ს., მაკალათია ი., მიქელაძე გ. მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა. თბ., 2021 (ელ. ვერსია, თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი).
11. გელაშვილი ს., ჩარეჭიშვილი ლ. გენდერული სტატისტიკის საკითხები. „მერიდიანი“, თბ., 2016.
12. გიორგაძე ლ., კვაჭაძე მ. და სხვ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი: ლექსიკონი-ცნობარი, თბ., 2005.
13. გუგუშვილი პ. საქართველოს სსრ მოსახლეობის აღწარმოების საკითხები. თბ., 1973.
14. თოთაძე ა. აჭარის მოსახლეობა, თბ., 2012.
15. თოთაძე ა. გურიის მოსახლეობა, თბ., 2014.
16. თოთაძე ა. კახეთის მოსახლეობა, თბ., 2014.
17. თოთაძე ა. თბილისის მოსახლეობა, თბ., 2017.
18. თოთაძე ა. საქართველოს დემოგრაფიული განვითარების პროგრამა. „პრინტ ავენიუ“, თბ., 2018.
19. იაშვილი ი. ქ. ქუთაისის მოსახლეობის ფორმირების თავისებურებანი. კვლევის სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები, თბ., 1998.
20. კაკურია შ. თბილისის მოსახლეობა 1803 – 1970 წწ. თბ., 1979.
21. კობაღიშვილი ნ. მოკვდაობა და სიცოცხლის ხანგრძლივობა საქართველოში XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე. დისერტაცია ეკონ. მეცნ. კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. თბ., 2005.
22. ლადარია ნ. სოციოლინგვისტიკა, სახელმძღვანელო, თბ., 2002.
23. ლორთქიფანიძე ვ. სამცხე-ჯავახეთი XIX-XX სს. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1994.
24. ლორთქიფანიძე ვ. ისტორიული მესხეთი. დემოგრაფიული განვითარების პრობლემები, თბ., 1998.
25. მენაბდეშვილი ე. ეთნოდემოგრაფიული პროცესები საქართველოში, თბ., 2000.
26. სახვაძე ა. დემოგრაფიული ეტიუდები. თსუ გამომც., თბ., 2003.
27. ტაკიძე ა. აჭარის მოსახლეობის სტაციონალური მიგრაცია: ინტენსივობა და ძირითადი მიმართულებები, კრებულში „მიგრაცია“, ტომი 1, თბ., 2007.
28. ტუხაშვილი მ. ქვემო ქართლის მოსახლეობა: პოლიეთნიკურობიდან ბიეთნიკურობისაკენ. კრებულში „მიგრაცია“, ტომი 8, თბ., 2017.
29. ხმალაძე მ. დემოგრაფია. თბ., 2009.
30. ხმალაძე მ., ჩიტლაძე ქ. დემოგრაფიული სტატისტიკა (ელ. ვერსია, იხ. თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ვებგვერდი). თბ., 2020.
31. ჩარეჭიშვილი ლ., უმაღლესი განათლების სისტემის ანალიზი საქართველოში, თსუ „ეკონომიკა და ბიზნესი“, №3, გვ. 123-142.



32. ჩარეკიშვილი ლ., მეცნიერებისა და განათლების ეკონომიკის საკითხები თანამედროვე საქართველოში, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი, 2013 წ. 17 მაისი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „გლობალიზაცია და მეცნიერების აქტუალური პრობლემები 21-ე საუკუნეში“. გვ. 131-135.
33. ჯაოშვილი ვ. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996.
34. ჩიქავა ლ. საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების საერთო ტენდენციები და რეგიონული თავისებურებანი. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტი, თბ., 2014.
35. წიკლაური შ. განათლების მიღწეული დონის გავლენა ქორწინებით ქცევაზე. დემოგრაფიის და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, თბ., 2015.
36. წულაძე გ. დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2012.
37. წულაძე გ. ემიგრაცია საქართველოდან 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, ევრაზიის ფონდი, ნიუ-იორკის კარნეგის კორპორაცია, თბ., 2005.
38. წულაძე გ., სულაბერიძე ა. დემოგრაფიის საფუძვლები, თბ., 2015.
39. ჭიპაშვილი მ. თბილისის მოსახლეობის მიგრაცია. თბ., 1999.
40. ისტორიული ბუკლეტი „საქართველოს სტატისტიკა 100“, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, თბ., 2019.
41. მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერა 1926 წლის საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა. განყოფილება III, თბ., 1932.
42. მოსახლეობის საყოველთაო აღწერების ვებგვერდი: [www.census.ge](http://www.census.ge)
43. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები. თბ., 2016.
44. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I, თბ., 2003.
45. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია. ნაკვეთი 2. თბ., 1923.
46. ქალი და კაცი საქართველოში. სტატისტიკური პუბლიკაცია, საქსტატი, თბ., 2019.
47. ჩვენი კონსტიტუცია: საქართველოს კონსტიტუცია: გამოცემა მოზარდებისათვის, თბ., ფონდი Alpe, 2005.
48. ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიში, თბ., 2013 <http://www.healthrights.ge/health-system-performance/>
49. Eller, J. D. Cultural Anthropology Global forces Local Lives. New York, USA: Routledge, 2009.
50. Hechter, M. A rational choice approach to race and ethnic relations. In D. Mason, & J. Rex, Theories of race and ethnic relations (pp. 268-277). Cambridge University Press, 1986.
51. Бадриашвили В. Население Тбилиси. Тб., 1957.
52. Charekishvili L. Higher Education System in Georgia: Reforms and Modern Challenges. 2015 <http://www.iises.net/proceedings/teaching-education-conference-amsterdam/table-of-content/detail?article=higher-education-system-in-georgia-reforms-and-modern-challenges-pp.61-68> (Accessed 27 February, 2018).
53. Conference of European Statisticians Recommendations for the 2010 Censuses of Population and Housing. prepared in cooperation with the Statistical Office of the European Communities (EUROSTAT), UN, New York and Geneva, 2006.
54. Gagnidze, I. The Role of International Educational and Science Programs for Sustainable Development (Systemic Approach), 2018. Kybernetes. Vol. 47, No. 2, pp. 409-424. <https://doi.org/10.1108/K-03-2017-0114> (Accessed 16 February, 2018).
55. Gagnidze, I. and Maisuradze, N. “Systemic effects of international educational and scientific links. Proposals for the development of educational and scientific national system in Georgia”, 2016. *Int. J. Markets and Business Systems*, Vol. 2, No. 1, pp.25-44. <http://www.inderscience.com/info/inarticle.php?artid=78102>(Accessed 23 February, 2018).
56. Гозулов А. И., Григорянц М. Г. Население СССР. М., 1969.
57. Джаошвили В. Ш. Урбанизация Грузии. Тб., 1978.
58. Кене Франсуа. Избранные экономические произведения. М., 1960.

59. Measuring population and housing Practice of UNECE countries in the 2010 round of Census, United Nations, 2014.
60. Ртуха М. Очерки по статистике XV11-XV111 веков. М., 1945.
61. Итоги всесоюзной переписи населения 1959 г. М., 1963.
62. Итоги всесоюзной переписи населения 1970 г. Т. IV, М., 1973.
63. Итоги всесоюзной переписи населения 1970 года по Грузинской ССР. Тб., 1972.
64. Народное хозяйство Грузинской ССР. Тб., 1957.
65. Народное хозяйство Грузинской ССР. Тб., 1980.
66. Народное хозяйство СССР в 1958 году. М., 1959.
67. Народное хозяйство СССР в 1987 г. М., 1988.
68. Население СССР. 1973, М., 1975.
69. Промышленность СССР. М., 1964.
70. Свод статистических данных о населении закавказского края, извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893.
71. Численность, состав и движение населения Грузинской ССР. Тб., 1981.
72. [www.geostat.ge](http://www.geostat.ge).
73. <http://intermedia.ge/სტატია/61315-მსოფლიოს-რელიგიები-ყველაზე-გავრცელებული-და-მრავალრიცხოვანი-რელიგიები>.
74. <https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=74ffcb86-ec29-46b4-8aa5-8aefa8c902f8>.
75. [http://eprc.ge/uploads/brosh/MEDICAL\\_BROCHURE\\_-geo.pdf](http://eprc.ge/uploads/brosh/MEDICAL_BROCHURE_-geo.pdf).
76. <https://www.ncdc.ge/Pages/User/News.aspx?ID=33743289-1df6-428f-b644-439fc8ab5cae>.
77. <http://www.mes.gov.ge/content.php?id=4908&lang=geo>.
78. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2244429>.
79. <http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/komitetebi/adamianis-uflebata-dacvisa-da-samoqalaqo-integraciis-komiteti/axali-ambebi-adamianis/adreuli-agzrdisa-da-ganatlebis-shesaxeb-kanonproeqtis-prezentacia.page>.

რედაქტორი  
დამკაბადონებელი  
გარეკანის დიზაინერი

**მაია ეჯიბია**  
**ხათუთა ბადრიძე**  
**თინათინ ჩირინაშვილი**

---

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: +995 (32) 2250484, 6284; 6278  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

